გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

# სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული

## №5

2013

წინამდებარე სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2013 წლის 8 თებერვალს ჩატარებულ ა(ა)იპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს. შენიშვნის სახით დავძენთ, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომები იბეჭდება ა(ა)იპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის მიერ მომზადებულ შრომების კრებულში.

**სექციური კომისიების შემადგენლობა:**

სექცია „განათლება“
თავმჯდომარე: პროფ. პაატა ქურდაძე
წევრი: ასოც. პროფ. ზექა ტოლიაშვილი

სექცია „ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები“
თავმჯდომარე: პროფ. მალხაზ მუმლაძე
წევრები: პროფ. ზურაბ ტიელიძე, პროფ. ნელი გოგინაშვილი, ასოც. პროფ. ლელა ალექსიძე, ასოც. პროფ. გიორგი მძინარაშვილი

სექცია „ბიზნესი და მართვა“
თავმჯდომარე: პროფ. ნანა ახალაია
წევრები: პროფ. გიული გიგუაშვილი, პროფ. ნინო ლიპარტელიანი, პროფ. დავით ბიძინაშვილი, ასოც. პროფ. ნათია ჟოჟუაშვილი, ასოც. პროფ. ლია ბიბილაშვილი

სექცია „სოციალური მეცნიერებანი და სამართალი“
თავმჯდომარე: პროფ. მარიკა შერაზადიშვილი
წევრი: პროფ. ნუგზარ აბრამიშვილი

სექცია „ლიტერატურა“
თავმჯდომარე: პროფ. შოთა ქურდაძე
წევრები: პროფ. თამარ გოგოლაძე, პროფ. მარინე ცერცვაძე, პროფ. ნათელა ხინჩაგაშვილი

სექცია „ლინგვისტიკა“
თავმჯდომარე: პროფ. ვიანორ ახალაია,
წევრები: პროფ. მარიამ კობერიძე, პროფ. ელენე ხოჯევანიშვილი, ასოც. პროფ. ნიკოლოზ ოთინაშვილი

ISSN 2233-3320

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ბაღაშვილი თათია - *პუნქტუაციურ და გრამატიკულ–ორთოგრაფიულ სავარჯიშოთა სახეები I–II–III კლასებში – 5*

მინდიაშვილი თამარ - *ზოგიერთი მათემატიკური ამოცანის ამოხსნის უძველესი და თანამედროვე მეთოდები – 9*

ნასყიდაშვილი ნინო - *ბლუმის ტაქსონომია და მისი გამოყენება დაწყებით კლასებში – 13*

## ზ უ ს ტ ი და ს ა ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი

აკოფოვი ანი - *ფიზიკურ მომზადებაში - თავისუფალი სტილის მოჭიდავის ფიზიკური თვისების - სისწრაფის განვითარება და სრულყოფა – 15*

ბესტავაშვილი მარინა - *ადამიანის კანის ურთიერთქმედება გარე სამყაროსთან – 17*

გუჩმაზაშვილი თამარ - *საქართველოს ტყეები, მისი გავრცელებისა და მრავალფეროვნების ასპექტები – 20*

თომაშვილი თამარ - *ფოტოსინთეზი - სიცოცხლის საფუძველი – 24*

მესხი თეონა, ხაჟომია ლელა - *საყოფაცხოვრებო ნარჩენები - პრობლემა და რესურსი – 27*

ტერუნაშვილი მერი - *ძალდებული კრიტერიუმები – 31*

ტერუნაშვილი მერი - *ორცვლადიანი წრფივი პროგრამირების ამოცანის გამოყენების კერძო მაგალითი – 33*

წიქარიშვილი ქეთევან - *ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ეკოტურიზმის ძირითადი კატეგორია საქართველოში – 38*

ჭინჭარაშვილი მაია, მეზვრიშვილი ეკა - *ტყის რესურსების შემცირების უარყოფითი გავლენა ბუნებასა და ადამიანზე – 41*

## ბ ი ზ ნ ე ს ი და მ ა რ თ ვ ა

ბერიკაშვილი თეონა, ხუციშვილი რეზო - *ვალების პრობლემა საქართველოში – 44*

ბერუაშვილი ნინო, გოგიაშვილი ფიქრია, კაკაშვილი თეონა - *ღვინის ბიზნესი საქართველოში. ისტორია და თანამედროვეობა – 47*

დემუროვი მარიამ, მოსიაშვილი ნონა - *პერსონალის შერჩევა და მათი სტიმულირება – 51*

კაპანაძე თამთა, ჯანგიშერაშვილი ანიკო - *ნაადრევი ქორწინების ტენდენციები საქართველოში – 55*

კაბილოვი მარი - *თხილი როგორც მიმზიდველი საექსპორტო პროდუქტი – 58*

მანძულაშვილი გიორგი, ჯერანაშვილი ეკატერინა - *ბიზნესინკუბაცია და ბიზნესინკუბაციის საერთაშორისო გამოცდილება – 60*

მიჩიტაშვილი ლალი, პოღოზაშვილი რუსუდან, ნადირაძე თამარ, საათაშვილი მაკა - *საარსებო მინიმუმი და მინიმალური ხელფასი – 64*

მიჩიტაშვილი ლალი, პოღოზაშვილი რუსუდან, ნადირაძე თამარ, საათაშვილი მაკა - *საშემოსავლო გადასახადი როგორც ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი წყარო – 67*

მუზაშვილი სოფიო, გიგაური ლალი, რუსიტაშვილი თეონა - *თანამედროვე მსოფლიოს დემოგრაფიული პორტრეტი – 71*

ნაოჭაშვილი ბექა - *საავტომობილო ბიზნესი და მისი როლი საქართველოს საგარეო ვაჭრობაში – 74*

რაზმაძე მარიამ - *ინფლაციურ პროცესებზე ცალკეული ფაქტორების ზემოქმედების თეორიული ასპექტები – 79*

ფარეხელაშვილი თამთა, ღარიბაშვილი ნინო - *ქართული ცხვარი - წარმატებული საექსპორტო პროდუქტი – 82*

ყაჩლავაშვილი მირანდა - *ელექტრონული კომერცია - XXI საუკუნის ბიზნესი – 85*

ყაჩლავაშვილი მირანდა - *უძრავი ქონების ბაზრის პრობლემები საქართველოში – 88*

შავშიშვილი ნანა, მინდიაშვილი ნათია - *ვალდებულებათა აღრიცხვის თავისებურებანი – 90*

## ს ო ც ი ა ლ უ რ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ნ ი დ ა ს ა მ ა რ თ ა ლ ი

ბედოშვილი თამარ, ფაცინაშვილი ქეთევან - *მეცნიერება და სულის კულტურა – 94*

ლომაია დავით, ილურიძე ნათია - *სიყვარულის ფილოსოფია – 97*

მარკოზაშვილი ქეთევან, ტერმაკოზაშვილი თამარ - *ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსის შესახებ – 100*

ხარაიშვილი თამარ - *სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა – 102*

## ლ ი ნ გ ვ ი ს ტ ი კ ა

თარაშვილი ეველინა - *ზემო ქართლის ტოპონიმია ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“ – 107*

რაზმაძე თეონა - *დიალექტური ლექსიკა სოფელ ურბნისის მეტყველების მიხედვით – 109*

საური თამარ - *ეპიგრაფიკული ნაწერების ენობრივ-პალეოგრაფიული თავისებურებანი – 112*

შავლოხაშვილი თეონა - *ოთარ ჩხეიძის ენისა და სტილის საკითხები – 114*

ცერაძე თამარ - *თეთრ ფერთა პალიტრა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში – 116*

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

კაკაშვილი თეონა, გოდელაშვილი იზა, საზანდრიშვილი ნათელა - *ქართული ხალხური სიმღერა და ფოლკლორული ტექსტი (ისტორია და თანამედროვეობა) – 119*

ყაჩლავაშვილი მაგდა, საური თამარ - *СРАВНИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ СКАЗОК О ЖИВОТНЫХ (на примере русской народной сказки "Волк и семеро козлят" и английской "Волк и три котёнка") – 123*

ხანიშვილი სოფიო, ნოზაძე სოფიო - *СРАВНИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ ОБРАЗА ЖЕНЩИНЫ В АНГЛИЙСКИХ И РУССКИХ ПОСЛОВИЦАХ – 127*

## გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

### პუნქტუაციურ და გრამატიკულ–ორთოგრაფიულ სავარჯიშოთა სახეები I–II–III კლასებში

**თათია ბაღაშვილი**
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა ფაკულტეტის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მზია ზანგალაძე**, სრული პროფესორი

„პირველითგან იყო სიტყუაჲ, და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი." (სახარება იოანესი, 1,1)... „დაიბადა ქვეყნად პირველი კაცი, რომელსაც ღმერთმა დაარქვა სახელად ადამი" (ი. გოგებაშვილი, საღმრთო ისტორია, გვ. 6). ამ მეტყველი ადამიანისაგან „პირველ ყოვლისა, აღეგო სიბრძნე" და ტიმოთეს მიმართ პავლეს ეპისტოლეც გვაუწყებს: „პირველსა სიტყვისგებასა ჩემსა არვინ თანა დამიდგა მეო". მათე კი შთამბეჭდავად გვარწმუნებს: „სიტყუაიცა შენი გამოგაჩინებს შენო". ამიტომ „მხოლოდ სიტყუიერნი უმჯობეს არიან პირუტყუთასა", მაგრამ ჩვენი გენიოსის შეგონებაც უნდა გვახსოვდეს: „არ სასმენლისა მოსმენა არს უმჟავესი წმახისა". დიახ, დიდი რუსთველისათვის უპირველესია „ცნობიერი სიტყვა"... ამიტომ გვიზიდავს და გვხიბლავს მისივე „სიტყვა ნატიფი, მჭევრები... ტკბილმოუბრითა ენითა". გრ. ორბელიანიც მკაცრად გვაფრთხილებს: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წარეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას". ამიტომაც უკიჟინებდა დავით გურამიშვილი „სწავლის მძებნელს", რომ „ბრძენი სიტყვითა დარჩების"... და სწორედ ილიას, აკაკის, იაკობის თაოსნობითა და შემდგომში კი მათი ღირსეული მემკვიდრეების ძალისხმევით არის ქართული ენა დღეისათვის ერთიანი საერთო ეროვნული და სახელმწიფოებრივი ენა, რომლის დაცვაც ყველა ასაკისა და მდგომარეობის, ყოველი დარგისა და თუ პროფესიის ადამიანთა წმიდათა წმიდა მოვალეობაა.

მართლწერისა და მართლმეტყველების განვითარებას საფუძველი დაწყებით კლასებში ეყრება. პატარებისათვის გრამატიკის უმარტივესი საკითხების სწავლება მათი ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარებისათვის ზრუნვის პარალელურად მიმდინარეობს. წერითი მეტყველებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პუნქტუაციას, რადგან ამის გარეშე ნაწერის აზრი მკითხველმა შეიძლება ვერ გაიგოს, ან არასწორად გაიგოს. პუნქტუაციის შესწავლით მოსწავლე სწავლობს არა მხოლოდ სასვენი ნიშნების ხმარების წესებს, არამედ ამით ეცნობა ენის სინტაქსურ და სტილურ ბუნებას. პუნქტუაციური ანალიზის პროცესში მოსწავლე ნათლად ხედავს ენაში რა სინტაქსური კონსტრუქციებია, რა საშუალებები გააჩნია ენას ამისათვის, რა როლს თამაშობს პუნქტუაცია ამ ოპერაციებში. პუნქტუაციის სწავლება მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლების საუკეთესო საშუალებაა. პუნქტუაციის მტკიცედ და შეგნებულად სწავლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასვენ ნიშანთა გამოყენების ახსნას გასაგებად, მისაწვდომად, თვალსაჩინოებისა და შეგნებულობის დიდაქტიკური პრინციპის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში პუნქტუაციურ წესებს მოსწავლეები ადვილად იმახსოვრებენ და საჭირო შემთხვევაში მათ უშეცდომოდ გადმოსცემენ, მაგრამ პუნქტუაციური წესის ზეპირად ცოდნა არ ნიშნავს პუნქტუაციურ ჩვევას. შეიძლება მოსწავლემ პუნქტუაციური წესი ზეპირად გვითხრას, მაგრამ შესაბამისი სასვენი ნიშანი წერის პროცესში ვერ გამოიყენოს. პუნქტუაციური წესის ცოდნა პუნქტუაციურ ჩვევად რომ იქცეს, საჭიროა იგი ხანგრძლივად ვავარჯიშოთ შესწავლილი პუნქტუაციური წესის შესაბამის მაგალითზე. ვარჯიშის გარეშე პუნქტუაციის სწავლება შეუძლებელია, ვარჯიშისათვის კი საჭიროა სავარჯიშო მასალა, სადაც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული სავარჯიშოთა ორი სახე: გადაწერა და კარნახი. დაწყებით კლასებში გადაწერის ორ სახეზე მახვილდება ყურადღება, როგორიცაა ტექსტუალური და შემოქმედებითი. ტექსტუალურია გადაწერა, როცა მოსწავლეები მასწავლებლის მითითებით უცვლელად იწერენ ტექსტს დაფიდან ან წიგნიდან. ამგვარი გადაწერის მიზანი ძირითადად კალიგრაფიული ჩვევების სრულყოფაა. წიგნიდან გადაწერისას მოსწავლეს გარკვეული გრაფიკული ამოცანის დაძლევა უხდება – შეცვალოს ბეჭდური ასოები ხელნაწერით. შემოქმედებითი გადაწერა კი უფრო ფართოდ გამოიყენება. იგი გულისხმობს, რომ გადამწერმა გადასაწერ ტექსტში რაღაც შემოქმედებითი ელემენტი უნდა შეიტანოს, მაგალითად: ა) შეავსეთ გამოტოვებული ასო სიტყვაში; ბ) გადაწერეთ წინადადებები და

დამარცვლეთ სიტყვები; გ) ჩასვით ბრუნვის ნიშნები გამოტოვებულ ადგილებში; დ) ჩასვით პირის ნიშნები გამოტოვებულ ადგილას; ე) ამოწერეთ ტექსტიდან მხოლოდ მითითებული ორთოგრამები და სხვა. ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით ქვემოთ მოცემულია სავარჯიშოები კლასების მიხედვით.

**გადაიწერთ წინადადებები და სათანადო ადგილას დასვით წერტილი** (პირველი კლასი, აპრილის თვიდან)

დიდი თოვლი მოვიდა დიტოს ეს უხაროდა

**ტექსტები შემოქმედებითი გადაწერისათვის** (მეორე კლასი)

**დაფიდან გადაიწერეთ ტექსტი და სათანადო ადგილას დასვით წერტილი**

ძალიან გალამაზდა ჩვენი თბილისი თბილისს მდინარე მტკვარი ორ ნაწილად ჰყოფს ქალაქში ბევრი ლამაზი ბაღი გაშენდა

**გადაწერეთ წინადადებები, სათანადო ადგილას დაუსვით წერტილი და კითხვის ნიშანი**

1. ვისთვის არის სასარგებლო ფუტკრის შრომა

ფუტკრის შრომა სასარგებლოა ადამიანისათვის

რას გვაძლევს ფუტკარი

ფუტკარი გვაძლევს თაფლს

**თხრობითი წინადადება გადააკეთეთ კითხვითად, კითხვითი – თხრობითად**

1. ვანო ტყეში საქონელს აძოვებდა. მან ძაღლყურძენა დაინახა. ვანომ ის შეჭამა. ძაღლყურძენამ ის მოწამლა

2. გიორგი მამამ ქალაქში წაიყვანა? ის ქალაქის სილამაზემ გააკვირვა? გიორგის ქალაქი ძალიან მოეწონა?

**ტექსტები მარტივი კარნახისათვის**

დაწერეთ ნაკარნახევი ტექსტი და წინადადებათა ბოლოში დასვით სათანადო სასვენი ნიშანი

თოვლმა მიდამო გადაათეთრა. სიცივისაგან ლოყებაწითლებული ბავშვები ეზოში თამაშობენ. ისინი გუნდაობით ირთობენ თავს

**დაწერეთ ნაკარნახევი ტექსტი და დასვით სათანადო სასვენი ნიშნები**

1. ყველაზე კარგად რომელი ფრინველი გალობს? ყველაზე კარგად გალობს ბულბული.

რას ვეძახით ბულბულს? ბულბულს ვეძახით მგალობელს

**თვითკარნახით წერა**

(მასწავლებელი მოსწავლეებს დროდადრო დაავალებს ზეპირად დასწავლილი ლექსების ერთი სტროფის ზეპირად წერას საკლასო რვეულებში).

**ტექსტები შემოქმედებითი გადაწერისათვის (მესამე კლასი)**

**გადაწერეთ ტექსტი და სათანადო ადგილას დასვით სასვენი ნიშანი**

შინაური ცხოველები ადამიანს აძლევენ ხორცს ქონს მატყლს ტყავს და რძეს მათი ძვლებისა და რქებისაგან აკეთებენ ჭადრაკის ფიგურებს ნარდის კოჭებს ათასნაირ ღილებს

**ტესტები მარტივი კარნახისათვის**

დაწერეთ ნაკარნახევი ტექსტი და წინადადებათა ბოლოში დასვით საჭირო სასვენი ნიშნები

ჩემმა ძმამ სათამაშო ურემი გააკეთა

– გაჩუქო? – მკითხა მან.

ურემი ძალიან ლამაზი და კარგი იყო. კეთილმა ძამიკომ სათამაშო მაჩუქა.

**თვითკარნახით წერა**

(მასწავლებელი ბავშვებს დროდადრო დაავალებს ზეპირად დასწავლილი ლექსიდან ორი სტროფის თვითკარნახით წერას საკლასო რვეულებში).

გრამატიკისა და, მასზე დაყრდნობით, ორთოგრაფიის სწავლებისადმი ამჟამად წაყენებულმა გაზრდილმა მოთხოვნებმა დღის წესრიგში დააყენეს გრამატიკულ–ორთოგრაფიული და სტილისტიკური ხასიათის სავარჯიშოებზე მუშაობის საჭიროება დაწყებით კლასებში. აქ დიდი ადგილი უჭირავს ისეთ სავარჯიშოებს, რომლებიც ამდიდრებენ მოსწავლის ლექსიკას, ხელს უწყობენ ფრაზის აგებისა და გაბმული მეტყველების უნარის განვითარებას. ყოველ გრამატიკულ წესს მოსდევს სავარჯიშოები მართლწარმოთქმასა და მართლწერაში, პუნქტუაციაში, ელემენტარულ სტილისტიკაში, ლექსიკა – ფრაზეოლოგიაში... ამ სავარჯიშოების დანიშნულებაა, გრამატიკაში მიღებული ელემენტარული თეორიული ცოდნის საფუძველზე განავითაროს მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველება, ჩააყენოს გრამატიკა მოსწავლეთა მეტყველების კულტურის ამაღლების, მისი საერთო განვითარების საქმეში. მართლწერის ანუ ორთოგრაფიის შესწავლას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. მართლწერის წესების შესწავლით მოსწავლე აზუსტებს, უკეთ აცნობიერებს და მტკიცედ ეუფლება მშობლიური ენის ბუნება-აგებულებას, რითაც ღრმავდება თეორიული ცოდნა, ინტენსიურად ვითარდება

აზროვნება, მეხსიერება, ყურადღება და სხვა ფსიქიკური ფუნქციები. მართლწერის წესების ცოდნა დიდად უწყობს ხელს ცალკეული სიტყვისა და შესიტყვების ფორმის დაუფლებას, მეტყველების განვითარებას. ნაწერი ვერ იქნება ენობრივად გამართული და წიგნიერი, თუ ის ორთოგრაფიულ შეცდომებს შეიცავს. ამიტომ დაწყებით კლასებში დიდი ადგილი ეთმობა ორთოგრაფიის სწავლებას, რასაც საფუძველი ეყრება სწავლების პირველივე წლიდანვე, მახვილდება ყურადღება ცალკეულ სიტყვათა მართლწარმოთქმასა და მართლწერაზე, ხოლო მომდევნო II-III და ზემოთ კლასებში კი მართლწერის საკითხთა ხვედრითი წილი თანდათან იზრდება. ნაშრომში სავარჯიშოები დალაგებულია კლასების მიხედვით და დაცულია გრამატიკულ-ორთოგრაფიული და სტილისტური საკითხების პროგრამული თანამიმდევრობა.

სავარჯიშოთა შერჩევისას უპირატესობა ენიჭება სიუჟეტურ ტექსტს. აუცილებლობის შემთხვევაში გამოყენებულია აგრეთვე ცალკეული წინადადებებიც. სავარჯიშოთა შერჩევა–შექმნისას გათვალისწინებულია პედაგოგიურ–დიდაქტიკური მოთხოვნები, რათა ყოველ სავარჯიშოს მოსწავლეთათვის მიეცა არა მარტო გრამატიკული ცოდნა, პუნქტუაციურ–ორთოგრაფიული თუ სტილისტიკური ჩვევა, არამედ ბუნებასა და საზოგადოებაზე ზოგადი ცოდნის რაღაც ელემენტიც, აღეზარდა პატარები ქრისტიანული მორალით, სამშობლოს მხურვალე სიყვარულითა და ინტერნაციონალური გრძნობით. გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ გასაგები ყოფილიყო შესაბამისი კლასის მოსწავლეთათვის სიტყვიერი ფონდი ანუ ლექსიკური მასალა. დაცულია წერითი ნამუშევრების მოცულობა. აუცილებელ პირობად იქნა მიჩნეული სავარჯიშოთა შერჩევისას მოსწავლეთა ასაკი და მათი ცოდნის დონე. ისინი ისე იქნა შერჩეული, რომ მოსწავლეთა გონებრივი აქტივობის, შემოქმედებითი აზროვნებისა და მიხვედრილობის უნარის განვითარებისათვის ხელი შეეწყოთ. ასე მაგალითად:

**ასო–ბგერებად დაყავით სიტყვები, აღნიშნეთ, რომელია ხმოვანი და რომელი თანხმოვანი. დამარცვლეთ და ისე გადაიწერეთ წინადადებაში შემავალი ყველა სიტყვა**

კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო. სიტყვაში „კარგი" კ,რ,გ – თანხმოვნებია; ა,ი ასოები კი – ხმოვნები. დაიმარცვლება ასე: კარ–გი (მეორე კლასი) მესამე კლასში წინადადებაში შემავალ ყველა სიტყვას მარცვლიან მოსწავლეები. მაგ. ში–ნა–ურ ცხო–ვე-ლებს დი–დი სარ–გებ–ლო–ბა მო–აქვს ა–და–მი– ნისა–თვის. ამგვარადვე გაანალიზდება სხვა წინადადებაში შემავალი სიტყვებიც.

**ტექსტიდან გამოყავით წინადადებები და დასვით სასვენი ნიშანი**

დადგა გაზაფხული ფრინველები თბილი ქვეყნებიდან სამშობლოში ბრუნდებიან

**წინადადებიდან გამოყავით საგნის აღმნიშვნელი სიტყვები**

თბილისი საქართველოს დედაქალაქია (მეორე კლასი)

**ქვემოთ მოცემულ ტექსტში მხოლობითი რიცხვის არსებით სახელებს ერთი ხაზი გაუსვით, მრავლობითისას – ორი. გამოკვეთეთ სულიერი და უსულო არსებითი სახელები** (მესამე კლასი).

ქათმებით გარშემორტყმული მამალი ერდოზე შემომჯდარიყო. მელია იქვე ახლომახლო დაცუნცულებდა. მამალს თვალი შეასწრო და გადაწყვიტა მისი მოტყუება

**წინადადებიდან გამოყავით სულიერი და უსულო საგნის აღმნიშვნელი სიტყვები**

დედა შვილს ეფერება (მეორე კლასი)

პაპა თედომ პატარა ილოს ლამაზი ურემი გაუკეთა (მესამე კლასი)

**წინადადებიდან გამოყავით საგნის სახელები და დაუსვით კითხვები (ვინ? რა?)**

ნიმუში – ვანომ დავალება შეასრულა. (ვანომ – ვინ?; დავალება – რა?) (მეორე კლასი).

გიორგის ეჭირა სანთელი და სამშობლოსთვის ლოცულობდა

**წინადადებიდან გამოყავით მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები და დაუსვით კითხვები (რას შვრება? რა ქნა?). ვანო მეგობარს ეხმარება.**

ნიმუში – კატამ თაგვი დაიჭირა. (დაიჭირა – რა ქნა კატამ?)

**წინადადებიდან გამოყავით საგნის ფერისა და ზომის აღმნიშვნელი სიტყვები, დაუსვით მათ კითხვები (მეორე კლასი).**

თეთრი ციყვი ხეზე ახტა

ნიმუში – რუხი თაგვი სწრაფად გარბოდა. (რუხი – როგორი თაგვი?)

**წინადადებიდან გამოყავით რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვები და დაუსვით მათ კითხვა** (მეორე კლასი)

კლასში ორი მეგობარი მყავს;

ნიმუში – დღეს მათემატიკაში 10 ქულა მივიღე (ათი – რამდენი ქულა?)

**ერთგვარ საგნებს მიუწერეთ სათანადო გამაერთიანებელი სიტყვები**

ნიმუში – ატამი, მსხალი, ვაშლი – ხილია

ჯამი, ფინჯანი –

**წინადადებიდან ამოიწერეთ და გაარჩიეთ არსებითი სახელები** (მესამე კლასი)

ნიმუში – ბავშვებმა ჩიტი დაიჭირეს. (ბავშვებმა – არსებითი სახელი, სულიერი, ვინ კითხვისა, მრ. რიცხვში. ჩიტი – არსებითი სახელი, სულიერი, რა კითხვისა, მხ. რიცხვი.

მონადირემ მაღალ კლდეში არწივის ბუდე შეამჩნია.

**ტექსტში დასვით სათანადო სასვენი ნიშნები, ზმნებს ქვეშ ხაზი გაუსვით**

შემოდგომაზე ფრინველები თბილ ქვეყნებში მიფრინავენ ისინი სამშობლოს გულისტკივილით ტოვებენ ზოგიერთი ფრინველი არწივი ბუ ჭოტი კაჭკაჭი ბეღურა ზამთრობით ჩვენთან რჩება.

**ტექსტიდან ამოიწერეთ და ცალ-ცალკე დააჯგუფეთ მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ზმნები** (მესამე კლასი)

ერთი კაცი სახნავად წავიდა, თან კატა გაჰყვა. კატამ ტყის პირას იტრიალა და ჩიტები და თაგვები დაიჭირა. უცბათ ტყიდან ლომები გამოვარდნენ. მათ დანახვაზე ყველანი დაიფანტნენ.

**წინადადებიდან ამოიწერეთ და გაარჩიეთ არსებითი და ზედსართავი სახელები** (მესამე კლასი).

ჭკვიანი გოგონა ძმას ართობდა.

**ქვემოთ მოცემულ ტექსტში ერთი ხაზი გაუსვით რაოდენობით რიცხვით სახელს, ხოლო ორი – რიგობითს**

ერთ მდინარეზე ვიწრო ხიდი იყო. ამ ხიდზე ორი ჯიუტი თხა შეხვდა ერთმანეთს. ერთს უკან უნდა დაეხია და გზა დაეთმო. – უკან დაიხიე! – უთხრა ერთმა მეორეს.

**ქვემოთ მოცემულ წინადადებაში წარმოდგენილ ნაცვალსახელებს ქვეშ ხაზი გაუსვით**

გელა ჩემი უფროსი ძმაა. იგი არქიტექტორია. მე კი წელს პირველად შევედი სკოლაში.

**წინადადებიდან ამოწერეთ და გაარჩიეთ თქვენთვის ცნობილი მეტყველების ნაწილები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელები).**

ჩემი მეგობარი კარგად სწავლობდა.

**მოძებნეთ წინადადებაში ქვემდებარე და შემასმენელი. შემასმენელს ერთი ხაზი გაუსვით ქვეშ, ქვემდებარეს – ორი**

ვანო წელს ბაკურიანში ისვენებდა.

**წინადადების არამთავარ წევრებს კლაკნილი ხაზი გაუსვით**

მაგიდაზე ხილი ეწყო.

**დასვით ტექსტში სათანადო სასვენი ნიშნები, ამოწერეთ გავრცობილი და გაუვრცობელი წინადადებები.**

დათბა ფერდობზე თოვლი ჩამოდნა ჩრდილში აქა-იქ კიდევ მოჩანს ალაგ-ალაგ გამდნარი თოვლი გზები ატალახდა მდინარე აიმღვრა

**ქვემოთ მოცემული წინადადებები გადააქციეთ გავრცობილად ან გაუვრცობლად:**

დადგა ზამთარი.

მოსწავლეები მხიარულად მიდიოდნენ სკოლისაკენ.

ამგვარად, სავარჯიშოთა ასეთი შერჩევა ხელს შეუწყობს სკოლაში მართლმეტყველებისა და მართლწერის ერთიანი რეჟიმის დაცვას, პუნქტუაციასა და ორთოგრაფიაზე მუშაობა არ გადაიქცევა წესების მექანიკურ დაზეპირებად. ამ დროს უდიდესი როლი ენიჭება სწავლების რაციონალური გზების, მეთოდებისა და ხერხების შერჩევას, რაც მეტ აქტივობასა და ინტერესს აღუძრავს მოსწავლეს.

ლიტერატურა:


1. არაბული ა., „ქართული მეტყველების კულტურა", გამომცემლობა „უნივერსალი", თბ., 2004.
2. ლიპარტელიანი რ., „დაწყებით კლასებში ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საკითხები", თბ., 1999.
3. მაღლაკელიძე ნ., „ქართული ენის სწავლების მეთოდიკა", გამომცემლობა „ლეთა", თბ., 2004.
4. სანიკიძე თ., „ქართული მართლწერა", გამომცემლობა „ინტელექტი", თბ., 1998.
5. ი. გოგებაშვილი, საღმრთო ისტორია; ისტორიული მოთხრობები, სერია „ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის", გამომცემლობა „ნაკადული", თბ., 2010.
6. http://www.orthodoxy.ge/tserili/mtatsmindeli/iovane1-7.htm

## ზოგიერთი მათემატიკური ამოცანის ამოხსნის უძველესი და თანამედროვე მეთოდები

**თამარ მინდიაშვილი**
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლელა ალექსიძე**, ასოცირებული პროფესორი

მათემატიკური ამოცანების ამოხსნის მეთოდებს ძველთაგანვე ექცეოდა გარკვეული ყურადღება, რომლებიც თანდათან დახვეწასა და სრულყოფას განიცდიდა. ამოცანის ამოხსნის სწავლება ერთ-ერთი რთული პრობლემაა. ეს გამოწვეულია იმ ობიექტური ფაქტორებით, რომ არ არსებობს ისეთი უნივერსალური მათემატიკური მეთოდები და ხერხები, რომელთა დაუფლებით შესაძლებელი იქნება ნებისმიერი მათემატიკური ამოცანის ამოხსნა. "ყოველ ამოცანას ისეთი სახე უნდა მივცეთ, რომ მისი ამოხსნა შეიძლებოდეს" - ამბობს ნორვეგიელი მათემატიკოსი ნილს ჰენრიკ აბელინისპენრიკაბელი (1802-1829). არსებობს ამოცანების ამოხსნისადმი არასტანდარტული მიდგომა და ამოხსნის ორიგინალური მეთოდები. მათი გამოყენებით ამოცანები "ლამაზად" იხსნება.

არითმეტიკული ამოცანებისადმი ალგებრული მიდგომის ნიმუშები გვხვდება ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტურ პაპირუსებსა (ძვ. წ. აღ. 2000-1700 წწ.) და ბერძენი მეცნიერის ევკლიდეს "საწყისებში" (ძვ. წ. აღ. III ს.). ამჟამინდელი სასკოლო მათემატიკის პროგრამა თითქმის ევკლიდეს "საწყისებიდანაა" ნასესხები, რადგან ევკლიდეს ნაშრომი აგებულია მკაცრ ლოგიკურ მსჯელობებზე, რომლებიც დამყარებულია თეორემებზე, განსაზღვრებებზე, პოსტულატებსა და აქსიომებზე. მან მათემატიკური მეცნიერების განვითარებაზე განსაკუთრებული როლი შეასრულა. მათ შესწავლასთან დაკავშირებით გამოირკვა ცნება მათემატიკური სიმკაცრის შესახებ და შეიქმნა აქსიომატიკური მეთოდი, რომელიც ამჟამად მათემატიკის ერთ-ერთ ძირითად მეთოდს წარმოადგენს. ევკლიდე ყოველ წინადადებას ჯერ ლაკონურად აყალიბებს, შემდეგ უჩვენებს, თუ რა არის მოცემული და რა უნდა დამტკიცდეს ან რა უნდა აიგოს და, შემდეგ ახდენს დამტკიცებას ან აგებას. ამასთან, ყოველი წინადადების დამტკიცების ან აგების შესრულების დასაბუთებას ევკლიდე ცდილობს დაუმტკიცებლად მიღებული წინადადებების, აქსიომების, პოსტულატებისა და უკვე განხილული თეორემების, ამოცანებისა და განსაზღვრებების საფუძველზე. ამით ევკლიდე თავის "საწყისებს" აგებს მკაცრად დედუქციურ პრინციპზე, მათემატიკის მთელი მასალა სისტემაში მოყავს და ლოგიკურ დასკვნებსაც აკეთებს. თანამედროვე სახელმძღვანელოებში ევკლიდესეული წინადადებები უფრო დახვეწილადაა გადმოცემული და ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან ევკლიდეს "საწყისებს" საუკუნეების მანძილზე კომენტარებს უკეთებდნენ და მის შინაარსს ხვეწდნენ გამოჩენილი მათემატიკოსები (ჰერონ ალექსანდრიელი, არქიმედე, თეონ ალექსანდრიელი, ქაშანი, გაუსი, ჰილბერტი და სხვ.). მაგალითად, თანამედროვე სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: "ერთსა და იმავე წერტილზე, რომელიც მოცემულ წრფეზე არ მდებარეობს, არ შეიძლება გავავლოთ ერთი და იმავე წრფის პარალელური ორი სხვადასხვა წრფე". გვხვდება ასეთი განმარტებაც: "ყოველ წერტილზე, რომელიც მოცემულ წრფეზე არ მდებარეობს, გადის ერთადერთი წრფე, რომელიც მოცემული წრფის პარალელურია". ეს ორი განმარტება ექვივალენტურია.

ევკლიდეს "საწყისებისაგან" განსხვავებით პაპირუსებში მოყვანილი ამოცანები არ იძლევა საშუალებას ღრმად ჩავწვდეთ ძველეგვიპტური მათემატიკური განვითარების პროცესს, რადგან არ არის დასაბუთებული, თუ როგორ მიიღეს ესა თუ ის ფორმულა. პაპირუსებში მითითებულია: "გააკეთე ისე, როგორც მე ვაკეთებ" და არაა ნათქვამი, რატომ უნდა გააკეთო ისე, როგორც ავტორი მიუთითებს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ეს პაპირუსები სასკოლო სახელმძღვანელოებია, ამიტომაცაა მასში მოცემული ამოცანის ამოხსნის ხერხები. ამისათვის განვიხილოთ მოსკოვის პაპირუსიის მე-14 ამოცანაში განხილული წაკვეთილი პირამიდის მოცულობის მოძებნის ხერხი, რომელსაც ფუძეებად კვადრატები აქვს. ამოცანის შინაარსი კი ასეთია: „წაკვეთილი პირამიდის გამოთვლის ხერხი. თუ შენ დაგისახელებენ სიმაღლით ექვსწყრთიან წაკვეთილ პირამიდას, რომლის ქვედა ფუძის გვერდი 4 წყრთიანია, ზედა გვერდი 2 წყრთიანი. გამოთვალე ამ 4-დან, აიყვან რა მას კვადრატში; მიიღება 16; გააორკეცე 4; მიიღებ 8-ს; გამოთვალე ამ 2-დან, აიყვან რა მას კვადრატში; მიიღება 4. შეკრიბე ესენი 16 ამ 8-სთან და ამ 4-თან; მიიღება 28. 6-ის 1/3, მიიღება 2. გამოთვალე 2-ჯერ 28; მიიღება 56. შეხედე. იგი არის 56. შენ იპოვე სწორად“.

ამოცანას დართული აქვს სურათი და მისი გამოთვლის სქემა.



მოცემული ამოცანის თანამედროვე ახსნა მდგომარეობს შემდეგში: მოცემულია პირამიდა, რომელსაც ფუძეებად კვადრატები აქვს. კვადრატის გვერდებია 4 და 2, ხოლო სიმაღლე 6. უნდა გამოვთვალოთ პირამიდის მოცულობა.




$$V = h\,(t^2 + bt + b^2)\,/\,3$$

მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოში წაკვეთილი პირამიდის მოცულობის გამოსათვლელი ფორმულა სულ ადვილადაა დამტკიცებული. სახელმძღვანელოში ეს ფორმულა შემდეგი სახითაა მოცემული:

$$V = \frac{1}{3}H\left(Q_1 + \sqrt{Q_1Q_2} + Q_2\right),$$

სადაც $Q_1$ და $Q_2$ წაკვეთილი პირამიდის ფუძის ფართობებია, ხოლო $H$ - სიმაღლე. მართლაც $V = \frac{1}{3}\cdot 6\cdot\left(4^2 + \sqrt{4^2\cdot 2^2} + 2^2\right) = 2\cdot(16+8+4) = 2\cdot 28 = 56.$

მოსკოვის პაპირუსში არ არის დამტკიცებული როგორ უნდა გამოითვალოს პირამიდის მოცულობა და არც რაიმე ფორმულაა მოცემული, მაგრამ ზემოთ მოყვანილი ამოცანის ამოხსნის ხერხი იმაზე მეტყველებს, რომ მათ ჰქონდათ არა მარტო წაკვეთილი პირამიდის მოცულობის გამოთვლის ხერხი, არამედ, საზოგადოდ, პირამიდის მოცულობის გამოთვლის ხერხიც. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ წაკვეთილი პირამიდის მოცულობის გამოთვლის ხერხი მათ არა ემპირიულად, არამედ თეორიული მსჯელობით შეიმუშავეს. მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ დავუკვირდებით, თეორიულ მსჯელობასა და ფორმულას შორის დავინახავთ კავშირს. კერძოდ, როცა პაპირუსში ნათქვამია 4-ს აიყვან კვადრატში და მიიღებ 16-ს, 2-ს აიყვან კვადრატში და მიიღებ 4-ს, ჩვენი ფორმულიდანაც პირველ რიგში ვპოულობთ ფუძის ფართობებს, შემდეგ გვეუბნებიან გააორკეცე 4 და მიიღებ 8-ს, მაგრამ ეს გაორკეცება არ ნიშნავს იმას, რომ ყველა შემთხვევაში შესრულდება გაორკეცება, აქ ნაგულისხმებია, რომ ფუძის გვერდების სიგრძეები ერთმანეთზე უნდა გადამრავლდეს. მართლაც, თუ $Q_1 = 4^2,\ Q_2 = 2^2$ და $\sqrt{Q_1\cdot Q_2} = \sqrt{4^2\cdot 2^2} = 4\cdot 2.$ ყველა სხვა მოქმედება კი ჩვენი ფორმულის შესაბამისია. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ აქვთ გარკვეული ფორმულა წარმოდგენილი, მსჯელობით მოქმედებათა

თანმიმდევრობა თანამედროვე ფორმულის ანალოგია. ყოველივე ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ძველ ეგვიპტეში მეცნიერების ეს დარგი მაღალ დონეზე იყო განვითარებული. მათ ჰქონდათ ასევე დამუშავებული პრიზმისა და მართკუთხა პარალელეპიპედის მოცულობის გამოთვლის ხერხებიც.

განვიხილოთ რინდის პაპირუსის ერთ-ერთი ამოცანა: „გამოთვალე წრის ფორმის მიწის ნაკვეთის ფართობი, თუ მისი დიამეტრი 9 ჰეტია", იქვე მოცმულია მისი გამოყვანის ხერხი: "დიამეტრს გამოაკელი მისი $\frac{1}{9}$ და სხვაობა აიყვანე კვადრატში ე.ი $\left(d-\frac{d}{9}\right)^2=\left(\frac{8}{9}d\right)^2$. აქედან ჩანს, რომ ეგვიპტელები წრის ფართობს ანგარიშობდნენ $\pi$ -ს ($\pi$ არის წრეწირის სიგრძის შეფარდება მის დიამეტრთან, იგი ირაციონალური რიცხვია, $\pi\approx3{,}14$ (მეასედებამდე სიზუსტით)) დაუხმარებლად. მაგრამ ისიც ცხადია, რომ აღნიშნული ფორმულის მისაღებად იყენებდნენ ისეთ კვადრატს, რომლის გვერდი უდრიდა მასზე შემოწერილი წრეწირის დიამეტრის 8/9-ს. ალბათ ასე იმიტომ იქცეოდნენ, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული გამოთვლითი ტექნიკა, კვადრატის ფართობის გამოთვლა კი უფრო ადვილია, ვიდრე სხვა რომელიმე ფიგურის ფართობისა. ამიტომაც, მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით ეგვიპტელმა მათემატიკოსებმა გამონახეს კვადრატის ტოლდიდი ისეთი წრე, რომ მისი დიამეტრის 8/9 კვადრატის გვერდის ტოლი იყო. რომ გამოვთვალოთ ზუსტად რა ცდომილებას უშვებდნენ ეგვიპტელები, ამისათვის ჯერ გავიგოთ რა ფორმულით ითვლიდნენ წრის ფართობს და შემდეგ დავადგნოთ რამდენი ერთეულის ტოლია წყრთა და ჰეტი.



ევკლიდეს "საწყისებში" კი წრის ფართობის დასამტკიცებლად გამოყენებული აქვს ე.წ. "ამოწურვის" მეთოდი. ამ მეთოდის აღმოჩენის პრიორიტეტი ეკუთვნის ბერძენ სოფისტს ანტიფონტეს (ცხოვრობდა ძვ. წ. აღ. V ს.). ამ მეთოდს კარგად იყენებდნენ მოგვიანო პერიოდის ანტიკური საბერძნეთის მათემატიკოსები. ანტიფონტეს აზრით, "თუ წრეში ჩავხაზავთ კვადრატს და მის გვერდზე ავაგებთ ტოლფერდა სამკუთხედებს, მივიღებთ ჩახაზულ რვაკუთხედს; შემდეგ ასეთივე გზით ჩავხაზავთ თექვსმეტკუთხედს და ასე განვაგრძობთ, სანამ წრის ფართობი მთლიანად არ ამოიწურება, მივიღებთ წრეში იმგვარად ჩახაზულ მრავალკუთხედს, რომლის გვერდები სიმცირის გამო დაემთხვევა წრეწირს. ახლა, რადგან ჩვენ შეგვიძლია ავაგოთ კვადრატი, რომელიც ნებისმიერი მრავალკუთხედის ტოლია. თუ წრეს შევცვლით მისი ტოლი მრავალკუთხედით, ხოლო ამ უკანასკნელს - კვადრატით, მაშინ მივიღებთ წრის ტოლ კვადრატს". ე.წ. "ამოწურვის" მეთოდის საფუძველზე განვითარდა თანამედროვე ზღვართა თეორია.

თანამედროვე სასკოლო სახელმძღვანელოში კი წრის ფართობის გამოთვლა შემდეგნაირადაა დამტკიცებული: წრეწირი შემოსაზღვრავს სიბრტყის ნაწილს, რომელსაც ამ წრეწირთან ერთად წრე ვუწოდეთ. წრეს აქვს ფართობი და ეს სიდიდე $S$-ით ავღნიშნოთ. წრის ფართობი წრეწირში ჩახაზულ წესიერ მრავალკუთხედს დავუკავშიროთ. მოცემული წრეწირით შემოსაზღვრული წრის ფართობი მეტია ამ წრეწირში ჩახაზული ნებისმიერი წესიერი $n$-კუთხედის $S_n$ ფართობზე, თუმცა $n$-ის ზრდასთან ერთად $S_n$ თანდათან უახლოვდება $S$-ს, თანაც ისე, რომ $S-S_n$ სხვაობა მცირე ხდება. ეს ნიშნავს, რომ წრის ფართობი ნებისმიერი სიზუსტით შეიძლება გამოვთვალოთ შესაბამის წრეწირში ჩახაზული სათანადო $n$-კუთხედის ფართობით: $S\approx S_n$.....(1). თუ გავითვალისწინებთ, $S_n=\frac{1}{2}P_n r$. ($P_n$ მრავალკუთხედის პერიმეტრია) და $n$-ის ზრდისას ნებისმიერი სიზუსტით $P_n\approx C=2\pi R$ და $r\approx R$,

მაშინ $S_n \approx \frac{1}{2} 2\pi R \cdot R = \pi R^2$ ...... (2). (1) და (2) ფორმულების თანახმად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ $S = \pi R^2$.

ძველეგვიპტური სიგრძის ძირითადი ერთეული წყრთა 52,3 სმ-ია. სიგრძის უფრო დიდი ერთეული იყო ჰეტი, ანუ ასი წყრთა, რაც 52,3 მ-ს უდრიდა. ფართობის ერთეული კი იყო "არური", რომელიც 100 კვადრატული წყრთის ტოლია. ამრიგად, ზემოთმოყვანილი მიწის ფართობი რინდის პაპირუსში იქნება $\left(\frac{8}{9} \cdot 9\right)^2 = 64$ არურის =6400კვ. წყრთას = 6400x0,523 = 3347,2მ$^2$ = 33,472 არს. თუ გამოვითვლით $S = \pi R^2$ ფორმულით ზემოთ აღნიშნულ ამოცანას, მივიღებთ 63,57 არურის = 6357კვ. წყრთას = 6357x0,523 = 3324,711 მ = 33,24711 არს. სადაც ცდომილებაა - 0,22489. როგორც ვხედავთ, ცდომილება ისე მცირეა, რომ წრის ფორმის მიწის ფართობის გამოსათვლელად $\pi$ -ს არცთუ ისე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ასეთივე ცდომილებას მივიღებთ, თუ დავუშვებთ, რომ $\pi$ =3,16 და არა 3,14-ს.

$\pi$ -ის რიცხვითი მნიშვნელობა გამოყენებული იყო ასევე ეგვიპტურ პირამიდებში. ეგვიპტის პირამიდების კოლოსალური სიდიდე ძველთაგანვე დიდ ინტერესს იწვევდა, ხოლო გასული საუკუნის დამდეგს წარმოიშვა რამდენიმე თეორია პირამიდების დანიშნულების, განსაკუთრებით მათი ზომისა და სიდიდის ასტრონომიასთან კავშირის შესახებ. პირველად ამ საკითხით დაინტერესდა ინგლისელი მკვლევარი, პოლკოვნიკი ჰოვარ ვაიზი. მან 1837 წელს გაზომა ხეოფსის პირამიდა, განსაზღვრა პირამიდის ყოველი გვერდის წახნაგის ფუძის სიბრტყისადმი დახრილობის კუთხე $51^0 51'$ გრადუსი აღმოჩნდა. ფუძისადმი ასეთივე კუთხით იყო დახრილი ერთ-ერთი უძველესი ფარაონის სნოფრუს პირამიდის გვერდითი წახნაგები. ვაიზის შემდეგ კიდევ მრავალგზის გაზომეს პირამიდები. 1848 წელს იგი გაზომა შოტლანდიელი მეფის კარის ასტრონომმა ჩარლზ პაიცი სმიტმა. პირამიდებს სწავლობდნენ ასტრონომები ჯონ გერშელი, ოპოლცერი, ბაუშინგერი, ნიუკომბი, მათემატიკოსი შარლ ლანგრაჟი, ინგლისელი უილიამ ფლინდერს პეტრი (არქეოლოგიურ გათხრებს 46 წლის განმავლობაში აწარმოებდა) და მრავალი სხვა. ზემოთ აღნიშნულ მეცნიერთა მიერ გაზომვის შედეგად მიღებული გვერდითი წახნაგების ჰორიზონტისადმი დახრის კუთხეთა სხვაობა $1'$-ს არ აღემატებოდა. ერთი ანგარიშობდა $51^0\, 51'$-ს, მეორე $51^0\, 52'$-ს. ინგლისელმა ეგვიპტოლოგმა პაიცი სმიტმა კი ხსენებული კუთხის სიდიდედ $51^0\, 51'\, 14''$ მიიჩნია. ამ შემთხვევაში ფუძის პერიმეტრის პირამიდის გაორკეცებულ სიმაღლეზე გაყოფა 3,14159-ს იძლევა, ე.ი. $\pi$ -ს.

ეგვიპტურ პაპირუსებში არ გამოიყენება ე.წ. „პითაგორას თეორემა, მაგრამ მეცნიერების ვარაუდით, მათ უნდა სცოდნოდათ ეს თეორემა, რადგან ფართოდ იყო ცნობილი ე.წ. „ეგვიპტური“ სამკუთხედი, რომლის გვერდებია 3; 4 და 5. გარდა ამისა, ფარაონ ხეოფსის აკლდამის ზომები, როგორც ვიგოდსკი აღნიშნავს, გამოისახება მეტრობით, შემდეგი რიცხვებით 5.23X19.46X5.86, რაც ეგვიპტურ წყრთობით 10X20X11.12-ია. აკლდამის სიმაღლე კი 5.86მ-ია, რაც აკლდამის ფუძის დიაგონალის თითქმის ნახევარს უდრის. ეს კი არ უნდა იყოს შემთხვევითი მოვლენა. რაც შეეხება ევკლიდეს "საწყისებს", აქ არის მოცემული პითაგორას თეორემის ევკლიდესეული დამტკიცება, სადაც ნათქვამია: "მართკუთხა სამკუთხედში მართი კუთხის მომჭიმავ გვერდზე (აგებული) კვადრატი ტოლია მართი კუთხის მომცველ გვერდებზე (აგებულ) ერთად აღებულ კვადრატებისა". ამ წინადადების ეკვივალენტურია თანამედროვე სახელმძღვანელოებში არსებული თეორემა: "მართკუთხა სამკუთხედის კათეტებზე აგებული კვადრატების ფართობთა ჯამი უდრის ამავე სამკუთხედის ჰიპოტენუზაზე აგებული კვადრატის ფართობს". მაგრამ ევკლიდეს წინადადების დამტკიცება ფართობთა გამოანგარიშებაზე კი არ არის დამყარებული, არამედ მათ უშუალო შედარებაზე.

მათემატიკური საფუძვლები ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვით 2000-1700 წლებში იღებს სათავეს. ამ დროისთვის ძველ ეგვიპტელებს გააჩნდათ არა მარტო ელემენტარული, არამედ საკმაოდ მაღალ დონეზე განვითარებული თეორიული ცოდნა. გასაოცარია რინდისა და მოსკოვის პაპირუსებში განხილულ ამოცანათა ამოხსნის ხერხების შედარება დღევანდელ ამოხსნებთან. მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტელები ფორმულების მაგივრად თეორიულ ცოდნას იყენებდნენ მსგავსება ამოცანის შედეგებს შორის საკმაოდ დიდია, ცდომილება მცირე. ხოლო ანტიკური საბერძნეთის მათემატიკოსები გეომეტრიული თეორემის ან ამოცანის ამოხსნისას მიმართავენ რთულ მსჯელობას, მაშინ როდესაც თანამედროვე ასოით სიმბოლიკას იგი დაჰყავს ალგებრული წესების წმინდა მექანიკურ გამოყენებაზე.

ლიტერატურა:
1. კოპალეიშვილი ვ., ძველი სამყაროს მათემატიკა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2001.
2. თოფურია ს., აბესაძე გ. და სხვ., მათემატიკა, მე-2 ნაწილი, გამომცემლობა „განათლება“ თბ., 1991.
3. ვეფხვაძე თ., გოგიშვილი გ., გეომეტრიის მე-9 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ., 2000.

## ბლუმის ტაქსონომია და მისი გამოყენება დაწყებით კლასებში

**ნინო ნასყიდაშვილი**
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნელი ჯამპურიძე,** სრული პროფესორი

თანამედროვე მსოფლიოში საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებაა მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება. შესაბამისად, სწავლების მეთოდიკაც მოსწავლეზე ორიენტირებული, ანუ ინტერაქტიური, უნდა იყოს. სწავლების ტრადიციული მეთოდები სასწავლო პროცესის ცენტრალურ ფიგურად მასწავლებელს გულისხმობს. მასწავლებელი არის ცოდნის ძირითადი წყარო, ის სვამს ამოცანებს, წყვეტს პრობლემებს, აკეთებს დასკვნებს და ყველაფერს მზა სახით აწვდის მოსწავლეს. ინტერაქტიური მეთოდიკა კი ორიენტირებულია მოსწავლეზე, რომელიც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ცენტრში იმყოფება და აქტიურად მონაწილეობს ყველა სასწავლო მოქმედებაში. მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდიკა ემსახურება ბავშვის შინაგანი ძალებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლინებას, მის პიროვნულ ზრდა-განვითარებას. სწავლების ტრადიციული მეთოდიკა კითხვას - ,,რა არის საჭირო, რომ მასწავლებელმა საგანი კარგად ასწავლოს?“ – ასე პასუხობდა: - მასწავლებელი კარგად უნდა ფლობდეს ამ საგანს და მისი სწავლების მეთოდიკას“. ინტერაქტიური მეთოდიკა კი ამ პასუხს შემდეგი სახით ავსებს: ,,...და კარგად უნდა იცნობდეს მოსწავლეს“. ინტერაქტიური მეთოდიკა საშუალებას გვაძლევს გავააქტიუროთ მოსწავლის შემეცნებითი შესაძლებლობები, ხელი შევუწყოთ კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარების განვითარებას. მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდიკა ეფუძნება ცხოვრებასა და გამოცდილებას, საკუთარი ძალების მოსინჯვასა და თანამშრომლობას.

არსებობს სხვადასხვა სააზროვნო (შემეცნებითი) უნარების კლასიფიკაციები, რომელთა ცოდნაც დაეხმარება მასწავლებელს, უკეთ დაგეგმოს სწავლების პროცესი და მოახდინოს მოსწავლის აზროვნების აქტივაცია. აქ განვიხილავთ ერთ-ერთ მათგანს. ბლუმის სააზროვნო (კოგნიტური) უნარების განვითარების ტაქსონომია შეიქმნა სპეციალურად განათლების მიზნებისათვის. ზოგადად, ტაქსონომია არის კლასიფიკაციის პრინციპების ნაკრები ან სტრუქტურა. ბლუმის (Bloom, et al, 1956) მიხედვით, აზროვნების ან შემეცნების უნარი ექვს დონედ შეიძლება დაიყოს. ეს დონეებია: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება. აზროვნების ეს დონეები საფეხურებად არის განლაგებული, სადაც ყოველი მომდევნო დონე უფრო რთულდება და მოიცავს ერთ ან რამდენიმე წინა დონეს. ცოდნა, გაგება და გამოყენება ქვედა დონეში მოიაზრება, ხოლო ანალიზი, სინთეზი და შეფასება – ზედა დონეში.

ბლუმის სააზროვნო უნარების კლასიფიკაცია სქემატურად შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: **შეფასება - სინთეზი - ანალიზი - გამოყენება - გაგება - ცოდნა**

განვიხილოთ ეს დონეები ცალ-ცალკე: ცოდნა ნიშნავს რაიმეს შესახებ ინფორმაციის ქონას და რაიმე საქმის ან მოქმედების შესასრულებლად საჭირო ხერხების ფლობას.

ბ. ბლუმის მიხედვით, **ცოდნა** განიხილება, როგორც აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევა და მასში იგულისხმება:

- ფაქტების, წესების, პრინციპების, თეორიების, თარიღების, პროცესების, ობიექტების, სტილის, მოვლენების ცნობა და დასახელება;
- კონკრეტული მონაცემების, ტერმინოლოგიის, პროცედურების ცოდნა;
- ინფორმაციის მოძიების პროცედურების ცოდნა;

- კონკრეტულ მონაცემებთან მუშაობის ხერხებისა და საშუალებების ცოდნა: ა) წესების და კანონების ცოდნა; ბ) კლასიფიკაციებისა და კატეგორიების ცოდნა; გ) კრიტერიუმების ცოდნა; დ) მეთოდების ცოდნა;
- სმენითი, წერილობითი და გრაფიკული ინფორმაციის დამახსოვრება და გახსენება მსგავსი ან ზუსტი ფორმით.

**გაგება** განიხილება, როგორც აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევა და, ზოგადად, იგი გულისხმობს ნასწავლი მასალის მნიშვნელობის წვდომას. კერძოდ,

- ფაქტების, წესების, პრინციპების, თეორიების, პროცესების, ობიექტების, სტილის, მოვლენების საკუთარი სიტყვებით აღწერა;
- ტექსტის ძირითადი აზრის საკუთარი სიტყვებით ახსნა მშობლიურ ენაზე;
- ტექსტის შინაარსის გაგებაზე მიმართულ კითხვაზე პასუხის გაცემა;
- სმენითი, წერილობითი და გრაფიკული ინფორმაციის ერთი ფორმიდან მეორეში გადატანა;
- შესაბამისი მაგალითის მოყვანა;
- საგნების, მოვლენების, პროცესებისა და სტილის თვალსაჩინო ნიშნით დახარისხება და დაჯგუფება.

**გამოყენება** განიხილება, როგორც აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევა და, ზოგადად, იგი გულისხმობს ადრე ათვისებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. კერძოდ,

- ცოდნის სხვადასხვა სიტუაციაში (კონტექსტში) მოხმარება;
- მოდელის მიხედვით (ნასწავლი წესის მიხედვით) დავალების, სამუშაოს შესრულება;
- პროცედურის განხორციელება;
- კანონზომიერების მოქმედების ფარგლების განსაზღვრა.

**ანალიზი** არის სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომლის დროსაც ხდება მთლიანი საგნის ცალკე ნაწილების, მხარეების და თვისებების გამოყოფა ადამიანის წარმოდგენაში. ცნობიერებაში მთლიანი საგნის ასეთ დაშლას ანალიზი ეწოდება. ბ. ბლუმის მიხედვით, ანალიზი არის აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევა და მასში იგულისხმება:

- მასალის (სტრუქტურის) შემადგენელ ნაწილებად დაყოფა: ნაწილების შედარება-შეპირისპირება, ნაწილებს შორის კავშირის ან სტრუქტურის დანახვა;
- მოვლენის მიზეზის (დაფარული აზრის აღმოჩენა) ახსნა;
- პროცესის კანონზომიერების გამოვლენა;
- მიზეზებსა და შედეგებს შორის კავშირების დადგენა.

**სინთეზი** არის სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომელიც ანალიზის საწინააღმდეგო პროცესს წარმოადგენს. სინთეზი გულისხმობს ცალკე მოცემული ელემენტების (ნაწილების, თვისებების) გონებაში გაერთიანებას ახალი სტრუქტურული მთლიანობის სახით: მაგალითად, ნაწილებისგან ახალი მთელის შედგენა, ცალკე თვისებების გაერთიანება ახალი მთლიანი შინაარსის სახით და ა. შ. ბ. ბლუმის მიხედვით, სინთეზი არის აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევა და მასში იგულისხმება:

- ნაწილების შეერთება ახალი სტრუქტურის (მაგ., ტექსტის) შესაქმნელად ჰიპოთეზის წამოყენება;
- კვლევის ან რეფერატის დაგეგმვა;
- შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა;
- პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების წამოყენება;
- პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო მოქმედებების დაგეგმვა;
- ახალი პროდუქტის (ინტელექტუალური ან მატერიალური) შექმნა ან გამოგონება.

**შეფასება** არის აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევა და ზოგადად, იგი გულისხმობს არჩეული კრიტერიუმების (მაგალითად, რაოდენობა, ხარისხი, ხანგრძლივობა, და ა. შ.) გარკვეული კატეგორიისადმი მიკუთვნებას, სტანდარტებზე (ამ კრიტერიუმის შესაბამისი სტანდარტული საზომი ერთეულები, საზოგადოებაში მიღებული ნორმები, ღირებულებები და წესები) და პირობებზე (კონტექსტი, საზღვრები, რესურსები, მოქმედების დრო და ადგილი, სხვა) დაყრდნობით რაიმეზე მსჯელობას ან დასკვნების გამოტანას. კერძოდ:

- საკუთარი პოზიციის (არჩევანის) არგუმენტირებული დასაბუთება;
- გარკვეულ კრიტერიუმებზე ან სტანდარტებზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთება;
- პოზიციისა და მისი კონტრარგუმენტების განხილვის საფუძველზე დასკვნის გამოტანა;
- პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზიდან ერთ-ერთის არჩევის მართებულობის დასაბუთება;
- მოდელის (სისტემის) მოქმედების შეფასება;
- მტკიცებულების (თეორიის, პრეზენტაციის) ღირებულების (მნიშვნელოვნების) დაზუსტება;
- რამდენად შეესაბამება მიღებული დასკვნა იმ მონაცემებს, რომელთა საფუძველზეც დასკვნა გაკეთდა (მონაცემებისა და დასკვნების შესაბამისობის დადგენა).

ამრიგად, პირობითად ცოდნას, გაგებას და გამოყენებას შეიძლება ვუწოდოთ აზროვნების ქვედა (დაბალი) დონის სააზროვნო უნარები, ხოლო ანალიზს, სინთეზს და შეფასებას კი აზროვნების ზედა (მაღალი) დონის სააზროვნო უნარები. სინთეზი და შეფასება შესაძლოა გადანაცვლდეს იმისდა მიხედვით, თუ რა სახისაა შეფასება. თუ შეფასება არ არის სტრატეგიული და არ უკავშირდება გადაწყვეტილების მიღებას, მაშინ იგი უფრო ნაკლებად რთული სააზროვნო ოპერაცია იქნება, ვიდრე სინთეზი.

**ლიტერატურა:**


1. განვითარებისა და სწავლების თეორიები, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2006.
2. სწავლება და შეფასება, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2006.
3. სასწავლო და პროფესიული გარემო, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2008.
4. თერნბული ჯ., პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009.
5. მარზანო ჯ., ეფექტური სწავლება სკოლაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009.
6. როგორ ვასწავლოთ მასწავლებლებს აზროვნება, ეროვნული სასწავლო გეგმისა და შეფასების ცენტრი, 2007.
7. პიტერ ბრეტი, პასკალ მომპოინტ–გელადი, მარია ელენა სალემა, მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო, 2009.
8. http:\\www.ascd.org


# ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

## ფიზიკურ მომზადებაში - თავისუფალი სტილის მოჭიდავის ფიზიკური თვისების - სისწრაფის განვითარება და სრულყოფა


**ანი აკოფოვი**
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიორგი მძინარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი


XIX საუკუნის 50-იან წლებში ევროპიდან ამერიკაში შემოვიდა კლასიკური ჭიდაობა. აქ მოხდა მისი ახალი მიმართულების წარმოქმნა, სადაც იყო დამუშავებული ახალი ილეთები და შესაძლებელი გახდა ხელებით შესვლა ფეხში და ისეთი ილეთების გამოყენება, როგორიცაა სარმები, ცერულები და სხვა ილეთები ფეხების მოქმედებებით. მალე საერთაშორისო არენაზე გაჩნდა ახალი, მანამდე უცნობი სპორტული ჭიდაობის სტილი - თავისუფალ-ამერიკული ჭიდაობა. ახალმა სტილმა გაიჩინა ბევრი თაყვანისმცემელი და 1904 წელს ეს ჭიდაობის სტილი იყო შეტანილი ოლიმპიურ პროგრამაში. თავიდან ოლიმპიურ თამაშებზე შედეგების მიხედვით დომინირებენ ამერიკელები, შემდგომ კი ამ ჭიდაობამ გაიდგა ფესვები და გახდა პოპულარული როგორც აღმოსავლეთში, ასევე ევროპაში.

ჩვენმა მოჭიდავეებმა პირველად მონაწილეობა მიიღეს თავისუფალ ჭიდაობაში XV ოლიმპიურ თამაშებზე 1952 წელს.

სპორტულ ჭიდაობაში ტექნიკური მოქმედებების მრავალფეროვნება და უფრო მეტი მრავალფეროვნება მრავალნაირი დინამიური სიტუაციებისა, რომლებიც წარმოიშობა ორთაბრძოლის

პროცესში, განაპირობებს მოჭიდავეთა ტექნიკური ოსტატობის სპეციფიკას. ამ პირობებში სპორტსმენმა უნდა შეძლოს სწრაფად შეაფასოს წარმოქმნილი სიტუაცია და მოახდინოს მასზე რეაგირება მიზანმიმართული და ეფექტური მოქმედებებით. ეს არის რთული პროცესი, რომელიც მოითხოვს: საბოლოო შედეგების სტაბილურობის შენარჩუნებას სხვადასხვა წარმოქმნილი დინამიური სიტუაციების პირობებში.

მოჭიდავეთა ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადება შეუძლებელია ფიზიკური მომზადების გარეშე.

ფიზიკური მომზადება არის საფუძველი იმისათვის, რომ სპორტსმენებმა შეძლონ ტექნიკური არსენალის წარმატებული ათვისება და მიაღწიონ დიდ სპორტულ შედეგს. ძალის, სისწრაფის, გამძლეობის, სიმარჯვისა და მოქნილობის გარეშე შეუძლებელია დიდი შედეგების მიღწევა და ჭიდაობის ტექნიკისა და ტაქტიკის მაღალ დონეზე ათვისება.

თავისუფალი ჭიდაობა საჭიროებს მოჭიდავეთა ყველა ფიზიკური თვისებების სრულყოფილ განვითარებას. წამყვანი მწვრთნელები და მოჭიდავეები ფიზიკურ თვისებებში მთავარ ფიზიკურ თვისებებად თვლიან: ფეთქებად ძალას, რეაქციის სისწრაფეს, კოორდინაციას, გამძლეობას; ძირითად თვისებებად თვლიან - სიმარჯვეს, მოქნილობას, ძალის სისწრაფეს, სასტარტო სისწრაფეს, მაქსიმალურ ძალას; დამატებით - სტატიკურ ძალას.

აუცილებელია ყველა ჩამოთვლილი ფიზიკური თვისების ოპტიმალური განვითარება, რომლებიც ხელს შეუწყობს არჩეულ სპორტის სახეობაში.

ჩამოთვლილი ფიზიკური თვისებებიდან ჩვენს თემაში გამოვყავით ფიზიკური თვისება - სისწრაფე.

მოჭიდავისთვის სისწრაფე არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიზიკური თვისება. სისწრაფე - ეს არის მოჭიდავის უნარი შეასრულოს ტექნიკური მოქმედება ან მოძრაობა მინიმალურ დროში. მოჭიდავე ჩაფიქრებულ ილეთს შეასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ის დაასწრებს თავის მოწინააღმდეგეს ე.ი. გააკეთებს მოძრაობას უფრო სწრაფად.

სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზისა და სპორტული ჭიდაობის წამყვანი სპეციალისტებისა და მწვრთნელების რეკომენდაციებისა და რჩევების საფუძველზე, ჩვენ გთავაზობთ თავისუფალ ჭიდაობაში ჩვენს მიერ შერჩეულ სხვადასხვა მაღალეფექტურ ვარჯიშებსა და მოქმედებების გამოყენებას.

ყველა ცალკეული მოქმედების შესრულება შესაძლებელია წინასწარ დადგენილი სიგნალით: სასტვენის, ტაშის ან შეხების შემდეგ.

სირბილის გამოყენებით: 30, 60, 10 მეტრზე მაქსიმალური სისწრაფით. დაღმართზე სირბილი, ლახტზე ხტომას დანიშნულ ტემპში, წახტომებს ადგილიდან, გამოქანებით წახტომებს, სამმაგ წახტომას ადგილიდან. აქტიურად ვრთავდით საწვრთნო პროცესში სპორტულ თამაშებს: ფეხბურთს, კალათბურთს, ფრენბურთს, მაგიდის ჩოგბურთსა და სხვა თამაშებს. სწრაფი ადგომა და დაწოლა სხვადასხვა მდგომარეობიდან. ილეთების ელემენტების და თვითონ ილეთების სწრაფი და მრავალჯერადი მაქსიმალურ ტემპში შესრულება. კონტრილეთების შესრულება სხვადასხვა შეტევითი ტექნიკური ილეთების ჩატარების მცდელობისას.

ამ პროცესში აქტიურად უნდა იყოს ჩართული ვარჯიშები საჭიდაო მანეკენის გამოყენებით, რომელზეც შეიძლება მრავალნაირი ჭიდაობის ილეთების შესრულება სხვადასხვა პროგრამით როგორც პარტნიორის გამოყენებით, ასევე პარტნიორის გარეშე.

სასურველია სასწავლო-საწვრთნო პროცესში ჩართული იყოს, როგორც ილეთების დამუშავება, ასევე სპარინგები უფრო სწრაფი ან უფრო მსუბუქი წონითი კატეგორიის მოჭიდავეებთან.

სისწრაფის განვითარებისათვის გამოვიყენებდით განმეორებით, საშეჯიბრო, სათამაშო და ვარიაციულ მეთოდებს. ვარჯიშების ინტენსიურობა ამ დროს იყო მაქსიმალური ან სუბმაქსიმალური. გამეორების რაოდენობა 5 ან 10, ან იქამდე, სანამ არ ხდებოდა სისწრაფის დაქვეითება. დასვენების ინტერვალი დამოკიდებული იყო დატვირთვის ინტენსიურობაზე, ხანგრძლივობასა და სპორტსმენის ინდივიდუალურ მონაცემებზე. როგორც წესი, ეს ხანგრძლივობა არის 4-6 წუთი. სისწრაფის ეფექტური სრულყოფისათვის სასურველია სისწრაფის ვარჯიშები მოთელვის შემდეგ ან ვარჯიშის მოსამზადებელი ნაწილის ბოლოს კვირაში 3-4-ჯერ.

სისწრაფის, როგორც მოქნილობის განვითარება აუცილებელია ადრეული ასაკიდან, ნელ-ნელა უნდა ხდებოდეს ვარჯიშების და ილეთების ინტენსიურობისა და სირთულის გაზრდა. თუ ამ პროცესს დროულად მწვრთნელმა და სპორტსმენმა ყურადღება არ მიაქცია, სასურველი შედეგის მიღწევა შეიძლება არ მოხდეს და სისწრაფის განვითარება იყოს დაგვიანებული.

ზემოთ აღნიშნული ვარჯიშების ფართო სპექტრის გამოყენებამ სასწავლო-საწვრთნო პროცესში როგორც გორის საჭიდაო სკოლის, ასევე ქარელის საჭიდაო სკოლის მაგალითზე მოგვიტანა საგრძნობლად კარგი შედეგი. ამ ვარჯიშებს ჩვენ გამოვიყენებდით სხვადასხვა ასაკობრივ სასწავლო ჯგუფებში და მაღალკვალიფიციურ სპორტსმენებში. მოჭიდავეების მიერ ამ ვარჯიშების გამოყენებამ და

წვრთნამ მოგვცა საშუალება აგვემაღლებინა მათი მონაცემები - სისწრაფეში, რომლებიც მათ გამოადგა როგორც ილეთის ეფექტურ ჩატარებაში, ასევე შეხვედრის შედეგიან და ეფექტურ წარმართვაში, რომელიც, თავის მხრივ, აისახა მიღებულ შედეგებზე სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე.


ლიტერატურა:

1. Пилоян Д.А., Совершенствование атакующих и контратакующих действий.В кн. «Спортивная борьба», ежегодн., ФиС, 1972, М., с. 49-51.
2. Верхошанский Ю.В., Добровольский И.М., Щуплецов С.Н., Чичерин А.И. Факторная структура скоростно-силовых качеств у детей. Теория и практика физ. культуры, М., №1, 1977, с. 40-43.
3. Замятин Ю.П., Романов Ф., Тараканов Б.И. Взаимосвязь физической подготовности с техническим мастерством борцов-вольников. В ежедн. «Спортивная борьба», М., ФиС, 1982, с. 71-74.
4. Медведь А.В., Кочурко Е.И. Совершенствование подготовки мастеров спортивной борьбы. Мн., Полымя, 1985, с. 144.
5. Туманян Г.С., В кн. «Спортивная борьба», М., ФиС, 1985, с. 142.


## ადამიანის კანის ურთიერთქმედება გარე სამყაროსთან


**მარინა ბესტავაშვილი**
განათლების ზუსტ და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა ფაკულტის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **პაატა ქურდაძე**, სრული პროფესორი


საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანის კანი თამაშობს ერთ-ერთ მთავარ როლს ადამიანის ორგანიზმის გარემოსთან ურთიერთობაში. თანამედროვე გამოკვლევების მიხედვით ადამიანის კანი გვევლინება გარკვეულ ეკრანად (ამ შემთხვევაში ეკრანი გულისხმობს ორი გარემოს გამყოფს), რომელიც იფარავს ადამიანს გარეშე ბიოენერგეტიკული და ბიოინფორმაციული ზემოქმედებისაგან. აქედან გამომდინარე, ხშირად მაღალმგრძნობიარე ადამიანს - ინდივიდს უწოდებენ ადამიანს გაშიშვლებული ნერვებით ანუ ისეთ ადამიანს, რომლის სხეულსაც კანი არ იფარავს. როგორც დაგროვილი გამოცდილება და გამოკვლევები გვიჩვენებს, ეს კანი-ეკრანი ანუ ორგანიზმის დამცავი ფენა ყოველთვის არაერთგვაროვანია ინფორმაციის გამტარებლობის მხრივ. გავიხსენოთ, ქართული ანდაზა: ადამიანებს, რომლებსაც ინფორმაციის მიღწევადობის დაბალი დონე გააჩნიათ ხშირად ,,სქელკანიანებსაც" უწოდებს. ჩვენი აზრით და ალბათ აქ არ ვიქნებით ორიგინალურები თუ ვიტყვით, რომ ქართულ ენაში შემონახულია ხშირად ორაზროვნად ხმარებული სიტყვა თუ გამოთქმა, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა იქნეს გაგებული, მაგრამ იგი შეიცავს ღრმა შინაარსობრივ დატვირთვას გარკვეული მოვლენის აღსაწერად და მათ შორის ზოგიერთს ისეთს, რომელიც დღემდე აღმოჩენილი და ექსპერიმენტალურად დადასტურებული არ იყო. ასეთ სიტყვას განეკუთვნება სწორედ სიტყვა ,,სქელკანიანი". ეს უკანასკნელი რა თქმა უნდა არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს და არის მხოლოდ ჩანართი. ახლა კვლავ დავუბრუნდეთ ზემოთხსენებული საკითხის განხილვას.

ექსპერიმენტული გზით დადგენილია, რომ როდესაც მიმდინარეობს ბიოლოგიური ინფორმაციის გადაცემა ერთი ობიექტიდან მეორე ობიექტზე, კანის მაეკრანირებელი ფუნქცია კლებულობს ანუ იზრდება მისი გამტარებლობა ამ ინფორმაციის შემთხვევაში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დღემდე ნაკლებად შესწავლილი ისეთი პარაფსიქოლოგიური მოვლენები, როგორიცაა ტელეპათია, ტელეკინეზი და კანის მხედველობა, პირდაპირ დაკავშირებულია ზემოთ ხსენებულ კანის თვისებასთან.

ახლა განვიხილოთ, თუ როგორ იცვლება ადამიანის კანის შეღწევადობა ბიოინფორმაციის მიხედვით. გამოკვლევებით დადგენილია, რომ ადამიანის კანის მახლობელ სივრცეში არსებობს ელექტრული მუხტები და აქედან გამომდინარე მათ მიერ შექმნილი ელექტრული ველი. ასევე ვიცით, რომ ადამიანის კანის ზედაპირზე გვაქვს ე.წ . ბიოლოგიურად აქტიური ზონები და წერტილები. ადამიანის კანის მთლიანი ზედაპირი დაფარულია ე.წ. ენერგეტიკული არხების ბადით, რომლის

გასწვრივაც მიედინება ბიოელექტრული ენერგია. ტრადიციულად ამ არხებს უწოდებენ ენერგეტიკულ მერიდიანებს. ამ მერიდიანებში ენერგიის მსვლელობა იცვლება ადამიანის ორგანიზმის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესაბამისად. ენერგიის ეს დინებები ადამიანის კანიდან გამოსხივდება. ეს გამოსხივება კანის მახლობელ სივრცეში ურთიერთქმედებს ელექტრულ მუხტებთან, რის გამოც გამოსხივების ინტენსივობის მიხედვით ადამიანის კანი იზიდავს ამ მუხტების გარკვეულ რაოდენობას, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენი აზრით, ადამიანის ფსიქო-ემოციური მდგომარეობიდან გამომდინარე ადამიანის კანის მახლობლობაში გვაქვს სხვადასხვა რაოდენობით ელექტრული მუხტები, ხოლო ელექტრული მუხტების რაოდენობის გაზომვა, როგორც ბიოფიზიკიდან ვიცით, ადამიანის ორგანიზმშიც და კანის ზედაპირზეც სიძნელეს არ წარმოადგენს. თუ კანის ზედაპირზე ელექტრული მუხტების ცვლილებას გააჩნია მიმართულება, ეს სხვა არაფერია თუ არა ელექტრული დენი ე.ი. შესაძლებელია გავზომოთ ეს დენი ან მისი წინაღობა და აქედან გამომდინარე მივიღოთ ინფორმაცია აქამდე შეუძლებელი მომენტების შესახებ, რომლებიც მიმდინარეობენ ჩვენს ორგანიზმში.

მაშ ასე, ერთი მხრივ, ჩვენ გვაქვს ადამიანის კანის ზედაპირზე კანის გარკვეული თვისების ცვლილება. ეს ცვლილება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამოკიდებულია ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებებზე, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი შეიძლება დამოკიდებული იყოს გარეშე გარემოს ცვლილებებზე, რომელიც შემდგომ, რა თქმა უნდა, გარკვეული დოზით იმოქმედებს ანუ წარმოშობს ცვლილებებს ადამიანის ორგანიზმში. თვალსაჩინოებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ ასეთი მაგალითი: თუ ადამიანის წინაშე წარმოიშობა რაღაც პრობლემა ან მასზე მოქმედებს გარკვეული სიგნალები გარემოდან, მაშინ ადამიანის ორგანიზმში იზრდება ენერგიის დინება ანუ გვაქვს მოზღვავებული ენერგია. ეს ეხება როგორც დადებით, ისე უარყოფით ემოციებს. თუ ჩვენ შევძლებთ სპეციალური ხელსაწყოთი გავზომოთ ადამიანის კანის ზედაპირსა და მის ბიოველში მიმდინარე ცვლილებები, რომლებიც შეიძლება გამოხატული იყოს ვოლტამპერული მახასიათებლით, დავინახავთ, რომ ორივე სახის ენერგიამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის ორგანიზმში ერთი და იმავე სახის ცვლილებები.

აქ გვინდა გავაკეთოთ ჩვენეული ჩანართი: ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ქართულ ენაში დევს ძალიან ბევრი საიდუმლოება. მართალია, ჩვენ მიმდინარე ნაშრომში არ ვახდენთ ქართული ენის შესწავლას, მაგრამ მაინც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანის ორგანიზმის მიერ მიღებულ დადებით და უარყოფით ემოციებს ერთი და იგივე ენერგეტიკული ცვლილება მოსდევს ორგანიზმსა და ბიოველში. ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა, რაც ჩვენამდე მოღწეული ფაქტობრივი მასალით ასახულია ,,ვეფხისტყაოსანში“. გავიხსენოთ, შოთა რუსთაველი გვეუბნება სიცხისა და სიცივის შესახებ, ვარდის შემთხვევაში: ,,სიცხე სწვავს ყინვა დააზრობს, წყლულნი ორთავსვე სტკივიან“. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ მას შემდეგ, რაც მოიხსნება გარეგანი სიგნალების მიღება, ორგანიზმში ენერგიის ეს დიდი ცვლილებათა მოზღვავება გაქრება ე. ი. გამოდის, რომ ადამიანის კანზე და, მაშასადამე, ორგანიზმში ენერგიის მოზღვავება ან შემცირება გარეშე გარემოდან არ არის თავისთავად მართვადი და ის რამენაირად უნდა იმართებოდეს. ცხადია, რომ ამ ენერგოცვლაში მონაწილეობას ღებულობს ადამიანის კანი ანუ მისი ენერგეტიკული პარამეტრები იმ ამოცანების შესაბამისად, რაც დგას მის წინაშე. ამ ყველაფრის შედეგად ელექტროგამოხატულებაში იცვლება ადამიანის კანის ელექტრული წინაღობა. ექსპერიმენტები ამ მიმართულებით ინტენსიურად ტარდებოდა გასული საუკუნის 90-იან წლებში და ამ მოვლენამ მიიღო კანის გალვანოეფექტის სახელწოდება (გავიხსენოთ, რომ გალვნიკა დაკავშირებულია სივრცის გარკვეულ ნაწილში ელექტრომუხტების დაგროვებასთან).

ელექტრო წინაღობასთან ერთად ადამიანის კანზე წარმოიშობა ელექტრული პოტენციალი ე.ი. საქმე გვაქვს ორ მოვლენასთან. ერთი, მუხტების დაგროვებასთან კანის გარკვეულ უბანზე, რაც იწვევს პოტენციალის წარმოშობას, მაგრამ ეს ორი მოვლენა კი არ არის, არამედ ესაა ერთი მოვლენის ორი მხარე. კანის ელექტრული წინაღობის ცვლილება პირველად დააფიქსირა ფრანგმა მეცნიერმა ფერემ, ხოლო რაც შეეხება ადამიანის კანზე ელექტრო იმპულსების გაჩენას, ის გამოიკვლია რუსმა მეცნიერმა ი. ტარხანოვმა 1989 წელს.

შემდგომში ბიოფიზიკურმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ადამიანის კანს გააჩნია ყველა ის ეფექტი, რაც ცნობილია არა მარტო ელექტროსტატიკასა და დინამიკაში, არამედ ნახევარგამტარულ ფიზიკაში.

ეს ცნობილი მოვლენებია ფოტოეფექტი და პიეზოეფექტი. როგორც ვიცით, ფოტოეფექტი ესაა მოვლენა, რომლის დროსაც გარკვეული ტიპის ნახევრადგამტარზე სინათლის დასხივებით ჩნდება თავისუფალი ელექტრონები, რაც წინაპირობაა ელექტრული გამტარებლობისა. პიეზოეფექტის დროს კი ზოგიერთი ტიპის ნახევრად გამტარზე მექანიკური მოქმედებით წარმოიშობა თავისუფალი ელექტრონები, რომლებსაც, ისევე როგორც ფოტოეფექტის შემთხვევაში, ელექტრული დენის წარმოშობის წინაპირობის როლი შეუძლიათ ითამაშონ. როგორც მე-20 საუკუნის 80-90-იან წლებში ჩატარებულმა

კვლევებმა გვიჩვენეს, ადამიანის კანს აღმოაჩნდა ე.წ. ,,კანის მხედველობის ფუნქცია“. ექსპერიმენტი ტარდებოდა შემდეგნაირად: ცდისპირი ხელის გულს ათავსებდა გარკვეული მოწყობილობის თავზე. ამ მოწყობილობას ქვემოდან ჰქონდა დამონტაჟებული განათების სისტემა. პერიოდულად ექსპერიმენტატორი ჩართავდა და გამორთავდა სინათლის წყაროს, რის შედეგადაც დროის გარკვეულ პერიოდში ხდებოდა ადამიანის ხელის გულის დასხივება ისე, რომ ამას ცდის მონაწილე თვალით ვერ ხედავდა. გარკვეული ვარჯიშების ჩატარების შემდეგ ექსპერიმენტის მონაწილე ზუსტად აღიქვამდა იმ მომენტს, როდის შუქდებოდა კანი მის ხელისგულზე. ამ დროს ექსპერიმენტატორებმა დააფიქსირეს ადამიანის კანის ზედაპირზე პოტენციალთა სხვაობის წარმოქმნა და კანის ზედაპირზე არსებულ მერიდიანებში გარკვეული ელექტრო დენები, რაც რა თქმა უნდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შემდგომში ზემოქმედებდა ადამიანის მთელ ორგანიზმსა და ენერგოსისტემაზე. პიეზოეფექტს შეესაბამება შემდეგი ექსპერიმენტი, სადაც ადამიანის კანზე სინათლის დასხივების მაგივრად ხდებოდა წერტილოვანი მექანიკური მოქმედება. ამ დროს მიღებული ეფექტი ანალოგიური იყო ადამიანის კანზე დასხივების შედეგად მიღებული ეფექტისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პიეზოეფექტი საფუძვლად უდევს არატრადიციული მედიცინის ისეთ დარგებს, როგორიცაა ჩინური და კორეული აკუპუნქტურა ანუ მკურნალობა წერტილოვანი მასაჟით და ჩინური სამკურნალო წვრილი ნემსებით, კანის ზედაპირის გარკვეულ წერტილებში ზემოქმედება. ჩვენი აზრით, ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინოა კორეული ე.წ. ,,სუჯუკთერაპია“, სადაც კანის ზედაპირზე გამავალ მერიდიანების სხვადასხვა წერტილებზე ხდება როგორც მექანიკური ზემოქმედება წერტილოვანი მასაჟის მსგავსი (ოღონდ გარკვეული წვრილი ლითონის ჩხირებით), ასევე მეტად საინტერესო კანის კონკრეტულ წერტილებზე სხვადასხვა მცენარეთა თესლების გარკვეული დროით მოთავსება. ამ შემთხვევაში კანის ზედაპირზე არსებული მერიდიანის კონკრეტული წერტილი თავისი შინაგანი ენერგეტიკული ქსელების საშუალებით უკავშირდება ადამიანის კონკრეტულ ორგანოს. ამ წერტილზე მექანიკური ზემოქმედების შედეგად წარმოშობილი პოტენციალთა სხვაობა ანუ ბიოენერგეტიკული ენერგიის ნაკადი მიეწოდება კონკრეტულ ორგანოს, რაც იწვევს ადამიანის მოცემული კონკრეტული ორგანოს ბიოენერგეტიკულ ცვლილებას, ეს ეხმარება ორგანიზმში კონკრეტულ ორგანოს თავისი ფუნქციის შესრულებაში ან აღდგენაში. როდესაც ზემოთ ხსენებული მერიდიანების კონკრეტულ წერტილზე ვათავსებთ მცენარეთა თესლებს, მაშინ ამ თესლის შიგნით აკუმულირებული ბიოენერგია ძალიან დიდი სიდიდისაა (რამეთუ მას შესწევს ნიადაგში აღმოცენების უნარი). ეს ენერგია ემატება პიეზოეფექტის შედეგად კანის ზედაპირზე წარმოშობილ ელექტროენერგეტიკულ ნაკადებს და ასეთი გაძლიერებული სახით მიეწოდება ადამიანის განსაზღვრულ ორგანოს. ამ შემთხვევაში ადამიანის შინაგან ორგანოზე მიწოდებული ბიოენერგეტიკული ნაკადი უფრო ქმედითუნარიანია აღნიშნული ორგანოს ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის. საყურადღებოა ისიც, რომ მცენარის თესლს არჩევენ არა შემთხვევით, არამედ ისეთი წესით, რომ მისი ბიოენერგოველი, ისევე როგორც მცენარისა, გარკვეულწილად შეესაბამებოდეს ადამიანის იმ ფუნქციურ ორგანოს, საითკენაც ეს ენერგია უნდა მივმართოთ. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მცენარის ნაყოფი ან თესლი თავისი გარეგნობით მსგავსია ადამიანის ორგანოსი. ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს არა მხოლოდ გარეგნულ მსგავსებასთან, არამედ უნდა ვიფიქროთ, რომ მოცემული მცენარის ბიოენერგეტიკული ველი ადამიანის ორგანიზმში მისი მსგავსი ორგანოს ბიოენერგეტიკულ ველს შეესაბამება. ასე მაგალითად, წიწიბურას ნაყოფი შეესაბამება ადამიანის ფილტვს, ლობიოს ლებანი - ადამიანის თირკმელს, კაკლის ლებანი - თავის ტვინს, ჯახველი - გულს, გოგრის გული - შარდის ბუშტს და ა.შ.

გარდა ზემოთ ხსენებულისა, საყოველთაოდ ცნობილია ადამიანის კანზე ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივების მოქმედება, რაც შეინიშნება ზღვაზე გარუჯვის დროს. ის განსაკუთრებით თვალსაჩინოა მზის გამოსხივების გააქტიურების დროს. ასეთ შემთხვევებში ექიმები ადამიანებს ურჩევენ მაქსიმალურად მოერიდონ მზის გულზე ყოფნას.

ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაოები ტარდება ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთში. მაგალითად რუსი მეცნიერის ვ. პუშკინის აზრით, ადამიანის კანზე ეცემა სინათლის ფოტონები. ეს ფოტონები ურთიერთქმედებენ იმ ენერგეტიკულ ზონებიდან გამოსულ გამოსხივებებთან, რომლებიც ორგანიზმის შიგნიდან გამოდის კანის ზედაპირზე. სწორედ ამ ურთიერთქმედებას შეიგრძნობს ადამიანი კანზე სინათლის დასხივების დროს. ჩვეულებრივ პირობებში ეს იმდენად უმნიშვნელოა, რომ ადამიანის ყურადღების მიღმა რჩება. ძალზე საინტერესოა რუსი მეცნიერის ღ. კულეშევის ექსპერიმენტები. ექსპერიმენტი ტარდებოდა სპეციალური ხელსაწყოს სპექტოგრაფის საშუალებით. კულეშევის ექსპერიმენტის საფუძველზე როგორც რუსეთში, ასევე ევროპაში მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით გარკვეული თეორიების ჩამოყალიბებისათვის.

თუ ყოველივე ზემოთ თქმულს იმ საერთოდ ცნობილ ფაქტებს დავუმატებთ, რაც ტრადიციული ბიოლოგიური მეცნიერებებიდან ვიცით, შეიძლება ვთქვათ, რომ კანი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი, რომელიც გარკვეულწილად არეგულირებს ადამიანის ორგანიზმსა და გარემოს შორის

ბიოენერგეტიკულ ბალანსს. შემთხვევით არ არის მიჩნეული ჰიგიენაში, ადამიანის ჯანმრთელობაში ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად კანის მოვლა: ბანაობა მზისა და წყლის პროცედურები და ა.შ. ეს ყოველივე საჭიროა იმისათვის, რომ კანმა ნორმალურად ისუნთქოს და საშუალება მიეცეს, რაც შეიძლება უკეთ შეასრულოს თავისი ძირითადი ფუნქცია. და ბოლოს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ადამიანის ხუთ ძირითად შეგრძნებასა და გრძნობათა ორგანოებს შორის, ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია ადამიანის კანს, რომელიც ერთი მხრივ, იცავს ადამიანის ორგანიზმს გარემოს უარყოფითი ზემოქმედებისაგან, ხოლო მეორე მხრივ, გარკვეული ფილტრაციის შემდგომ მას აქვს უნარი ორგანიზმს მიაწოდოს ყოველივე ის დადებითი ენერგეტიკული იმპულსები, რომლებიც მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია და ასევე რაც ტრადიციულ მედიცინაში კარგადაა ცნობილი, ორგანიზმიდან გამოაქვს მავნე მინარევები. ამრიგად გარემოსა და ადამიანის ურთიერთობაში კანი გვევლინება ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად.

**ლიტერატურა:**


1. Музин Е., Музина М., Миравой Разум, 1999.
2. მირცხულავა ი., ნახევარგამტართა ფიზიკა, თბ., 1979.


## საქართველოს ტყეები, მისი გავრცელებისა და მრავალფეროვნების ასპექტები


**თამარ გუჩმაზაშვილი**

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ზურაბ ტიელიძე**, სრული პროფესორი


ტყე, ეს მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსი, დიდ როლს ასრულებს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკაში, მაგრამ მისი როლი განსაკუთრებით დიდია ესთეტიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით. ტყის ეკოსისტემები ხელს უწყობს გარემოს მდგრადობას და მის რეგულირებას, ის განსაზღვრავს ეკოსისტემის სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ მნიშვნელობას. ტყეები ასრულებენ ისეთ მნიშვნელოვან ფუნქციებს, როგორიცაა: ნიადაგდაცვითი, კლიმატმარეგულირებელი, საკურორტო-ტურისტული, რეკრეაციულ-სანიტარული, წყალმომაწესრიგებელი და სხვ. ტყე მნიშვნელოვნად ცვლის მიკროკლიმატს - ჰაერის ტემპერატურას, ტენიანობას, ჰაერის შედგენილობას და სხვ., რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

ტყის მნიშვნელობა გამოიხატება აგრეთვე მისი სანიტარული, ჰიგიენური თვალსაზრისითაც. ადამიანისათვის უპირველესი მოხმარების აირი - ჟანგბადი სისტემატურად ბინძურდება სხვადასხვა მავნე მინარევებით. ტყე კი არის ჰაერის ყველაზე დიდი გამასუფთავებელი, იგი შთანთქავს ნახშირორჟანგს და გამოყოფს ჟანგბადს. გაანგარიშებულია, რომ 1 ჰა ტყე დღე-ღამეში საშუალოდ შთანთქავს 15 ტონა ნახშირორჟანგს და გამოყოფს 19 ტონა ჟანგბადს. ბუნებაში წვის პროცესი ჟანგბადის მეშვეობით ხორციელდება. ჟანგბადის მოხმარების ნორმას ერთ სულ მოსახლეზე ესაჭიროება დაახლოებით 0,33 ჰა ტყე. დადგენილია, რომ ადამიანი დღე-ღამის განმავლობაში იყენებს 500-600 ლიტრ ჟანგბადს. ჟანგბადის მნიშვნელოვანი რაოდენობა გამოიყოფა ასევე ოკეანეებსა და ზღვებში არსებული მცენარეულობისაგან.

დიდია ტყის ესთეტიკური მნიშვნელობა. იგი მეტად დიდ გავლენას ახდენს ბიომრავალფეროვნება ადამიანის ნერვულ სისტემაზე და მის სულიერ მდგომარეობაზე. მცენარეული საფარის ესთეტიკური,

კლიმატმარეგულირებელი, სანიტარულ-ჰიგიენური თუ ტურისტულ-საკურორტო მნიშვნელობა დიდად განაპირობებს ადამიანთა საზოგადოების განვითარებასა და მის ჯანმრთელობას.

ტყის მერქანი გამოიყენება ავეჯის წარმოებასა და მშენებლობაში, ძირითადად მისგან მზადდება ქაღალდი. მისგან ზოგიერთ ქვეყანაში ამზადებენ საწვავს. მწვანე მასის ვიტამინიზებული ფხვნილი გამოიყენება მეცხოველეობაში საკვებად. ბიომასისგან შეიძლება წარმოებულ იქნას ენერგია. საქართველოში მწვანე მასის ყოველწლიური ნარჩენი 100 000 ტონას შეადგენს, რომელიც გამოუყენებელი რჩება.

ყოველწლიურად დედამიწაზე მიმდინარეობს ტყეების მიუღებელი ექსპლოატაცია და წუთში 26 ჰა ფართობის ტყე იჭრება, ტროპიკებში - 40 ჰა. ყოველწლიურად კი დაახლოებით 14 მლნ. ჰა, რაც ქმნის ურთულეს ეკოლოგიურ პრობლემებს დედამიწაზე. მსოფლიოში ტყეებს 1980 წელს დაახლოებით 4 815 500 000 ჰა ფართობი ეკავა, დღეისათვის კი მათი რიცხვი 4 მილიარდამდეა შემცირებული. მეცნიერთა გაანგარიშებით ყოველი ადამიანი სიცოცხლის მანძილზე 100 კუბმეტრ მერქანს ხარჯავს, რის გამოც უახლოეს მომავალში შესაძლებელია ისეთი ეკოლოგიური კატასტროფა, რაც საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს კაცობრიობისათვის.

**საქართველოში** ტყეს ქვეყნის საერთო ტერიტორიის დაახლოებით 38% უკავია. ტყის ეკოსისტემები დამახასიათებელია ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონისთვის. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ჯავახეთის პლატო, ხოლო ხევისა და მთიანი თუშეთის რეგიონებში ტყეს ძალიან მცირე ფართობი უკავია. დასავლეთ საქართველოში ტყე უკვე ზღვისპირიდანაა გავრცელებული, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ტყის სარტყელი ძირითადად 600-700 მეტრიდან იწყება. ე.ი. საქართველოს ტყეები ვრცელდება სიმაღლეების მიხედვით: 1. ბარის ტყეები; 2. მთის ტყეები; 3. მაღალმთის ტყეები.

**ბარის ტყეები.** ეს ტყეები **რელიქტურია** (რელიქტი -"ადგილობრივი" მცენარე ან ცხოველი, რომელიც გავრცელებულია მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ არეში. ენდემი - ორგანიზმი, ნივთი ან მოვლენა, რომელიც წარმოადგენს შორეული წარსულის, ძველი ეპოქების გადმონაშთს). ბარის ტყეებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მურყანებს (Alnus barbata). ისინი გავრცელებულია მდინარეთა სანაპიროებზე (ჭალაში) და ჭარბტენიან (დაჭაობებულ) ტერიტორიებზე. მთის ხეობებში ზოგან 1100-1200 მეტრამდე აღწევს. მისი საერთო ფართობი დაახლოებით 69 000 ჰექტარია და ძირითადად გავრცელებულია მდინარეების - რიონის, მტკვრის, ალაზნის ხეობებში.

**მთის ტყეები.** გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში ზღვის დონიდან 150-1800 მეტრის ფარგლებში. აღმოსავლეთ საქართველოში კი - 450-1900 მ. მთის ტყეებზე მოდის ტყით დაფარული ტერიტორიის ყველაზე მეტი ნაწილი - 75%.

**მაღალიმთის** ანუ სუბალპური ტყეები საქართველოში გავრცელებულია ზღვის დონიდან 1800-2500 მეტრამდე და მათი საერთო ფართობი დაახლოებით 600 000 ჰექტარია. საქართველოში უმაღლესი მცენარეების დაახლოებით 2000 სახეობას გააჩნია ეკონომიკური მნიშვნელობა. ეკონომიკური მნიშვნელობის მიხედვით ანსხვავებენ მცენარეთა შემდეგ ჯგუფებს: **სამშენი მერქნის მომცემი მცენარეები, ველური ხილი და საჭმელი მცენარეები, მთრიმლავი მცენარეები, ეთერზეთოვნები, სამკურნალო, საკვები ბალახოვნები, თაფლოვანი მცენარეები.**

**სამშენი მერქნის მომცემი მცენარეები.** მათი უმეტესობა ტყის დომინანტი სახეობებია. მათ შორის აღსანიშნავია წიფელი, მუხები, რცხილა, ნაძვი, სოჭი, ფიჭვი. აღსანიშნავია აგრეთვე ძელქვა, იფანი, ცაცხვი, ლაფანი. მაღალხარისხიან მერქნიან მცენარეებს მიეკუთვნება წითელ წიგნში შესული სახეობები: კაკალი, ბზა და უთხოვარი.

**ველური ხილი და საჭმელი მცენარეები.** მათ მიეკუთვნება ველური ხილ-კენკროვანი (მაჟალო, პანტა, შინდი, კუნელი, ანწლი და სხვ.) კაკლოვანი (თხილი, წაბლი, მუხის რკო, წიფლის მაყოფი და სხვ.) და სხვა კატეგორიის მცენარეები, რომელსაც ადამიანი უხსოვარი დროიდან იყენებს როგორც საჭმელად, ასევე ცხოველთა საკვებად. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ველური ხილისა და სხვა ეკონომიკური ღირებულების მცენარეთა რესურსები ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი და შეფასებული.

**მთრიმლავი მცენარეები.** აქედან აღსანიშნავია კევის ანუ საღსაღაჯის ხე, თრიმლავი თუთუბო, შქერი, შავი მურყანი. სამღებრო საქმეში გამოიყენება: ტირიფი, ხეჭრელი, ენდრო, თათღძირა, იელი, შავი მურყანი და სხვ.

გეოგრაფიული გავრცელებისა და ეკოლოგიური დაჯგუფების მიხედვით საქართველოში გამოიყოფა შემდეგი ეკოსისტემები:

1. **ჭალის ტყის ბიომი.** აღმოსავლეთ საქართველოში განვითარებულია მდინარეების – მტკვრის, ივრის, ალაზნის და ქციის ქვემო წელის გასწვრივ. მათში ჭარბობს **მუხა, ვერხვი, ქაცვი, მდიდარია ლიანებით.** დასავლეთ საქართველოს ჭალის ტყეებში წამყვანი პოზიცია უჭირავს **მურყნარებს**. ამ ტყეებისთვის დამახასიათებელია **გვიმრა.** თითქმის გაუვალ რაყებს ჰქმნის **მაყვალი;**

2. **ნახევრადუდაბნოს ბიომი.** ნახევრადუდაბნოს ბიომები გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობებში. შიდა ქართლში ამ ბიომის ერთ-ერთი მთავარი დომინანტია ავშანი (Artemisia fragra).

3. **სტეპის ბიომი.** აღმოსავლეთ საქართველოში სტეპის ბიომები განვითარებულია 300-700 მეტრზე ზღვის დონიდან. ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად სტეპის ბიომში შესულია ტყის და ბუჩქნარი მცენარეულობის ეკოსისტემები. სტეპის ბიომის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ეკოსისტემას წარმოადგენს უროიანი (Botriochloa ischaemum) ველი (ანუ სტეპი).

ტიპიური სტეპის მცენარეულობის კომპონენტებია: Stipa tirsa, St. lessingiana, St.pulcherrima, St.capillata. (სწორედ ამ მცენარის ლათინური სახელწოდებიდან - სტიპადან მოდის სტეპის, როგორც ერთ-ერთი

ბიომის სახელწოდება). ნაირბალახოვანი სტეპები მხოლოდ გარეჯისათვის არის დამახასიათებელი. მთის სტეპები მხოლოდ სამხრეთ საქართველოშია გავრცელებული 1800-2500 მეტრზე ზღვის დონიდან.

4. **ნათელი ტყის ბიომის** მცენარეულობა გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ნახევრადუდაბნოებისა და სტეპების სარტყელში. ეს ბიომი შედგება ტყის ქსეროფილური მცენარეებისაგან და საკმაოდ გვალვაგამძლე ბალახოვანი საფარისაგან. იგი ყველაზე კარგად არის გამოხატული ვაშლოვანის ნაკრძალში და უკავია 5000 ჰა ფართობი. აღსანიშნავია **საკმლის ხის ნათელი ტყე** და **ღვიის ნათელი ტყეები,** რომელსაც უკავიათ მცხეთისა და ვაშლოვანის მთისწინების ჩრდილო ფერდობები.

5. **ტყის ბიომს** საქართველოს ტერიტორიის 36,7% უკავია. სხვადასხვა ტიპის ტყეების წილი შემდეგნაირია: **წიფლნარები** – 51%, **სოჭის** ტყეები – 10%, **მუხნარები** – 3,3%, **ნაძვნარები** – 6,3%, **ფიჭვნარები** – 3,6%, **მურყნარები** – 3%, **წაბლის** ტყეები – 2,1%, **არყნარები** – 2%. **მუხნარები** (Quercus iberica) გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ტყის სარტყლის ქვედა ნაწილში (600-700 მეტრიდან). ეს **ეკოსისტემა** მდიდარი ფლორისტული შემადგენლობით გამოირჩევიან. დამახასიათებელი სახეობებია: **არყი, წიფელი, სოჭი** და სხვ. **მუხნარ-ფიჭვნარი:** ფიჭვთან ერთად ამ ეკოსისტემას ქმნის **მაღალი მთის მუხა.** ამ ტყეებს ვხვდებით აღმოსავლეთ საქართველოში 800-1100 მ. სიმაღლის ფარგლებში, ხოლო აჭარაში მისი გავრცელების ზონა გაცილებით დაბალი სიმაღლეებიდან იწყება (300 მ-დან 1100-1200 მ-მდე). **უთხოვრის** (Taxus baccata) ტყეები: შემონახულია რელიქტური ტყის სახით ბაწარას ხეობაში, ალაზნის ზემო დინებაში. **ძელქვიანები** (Zelkova carpinifolia) შემონახულია ბაბანეურის ნაკრძალში. **ნეკერჩხლიანები** (Acer velutinum) ტყეები მხოლოდ ალაზნის ველზეა გავრცელებული. მისი ზედა ზღვარი 1000 მ-ს არ აღემატება.

6. **კოლხური ტყეები:** დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაჭაობებულ დაბლობზე, ზღვის დონიდანვე იწყება **მურყნარები** (Alnus barbata), **ლაფნარები** (Petocarya pterocarpa), ნაკლებ ტენიან ადგილებში გავრცელებულია **მუხნარები** (Quercus iberica, Q.hartwissiana), **რცხილნარები** (Carpinus caucasica), **წაბლნარები** (Castanea sativa). ეს ტყეები მდიდარია **ლიანებით** (Hedera colchica, Smilax excelsa, Vitis sylvestris). აღსანიშნავია **ბიჭვინთის ფიჭვის** (Pinus pithyusa) ტყე: ბიჭვინთის ფიჭვი რელიქტური სახეობაა. ზოგიერთ რაიონში (აფხაზეთსა და სამეგრელოს კირქვიან მთებში) გვხვდება **ბზა** (Buxus colchica). **5. სუბალპური ტყის ბიომი.** ვრცელდება კავკასიის მთებში (2400-2750 მეტრი ზღვის დონიდან), რომელიც გამოირჩევა როგორც დიდი მრავალფეროვნებით, ისე იშვიათი ენდემური და რელიქტური სახეობების სიუხვით. სუბალპური სარტყლის მცენარეულობისათვის დამახასიათებელია შემდეგი ტყიანი ფორმაციები: მეჩხერი ტყეები: ***ა) მეჩხერი, ანუ "პარკისებური ტყეები"*** გვხვდება 1800-1900 მ-ის ზემოთ. მეჩხერ ტყეს წარმოქმნიან ძირითადად **მაღალმთის ბოკვი, მაღალმთის მუხა, წიფელი, ნაძვი, ფიჭვი** და სხვ.; ***ბ) ტანბრეცილი ტყეები:*** კავკასიის სუბალპურ ტანბრეცილ ტყეებს ქმნიან **წიფელი, არყის** სხვადასხვა სახეობები, **მაღალმთის ბოკვი, კოლხური თხილი, იმერული ხეჭრელი** და სხვები. განსაკუთრებით საყურადღებოა კოლხეთის ტანბრეცილი ტყეები. ეს ტყეები მდიდარია ენდემური და რელიქტური სახეობებით (მაგ. **პონტოური მუხა, მეგრული არყი, მედვედევის არყი** და სხვ.); ***გ) გართხმული ბუჩქნარები:*** ეს ფორმაციების ძირითადი კომპონენტებია **დეკა, უნგერნის შქერი, გართხმული ღვია, კავრა, მელიქაური** და სხვ.

7. **ალპური ბიომი.** ალპური სარტყელი საქართველოში მდებარეობს 2400-2500 მ-დან 2900-3000-მმდე ზღვის დონიდან. აქ გავრცელებულია შემდეგი ძირითადი ეკოსისტემები: **ალპური მდელოები** (მკვრივკორდიანი, მეჩხერკორდიანი, მარცვლოვანი და ნაირბალახოვანი), **ალპური ხალები, ბუჩქნარი** და **კლდისა და ნაშლების მიკროეკოსისტემები**. ალპური მდელოები: **ძიგვიანი** ეკოსისტემები, **ჭრელი წივანას** მდელოები; ალპური ბუჩქნარებიდან აღსანიშნავია **დეკიანები**

8. **სუბნივალური და ნივალური ბიომი.** სუბნივალური სარტყელი საქართველოში მდებარეობს 3000 დან 3600 მ-დე ზღვის დონიდან.

ეს სარტყელი ყველაზე კარგად არის გამოხატული ცენტრალურ და აღმოსავლეთ კავკასიონზე. ამ ზონისთვის დამახასიათებელ ექსტრემალურ გარემოსთან შეგუებულია მცენარეთა მხოლოდ გარკვეული ჯგუფი (კავკასიის სუბნივალურ სარტყელში სულ დაახლოებით 250 სახეობაა გავრცელებული). აღსანიშნავია სუბნივალური სარტყლის ფლორაში ენდემურ სახეობათა მაღალი წილი - 60-70%.

9. **ჭაობისა და წყლის ბიომები.** ჭაობები საქართველოს ლანდშაფტების ტიპიური კომპონენტია. ის განსაკუთრებით კარგადაა გამოხატული კოლხეთის დაბლობსა და სამხრეთ საქართველოს ვულკანურ პლატოზე. ჭაობები გავრცელებულია, როგორც დაბლობ ზონაში, ისე სუბალპურ და ალპურ სარტყელში. დასავლეთ საქართველოში სფაგნუმიანი ჭაობები ზღვის დონიდან სუბალპურ სარტყელამდეა გავრცელებული, აღმოსავლეთ საქართველოში კი მშრალი კლიმატის გამო 2000 მ-ზე უფრო მაღლა აღარ გვხვდება. აღსანიშნავია, რომ კოლხეთის სფაგნუმიანი ჭაობებისათვის დამახასიათებელია ბორეალური

(სფაგნუმის **ხავსები, დროზერა** (Drosera rotundifolia), **რინხოსპორა** (Rhinhospora alba)) და **მაღალი მთის იელი** Rhododendron luteum, **შქერი.**

საქართველოს ბიომრავალფეროვნების, უპირველეს ყოვლისა კი ტყეების, დღევანდელ მდგომარეობას დარგის ექსპერტები კატასტროფულად აფასებენ. ბოლო წლების განმავლობაში ტყეებზე კონტროლის მექანიზმები ძალზედ შესუსტდა. მეტად შეიზღუდა ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ტყის რესურსების მოპოვებაზე. ტყის სექტორში დასაქმებული არიან არაპროფესიონალი, ანუ, შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების არმქონე პირები.

2007 წლიდან საქართველოში მართალია დაიწყო სატყეო რეფორმა, მაგრამ ამის მიუხედავად ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ ტყით სარგებლობისას ჩამოყალიბდა მონოპოლისტური კომპანიები, დაკანონდა ხის მერქნის გადამეტებული მოპოვება, რისი კონტროლიც პრაქტიკულად არ მიმდინარეობს და შეუძლებელიცაა, ვინაიდან ლიცენზიების გაცემამდე არ ხდებოდა რესურსების ზუსტი დადგენა. შედეგად გვაქვს დიდი მასშტაბის სამეურნეო ჭრები, რომელსაც არანაირი საერთო არ გააჩნია ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასთან. ასეთ ფონზე კიდევ უფრო გაიზრდება სტიქიური მოვლენების მასშტაბი აჭარაში, სვანეთსა და სხვა რეგიონებში.

ეკოსისტემებზე მეტისმეტი ანთროპოგენული დაწოლა, რასაც ადგილი აქვს საქართველოში, გამოიწვევს ბუნებრივი რესურსების სწრაფ ამოწურვასა და ეკოსისტემების დეგრადაციას. ასეთი პოლიტიკისა და მიდგომის შედეგად მოხდება ასევე ადგილობრივი მოსახლეობის გაღარიბება და მთიდან მათი იძულებითი მიგრაცია - სოფლების დაცლა.

სპეციალისტთა აზრით, საქართველოს ტყეების პრობლემის ერთ-ერთი სათავე ისაა, რომ გადაწყვეტილებები სატყეო სექტორში, ტრადიციულად მიიღება გაუმჭვირვალედ, დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებისა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინების გარეშე, კორუფციის წინააღმდეგ უნივერსალური წამალი კი გამჭვირვალობაა.

ახალმა ხელისუფლებამ მომავალში სწორედ აღნიშნული ინსტრუმენტი უნდა გამოიყენოს ტყის სისტემაში წესრიგის დასამყარებლად.

ტყის განადგურების უპირველეს მიზეზთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **ტყის უკანონო ჭრებს,** რომელთაც თან არ ახლავს აღდგენითი პროცესები; ტყეების მოსპობის მიზეზია აგრეთვე **სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება,** რომელიც მოითხოვს ახალ-ახალ მიწის ათვისებას და ეს პროცესი სწორედ ტყის კორომების გაჩეხვის ხარჯზე მიმდინარეობს. ტყეების განადგურების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ასევე **ქაღალდის წარმოება.** მაგალითად მსოფლიო ბანკმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებისაგან მარტო 1996 წელს ბრაზილიისგან, ჩილესგან, ურუგვაისგან, კამბოჯასგან შეიძინა 784 ათასი $მ^3$ ძვირფასი ხე-ტყე, რაც დიდ ეკოლოგიურ დანაკარგად შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიოსათვის. მსოფლიო ბანკმა საქართველოს ტერიტორიაზეც მნიშვნელოვანი მოცულობის ხე-ტყე შეიძინა. დიდი რაოდენობით ხე-ტყე ეწირება **ურბანიზაციის** პროცესს, რადგან გრანდიოზული მშენებლობები დიდძალ მერქანს მოითხოვს. საკმაო რაოდენობის ხე-ტყე იხარჯება **რკინიგზების მაგისტრალების მშენებლობაზეც.**

ტყის განადგურება იწვევს უაღრესად მავნე შედეგებს, რომელთაგან აღსანიშნავია:

**1. ბიოდივერსია.** ბიოდივერსია გულისხმობს ტყის განადგურებისას მცენარეული და ცხოველური სამყაროს (ფლორა და ფაუნა) წარმომადგენელთა განადგურებას. ცნობილია, რომ კონკრეტული ტყის მასივის ფარგლებში ტყის განადგურებას მოსდევს ცოცხალი ორგანიზმების გადაშენება, რომელთა არსებობაც აუცილებელია ბუნებაში ჰარმონიის შენარჩუნებისათვის.

**2. კლიმატის ცვლილება.** ტყის განადგურებას ყოველთვის შედეგად მოსდევს ჟანგბადის შემცირება ჰაერში, ქარების გაძლიერება და სხვა ისეთი მოვლენები, რომლებიც ადგილობრივ კლიმატს საფუძვლიანად ცვლის. მაგალითად, ადგილებში, სადაც ტყე ნადგურდება, ადგილი აქვს წყაროებისა და პატარა მდინარეების დაშრობას, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

**3. გამოშრობა.** იგულისხმება ნიადაგის გამოშრობა, როგორც მიწის დეგრადაცია წყლის ნაკლებობის გამო. ტყის გაჩეხვის შედეგადაც წარმოიქმნება მშრალი მიწა, რომლის ჰუმუსოვან ფენას ქარი გადახვეტავს და დარჩენილი უნაყოფო მიწა მალე გარდაიქმნება უდაბნოდ. მაგ., საჰარის უდაბნო (აფრიკაში) 1960 წლიდან გაიზარდა 100 000 $კმ^2$-ით.

**4. ნიადაგის ეროზია.** ნიადაგის ეროზიას (წყლისმიერსა თუ ქარისმიერს) იწვევს ტყეების არა მხოლოდ მთლიანი მოსპობა, არამედ მათი ნაწილობრივი განადგურებაც. ხეების მოჭრის შედეგად ხის ფესვები ლპება და ვეღარ ასრულებს ნიადაგთან შეჭიდულობის - "არმატურის" ფუნქციას. ამის შედეგად შეიძლება განვითარდეს არა მხოლოდ ეროზიული პროცესები, არამედ შეიძლება წარმოიშვას მეწყერიც. ტყის განადგურებით უარესდება კლიმატი, იკლებს ჟანგბადის რაოდენობა ჰაერში, ძლიერდება ქარები. ეროზიული და მეწყრული მოვლენების გამო კი ეცემა მცენარეთა პროდუქტიულობა.

**ტყეების აღდგენითი ღონისძიებების გატარება** დღეისათვის მსოფლიოს მრავალ რეგიონში დაიწყო და ცივილიზებულ ქვეყნებში იგი წარმატებითაც მიმდინარეობს. განსაკუთრებით დიდი ინვესტიციები იდება ამ მიმართულებით ე.წ. "მესამე სამყაროს" ქვეყნებში, სადაც ბრინჯის, ჩაის, ხორბლის, მეცხოველეობის საკვები პროდუქტების, ყავის შაქრის ჭარხლისა და სხვათა წარმოებისას მკაცრად არ იყო დასმული ეკოლოგიური საკითხები, რამაც ტყეების დიდი ფართობების განადურება გამოიწვია. ამ მხრივ საქართველოშიც ბევრი რამ არის მოსაგვარებელი. კერძოდ, მიზანშეწონილად და აუცილებლობად მიგვაჩნია მოხდეს ტყის აღდგენისათვის არსებული გეგმების გადასინჯვა, მკაცრად აღირიცხოს ტყისაგან გამოთავისუფლებული ადგილები, მოხდეს მათი შემოღობვა რაიმე ბარიერით, რათა ნიადაგში დარჩენილი საღი თესლი და აღმოცენებული მცენარეები არ დააზიანოს ცხოველებმა, ტექნოლოგიურმა მანქანებმა და ადამიანებმა.

მოსახლეობამ უნდა ამოიღოს ხმა აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, ჰუმანიტარული საპროტესტო აქციების მოწყობით.

განადგურებული ტყეების აღსადგენად უნდა დაინერგოს კვლავ განაშენიანების სისტემები, კერძოდ: ამოითხაროს მცენარეების დასარგავად ორმოები, მოხდეს მცენარეთა დარგვა გამოკვებით, მცენარის კვების არე პერიოდულად უნდა დამუშავდეს და მოირწყოს და ა. შ.

**ლიტერატურა:**

1. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ყოველწლიური ანგარიში.
2. გაერთიანებული ერების გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ყოველწლიური ანგარიშის მასალები.
3. გიგაური გ., საქართველოს ტყეების ბიომრავალფეროვნება, თბ., 2000.
4. გიგაური გ., ტყეთმოწყობა. თბ., 2002.
5. კანდელაკი თ., საქართველოსა და მსოფლიო ტყის რესურსები, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა", №11, 12, 1999.
6. ნ. ქარქაშაძე და სხვ., ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა, თბ., 2003.
7. ვორონცოვი ა. ი., ბუნების დაცვა. თბ., 1983.
8. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, 1976.
**ინტერნეტ-რესურსები:**
http://www.radiotavisupleba.ge/content
http://ekonia.wordpress.com/2011/02/04/საქართველოს ტყეები
http://www.gurianews.com/index.php?op
http://www.chm.moe.gov.ge/webmill/data/file/Forests_geo.pdf
http://24saati.ge/index.php/category/business/2012-06-01/29291.html
http://www.facebook.com/pages/Georgian-Biodiversity-საქართველოს-ბიომრავალფეროვნება/1006753200041
http://www.chm.moe.gov.ge/index.php?page=saqartvelos_bio&lng=ge_
http://ka.wikipedia.org/wiki/საქართველოს_ბიომრავალფეროვნება
http://opinion.ge/archives/2

## ფოტოსინთეზი - სიცოცხლის საფუძველი

**თამარ თომაშვილი**
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნელი გოგინაშვილი,** სრული პროფესორი

მცენარე სიცოცხლის წყაროა ჩვენს პლანეტაზე. ის შუამავალია მზესა და ყველა ცოცხალ ორგანიზმს შორის. მზის სინათლის ენერგია, რომელიც შთაინთქმება მწვანე მცენარის მიერ და გარდაიქმნება მის უჯრედებში ქიმიურ ენერგიად, არის საფუძველი მცენარის მიერ გარემოდან შეთვისებული არაორგანული ნივთიერებების ხარჯზე ორგანული ნივთიერებების სინთეზისა.

მცენარეთა ფოტოსინთეზის პროცესი შეიძლება წარმოშობილიყო დედამიწაზე სიცოცხლის არსებობისა და განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე, როგორც $CO_2$ -ის ფიქსაციის ნაკლებად სრულყოფილი ფორმების შემდგომი განვითარება-გართულება. როგორც ჩანს, $CO_2$ -ის ასიმილაციის ტიპები ნივთიერებათა ცვლის პროცესში ვითარდებიან ჰეტეროტროფულიდან ავტოტროფულამდე - ფოტოსინთეზამდე.

მცენარის ჰაერით კვებაზე პირველად მ. ლომონოსოვმა (1761 წ.), ხოლო მცენარის გავლენით გარემო ჰაერის შემადგენლობის ცვლის შესახებ ასევე პირველად - დ. ჰრისტლიმ (1733 წ.) აღნიშნეს. შემდეგ დ. პრისტლიმ და ი. ინგენჰაუზმა (1779 წ.) დაადგინეს, რომ მცენარე ჰაერს მხოლოდ სინათლეზე ასუფთავებს. ჟ. სენებიემ (1782 წ.) დაამტკიცა, რომ მცენარე სინათლეზე ითვისებს $CO_2$ -ს და გამოყოფს $O_2$ ს, ანუ ახორციელებს ნახშირბადოვან კვებას. ეს აღმოჩენები შემდეგ გააღრმავა ნ. სოსიურმა (1804 წ.). მან რაოდენობრივად აჩვენა ფოტოსინთეზში შემცველ გაზთა ($O_2$ და $CO_2$ -ის) ტოლობა და დაასაბუთა, რომ ნახშირორჟანგთან ერთად გამოიყენება წყალიც.

ამრიგად, XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში გაირკვა მცენარის ჰაერით კვების ძირითადი დებულებები, ხოლო სინათლის როლის პრობლემის დამუშავების ძირითადი ეტაპი გამოჩენილი მეცნიერის, აკადემიკოს კ. ტიმირიაზევის გამოკვლევებით იწყება. მან დაადგინა, რომ სინათლის (როგორც ენერგიის წყაროს) შთანმთქმელია ქლოროფილი და დაადასტურა ენერგიის შენახვის კანონი ფოტოსინთეზის პროცესში. კ. ტიმირიაზევი მწვანე მცენარეს იხილავდა, როგორც ერთადერთ ლაბორატორიას, რომლის უჯრედებში ბუნებრივ პირობებში არაორგანული ნივთიერებებიდან ($CO_2$, $H_2O$) წარმოიქმნება ორგანული ნივთიერება ($C_6H_{12}O_6$) და ჟანგბადი ($O_2$).

შემდგომ, ნიშანდებული ატომების მეთოდის გამოყენებით ა. ვინოგრადოვმა დაადგინა, რომ ფოტოსინთეზის პროცესის დროს ატმოსფეროში გამოყოფილი ჟანგბადი წყლის კატალიზის პროდუქტია და არა ნახშირორჟანგის. ამავე მეთოდით შესაძლებელი გახდა იმ ცვლილებების დადგენა, რომელიც ფოტოსინთეზის პროცესში ხდება მცენარის სახეობის, ბიოლოგიური თავისებურებების, ასაკის, განათების პირობების, ტემპერატურის, მინერალური კვების და სხვა გარემო ფაქტორებთან დაკავშირებით.

ფოტოსინთეზის მექანიზმის წარმოქმნამ განაპირობა პირველადი ატმოსფეროს (რომელიც არ შეიცავდა ჟანგბადს) შეცვლა. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ოზონის ეკრანი და ენერგეტიკული ცვლის ჟანგბადიანი ეტაპი.

პროკარიოტებში ფოტოსინთეზი მრავალშრიან მემბრანებში ხორციელდება, ეუკარიოტებში კი - ქლოროპლასტებში. მცენარეთა ორივე ჯგუფი შეიცავს ქლოროფილს. საერთოდ, ფოტოსინთეზში მონაწილეობს პიგმენტების სამი კლასი: ქლოროფილი, კაროტინოიდები, ქსანტოფილები.

ფოტოსინთეზის პროცესი მოიცავს ორ ეტაპს: სინათლის და სიბნელის. სინათლის ეტაპზე მიიღება წყალბადის იონები ($H^+$), რაც მცენარეებში შთანთქმული სინათლის ენერგიის ხარჯზე წყლის დაშლის (ფოტოლიზის) შედეგია. ამ დროს გამოიყოფა ჟანგბადი, როგორც პროცესის თანაპროდუქტი. ამასთან, შთანთქმული სინათლის ენერგიის ხარჯზე სპეციალური ფერმენტების მოქმედებით მზის ენერგია ქიმიურ ენერგიად გარდაიქმნება და ხდება **ატფ**-ის სინთეზი. მაშასადამე, სინათლის ფაზის პროდუქტია: ჟანგბადი, წყალბადი და **ატფ**.

ფოტოსინთეზის სიბნელის ეტაპზე მიმდინარეობს ნახშირბადის ფიქსაციის პროცესი. ეს ფაზა ქლოროპლასტის სტრომაში მიმდინარეობს, სადაც ტრანსპორტირდება სინათლის პროდუქტები - წყალბადი და **ატფ**. ატმოსფეროდან დიფუზიით შესული ნახშირორჟანგისა და წყალბადისაგან სინთეზირდება ექვსნახშირბადიანი ნახშირწყალი - გლუკოზა.

მზის ენერგიის გამოყენებით მიმდინარე რეაქციებს უწოდებენ სინათლეზე დამოკიდებულს, ხოლო გლუკოზის წარმოქმნის რეაქციებს - სინათლისაგან დამოუკიდებელს.

მაშასადამე, ფოტოსინთეზი არის ქლოროპლასტებში მზის ენერგიის, ფოთლების მიერ შეთვისებული ნახშირორჟანგის, ფესვებით - წყლისა და მასში გახსნილი საკვები ნივთიერებების შეწოვის ხარჯზე **ატფ**-ის სინთეზი და ამ უკანასკნელის ენერგიის ხარჯზე გლუკოზის წარმოქმნისა და ატმოსფეროში ჟანგბადის გამოყოფის პროცესთა ერთობლიობა.

მზის ენერგიის გარდაქმნის პროცესი ქლოროფილის დახმარებით და $CO_2$ -ისა და $H_2O$-ს მონაწილეობით ფოტოსინთეზად პირველად წოდებული იქნა 1877 წელს. ეს პროცესი ერთადერთია ბიოსფეროში, რომელიც დაკავშირებულია გარემო წყაროს - მზის ენერგიის დაგროვებასთან. ფოტოსინთეზი, ბუნების ეს უნიკალური მოვლენა, წარმოადგენს ნივთიერებათა ბიოლოგიური წრებრუნვის ერთ-ერთ ძირითად რგოლს, რომელიც გამოიხატება შემდეგი რეაქციით:

$$6CO_2 + 6H_2O \xrightarrow[\text{ქლოროფილი}]{\text{სინათლის ენერგია}} C_6H_{12}O_6 + 6O_2$$

სინთეზირებული გლუკოზა არის ძირითადი ნივთიერება მცენარეთა უჯრედებში სხვა ორგანული ნივთიერებების, კერძოდ, პოლისაქარიდების, ცხიმების, ცილების წარმოქმნისათვის.

მაშასადამე, მცენარე ცოცხალ ორგანიზმთა შორის ერთადერთია, რომელსაც შეუძლია არაორგანული ნივთიერებებიდან ორგანული ნივთიერებების სინთეზი, ანუ მცენარე ავტოტროფული ორგანიზმია და ეკოსისტემის კვებით (ტროფულ) დონეებში პროდუცენტის (მწარმოებლის) როლს ასრულებს. მისგან სინთეზირებული ორგანული ნივთიერებებით კი იკვებება ჰეტეროტროფული (კონსუმენტები) ორგანიზმები.

არსებობენ ისეთი ავტოტროფული ორგანიზმები, რომლებიც ენერგიას იღებენ არა მზისაგან, არამედ არაორგანული ნივთიერებების დაჟანგვის (დაჟანგვის უნარის მქონე ორგანიზმები ძირითადად ბაქტერიებია) შედეგად, კერძოდ, რკინის ბაქტერიები ჟანგავენ რკინის მარილებს ($FeCO_3$), გოგირდბაქტერიები - გოგირდწყალბადს ($H_2S$), ნიტრიფიკაციის ბაქტერიები - ამიაკს ($NH_3$), მანგანუმბაქტერიები - მანგანუმის მარილებს ($MnCO_3$) და სხვ. აღნიშნული ქიმიური რეაქციების ენერგიის ხარჯზე ნახშირბადის (IV) ოქსიდისა და წყლიდან წარმოიქმნება ორგანული ნივთიერებები და ეს პროცესი ქემოსინთეზის სახელწოდებითაა ცნობილი.

ქემოსინთეზის უნარის მქონე ბაქტერიები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ბიოსფეროში: გოგირდის ბაქტერიები მონაწილეობენ გოგირდის შემცველი ნივთიერებებისაგან ჩამდინარე წყლების გასუფთავების პროცესში, ნიტრიფიკაციის ბაქტერიები - აზოტის მიმოქცევაში და ამ გზით ინარჩუნებენ ნიადაგის ნაყოფიერებას, რკინის ბაქტერიები ხელს უწყობენ რკინის მადნის დაგროვებას.

ფოტოსინთეზის პროდუქტიულობა უზარმაზარია. ყოველწლიურად დედამიწის მცენარეული სამყაროს მიერ 100 მლრდ ტ-ზე მეტი ორგანული შენაერთი წარმოიქმნება, რისთვისაც მცენარეები დაახლოებით 200 მლრდ ტ. ნახშირორჟანგს ითვისებენ და ატმოსფეროში გამოყოფენ 145 მლრდ ტ. ჟანგბადს. ფიქრობენ, რომ თანამედროვე ატმოსფეროს ჟანგბადი მთლიანად ფოტოსინთეზისეული წარმოშობისაა.

ფოტოსინთეზი წარმოადგენს ენერგიის წყაროს დედამიწის ზედაპირზე, რომელსაც იყენებს ადამიანი. იგი ამ ენერგიის დაახლოებით 90%-ს იყენებს საკვებთან ერთად, ტექნიკაში და სხვა სახით.

მცენარეთა სამყაროს ცხოველქმედების შედეგად დედამიწის წიაღში დაგროვდა ქვანახშირი, ტორფი, ნავთობი, უდიდესი რაოდენობის ბიომასა.

ფოტოსინთეზის მეშვეობით უზრუნველყოფილია ბუნებაში ნივთიერებათა სტაბილური წრებრუნვა და ატმოსფეროს შემადგენლობის შენარჩუნება. ფოტოსინთეზი აბრკოლებს ნახშირორჟანგის კონცენტრაციის გაზრდას ატმოსფეროში, რის შედეგადაც დედამიწას იცავს გადახურებისაგან.

მაშასადამე, ფოტოსინთეზი ბიოსფეროში მიმდინარე ერთადერთი ბიოლოგიური პროცესია, რომელიც მზის ენერგიის ხარჯზე ახდენს ბიოსფეროს ენერგიის გადიდებას, რის შედეგადაც უზრუნველყოფს როგორც მცენარეების, ისე სხვა ცოცხალი ორგანიზმის, მათ შორის, ადამიანის სიცოცხლეს.

**ლიტერატურა:**

1. ალექსიძე ნ., ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები, თბ., 2005.
2. ბოტანიკა, ავტორთა ჯგუფი: ე. გუგავა, ლ. ხატიაშვილი, ე. ვადიანი, ი. ყარალაშვილი, ლ. ტაბიძე, დ. კალატოზიშვილი, თბ., 2003.
3. ჩხაიძე გ., მცენარეთა ფიზიოლოგია, თბ., 2003.
4. შათირიშვილი ა., ცაგარელი ს., ცარციძე მ., ზოგადი ბიოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 1999.
5. კემპი პ., არმსი კ., ბიოლოგია, ტ. 2, (პროფ. ე. აბზიანიძის თარგმანი), თბ., 1998.
6. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ., 1985.

# საყოფაცხოვრებო ნარჩენები - პრობლემა და რესურსი

**თეონა მესხი, ლელა ხაჟომია**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის პროფესიული სწავლების სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნინო პეპანაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

დღეს არსებულ მრავალ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემას შორის ერთ-ერთს საყოფაცხოვრებო ნარჩენების კოლოსალური რაოდენობა და მისი სწორი მართვა წარმოადგენს. სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ადამიანის კეთილდღეობა, მაგრამ ამ პროცესმა, მოსახლეობის ზრდასთან ერთად, შეუქცევადი გახადა საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობის მატებაც. დღევანდელობიდან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია, რა რაოდენობის ნარჩენი დაგროვდება, თუ მსოფლიოო მოსახლეობამ გაეროს ექსპერტების მიხედვით 2050 წლისათვის 8,9 მილიარდს მიაღწია [4], აშშ-ს გარემოს დაცვის სააგენტოს მონაცემების თანახმად, ერთ ამერიკელზე მოდის დღეში დაახლოებით 2 კგ, კვირაში 13 კგ, წელიწადში 750 კგ ნარჩენი (არ იგულისხმება სამრეწველო ან კომერციული ნაგავი) [8], თუმცა ეს რიცხვები განსხვავებული შეიძლება იყოს სხვა ქვეყნებისათვის. მაგალითად, მექსიკაში ეს მაჩვენებლები 30 %-ით მეტია. ჟურნალ "ფორბსის" მონაცემებით [10], აშშ მსოფლიოში პირველ ადგილზეა ნაგვის ყოველწლიური წარმოქმნით (236 მლნ ტ.), მას მოსდევს რუსეთი (207.4 მლნ ტ.), იაპონია (52.36 მლნ.), გერმანია (48.84 მლნ ტ.), დიდი ბრიტანეთი (34.85 მლნ ტ.), მექსიკა (32.17 მლნ ტ.), საფრანგეთი (32.17 მლნ ტ.), იტალია (29.74 მლნ ტ.), ესპანეთი (26.34 მლნ ტ.), თურქეთი (25.99 მლნ ტ.). რა თქმა უნდა თავს ვერ ვინუგეშებთ იმით, რომ ეს მონაცემები მხოლოდ დასახელებულ ქვეყნებს ეხებათ. პრობლემა საყოველთაოა და გონივრულ და რაციონალურ გადაწყვეტას საჭიროებს. გაეროს მონაცემების მიხედვით [11], მსოფლიოს მოსახლეობის დაავადებების შემთხვევათა 25-დან 35% პირდაპირ უკავშირდება გარემოს ობიექტების დაბალ ხარისხობრივ მდგომარეობას; ნაადრევი სიკვდილიანობის შემთხვევათა 18% გამოწვეულია გარემოს არადამაკმაყოფილებელი პირობებით, რომელთაგანაც 1% განპირობებულია მოსახლეობის ჯანმრთელობაზე სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ზეგავლენით. ნაგვის ,,თავიდან მოშორება'' ასე ადვილი არაა. მართალია, სახლიდან ვიშორებთ და ნაგავსაყრელზე მიგვაქვს, ის მაინც მოქმედებს გარემოზე, მიუხედავად იმისა, რომ ნაგავი იტკეპნება და მიწისა თუ სხვა ინერტული მასალის ფენით იფარება. ხდება ორგანულად წარმოქმნილი მეთანის თვითაალება და სხვადასხვა მასალის (ტყავის, ხის, პლასტმასის და ა.შ.) მზჟუტავი წვა, რაც წარმოქმნის უაღრესად მავნე ნივთიერებებს, რომლებიც ატმოსფეროში გაიფრქვევა. გარდა ამისა, ნარჩენებში ჩაჟონილ წვიმის წყალს შეუძლია დააბინძუროს გრუნტის ან მდინარის წყლები.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემა ახალი არ არის. როგორც ცნობილია, ნაგვის შეგროვება და გატანის პრობლემა ძველ ბერძნებსაც აწუხებდათ, რომლებმაც 4,5 ათასი წლის წინ ნაგავთან დაკავშირებით სპეციალური კანონი მიიღეს, რომელიც ადამიანებს ავალდებულებდა, ნაგავი გაეტანათ ათენიდან კილომეტრნახევრით დაშორებულ, სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე [5]. მეთხუთმეტე საუკუნის დასაწყისში, ევროპის მთელ ტერიტორიაზე უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა. ქალაქების მიმდებარე ტერიტორიები ნაგვით იყო სავსე. მაგალითად, პარიზში ნაგვის გროვები ქალაქის გალავანზე უფრო მაღალი იყო. სწორედ ამისთვის ქვეყნები დაისაჯნენ შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელებით, რომელმაც 140 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტეს ევროპის მმართველებმა ნაგვის ქალაქებიდან გატანა. შექმნეს სპეციალური სამსახურები და მათ კანონით ქუჩებისა და სასმელი წყლის სისუფთავეზე პასუხისმგებლობა დააკისრეს. მათვე შემოიღეს ჯარიმის პირველი ფორმებიც. ნედლეულის მეორად გადამუშავებაზე ყველაზე ძველი დოკუმენტური ისტორიული მასალები იაპონიის შესახებ მოიპოვება. ევროპამ ამ საკითხს ყურადღება მხოლოდ 1630 წელს მიაქცია და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ქაღალდისა და ქსოვილების გადამამუშავებელმა პირველმა ქარხანამ დაიწყო ფუნქციონირება. 1895 წელს, ნიუ-იორკში, გაჩნდა იდეა - მოეხდინათ ნაგვის პირველადი დახარისხება. ქალაქის ხელმძღვანელობამ მაშინვე მოუწოდა მოქალაქეებს გადაერჩიათ ნარჩენები, კერძოდ, მათი შემდგომი გადამუშავების მიზნით გამოეცალკევებინათ ერთმანეთისაგან ქაღალდი, საკვები, ქსოვილი და ლითონი. ორი წლის შემდეგ, ქვეყანაში დაიწყო ფუნქციონირება პირველმა ნაგავგადამამუშავებელმა ქარხანამ. დღეისათვის, ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ნარჩენების დახარისხება და მათი შემდგომი გადამუშავება იმდენად მაღალ ხარისხშია აყვანილი, რომ ნაგავსაყრელზე ხვდება ნარჩენების მთლიანი მოცულობის მხოლოდ მეოთხედი, დანარჩენი გადამუშავებას ექვემდებარება [5].

ევროკავშირის ჩარჩო დირექტივაში [1] ნარჩენი განმარტებულია, როგორც ადამიანის აქტივობის თანმხლები პროდუქტი და განისაზღვრება როგორც ნებისმიერი ნივთიერება, ან საგანი, რომლის თავიდან მოშორებაც სურს, ან ევალება მის მფლობელს.

ნარჩენების მართვა არის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილებასთან, მათ წარმოქმნასთან, შეგროვებასთან, ტრანსპორტირებასთან, გამოყენებასთან, გაუვნებელყოფასა და განთავსებასთან. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების წარმომადგენლები ათეულობით წლებია ცდილობენ ამ პრობლემის გადაწყვეტას და ნარჩენების მართვის სფეროში მუდმივად ახალ ტექნოლოგიებს გვთავაზობენ. რამდენიმე წლის წინ, კერძოდ 2005 წელს, იაპონიაში ოფიციალურად გავრცელდა ინფორმაცია 3R-ის ინიციატივის დანერგვასთან დაკავშირებით. მომდევნო წლის მარტში (2006 წელი) ქ. ტოკიოში შეიკრიბა მსოფლიოს 20-ზე მეტი სახელმწიფოს წარმომადგენელი 3R-ის ინიციატივის განსახილველად. შეხვედრაზე მიიღეს რეზოლუცია, რომელიც შეხვედრაში მონაწილე ქვეყნების მთავრობებს და დაინტერესებულ მხარეებს ავალდებულებს ხელი შეუწყონ 3R-ის ინიციატივის დანერგვას ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, ასევე მის პოპულარიზაციას მსოფლიოში.

დღეისათვის 3R-ის ინიციატივას საფუძვლად უდევს ნარჩენების მართვის ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიები მსოფლიოში.

ტერმინი - 3R შესაბამისი სამი სიტყვის (ანუ იმ სამი ქმედებისა, რომელიც ყველაზე მთავარია ნარჩენების მართვის პროცესში) პირველი ასოების ერთობლიობას წარმოადგენს. ესენია: Reduce – შემცირება; Reuse – ხელახალი გამოყენება; Recycle – რეციკლირება ანუ გადამუშავება.

ნარჩენების შემცირება (Reduce) გულისხმობს ნაკლების ყიდვას და, შესაბამისად, ნაკლების მოხმარებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა შევიძინოთ ოპტიმალური რაოდენობის როგორც პროდუქტი, ასევე სხვა საქონელი, რითაც თავიდან ავიცილებთ ნარჩენების წარმოქმნას. ნარჩენების ხელახალი გამოყენება (Reuse) გულისხმობს უკვე მოხმარებული ნივთების მეორად გამოყენებას. ეს შეიძლება იყოს ნივთების იგივე ან სხვა დანიშნულებით გამოყენება. საჭირო და კარგ მდგომარეობაში მყოფი ნივთების გაცვლა ან ხელახალი გამოყენება. მათი ტექნოლოგიური გადამუშავების გარეშე ზოგავს დროს, ფულს, ენერგიასა და რესურსებს. ხელახალი გამოყენების კლასიკური მაგალითებია: მინის ბოთლების ჩაბარება საწარმოში, სადაც მას ხელახლა იყენებენ პროდუქციის ჩამოსასხმელად, ავტომობილების და მათი ნაწილების ხელახალი გამოყენება, მეორადი ტანსაცმლით სარგებლობა და სხვ. ნარჩენების რეციკლირება ანუ გადამუშავება (Recycle) ნარჩენების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების მთავარ კომპონენტად ითვლება და გულისხმობს გამოყენებული ნივთის ან ნარჩენის ტექნოლოგიურ გადამუშავებას სხვა პროდუქტად. ამ კომპონენტს უდიდესი ყურადღება ექცეოდა საერთაშორისო დონეზე ჯერ კიდევ 3R-ის ინიციატივის დანერგვამდე. რეციკლირების შედეგად მცირდება ნედლი მასალის ან რესურსის მოხმარება, რაც, თავის მხრივ, ზოგავს ენერგიას, ამცირებს ჰაერის და წყლის დაბინძურებას (ნაგავსაყრელებიდან) და ა.შ. დღეისათვის ფართოდ მოხმარებული ნივთების უმეტესობა გადამუშავებას ექვემდებარება. 2003 წელს ევროკავშირში მიღებულია სპეციალური კანონი, რომელიც ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებს ავალდებულებს დაახარისხონ კონკრეტული 7 სახის ნარჩენი და გააგზავნონ ისინი შესაბამის ადგილებში რეცილკირებისთვის. ეს მასალებია: ალუმინი, მუყაო, მინა, ქაღალდი, პლასტმასი, ფოლადი, ხის ნაკეთობა.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ლიტერატურაში სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდება ტერმინი 4R, რაც გულისხმობს მეოთხე პრინციპს - შეცვლას (Replace), რომელიც მოგვიწოდებს შევცვალოთ ცელოფნის პაკეტები ქაღალდით, პლასტმასის ბოთლები და ჭურჭელი - მინის ჭურჭლით, არ გამოვიყენოთ ერთჯერადი მოხმარების საგნები და ა.შ.

სამწუხაროდ, 3R-ის ინიციატივის წარმატებით შესრულების დროსაც კი რჩება ისეთი ნარჩენები, რომლებსაც ვერც გადავამუშავებთ და ვერც ხელახლა გამოვიყენებთ. ამიტომ ნარჩენების მართვაში 3R-ის გარდა დამატებითი კომპონენტებიც არსებობს. ყველა ეს კომპონენტი ერთად აღებული ქმნის ე.წ. “ნარჩენების იერარქიას”, რომლის საფუძველი მაინც 3R-ის ინიციატივაა.

„ნარჩენების იერარქიის” მთავარი ამოცანაა ნარჩენების მართვის შედეგად ადამიანებმა მაქსიმალური პრაქტიკული სარგებელი მივიღოთ და მინიმალური ზიანი მივაყენოთ გარემოს. დღეისათვის ნარჩენების იერარქიის ევროპული მოდელი 5 ძირითადი კომპონენტისაგან შედგება: 1. შემცირება; 2. ხელახალი გამოყენება; 3. გადამუშავება; 4. ნარჩენების გარდაქმნა ენერგიად და 5. ნარჩენების განთავსება.

ნარჩენების იერარქიის მეოთხე კომპონენტია ნარჩენების გამოყენება ენერგორესურსად (Energy Recovery), რომელიც გულისხმობს სპეციალური ტექნოლოგიების მეშვეობით ნარჩენების თერმულ დამუშავებას/დაწვას, რომლის დროსაც წარმოიქმნება სასარგებლო ენერგია. დღეისათვის მიჩნეულია, რომ ნარჩენების გარდაქმნა ენერგიად ნარჩენების მართვის ინტეგრირებული მეთოდის ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, თუმცა გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ის მაინც ნაკლებად სასურველ კომპონენტად ითვლება.

ნარჩენების ენერგიად გარდაქმნის საუკეთესო მაგალითია ნაგავსაყრელებიდან გამომუშავებული ენერგია, რომელიც დასახლებული პუნქტების ცენტრალური გათბობისათვის და ელექტრო-ენერგიის მისაღებად შეიძლება გამოიყენოთ. მსგავსი ქმედებები რეგულირდება შესაბამისი კანონით.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ ქვეყანაში ნარჩენების თერმული დამუშავება ან დაწვა კანონით იკრძალება, თუკი ამის შედეგად არ გამომუშავდება სასარგებლო ენერგია. ნარჩენების იერარქიის მეხუთე კომპონენტი - ნარჩენების განთავსება (Disposal) გულისხმობს ნარჩენების კანონიერ და კონტროლირებად განთავსებას მიწის ზედაპირზე [6].

მსოფლიო ბანკის გამოთვლებით, 2025 წელს მთელი მსოფლიოს ნარჩენების მონაცემები წელიწადში 2,2 მილიარდ ტონამდე ავა. ეს კი დღევანდელ მონაცემებზე 70%-ით მეტია 1,3 მილიარდი ტონა. ამავე დროს მყარი ნარჩენების ღირებულება 375 მილიარდი დოლარით გაიზარდა [7].

,,ზრდა ზრდისთვის''- აღნიშნავს გარემოსდაცვით საკითხებზე მწერალი ედვარდ ებბი, -კიბოს უჯრედის იდეოლოგიას წარმოადგენს. როგორც მუდმივად მზარდი კიბო საბოლოოდ ანადგურებს მის მკვებავ სისტემას და მიმღებს, ასევე მუდამ მზარდი მსოფლიო ეკონომიკა ანადგურებს მის მასაზრდოებელს [3].

საქართველოში, 2007 წლის მონაცემებით, სავარაუდოდ, ყოველწლიურად წარმოიქმნებოდა 3.24 მ$^3$ (ანუ დაახლოებით 800 ათასი ტონა) მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი. გასულ საუკუნეში საქართველოში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონების ტერიტორიათა უმრავლესობა, მათ შორის, ქ. თბილისის იაღლუჯასა და გლდანის ნაგავსაყრელებიც გამოიყო სტიქიურად, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და ლანდშაფტურ-გეოქიმიური პირობების გაუთვალისწინებლად. ამჟამად ქ. თბილისში წინა საუკუნის პოლიგონები ოფიციალურად დალუქულია, მაგრამ მათი ნეგატიური გავლენა გარემოს ობიქტებზე ჯერ კიდევ გრძელდება. 1972 წლიდან 2010 წლის ნოემბრამდე ქალაქ თბილისში ფუნქციონირებდა საქართველოში ყველაზე ძველი ნაგავსაყრელი, რომელიც მდებარეობს გლდანში, დასახლებული პუნქტიდან 2,5 კმ-ში. ყოველწლიურად გლდანის ნაგავსაყრელზე (ფართობი 8 ჰა) შემოდიოდა 650 ათასი კუბ მეტრი ნარჩენი. იაღლუჯის დახურული ნაგავსაყრელი მდებარეობს ქალაქ რუსთავის მახლობლად, იაღლუჯის მთაზე. მისი ფართობი შეადგენს 5 ჰა. ექსპლოატაციაში შევიდა 1986 წელს. ყოველწლიურად ნაგავსაყრელზე შემოდიოდა 550 ათასი მ$^3$ ნარჩენი. მოსაწესრიგებელია ნარჩენებს შეგროვების, გატანისა და განთავსების სისტემა. არ ხდება ნარჩენების გადამუშავება და მეორად რესურსად გამოყენება. [2] თუმცა სოფელ ნორიოს მიმდებარე ტერიტორიაზე 83 ჰექტარზე განთავსებული თბილისის ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა დასრულებულია. ახალ ნაგავსაყრელზე ნაგვის გადამუშავება და მისი დახარისხება თანამედროვე ტექნოლოგიით არის განსაზღვრული. ტერიტორიაზე აშენებულია სამეურნეო და საოფისე შენობები. დამონტაჟებულია ავტომობილების ასაწონი სასწორები, სათვალთვალო ვიდეოკამერები.

2011 წელს "გარემო და უსაფრთხოების (ENVSEC) ინიციატივის მიერ მომზადებულ კვლევაში ,,GEO-ქალაქები თბილისი,“ ნათქვამია: მიუხედავად იმისა, რომ იქ ნაგავი არ შეაქვთ, თბილისის ორი დიდი – გლდანისა და იაღლუჯას ნაგავსაყრელები, საერთო ფართობით 13 ჰექტარი – დღემდე რჩება მიწისქვეშა წყლის, ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურების წყაროდ.

„მავნე ნივთიერებების გამოყოფა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებს უქმნის თბილისის, რუსთავისა და მიმდებარე დასახლების მოსახლეობას. გარდა ამისა, ორგანული მასალების ბუნებრივი ხრწნის გამო, ნაგავსაყრელები გამოყოფს სათბურის ეფექტის მქონე აირებს, როგორიცაა ნახშირორჟანგი და მეთანი“, – ნათქვამია კვლევაში.

ჩვენ ასევე დავინტერესდით გორის ნაგავსაყრელითაც, რომელიც გორთან ძალიან ახლოს მდებარეობს, მთელ ქალაქს ემსახურება და მრავალჯერ გამხდარა მოსახლეობის პროტესტისა და სატელევიზიო დებატების საგანი. ადგილობრივი კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიშით, რომელიც 2011-2012 წლების პერიოდს მოიცავს, ვიგებთ, რომ 2011 წელს, გორში, 198 860 კვ.მ ფართობიდან გატანილმა მასამ 23 856 მ$^3$, მოსახლეობიდან გატანილმა საყოფაცხოვრებო ნარჩენებმა 54 636 მ$^3$, ხოლო, ორგანიზაციებიდან გატანილი ნარჩენების რაოდენობამ – 25 728 მ$^3$ შეადგინა [9]. ჩვენს მიერ შესაბამის სტრუქტურებში მოძიებული ინფორმაციით, კვერნაქის ნაგავსაყრელზე ყოველწლიურად შედის საშუალოდ 68 400 მ$^3$ ნარჩენი. ჩვენს მიერ გამოკითხული კვერნაქების მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებნი ადასტურებენ, რომ აქ ცხოვრების პირობები რთულია. ზაფხულში დასახლების ამ ნაწილში აუტანელი სუნი და მწერების სიმრავლეა. ნარჩენების გროვები მაწანწალა ძაღლების, მღრღნელებისა და ქვეწარმავლების თავშესაფრადაა ქცეული. იქმნება ინფექციური დაავადებების წარმოქმნისა და გავრცელების საშიშროება. აქ ხშირად ნახავთ საძოვარზე გაშვებულ საქონელსაც. ყველგან ყურადღებას იქცევს პოლიეთილენის პარკებით ,,შემკული'' ბუჩქები და ხეები, რასაც მოსახლეობა ირონიით ,,ნატვრის

ხეებად" მოიხსენიებს. ხშირად შენიშნავთ ჯართის და სხვა შედარებით გამოსადეგი ნივთების შეგროვებით დაკავებულ ადამიანებსაც... როგორც განგვიმარტეს, იგეგმება საჭირო, პრევენციული ღონისძიებების გატარება ადგილობრივ დონეზე, მაგრამ კითხვაზე, იგეგმება თუ არა ქალაქის მთავარი ნაგავსაყრელის გადატანა, უარყოფითი პასუხი მივიღეთ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ლოდინი იმისა, როდის მიიღებენ ქვეყნების მთავრობები გადამწყვეტ ღონისძიებებს, აბსურდულია. მიგვაჩნია, რომ თითოეული მოქალაქის აქტივობა მნიშვნელოვნად შეამცირებს ეკოლოგიურ საფრთხეებს. სტატიაში განხილული მასალებიდან გამომდინარე, პრობლემის მოსაგვარებლად, ჩვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე პუნქტის შესრულებაც გარკვეულ შედეგამდე მიგვიყვანს:

1. არ გავხდეთ დამბინძურებლები! არ დავყაროთ ნაგავი სკვერებში, ქუჩაში და ა.შ. მიზეზი არ უნდა იყოს ის, რომ ახლოს ნაგვის ურნა არაა!
2. ნარჩენები მოვათავსოთ ქაღალდის პარკებში, რათა სწრაფად დაიშალოს ბიოლოგიურად;
3. ხელმეორედ გამოვიყენოთ პოლიეთლენის პარკები;
4. ვეცადოთ სასმელები ვიყიდოთ მინის (და არა ალუმინის, ან პლასტიკატის) ქილებში შეფუთული;
5. გამოვიყენოთ ნაჭრის ჩანთები მუდმივ სატარებლად და ნუ ვიყიდით პოლიეთილენის პარკებს;
6. არ ვიყიდოთ იმაზე მეტი, ვიდრე გვჭირდება;
7. დავახარისხოთ ნაგავი და რისი გამოყენებაც კიდევ შეიძლება, ნუ გადავყრით, მაგალითად ქაღალდს, რომელიც შეიძლება გადამამუშავებელ ქარხანას ჩავაბაროთ;
8. საკვების ნარჩენების გარკვეული რაოდენობა შეგვიძლია გამოვიყენოთ ფრინველებისთვის!
9. არ გადავყაროთ ძველი ტანსაცმელი და სხვა ნივთები! თუ შენ აღარ გჭირდება ნივთი, ყველანაირად ეცადე მოუძებნო მას მეორადი გამოყენება, სანამ გადააგდებ, იფიქრე, იქნებ ვინმეს დასჭირდეს იგი;
10. თუ კი ვერ მოუნახე ნივთს მეორადი გამოყენება, ეცადე, მოძებნო მისი გადამუშავების შესაძლებლობები;
11. თუ კი ვერ მოუნახე ნივთს გადამუშავების შესაძლებლობები, ეცადე მოძებნო მისგან ენერგიის მიღების შესაძლებლობები;
12. მხოლოდ მაშინ განათავსე ნივთი ნაგავსაყრელზე, როცა მისი გამოყენების ყველა სხვა შანსი ამოწურულია!

**ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:**


1. ევროკავშირის ჩარჩო დირექტივა ნარჩენების შესახებ 75/442/EEC
2. „ნარჩენების მართვა: თანამედროვე გამოწვევები", ჰაინრიხ ბიოლის ფონდში გამართული საჯარო დისკუსია, 2010 წელი, 19 მაისი.
3. კენ ვებსტერი, გადახედე, უარი თქვი, შეამცირე, თბ., 2007.
4. World population to 2300, Economic and Social Affairs, United Nations, New York, 2004.
5. http://ekofact.com
6. http://www.cleanup.ge/?lang=geo&go=3r
7. http://ekofact.com/2012/06/13/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A7%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%A1/
8. http://www.wisegeek.org/how-much-garbage-does-a-person-create-in-one-year.htm
9. http://qartli.ge/web/4802
10. http://www.forbes.com/2006/05/23/waste-worlds-worst-cx_rm_0524waste.html; http://greenanswers.com/q/63410/recycling-waste/garbage/what-countries-produce-most-trash#ixzz2J5WyQtxX
11. http://search.un.org/search?q=waste&btnG=Search+UN+Website&output=xml_no_dtd&client=UN_Website_en&num=10&lr=lang_en&proxystylesheet=UN_Website_en&oe=UTF-8&ie=UTF-8&Submit=Go&sort=date%3AD%3AL%3Ad1&ud=1&exclude_apps=1&site=un_org

# ძალდებული კრიტერიუმები

**მერი ტერუნაშვილი**
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზურაბ ზერაკიძე,** სრული პროფესორი

ნაშრომში განხილული და აგებულია ცხადი სახით ძალდებული კრიტერიუმი ორი ალბათური ზომის მიმართ, ასევე ცხადი სახითაა გამოთვლილი I და II რიგის შეცდომების ალბათობები, რომლებიც ნულის ტოლია.

ვთქვათ $(E,S)$ არის ზომადი სივრცე და $\sigma$-ალგებრა $S$-ზე მოცემულია $\{\mu_{H_i}, i \in I\}$ ალბათურ ზომათა ოჯახი. შემოვიტანოთ ზოგიერთი განსაზღვრება (1,2).

განსაზღვრება 1. ალბათურ $\{\mu_{H_i}, i \in I\}$ ზომათა ოჯახს ეწოდება ძლიერად განცალებადი ოჯახი, თუ არსებობს ისეთი $S$-ზომადი წყვილ-წყვილად თანაუკვეთადი $\{A_i, i \in I\}$ სიმრავლეები ისეთები, რომ $\mu_{H_i}(A_i) = 1 \ \forall i \in I$.

განსაზღვრება 2. ჰიპოთეზებს ვუწოდებთ ნებისმიერ გამონათქვამს, რომელიც განსაზღვრავს განაწილების ფუნქციის სახეს.

ვთქვათ $|H|$ არის ჰიპოთეზათა სიმრავლე და $\beta(|H|)$ არის ამ სიმრავლეებიდან წარმოქმნილი $\sigma$-ალგებრა, რომელიც შეიცავს ყველა სასრულ ელემენტებიან სიმრავლეებს.

განსაზღვრება 3. (ეს განსაზღვრება შემოიტანა ზურაბ ზერაკიძემ). ჩვენ ვიტყვით, რომ ალბათურ ზომათა $\{\mu_H, H \in |H|\}$ ოჯახი უშვებს ძალდებულ კრიტერიუმებს ჰიპოთეზათა შემოწმებისათვის, თუ არსებობს ერთი მაინც ისეთი ზომადი $\partial$ ასახვა $(E,S) \xrightarrow{\delta} (|H|, \beta(|H|))$, ისეთი, რომ სრულდება შემდეგი პირობები: $\mu_H(x : \delta(x) = H) = 1 \ \forall H \in |H|$.

შენიშვნა 1. თუ $y \in \{x : \delta(X) = H_K\}$ მაშინ ვამბობთ, რომ $H_K$ ჰიპოთეზა სამართლიანია.

განსაზღვრება 4. გამოსახულებას $\alpha_i(\delta) = P_{H_i}(x : \delta(x) \neq H_i)$ ეწოდება $i$-ური რიგის შეცდომის ალბათობა მოცემული $\delta$ კრიტერიუმისათვის.

შენიშვნა 2. თუ $\delta$ არის ძალდებული კრიტერიუმი ჰიპოთეზებისათვის, მაშინ ნებისმიერი რიგის შეცდომის ალბათობა მოცემული $\delta$ კრიტერიუმისათვის ნულის ტოლია. ეს ყოველთვის ასე რომ არ არის მოვიყვანთ მაგალითებს. მოცემულია ორი ჰიპოთეზა $H_1$ და $H_2$.

მაგალითი 1. განვსაზღვროთ $\delta$ კრიტერიუმი ასე: $\delta(X) \equiv H_1 \ \forall x \in E$, მაშინ I რიგის შეცდომის ალბათობა მოცემული $\delta$ კრიტერიუმისათვის არის $\alpha_1(\delta) = P_{H_1}(x : \delta(x) \neq H_1) = P_{H_1}(\Theta) = 0$, ხოლო მეორე რიგის შეცდომის ალბათობა მოცემული $\delta$ კრიტერიუმისათვის $\alpha_2(\delta) = P_{H_2}(x : \delta(x) \neq H_2) = P_{H_2}(E) = 1$.

მაგალითი 2. განვსაზღვროთ $\delta_1$ კრიტერიუმი შემდეგნაირად $\delta_1(X) \equiv H_2 \ \forall x \in E$ მაშინ $\alpha_1(\delta_1) = P_{H_1}(x : \delta_1(x) \neq H_1) = P_{H_1}(E) = 1$, $\alpha_2(\delta_1) = P_{H_2}(x : \delta_1(x) \neq H_2) = P_{H_2}(\Theta) = 0$.

ჩვენი მიზანია ავაგოთ ორი ჰიპოთეზისათვის ძალდებული კრიტერიუმი. ვთქვათ მოცემულია სტანდარტული ნორმალური განაწილება, რომლის სიმკვრივეა $f(x) = \frac{1}{\sqrt{2n}} e^{-\frac{x^2}{2}}$ ცნობილია, რომ $\frac{1}{\sqrt{2n}} \int_{-\infty}^{+\infty} e^{-\frac{x^2}{2}} dx = 1$. (იხ. ნახ. 1)



ნახ. 1

ჩვენ შემთხვევაში $(E,S)$ როლში არის $(R,\beta(R))$, სადაც $R=(-\infty;+\infty)$, ხოლო $\beta(R)$ არის ბორელის $\sigma$-ალგებრა. $f(x)$ სიმკვრივის გაუსის შესაბამისი ალბათური ზომა აღვნიშნოთ $\mu$-თი. განვსაზღვროთ ორი $\mu_{H_1}$ და $\mu_{H_2}$ ალბათური ზომები შემდეგნაირად

$$\mu_{H_1}(A)=\begin{cases}2\mu(A); A\subseteq(-\infty;0)\\ 0; A\subseteq[0;+\infty)\end{cases};$$

$$\mu_{H_2}(A)=\begin{cases}2\mu(A); A\subseteq[0;+\infty)\\ 0; A\subseteq(-\infty;0)\end{cases};$$

ცხადია, რომ $\mu_{H_1}$, $\mu_{H_2}$ ალბათობები ძლიერად განცალებადია. განვსაზღვროთ $\delta$ კრიტერიუმი შემდეგნაირად $\delta(x)=\begin{cases}H_1; x\in(-\infty;0)\\ H_2; x\in[0;+\infty)\end{cases}$.

ვაჩვენოთ, რომ $\delta$ არის ძალდებული კრიტერიუმი. მართლაც $\delta$ ზომადი ასახვაა $(R;\beta(R))\xrightarrow{\delta}(|H|;\beta(|H|))$ და $\mu_{H_1}(x:\delta(x)=H_1)=\mu_{H_1}(-\infty;0)=1$

$$\mu_{H_2}(x:\delta(x)=H_2)=\mu_{H_2}([0;+\infty))=1$$

ახლა ვაჩვენოთ, რომ I და II რიგის შეცდომების ალბათობები ამ $\delta$ კრიტერიუმისათვის ნულის ტოლია. მართლაც

$$\alpha_1(\delta)=\mu_{H_1}(x:\delta(x)\neq H_1)=\mu_{H_1}([0;+\infty))=0$$

$$\alpha_2(\delta)=\mu_{H_2}(x:\delta(x)\neq H_2)=\mu_{H_2}((-\infty;0))=0$$

ამრიგად ავაგეთ ძალდებული კრიტერიუმი $H_1$ და $H_2$ ჰიპოთეზებისათვის, რომლისთვისაც I და II რიგის შეცდომის ალბათობები ნულის ტოლია.

ძალდებული კრიტერიუმები საშუალებას იძლევა შევამოწმოთ ჰიპოთეზები. ამ კრიტერიუმით პირველი გვარის შეცდომის ალბათობა და მეორე გვარის შეცდომის ალბათობა ნულის ტოლია. ამ შედეგების გამოყენება შეიძლება ფინანსებში, ეკონომიკაში, ფიზიკაში და სხვ.

**ლიტერატურა:**

1. Borovkov A., Mathematical statistic, Moscow, 1984.
2. Zerakidze Z., Обобщение критерия Неймана-Пирсона, Proceedings of the international Scientific conference “Information technologies 2008”. ISBN 978-9941-14-191-1, 2008.

# ორცვლადიანი წრფივი პროგრამირების ამოცანის გამოყენების კერძო მაგალითი

**მერი ტერუნაშვილი**
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლელა ალექსიძე**, ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე ეპოქაში მათემატიკა ცხოვრების განუყრელი ნაწილია. იგი გამოიყენება ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში. მათემატიკის გამოყენებით შესაძლებელია რთული სიტუაციის თვალსაჩინო წარმოჩენა, მოვლენების ახსნა და მათი შედეგების განჭვრეტა. მათემატიკაში შექმნილი აბსტრაქტული სისტემები და თეორიული მოდელები გამოიყენება კანონზომიერებების შესასწავლად, სიტუაციის გასაანალიზებლად და პრობლემების გადასაჭრელად.

რეალური ცხოვრებისეული ამოცანების გადაწყვეტის ერთ-ერთი მძლავრი მეთოდია წრფივი დაპროგრამება (სიტყვა პროგრამირება არ ნიშნავს, რომ მას რაიმე დიდი კავშირი აქვს პროგრამირებასთან, ეს სიტყვა ამ სათაურის კონტექსტში უბრალოდ გამოიყენება როგორც: დაგეგმვა, ანუ წრფივი დაგეგმვა), რომლის გამოყენება ზრდის საწარმოო პროცესის ეფექტურობას.

იმ ამოცანებს, რომლებშიც მოსაძებნია წრფივი ფუნქციის უდიდესი ან უმცირესი მნიშვნელობა და რომლებშიც ცვლადები აკმაყოფილებენ წრფივი უტოლობების სახით მოცემულ შეზღუდვებს, ეწოდებათ წრფივი დაპროგრამების ამოცანები.

წრფივი დაპროგრამების მათემატიკური ამოცანების ამოხსნა იყოფა ორ ეტაპად:

პირველ ეტაპზე ხდება წრფივ უტოლობათა სისტემების ამოხსნა ანუ წერტილთა იმ სიმრავლის მოძებნა, რომელთა კოორდინატებიც აკმაყოფილებენ მოცემული სისტემის ყველა უტოლობას. ამ სიმრავლეს უწოდებენ დასაშვებ სიმრავლეს.

მეორე ეტაპზე კი ვპოულობთ მოცემული წრფივი ფუნქციის (ე.წ. მიზნის ფუნქციის) უდიდეს ან უმცირეს მნიშვნელობას დასაშვებ სიმრავლეზე.

იმისათვის, რომ ეკონომიკური ამოცანა დავიყვანოთ წრფივი დაპროგრამების ამოცანაზე, საჭიროა:

1. შემოვიღოთ x და y ცვლადები;
2. დავწეროთ მიზნის ფუნქციის გამოსახულება x და y ცვლადების საშუალებით და დავადგინოთ, მინიმიზაციის პრობლემასთან გვაქვს საქმე თუ მაქსიმიზაციის პრობლემასთან;
3. ამოვწეროთ ამოცანის პირობიდან გამომდინარე ყველა შეზღუდვა x და y ცვლადების მიმართ (არაუარყოფითობის შეზღუდვის ჩათვლით, თუ ეს აუცილებელია).

თავდაპირველად განვიხილოთ ორცვლადიანი ერთი უტოლობა. საზოგადოდ მას ექნება ერთ-ერთი შემდეგი სახე:

$$ax + by > c$$

$$ax + by \geq c$$

$$ax + by < c$$

$$ax + by \leq c$$

სადაც $a, b, c$ რაიმე მუდმივებია. ამ უტოლობის ამოხსნა ნიშნავს სიბრტყის ყველა იმ წერტილის მოძებნას, რომელთა კოორდინატებიც აკმაყოფილებენ განსახილველ უტოლობას.

იმისათვის, რომ გეომეტრიულად ამოვხსნათ ასეთი ტიპის უტოლობა, პირველ რიგში უნდა განვიხილოთ $Oxy$ საკოორდინატო სიბრტყე და ავაგოთ $L$ წრფე, რომლის განტოლებაა: $ax + by = c$ .

ამ წრფით მთელი სიბრტყე გაიყოფა ორ ნახევარსიბრტყედ:




აქვე შევნიშნოთ, რომ თუ $(x_0;y_0)$ წერტილი არ ეკუთვნის $L$ წრფეს, მაშინ $ax_0+by_0\neq c$, რადგან $ax+by-c$ ფუნქცია ნული ხდება მხოლოდ $L$ წრფის წერტილებზე. ადვილი საჩვენებელია, რომ $ax+by-c$ ფუნქციას $L$ წრფის სხვადასხვა მხარეს სხვადასხვა ნიშანი აქვს. მისი ნიშნის დასადგენად ფიქსირებულ ნახევარსიბრტყეში საკმარისია ავიღოთ რაიმე „საცდელი წერტილი" $(x_0;y_0)$ და გამოვთვალოთ $ax_0+by_0-c$ სიდიდე. ამ რიცხვის ნიშანი განსაზღვრავს $ax+by-c$ ფუნქციის ნიშანს განსახილველ ნახევარსიბრტყეში. ამ მეთოდის გამოყენებით მარტივად დავასკვნით, რომ მოცემულ ნახევარსიბრტყეში

$ax+by>c$ ან $ax+by<c$

ამრიგად, თავდაპირველად მოცემული ტიპის უტოლობის ამონახსნს წარმოადგენს $ax+by=c$ წრფის ერთ-ერთ მხარეს მდებარე ნახევარსიბრტყე, რომლის ერთი „საცდელი წერტილი" აკმაყოფილებს მოცემულ უტოლობას. ამასთანავე, $L$ წრფე ეკუთვნის ამონახსნთა ნახევარსიბრტყეს, როდესაც გვაქვს არამკაცრი უტოლობა $ax+by\geq c$ ან $ax+by\leq c$, ხოლო $L$ წრფე არ ეკუთვნის ამონახსნთა ნახევარსიბრტყეს, თუ გვაქვს მკაცრი უტოლობა $ax+by>c$ ან $ax+by<c$.

რაც შეეხება, თუ მოცემულია რამდენიმე ორუცნობიანი წრფივი უტოლობებისაგან შედგენილი სისტემა, მაშინ მისი ამოხსნა ნიშნავს სიბრტყის ყველა იმ წერტილის მოძებნას, რომელთა კოორდინატები აკმაყოფილებენ სისტემაში შემავალ ყველა უტოლობას. რადგან თითოეული უტოლობის ამონახსნია ნახევარსიბრტყე, ამიტომ უტოლობათა სისტემის ამოხსნა დაიყვანება შესაბამისი უტოლობებით

განსაზღვრული ნახევარსიბრტყეების თანაკვეთის პოვნაზე. ამ თანაკვეთით განსაზღვრულ სიმრავლეს ეწოდება დასაშვები სიმრავლე (დასაშვები არე).

ვთქვათ, მოცემულია ორი x და y ცვლადის რაიმე წრფივი ფუნქცია $f(x;y) = Ax + By$, სადაც $A$ და $B$ მოცემული არანულოვანი მუდმივი რიცხვებია. დავუშვათ, რომ x და y ცვლადები შეზღუდულია რაიმე პირობით, რომლებიც გამოისახებიან წრფივი უტოლობების სისტემის სახით. ეს იმას ნიშნავს, რომ $(x;y)$ წერტილი იცვლება რაიმე დასაშვებ $\Omega$ სიმრავლეზე, რომელიც განისაზღვრება ხსენებულ უტოლობათა სისტემის ამოხსნით. მიღებულ $\Omega$ სიმრავლეს ეწოდება მოცემულ უტოლობათა სისტემით განსაზღვრული დასაშვებ (შესაძლო) მნიშვნელობათა არე (დმა). დმა-ის წერტილებს ეწოდებათ დასაშვები წერტილები. ე.ი. ასეთ $f(x;y)$ ფუნქციას კი ეწოდება მიზნის ფუნქცია.

თუ ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ვიპოვოთ $f(x;y) = Ax + By$ ტოლობით მოცემული $f(x;y)$ მიზნის ფუნქციის უდიდესი ან უმცირესი მნიშვნელობა დასაშვებ $\Omega$ სიმრავლეზე საჭიროა ვიგულისხმოთ, რომ $\Omega$ რაიმე მრავალკუთხედია, რომელიც მოთავსებულია წრფეებს შორის. $f(x;y)$ ფუნქციის უდიდესი ან უმცირესი მნიშვნელობები მიიღწევა ან ერთ წერტილში ან უამრავ წერტილში. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი საერთო წერტილები აქვს შესაბამის წრფეებს. ყველაზე არსებითი შედეგი, რაც გამომდინარეობს ზემოაღნიშნულიდან, ის არის, რომ უდიდეს და უმცირეს მნიშვნელობებს $f(x;y)$ ფუნქცია ყველა შემთხვევაში იღებს $\Omega$ მრავალკუთხედის წვეროებში. რადგან წვეროთა რიცხვი სასრულია, ეს საშუალებას გვაძლევს უმარტივესი ალგორითმით (უშუალო შედარებით) მოვძებნოთ ეს უდიდესი და უმცირესი მნიშვნელობები.

ამრიგად, წრფივი დაპროგრამების ამოცანის ამოსახსნელად (მიზნის ფუნქციის უდიდესი და უმცირესი მნიშვნელობების მოსაძებნად $\Omega$ მრავალკუთხედზე) მივიღეთ შემდეგი ალგორითმი:

I საფეხური: ავაგოთ $\Omega$ მრავალკუთხედი და მოვძებნოთ მისი წვეროების კოორდინატები.

II საფეხური: გამოვთვალოთ $f(x;y) = Ax + By$ ფუნქციის მნიშვნელობები ამ წვეროებში.

III საფეხური: შევარჩიოთ მიღებულ მნიშვნელობებს შორის უდიდესი და უმცირესი რიცხვები. სწორედ ისინი იქნებიან $f(x;y)$ ფუნქციის უდიდესი და უმცირესი მნიშვნელობები $\Omega$ სიმრავლეზე. თუ უმცირეს (უდიდეს) მნიშვნელობას $f(x;y)$ ფუნქცია იღებს ორ წვეროში, მაშინ ეს წვეროები აუცილებლად მდებარეობენ $\Omega$ მრავალკუთხედის ერთ გვერდზე და ამ გვერდის ყველა წერტილში $f(x;y)$ ფუნქცია იღებს იმავე უმცირეს (უდიდეს) მნიშვნელობას.

ცხადია თუ $\Omega$ არ წარმოადგენს შემოსაზღვრულ სიმრავლეს, მაშინ მიზნის ფუნქციის უმცირესი და უდიდესი მნიშვნელობების მოძებნა $\Omega$-ზე რთულდება და შეიძლება ისინი არც კი იზრდებოდნენ, ამიტომ ასეთი ამოცანები სპეციალურ შესწავლას მოითხოვენ.

განვიხილოთ შემდეგი კონკრეტული საწარმოო ამოცანა, რომლის პირობაც მდგომარეობს შემდეგში:

პურის საცხობი ინდ. მეწარმე „ანზორ ზერაძე“ აწარმოებს ორი სახის პროდუქციას - „D”- ფუნთუშებს და „S” - პურს. საწარმოო პროცესი გულისხმობს პროდუქციის დამუშავებას სამ ეტაპად:

I ეტაპი: მოზელა;

II ეტაპი: ამოჭრა;

III ეტაპი: გამოცხობა;

„D“-სახის პროდუქციის დასამზადებლად ერთ ტომარაზე I ეტაპზე საჭიროა 30 წთ., II ეტაპზე - 30 წთ., III ეტაპზე - 1 სთ.

„S“ -სახის პროდუქციის დასამზადებლად ერთ ტომარაზე I ეტაპზე საჭიროა 50 წთ., II ეტაპზე - 1 სთ. და 20 წთ., III ეტაპზე - 45 წთ.

მუშაობა დროში შეზღუდულია. ერთი კვირის განმავლობაში სამუშაო საათების მაქსიმალური რაოდენობა I ეტაპზე 71 სთ., II ეტაპზე - 105 სთ., III ეტაპზე - 126 სთ.

„D“-სახის ერთი ტომრიდან მიღებული პროდუქციის გაყიდვით მიღებული მოგებაა 3,05 ლარი, ხოლო „S“-სახის ერთი ტომრიდან მიღებული პროდუქციის გაყიდვით მიღებული მოგებაა 5,15 ლარი.

კომპანიას სურს დაადგინოს თუ რამდენი „D“ და „S“ სახის პროდუქცია (შეიძლება უფრო მეტი „D“ სახის ან უფრო მეტი „S“ სახის პროდუქტი) უნდა დაამზადონ, რომ მაქსიმალური მოგება მიიღონ.

„D“ და „S“ სახის პროდუქციის დასამზადებლად საჭირო ორივესთვის სამივე ეტაპის გავლა და სამუშაო საათების მაქსიმალური რაოდენობა ორივესთვის ერთად:

| საწარმოო პროცესი | სამუშაო საათების დანახარჯი ერთ ტომარაზე | | სამუშაო საათების მაქსიმალური რაოდენობა (კვირის განმავლობაში) |
|---|---|---|---|
| | „D“ სახის პროდუქტი | „S“ სახის პროდუქტი | |
| I ეტაპი | 30 წთ. | 50 წთ. | 71 სთ. |
| II ეტაპი | 30 წთ. | 1 სთ. 20 წთ. | 105 სთ. |
| III ეტაპი | 1 სთ. | 45 წთ. | 126 სთ. |
| მოგება რეალურ ერთეულზე | 3,05 ლარი | 5,15 ლარი | |

აღვნიშნოთ $x$-ით და $y$-ით „D“ და „S“ სახის პროდუქციის რაოდენობა, რომელიც სურს დაამზადოს კომპანიას კვირის განმავლობაში. მაშინ კვირის განმავლობაში მიღებული მოგებაა:

$$f(x;y) = 3{,}05x + 5{,}15y$$

კომპანიის მიზანია ამ $f(x;y)$ ფუნქციის მაქსიმიზაცია, $f(x;y)$ ფუნქციას ეწოდება ამ ამოცანის მიზნობრივი ფუნქცია. მიზნობრივი ფუნქცია: $f(x;y) = 3{,}05x + 5{,}15y \to \max$ ამას კი ჩავწერთ: $\max f(x;y)$ ან $\max(3{,}05x + 5{,}15y)$.

რადგანაც ამოცანის პირობით ყველა ეტაპზე სამუშაო საათების რაოდენობა შეზღუდულია, „D“ სახის $x$-ცალი და „S“-სახის $y$-ცალი პროდუქციის დამზადებაზე დახარჯული დრო არ უნდა აღემატებოდეს 71 სთ-ს. ე.ი. გვაქვს შემდეგი შეზღუდვა: $\frac{30}{60}x + \frac{50}{60}y \le 71 \to$ ( I ეტაპი).

ანალოგიურად მივიღებთ შეზღუდვებს, რომლებიც ითვალისწინებენ II და III ეტაპზე სამუშაო საათების მაქსიმალურ რაოდენობას.

$$\frac{30}{60}x + 1\frac{20}{60}y \le 105 \to \text{(II ეტაპი)}$$

$$x + \frac{45}{60}y \le 126 \to \text{(III ეტაპი)}$$

გარდა აღნიშნული შეზღუდვებისა, ცხადია, რომ $x$ და $y$ ცვლადები უნდა აკმაყოფილებდნენ არაუარყოფითობის შეზღუდვას $x \ge 0$ და $y \ge 0$

არაუარყოფითობის პირობები ასე ჩავწეროთ: $x, y \ge 0$.

ამრიგად, აღნიშნული ამოცანის მათემატიკური მოდელი შემდეგნაირად შეიძლება ჩაიწეროს: $\max(3{,}05x + 5{,}15y)$

$$\begin{cases} \frac{30}{60}x + \frac{50}{60}y \le 71 \\ \frac{30}{60}x + 1\frac{20}{60}y \le 105 \\ x + \frac{45}{60}y \le 126 \end{cases} \begin{cases} \frac{1}{2}x + \frac{5}{6}y \le 71 \\ \frac{1}{2}x + \frac{4}{3}y \le 105 \\ x + \frac{3}{4}y \le 126 \end{cases} \begin{cases} \frac{1}{2}x + \frac{5}{6}y \le 71 \mid *6 \\ \frac{1}{2}x + \frac{4}{3}y \le 105 \mid *6 \\ x + \frac{3}{4}y \le 126 \mid *4 \end{cases} \begin{cases} 3x + 5y \le 426 \\ 3x + 8y \le 630 \\ 4x + 3y \le 504 \end{cases}$$

$$\begin{cases} 3x+5y-426=0 \ (x=0; y=85.2); (x=142; y=0) \\ 3x+8y-630=0 \ (x=0; y=78,75); (x=210; y=0) \\ 4x+3y-504=0 \ (x=0; y=168); (x=126; y=0) \end{cases}$$

ავაგოთ სისტემით განსაზღვრულ დასაშვებ მნიშვნელობათა არე.




დმა-ის ყოველი წერტილის კოორდინატები მიგვითითებენ „D" და „S" სახის პროდუქციის იმ რაოდენობაზე, რომელიც შეუძლია აწარმოოს სუპერმარკეტ ინდ. მეწარმე „ანზორ ბერაძეს". წერტილის ცვლილება საზოგადოდ იწვევს მოგების ცვლილებასაც. შევნიშნოთ, რომ დასაშვები $\Omega$ სიმრავლეა $OABCD$ მრავალკუთხედი. ცხადია, რომ $O, A, D$ წერტილის კოორდინატები ჩვენ ფაქტობრივად უკვე ვიცით $O(0;0); A(0;78,75); D(126;0)$. ვიპოვოთ $B$ და $C$ წერტილის კოორდინატები. რადგან $B$ წერტილი წარმოადგენს $3x+5y=426$ და $3x+8y=630$ წრფეების ერთობლიობას, გვექნება განტოლებათა სისტემა:

$$\begin{cases} 3x+5y=426 \\ 3x+8y=630 \end{cases} \begin{cases} 3x+5y=426 \\ - \\ 3x+8y=630 \end{cases} \begin{cases} x=28,67 \\ y=68 \end{cases}$$

ე.ი. $B$-ს კოორდინატებია $(28,67;68)$. ანალოგიურად $C$ წერტილი წარმოადგენს $3x+5y=426$ და $4x+3y=504$ წრფეების ერთობლიობას, გვექნება განტოლებათა სისტემა:

$$\begin{cases}3x+5y=426\,|*4\\4x+3y=504\,|*3\end{cases}\quad\begin{cases}12x+20y=1704\\-\\12x+9y=1512\end{cases}\quad\begin{cases}y=17{,}45\\x=112{,}91\end{cases}$$

ე.ი. $C$ -ს კოორდინატებია $(17{,}45;112{,}91)$.

ახლა შევასრულოთ ზემოთ ხსენებული ალგორითმის „II- საფეხურში„ მითითებული ოპერაციები. ე.ი. გამოვთვალოთ მიზნის ფუნქციის მნიშვნელობები $\Omega$ მრავალკუთხედის წვეროებში:

$f(x;y)=3.05x+5.15y$.

$f(0;0)=0$ ლარი;

$f(0;78{,}75)=405.56$ ლარი;

$f(126;0)=384.3$ ლარი;

$f(112{,}91;17{,}45)=434{,}243$ ლარი;

$f(28{,}67;68)=437{,}64$ ლარი;

და ბოლოს ალგორითმის „III საფეხურის" შესაბამისად, მიღებული რიცხვებიდან უნდა ამოვირჩიოთ უდიდესი რიცხვი, რომელიც იქნება მიზნის ფუნქციის უდიდესი მნიშვნელობა $\Omega$ სიმრავლეზე. ჩვენს შემთხვევაში უდიდესი რიცხვია $f(28{,}67;68)=437{,}64$ ლარი, რომელიც მიიღწევა მხოლოდ ერთ წვეროზე (კერძოდ $B$ წვეროზე). ასევე ხელსაყრელი იქნება $f(112{,}91;17{,}45)=434{,}243$ ლარი, რომელიც მიიღწევა $C$ წვეროზე.

მაშასადამე, $BC$ მონაკვეთის ყოველი წერტილი ოპტიმალური ამონახსნია ($BC$ მონაკვეთის ყოველი წერტილის შესაბამისი მოგება იცვლება 434,243 ლარსა 437,64 ლარს შორის). ამოცანის შინაარსიდან გამომდინარე ($x$ და $y$ აღნიშნავენ პროდუქტის რაოდენობას) ოპტიმალური ამონახსნებია შემდეგი წერტილები:

$$(32;66),(37;63),(42;60),(47;57),(52;54),(57;51),(62;48),(67;45),(72;42)$$
$$(77;39),(82;36),(87;33),(92;30),(97;27),(102;24),(107;21),(112;18)$$

ამრიგად თუ გვაქვს დროის შეზღუდვა, მივიღებთ ოპტიმალურ ამონახსნებს, რომლებიდანაც ვარჩევთ ისეთს, რომ საწარმომ მიიღოს მაქსიმალური მოგება.

**ლიტერატურა:**

1. გოგიბერიძე ნ., დვალიშვილი ფ., წრფივი ალგებრა ბიზნესისა და ეკონომიკისათვის, ESM, 2007.

## ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ეკოტურიზმის ძირითადი კატეგორია საქართველოში

**ქეთევან წიქარიშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი**, აკადემიური დოქტორი

„ეკოტურიზმი" ახალი მოვლენაა ტურიზმის ინდუსტრიაში და მის ერთ–ერთ სეგმენტს წარმოადგენს. ეკოტურისტული პროდუქტი შედარებით ხელუხლებელი ბუნება და მასზე დაკვირვებით მიღებული სიამოვნებაა, უძველესი კულტურული ძეგლები და ნებისმიერი როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანის მიერ შექმნილი ღირებულებებია. ტურიზმის ეს მიმართულება მასობრივი და საკურორტო ტურიზმისგან იმით განსხვავდება, რომ იგი არ საჭიროებს მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურას და ნაკლებ ზიანს აყენებს გარემოს. დღეს ეკოტურისტები ტურისტული ბაზრის მზარდ სეგმენტს წარმოადგენენ. მათ, უპირველეს ყოვლისა, გარემო და კულტურის ტრადიციული ფორმები აინტერესებთ, განსაკუთრებულად იზიდავთ შორ მანძილზე მდებარე ეკოლოგიურად ფაქიზი და სუფთა რეგიონები. „ეკოტურიზმის"

მნიშვნელობის სწორად გააზრებისთვის იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოგზაურობა, რომლის დროსაც: ბუნება მთავარი ფასეულობაა, მოგზაური სწავლობს გარემოს, შემოსული ფინანსები მიემართება გარემოს დაცვის დასაფინანსებლად. (მეტრეველი, 2008. გვ. 42).

საქართველოში ეკოტურისტებისთვის ერთ–ერთ საინტერესო და მისაღებ ტერიტორიას წარმოადგენს ბორჯომ–ხარაგაულის ეროვნული პარკი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დაარსებული პირველი ეროვნული პარკია კავკასიაში. იგი დაარსდა 1995 წელს გარემოს დაცვის მსოფლიო ფონდისა და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით. პარკი ერთ-ერთი იმ მცირე ადგილთაგანია, სადაც ხელუხლებელი ბუნება არის შემორჩენილი და მისი დაცვა მაქსიმალურად მიმდინარეობს. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, აჭარა–იმერეთის ქედის აღმოსავლეთი მონაკვეთის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე. ეროვნული პარკი წარმოადგენს 4 განსხვავებული ბიოგეოგრაფიული ერთეულის (კოლხეთის, კავკასიურის, წინა აზიურისა და მცირე აზიურის) კონტაქტის არეს, რაც განსაზღვრავს მისი ბუნების უნიკალურობას და ბიოლოგიური მრავალფეროვნების მაღალ დონეს. ეროვნული პარკის დაცული ტერიტორიები მოიცავს ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალს, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს და ნეძვის აღკვეთილს. მისი საერთო ფართობია 85 047,44 ჰა.

ეროვნული პარკის სალაშქრობო ბილიკების ქსელი საშუალებას იძლევა მოეწყოს როგორც ერთდღიანი, ასევე რამდენიმე დღიანი ტურები. დღეისათვის პარკში მოქმედებს 9 ტურისტული ბილიკი (მეტრეველი, 2008, გვ. 164).

1. ნიკოლოზ რომანოვის ბილიკი;
2. წმინდა ანდრია პირველწოდებულის ბილიკი;
3. პანორამების ბილიკი;
4. ხელუხლებელი ტყის ბილიკი;
5. ზეკარის უღელტეხილის ბილიკი;
6. ნაკვალევის ბილიკი;
7. ეროვნული პარკის საინფორმაციო საგანმანათლებლო ბილიკი;
8. მეღრუკის ხეობის ბილიკი;
9. მწყემსების ბილიკი.

ველური ბუნების, მთისა და ტყის ლანდშაფტების, მდიდარი ბიომრავალფეროვნების, ისტორიისა და კულტურის ერთობლიობა იზიდავს სხვადასხვა ეროვნების, ასაკისა და ინტერესის მქონე ვიზიტორებს.

ჩვენს მიერ განხორციელდა სამეცნიერო ტური ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში საველე დაკვირვებების ჩასატარებლად და ბიომრავალფეროვნების შესწავლის მიზნით. ჩვენთვის საინტერესო იყო ბორჯომ–ხარაგაულის ეროვნული პარკის შესწავლა საგანმანათლებლო მომართულებით. სურვილი გვქონდა გავცნობოდით ბუნების იმ საოცრებებს, რომელთა გამოც ეროვნული პარკი გაწევრიანებულია PAN Park– ის საერთაშორისო ქსელში.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი შეიქმნა ველური (პირველყოფილი) ბუნების მრავალფეროვნების, განსაკუთრებით კი მისი მთის ხელუხლებელი ტყეების დასაცავად. ეროვნული პარკის ჩრდილოეთის ნაწილში (ხარაგაულის რაიონი) ლაშქრობისას თქვენ მოხვდებით შერეულ ფართოფოთლოვან ტყეში, რომელსაც ქმნიან ძირითადად წაბლი, წიფელი და რცხილა. მათში შერეულია მურყოვანი, ცაცხვი, კოლხური მუხა და ზოგიერთი სხვა. მარადმწვანე ქვეტყე წარმოდგენილია დეკით, წყავით და სხვებით. ისინი კოლხურ ტყეს მკვეთრად გამოკვეთილ სუბტროპიკულ ხასიათს აძლევენ. 1400 მეტრის სიმაღლეზე ტყის სარტყლის შუა საფეხურზე გავრცელებულია წიფლნარი. ზედა საფეხურზე კი გაბატონებულია შერეული ფართოფოთლოვან-წიწვოვანი ტყეები. ამასთან, მთელ კავკასიაში სწორედ აქ არის თავმოყრილი წმინდა ნაძვნარებისა და ფიჭვნარების უდიდესი მასივები, რომლებიც ზღვის დონიდან 1400-1800 მ-ის ფარგლებშია გავრცელებული. ყველა ტყის შემქმნელი წიწვოვანი კავკასიის ენდემია: აღმოსავლური ნაძვი, კავკასიური სოჭი და კავკასიური ფიჭვი. ხშირია საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი წაბლი და სხვ. ეს სახეობების სხვადასხვა სარტყლებსა და ჰაბიტატებში მრავალგვარ კომბინაციებს ქმნიან. ტერიტორიაზე აქა-იქ გვხვდება სუბალპური ტანბრეცილი არყნარებიც. საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილ ხემცენარეთა სახეობებიდან, წაბლის გარდა, გვხვდება უხრავი, ჯონჯოლი, აღმოსავლური მუხა, შიშველი თელადუმა. აქ გვხვდება კავკასიური აკაკი, ხუჭუჭა მაჩიტა, ცრუაღმოსავლური ყაყაჩო და სხვ. ასევე შქერი, იელი, წყავი, ჭყორი, ასევე კოლხური სურო და სხვ.

ასევე საინტერესოა მრავალფეროვანი ბორჯომ-ხარაგაულის პარკის ფაუნა. ეროვნული პარკის მშვენება მისი ძუძუმწოვარა მაცხოვრებლები არიან. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე აღრიცხულია 64 სახეობის ძუძუმწოვარი, საიდანაც 11 კავკასიის ენდემია და 8 სახეობა საქართველოს წითელ ნუსხაშია შესული. აქ 217 სახეობის გადამფრენი და მობუდარი ფრინველი

გვხვდება, მათგან 13 სახეობა საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი. დაცული ტერიტორიის ტენიან ტყეებში რეპტილიების 30 სახეობა ბინადრობს, რომელთაგან 3 დასავლეთ კავკასიის ენდემურია და მათ შორის 2 სახეობა წითელ ნუსხაუშია შეტანილი. ტყეებისათვის დამახასიათებელია ენდემური სახეობები: კავკასიური სალამანდრა, კავკასიური ჯვარულა, აჭარული ხვლიკი, კავკასიური გველგესლა, კავკასიური როჭო, რობერტის მემინდვრია და სხვ.

დაცულ ტერიტორიებზე დაცულია იშვიათი თუ გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი, საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი მსხვილი ძუძუმწოვრების და ფრინველების ისეთი სახეობები და ქვესახეობები, როგორიცაა: კავკასიური კეთილშობილი ირემი, მურა დათვი, ფოცხვერი, კავკასიური არჩვი, ევროპული მაჩქათელა, გიგანტური მეღამურა, კავკასიური ციყვი, კავკასიური წავი, თეთრკუდა არწივი, სვავი, მთის არწივი, ქორცქვიტა, ველის კაკაჩა, კასპიური შურთხი, კავკასიური როჭო და სხვ. ტყეში ასევე ბინადრობს: გარეული ღორი, შველი, მგელი, ტყის კატა. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში აღრიცხულია ღამურების 20 სახეობა. მთის მდინარეებში შენარჩუნებულია მდინარის კალმახის მრავალრიცხოვანი პოპულაცია.

დაცულ ტერიტორიაზე ტურისტული აქტივობების ფართო სპექტრი არსებობს: სალაშქრო ან საცხენოსნო ბილიკები, რომელიც რამდენიმედღიანი მოგზაურობის და მიზნობრივად აშენებულ თავშესაფრებსა და საკემპინგე ადგილებში ღამის გათენების საშუალებას იძლევა. სამთო ველოსიპედით გასეირნება, ბუნებისა და ლანდშაფტების დათვალიერება და ფოტოგრაფია, საგანმანათლებლო და კულტურული ტურები, დაკვირვება ფრინველებსა და ცხოველებზე, საზაფხულო ბანაკები. ყველა ამ აქტივობისათვის შექმნილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომელსაც მოვლა-პატრონობას უწევს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია. დაცულ ტერიტორიებზე არსებული ტყეები და საძოვრები მოსახლეობას უზრუნველყოფს სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებების მქონე მცენარეებით, რომელთაც სოფლის მოსახლეობა იყენებს ტრადიციული წამლების მოსამზადებლად. ასევე, სოფლის მოსახლეობა საკვებად იყენებს ხილს, კაკალ ნაყოფიანებს და სოკოს, რომელიც იზრდება დაცული ტერიტორიის ფარგლებში.





დაცულ ტერიტორიებს ტურისტები სტუმრობენ არა მარტო უნიკალური ბუნების სანახავად, არამედ იმ ისტორიულ–კულტურული ღრებულებების გასაცნობად, რომლებიც მდებარეობენ ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. აქ წარმოდგენილია პირველი საუკუნის ციხე-სიმაგრეები, მწვანე მონასტერი, წმინდა ღვთისმშობელის ეკლესია, გოგიას შუასაუკუნეების ციხე, აბასთუმანში თამარ მეფის ხიდი, რომელიც თარიღდება მე-12 სუკუნით, მლოცველების ბილიკი, რომელიც გამოყენებულ იყო წმინდა ანდრეას “პირველ წოდებულის “ მიერ, რომელმაც პირველად იქადაგა ქრისტიანობა საქართველოში პირველ საუკუნეში. ნეძვის აღკვეთილი წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთის IX საუკუნის ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვან ადგილს. ეს პერიოდი დაკავშირებულია გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების მოღვაწეობასთან.

ეროვნულ პარკში არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურა მოიცავს 2 ადმინისტრაციულ შენობას, რომლებიც ამავე დროს ფუნქციონირებს როგორც ვიზიტორთა ცენტრები, სასტუმროს 5 ნომერს, 4 ტურისტულ თავშესაფარს ტურისტული მარშრუტების გასწვრივ (ლომის მთა, ამარათი, სახვლარი და აბასთუმანი), ასევე საკარვე და საპიკნიგე ადგილებს, რომლებიც მოწყობილია პარკის შესასვლელებში და თავშესაფრებთან (ქვაბისხევი, ზანავი, ნუნისი, აწყური, აბასთუმანი, მარელისი).

ჩვენი ქვეყნისთვის ბორჯომ–ხარაგაულის ეროვნული პარკი არ წარმოადგენს ბუნების საგანძურს, რომლის დაცვაც აუცილებელი მისი პირვანდელი სახით მხოლოდ ეკოლოგიური თვალსაზრისით. პარკის ტერიტორიების დაცვა ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებშიც შედის.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2007–2011 წლებში ბორჯომ–ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში შესული თანხის მოცულობა.

| წელი: | | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესვლის საფასური | | 2 246 | – | – | – | – |
| ღამისთევა | კარავი | 5 295 | 2 770 | 5 465 | 2 977 | 3 095 |
| | თავშესაფარი | 3 120 | 2 680 | 1 550 | 3 480 | 5 400 |
| | სასტუმრო | 1 560 | 60 | – | – | – |
| ცხენი | | 5 695 | 4 000 | 4 800 | 8 130 | – |
| გიდი | | 4 884 | 3 795 | 2 450 | 4 105 | – |
| საკემპინგე და სალაშქრო აღჭურვილობა | | 482 | 262 | 650 | 1 102 | 985 |
| სამთო ველოსიპედი | | – | – | – | 200 | 50 |
| საკონფერენციო დარბაზი | | – | 200 | 650 | 700 | – |
| სულ | | 23 282 | 13 767 | 15 565 | 20 694 | 9 530,00 |

ბორჯომ–ხარაგაულის ეროვნული პარკი მსოფლიო მნიშვნელობის პარკია, მისი განსაკუთრებული უნიკალურობა მდგომარეობს გეოგრაფიული და ეკოლოგიური ზონების მრავალფეროვნებაში, ისტორიული ძეგლების, ასევე ფლორისა და ფაუნის სიმდიდრეში.

**ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:**


1. მეტრეველი მ., ტურიზმი და გარემოს დაცვა, თბ., 2008.
2. ქაჯაია გ., გამოყენებითი ეკოლოგია, თბ., 1999.
3. მაისურაძე დ., ვერბეცკი ი., ხუციშვილი თ., ეკოლოგიური ტურიზმის საფუძვლები, თბ., 2008.
4. http://nakrzali.blogspot.com/2009/02/blog-post_24.html
5. http://www.borjomi.org.ge/portal/alias__Borjomi/lang__ka-GE/tabid__3307/default.aspx


## ტყის რესურსების შემცირების უარყოფითი გავლენა ბუნებასა და ადამიანზე


**მაია ჭინჭარაშვილი, ეკა მეზვრიშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** აკადემიური დოქტორი


ტყეებს ჩვენი ქვეყნის მცენარეულ რესურსებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. ისინი ეროვნული სიმდიდრის, მერქნისა და ნედლეულის მრავალ სხვა სახეობათა მიღების წყარო და ბიოსფეროს მასტაბილიზებელი კომპონენტია. ტყის როლი დიდია დედამიწაზე. ამას ადასტურებს მისი სარგებლიანობა - ნიადაგდაცვითი, წყალშენახვითი და ჰაერგამწმენდი დანიშნულებით, მაგრამ ტყეების არაგონივრული გამოყენება დღესაც დიდი ინტენსივობით მიმდინარეობს, რასაც ხშირად დიდი დახრილობის ფერდობზე გეოდინამიკური პროცესების (მეწყერი, ეროზია და სხვ.) გააქტიურება მოჰყვება, ისინი არა მარტო ანადგურებენ ნიადაგურ საფარს, არამედ მცენარეებში აქვეითებენ თვითაღდგენის უნარს. (ვორონცოვი, 1985, გვ. 163)

ყველა ქვეყანას სამი ძირითადი ფასეულობა გააჩნია: მატერიალური, კულტურული და ბიოლოგიური. ჩვენი პლანეტის ბიოტა, ერთი მხრივ, ქვეყნის ცოცხალი სამყაროს ნაწილია, ევოლუციის

შედეგი. ეს იმას ნიშნავს, რომ ერი ვალდებულია ისევე იზრუნოს მასზე, როგორც ზრუნავს თავის განუმეორებელ კულტურასა და ენაზე. მეორე მხრივ, ბიოტა არის ერის მატერიალური კეთილდღეობის წყარო და მისი განვითარების აუცილებელი პირობა. ბოლო 150-200 წლის მანძილზე ჩვენი პლანეტის ბიოტა მნიშვნელოვნად შეიცვალა და თუ პროცესი ასე გაგრძელდა, ბიოსფერო შესაძლოა ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდეს. ბიოსფეროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ტყის ეკოსისტემები წარმოადგენენ, რომლებიც მცენარეულობის, ნიადაგის, წყლის სითბოს ცხოველთა სამყაროს და მიკრო ორგანიზმების რთული ერთობლიობაა. ტყე ხელს უწყობს გარემოს ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნებასა და რეგულირებას. მცენარეულ სამყაროში იგი ყველაზე მყარი და პროდუქტიული ფორმაციაა და ნივთიერებათა ბიოლოგიური ბრუნვის მაღალი ინტენსივობით და ნაყოფიერებით ხასიათდება. ტყე ჰავის ფორმირების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია და, რაც მთავარია, ტყე ჟანგბადის „ბუნებრივი ფაბრიკაა, პლანეტის ფილტვებია". მთლიანად საქართველოს ტყეები ყოველწლიურად დაახლოებით 180-190 მილიონ ტონამდე მტვერს ფილტრავს. ტყის მასივებში მტვერი 8-10 ჯერ ნაკლებია, ვიდრე ღია ადგილზე. (ქაჯაია, 2008, გვ. 95)

ტყე დედამიწის ეკოლოგიურ სისტემათა მთლიანი კომპლექსისთვის გლობალური და სასიცოცხლო ფაქტორია. ის დედამიწაზე ცოცხალი ნივთიერების ერთ-ერთი აკუმულატორია, რომელიც აკავებს ბიოსფეროში მთელ რიგ ქიმიურ ელემენტებსა და წყალს, აქტიურად ურთიერთქმედებს ტროპოსფეროსთან და განსაზღვრავს ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის ბალანსის დონეს. ბიოსფეროში ჟანგბადის 60%-ზე მეტს გამოყოფს ხმელეთის მცენარეულობა და მისი მთავარი კომპონენტი - ტყე. 1 ჰექტარი შერეული ტყე წელიწადში 13-17 ტ. ნახშირორჟანგს შთანთქავს და 10-15 ტ. ჟანგბადს გამოყოფს. ტყე გარემოზე მრავალმხრივ დადებით გავლენასთან ერთად აწესრიგებს ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემცველობას, რაც, თავის მხრივ, აფერხებს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკოლოგიურ პრობლემას - გლობალური დათბობის პროცესს. (ვორონცოვი, 1985)

ტყეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბუნების დაცვის საქმეში, რადგან ის დედამიწის სიცოცხლის წყაროა. ისინი როგორც გიგანტური ტუმბოები ისე შეიწოვენ ნიადაგის ტენს, მისგან შთანთქავენ აუცილებელ მინერალურ მარილებს და აორთქლებენ მას ატმოსფეროში. მწვანე მცენარეები ანუ პროდუცენტები არაორგანული ნივთიერებებიდან ქმნიან ორგანულ ნივთიერებებს და გარემოში გამოყოფენ ჟანგბადს. ორგანული ნივთიერებებით იკვებება ადამიანი და ცხოველი, ამიტომ მანამ არსებობს ტყე თავისი მდგრადობით, იარსებებენ ცოცხალი ორგანიზმები, მათში მოხდება ნივთიერებათა ცვლა და ცხოველმყოფელობა.

აღმოსავლეთ საქართველოს ტყეები მრავალფეროვანია, ისინი იცვლებიან ვერტიკალური პროფილის, რელიეფის პირობებისა და ბიოტოპის ტენიანობის შესაბამისად. ტყის სარტყლის ქვედა ნაწილში ჭარბობს მუხნარი, რომლის მეორე იარუსში იზრდება ჯაგრცხილა, ზოგან ზღმარტლი, კუნელი, ტყემალი, ასკილი, თრიმელი და სხვ.

- 400-500 მეტრიდან 1000 მეტრამდე მუხის ტყეების სარტყელია;
- 1000-დან 1500-1600 მეტრამდე უკავია წიფლის ტყის სარტყელს;
- 1500-დან 2000 მეტრამდე უკავია ნაძვის ტყის სარტყელს;
- 1000-დან 2100 მ-მდე ზღვის დონიდან ხევის ტერიტორია დაკავებული აქვს ფიჭვისა და არყის ბუნებრივ სარტყელს;
- 2100-დან 2300 მეტრამდე გავრცელებულია სუბალპური მცენარეულობა;
- 2300 მეტრის ზევით იწყება ალპური მცენარეულობა. (ქაჯაია, 1992, გვ. 328)

აღმოსავლეთ საქართველოს ტყის სარტყელის ბუნებრივი მცენარეულობა ძალიან დაზარალდა ადამიანის სამეურნეო საქმიანობით. განსაკუთრებით ძლიერი უარყოფითი ზეგავლენა განიცადა ტყის სარტყელის ქვედა ზოლის მცენარეულობამ. ამჟამად მათი ადგილი თითქმის მთლიანად უჭირავს ბაღ-ვენახებს, სახნავ-სათესებსა და სათიბ-საძოვრებს. ცნობილია, რომ ქართლის ვაკეზე წარსულში ფართოდ ყოფილა გავრცელებული ზონის ჭალის და ვაკის ტყეები, მაგრამ დღეს მთლიანად გაჩეხილია. ჭალის ტყის მცირე ფრაგმენტები შემორჩენილია გორთან, ლიახვსა და მტკვრის შესართავთან.

ქართლში ტყეების გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ფუნქცია და პოტენციალი მეტად მნიშვნელოვანია. მისი ძირითადი დანიშნულებაა:

- ნიადაგდაცვითი-წყალმარეგულირებელი (ზვავების, მეწყერების, ეროზიული პროცესების რისკის შემცირება);
- საკურორტო-გამაჯანსაღებელი;
- ეკოტურიზმის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნება და გარემო;
- მოსახლეობაზე საშეშე და სამასალე ხე-ტყის მიწოდება;
- არამერქნული რესურსებით სარგებლობა;
- სხვადასხვა სამკურნალო მცენარეების დამზადება;

- ატმოსფეროს ქიმიური შემადგენლობის შენარჩუნება (ჟანგბადის, ნახშირბადის, აზოტის).
- საშუალოდ 1 ჰექტარ ტყეს შეუძლია წელიწადში შთანთქოს 7-10 ტონა ნახშირორჟანგი და გამოყოს 10-20 ტონა ჟანგბადი, რომელიც გლობალური დათბობისა და კლიმატის ცვლილების ფონზე კაცობრიობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას წარმოადგენს.

XXI საუკუნის საწყისი სამყარო შეცვლილია, ბუნების განადგურება ინტენსიური გახდა ბოლო 100-200 წლის მანძილზე. ცვლილებები დიდი სისწრაფით დღესაც მიმდინარეობს. კაცობრიობა უნიკალური და ამავდროულად დრამატული მოვლენების მოწმეა, რაც გარემოზე მავნე ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგია. ყოველივე ეს განპირობებულია მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდის ინტენსივობითა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით. ანთროპოგენური ფაქტორები და გარემოს ცვლილება, საზოგადოების ადრეულ საფეხურზე, სხვა ბუნებრივ ფაქტორებთან შედარებით, სუსტი იყო, შემდეგ თავისი მასშტაბებით და მნიშვნელობით გაუტოლდა მათ და გადააჭარბა კიდეც. ატმოსფერო, როგორც ფიზიკური სხეული, პრაქტიკულად გამოულეველი ბუნებრივი რესურსია, მაგრამ თანამედროვე ეპოქაში, ანთროპოგენური დატვირთვის შედეგად, მასში საკმაოდ მძიმე, გლობალურ-ეკოლოგიური პრობლემები ჩნდება. ცხადია, ამ პრობლემების თავიდან აცილება თვით ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებში შედის და მისი აღკვეთა თვით ადამიანის ხელშია.

ტყის უდიდესმა მნიშვნელობამ და მათი რიცხობრივი რაოდენობის შემცირებამ მიგვიყვანა მთავარ პრობლემამდე, რომ დღითიდღე იზრდება ტყის ჩეხვის სიხშირე, რაც გამოწვეულია ტყის მასალების და ნედლეულის მზარდი წარმოებით, მძიმე სოციალური ფონით და სხვა ფაქტორებით. ხანძრები ტყის ზრდა-განვითარების პროცესებზე ძალზე უარყოფით გავლენას ახდენს. მსოფლიოს სტატისტიკა ადასტურებს, რომ ტყის ხანძრების 97% ადამიანის მიზეზით ჩნდება. 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს გარემოსათვის მიყენებული ზიანის შედეგად ატენის ხეობაში დაზიანდა დაახლოებით 53 ჰა ტყე, განადგურდა 16 ათასი $მ^3$ მერქანი, 53 ჰა ფართობზე მთლიანად ან ნაწილობრივ დაიწვა საშუალოდ 0,2 მ სისქის ნიადაგი. გორის რაიონის სოფელ სკრასთან თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი საწყობის აფეთქების შედეგად დაზიანდა და ჩამოიშალა მიმდებარე მთის ფერდობი, რამაც გამოიწვია ფერდობზე არსებული მერქნიანი საფარის განადგურება და მეწყერული პროცესების გააქტიურება. გარემოს გაჭუჭყიანებამ და ბუნებრივი ლანდშაფტის დეგრადაციამ საერთო ხასიათი მიიღო, რამაც შეიძლება ოზონის ფენის გათხელება და, შესაბამისად, მზის რადიაციის გაზრდა გამოიწვიოს, ანუ ტყეების რიცხვის შემცირებას მოჰყვება ჰაერში ნახშირორჟანგის მომატება, ნახშირორჟანგი კი მზის სითბოს დედამიწის ზედაპირამდე ატარებს, ამასთან ხელს არ უშლის მის უკან დაბრუნებას, ამას შეიძლება ჰაერის ტემპერატურის აწევა და ცოცხალ ორგანიზმთა სუნთქვის გაუარესება მოჰყვეს.

ტყე უდიდეს როლს თამაშობს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. იგი მოიხმარს ნახშირორჟანგს, ამით, ერთი მხრივ, ამცირებს მის ოდენობას ჰაერში, ხოლო, მეორე მხრივ, გამოყოფს ჟანგბადს და ამდიდრებს ჰაერს ადამიანისთვის საჭირო აირით. სწორედ ტყის ასეთი დადებითი თვისებებით სარგებლობს მოსახლეობა დასვენებისა და გართობის დროს. ჩვენი სახელგანთქმული კურორტების (ბორჯომი, წაღვერი, ბაკურიანი, ბახმარო, შოვი და სხვ.) სამკურნალო თვისებები დამოკიდებულია მათ გარშემო არსებულ ტყეებზე.

საქართველოს ტყე არის ეროვნული საგანძური. საქართველოს კონსტიტუცია ავალდებულებს მის მოქალაქეებს დაიცვან, გაუფრთხილდნენ და იზრუნონ ბუნებაზე. ქვეყანაში ტყის მდგრადი მართვის კონცეფცია ითვალისწინებს ტყის ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. ტყის მენეჯმენტის ეკოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტები არის ქვეყნის ეროვნული განვითარების სტრატეგიის ნაწილი. ტყის მდგრადი განვითარების მიზანია, დააკმაყოფილოს საზოგადოების ძირითადი მოთხოვნები ტყის რესურსების სფეროში. დღეს მიწა, წყალი, ფლორა და ფაუნა ისევე დაუცველია, როგორც მიწათმოქმედი. დაუცველ სიმდიდრეს კი ათასი დამპატრონებელი ეპოტინება და ავერანებს. ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის თვალსაზრისით საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანია ტყე, რადგან მას დიდი ადგილი უკავია მატერიალური დოვლათის შექმნაში. მართლაც, რაც უფრო სწრაფად ვითარდება მეცნიერება და ტექნიკა, მით უფრო ნაირგვაროვანი ხდება ტყის გამოყენება. ეს ძვირფასი მარგალიტი კი უმოწყალოდ იჩეხება ბორჯომში, სვანეთში, რაჭაში და თითქმის ქვეყნის ყველა კუთხეში. ამიტომ აუცილებელია გავუფრთხილდეთ ტყეს. შეიძლება ითქვას, რომ ტყესთან დაკავშირებით საქართველოში ამჟამადაც სავალალო მდგომარეობაა. დაახლოებით 8 მლნ-მდე კუბური მეტრი იჩეხება ენერგეტიკული ღირებულების გამო, რაც ორჯერ აჭარბებს ტყის აღდგენის უნარს. ბოლო ათი წლის განმავლობაში ქვეყანაში მილიონობით კუბური ხე-ტყეა მოჭრილი.

ვფიქრობთ, რომ ბუნებასთან აუცილებელია ჰუმანური მიდგომა. ტყე განახლებადი რესურსია და არ დაირღვევა მისი მდგრადობა, თუ მოხდება ხმელი ხეების მოჭრა და მისი ჩანაცვლება ახლით. ტყიანი ქვეყანა მდიდარია კურორტებით, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის კერებით, რაც ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას.

ლიტერატურა:
1. ქაჯაია გ., ეკოლოგია (გამოყენებითი ეკოლოგიის საკითხები), თბ., 1999.
2. ქაჯაია გ., გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრინციპები, თბ., 2008.
3. ვორონცოვი ა.ი., ხარიტონოვა ნ.ზ., „ბუნების დაცვა“, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1985.
4. http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/001023/bukia.pdf
5. http://tikokapanadze.blogspot.com/

# ბ ი ზ ნ ე ს ი  დ ა  მ ა რ თ ვ ა

## ვალების პრობლემა საქართველოში

**თეონა ბერიკაშვილი, რეზო ხუციშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლალი სადაღაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

განვითარების პოლიტიკა მოიცავს ყველა ღონისძიებასა და ქმედებას, რომელთა საშუალებითაც ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის მქონე საზოგადოებებში ცხოვრების პირობების განუხრელი გაუმჯობესება უნდა იქნას მიღწეული.

განვითარების პოლიტიკის ძალისხმევის მიზანმიმართულება ყოველთვის ერთნაირია: უნდა ვიმოქმედოთ ისე, რომ განვითარების უფრო მაღალ დონეს მივაღწიოთ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი პროცესი, რომელიც განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში საუკუნეების მანძილზე ხდებოდა, განვითარებად ქვეყნებში შედარებით მოკლე დროში უნდა განხორციელდეს. თუ საკუთარი ძალებით ეს შეუძლებელია, მაშინ განვითარებულ ქვეყნებთან თანამშრომლობა ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პროცესის დაწყებისათვის მნიშვნელოვანი ბიძგი იქნება.

განვითარების პროცესებმა ბოლო ათწლეულში განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, დიდი საგარეო ვალის დაგროვება გამოიწვია. ისინი იძულებულნი არიან ექსპორტით მიღებული შემოსავლების დიდი ნაწილი ვალების დაფარვისათვის გაიღონ. ეს ის რესურსებია, რომლებიც მათ საკუთარი განვითარებისათვის განსაკუთრებით ესაჭიროებათ.

საგარეო ვალი ბევრი ქვეყნისთვის განვითარების შემაფერხებელი გახდა, რადგან:

კრედიტები ძირითადად სამომხმარებლო და არა საინვესტიციო მიზნებისათვის გამოიყენება;

ექსპორტის გზით მიღებული შემოსავლები განვითარებად ქვეყნებში ბოლო 30 წელიწადში 50%-ზე მეტით შემცირდა, ასე რომ ვალების მომსახურებისათვის საკმარისი ვალუტა მათ არ გააჩნიათ;

საგარეო ვალების მომსახურებისათვის გადასახდელი პროცენტები განსაკუთრებით 1980-იან წლებში ძალიან მაღალი იყო.

საერთაშორისო დავალიანების განხილვა ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით გვიჩვენებს, რომ ვალები ყველაზე დიდი რაოდენობით ძალზე ღარიბ განვითარებად ქვეყნებს აქვთ.

თუ რომელიმე ქვეყანას საპროცენტო გადასახდელების განხორციელების უნარი არ შესწევს, მაშინ დავალიანების საპროცენტო გადასახდელებისა და ვალის რესტრუქტურიზაციაზე თანხმდებიან. ზოგადად ეს ქვეყნის მიმართ ნდობის დაკარგვას ნიშნავს. დღევანდელი პოტენციური კრედიტორები ახალი კრედიტების გაცემისაგან თავს იკავებენ. ამიტომაც, დავალიანების მქონე ქვეყანა თავისი გადახდისუნარიანობის აღდგენისა და ვალების მომსახურებისათვის ყველაფერს მოიმოქმედებს.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონით საქართველოს სახელმწიფო ვალი არის საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მისი გარანტიით სხვა ორგანოების

(დაწესებულებების) მიერ დადებული ხელშეკრულებებით აღებული, ეროვნული ვალუტით გამოსახული, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეროვნულ ან უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული საფინანსო რესურსიდან მიღებული სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალების ჯამური თანხა.

საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალი – ეროვნული ვალუტით გამოსახული საქართველოს სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილი; იმ ძირითადი თანხების ერთობლიობა, რომლებიც წარმოიქმნა საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული შეუსრულებელი პირდაპირი ვალდებულებებით, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული თანხებით.

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი – უცხოური კონვერტირებადი ვალუტით გამოსახული საქართველოს სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილი; იმ ძირითადი თანხების ერთობლიობა, რომლებიც წარმოიქმნა საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მისი გარანტიით სხვა ორგანოების (დაწესებულებების) მიერ დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული შეუსრულებელი პირდაპირი ვალდებულებებით, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული თანხებითა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული საფინანსო რესურსიდან მიღებული თანხებით.

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის წარმოქმნის შემთხვევაში, როდესაც მიღებული შემოსავლები საკმარისი არ არის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების დასაფინანსებლად, მთავრობა მიმართავს ფულადი სახსრების მობილიზების ალტერნატიულ გზას. ნორმალურად ფუნქციონირებად სახელმწიფოში თავისი მნიშვნელობითა და მოცულობით ბიუჯეტის შემოსავლის წყაროა სახელმწიფო სესხები. მომავალი პერიოდის ბიუჯეტის ფორმირებისას ქვეყანა სახელმწიფო სესხების გამოშვებასაც ითვალისწინებს. სახელმწიფო სესხების გავრცელების ორი გზა არსებობს: სახელმწიფო ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების მოსახლეობის ფართო მასებსა და სამეურნეო სუბიექტებზე თავისუფალი გაყიდვა და ფასიანი ქაღალდების ცენტრალური და კომერციული ბანკების მეშვეობით გაყიდვა სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფის ქვეშ. სახელმწიფოს მიერ საკრედიტო ოპერაციების მოცულობის გადიდება სახელმწიფო ვალის ზრდის წყაროა.

ქვეყანაში საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, როცა გაძნელებულია გადასახადებიდან და სესხებიდან ფულადი რესურსების მიღება, სახელმწიფო ხელისუფლება მიმართავს ქაღალდის ემისიას. იმის გამო, რომ ეს მეთოდი იწვევს ინფლაციური პროცესის გაძლიერებას, ქვეყნების დიდ ნაწილში ეს არაპოპულარულია.

სახელმწიფო საგარეო ვალის მდგრადობა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის ერთ–ერთი მთავარი ძლიერი მხარეა, რაც აღიარებულია ბოლო წლებში საქართველოსთან მომუშავე ორი სარეიტინგო სააგენტოს **„Standard & Poor's"** -ს და **„Fitch"** –ის მიერ. აღნიშნული მიღწეულ იქნა წლების მანძილზე სახელმწიფო საგარეო ვალის პრაგმატული და კონსერვატიული მართვის შედეგად, აგრეთვე ქვეყნის მიერ მოზიდული სასესხო რესურსის ეროვნული განვითარების და საინვესტიციო პრიორიტეტების შესაბამისად გამოყენების მეშვეობით.

ამჟამად, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი, ძირითადად, შეღავათიანია. უცხოური წყაროებიდან მიღებული სესხები გამოიყენება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სხვა პროექტების დასაფინანსებლად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის ერთადერთი სახელმწიფო უწყება, რომელიც უფლებამოსილია მოიზიდოს სახელმწიფო სესხები უცხო ქვეყნების მთავრობებიდან და რეგიონული და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან. 2008 წელს ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა ევროობლიგაციების სადებიუტო გამოშვება. აღნიშნულმა ტრანზაქციამ ქვეყანა გააცნო საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებს და მრავალ მსხვილ ინსტიტუციონალურ ინვესტორს და შესაბამისად წარმოადგენდა ქვეყანაში დივერსიფიცერებული კაპიტალის შემოდინების წახალისების სტრატეგიის ერთ–ერთ საკვანძო ელემენტს.

2005 წლიდან ეროვნულ ბანკს მთავრობისთვის ფულის სესხება ეკრძალება. თუმცა კომერციულ ბანკებზე ის რეფინანსირების სესხებს გასცემს და შემდეგ კომერციული ბანკები სახაზინო ვალდებულებებს შეისყიდიან. საბიუჯეტო დეფიციტის ამგვარი დაფინანსება ინფლაციის რისკს განსაკუთრებით ზრდის. მთავრობაზე ფულის გასესხების ახალი სქემა, პრაქტიკულად, ფულის ბეჭდვის მეთოდია. ეროვნული ბანკი ხაზინაში ახალ ფულს აგროვებს, რომელიც კერძო სექტორიდან არ

გამოთავისუფლებულა. გამოდის, რომ ბაზრის ყველა მოთამაშეს იმდენივე ფული აქვს, რამდენიც ადრე ჰქონდა. მხოლოდ ხაზინას აქვს მეტი. რადგან ამ ახალ ფულზე რეალურად მოთხოვნა არ არსებობს, მისი მსყიდველუნარიანობა იკლებს. წელს გაზრდილი ინფლაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ეს გახდა. ოფიციალური შეფასებებით, წლიურმა ინფლაციამ 14%-ს მიაღწია. ეკონომიკური ზრდა კი უახლოესი 20 წლის განმავლობაში საშუალოდ 4% იქნება. ინფლაცია სახელმწიფო ვალზეც აისახება. ფულის მასისა და ინფლაციის ზრდის გამო იმატებს საშინაო ვალი. ინფლაციას იგივე ეფექტი აქვს საგარეო ვალზეც: რადგან ის ძირითადად დოლარშია დენომინირებული, ქვეყანას ვალის გასტუმრებაც ამ ვალუტაში უწევს. როცა ლარის კურსი ეცემა, დოლარის ყიდვა სახელმწიფოს უფრო ძვირი უჯდება. შესაბამისად, ქვეყანას ვალის გასასტუმრებლად ბიუჯეტიდან მეტი თანხის გადახდა უწევს.

საინტერესოა განვიხილოთ სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობა.

საგარეო ვალი მოცულობა ბოლო სამი წლის მანძილზე მკვეთრად იზრდება, რაც 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენების შედეგია. საქართველოს საგარეო ვალი სამ უმთავრეს წყაროს შორის ნაწილდება:

- მრავალმხრივი კრედიტორებისაგან მიღებული კრედიტები;
- ორმხივი კრედიტორებისაგან მიღებული კრედიტები;
- სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტები.

მრალმხრივ კრედიტორებს შორის არიან მსოფლიო ბანკი, ევროგაერთიანება, აზიის განვითარები ბანკი, ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ორმხრივ კრედიტორებს განეკუთვნება: ავსტრია, აზერბაიჯანი, თურქეთი, უკრაინა, ამერიკა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ განსაკუთრებით გაიზარდა საგარეო ვალი. სწორედ ამ პერიოდში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილი იქნა 250 მილიონი დოლარის ოდენობის ტრანში სავალუტო რეზერვების მხარდასაჭერად. აზიის განვითარების ბანკიდან პოსტკონფლიქტური რეგიონის აღდგენისათვის გადაუდებელი დახმარება იქნა მიღებული. 2008 წლის დეკემბერში კი სიღარიბის დაძლევისთვის მსოფლიო ბანკიდან მიღებული იქნა 38 მლნ. დოლარი. აღნიშნულ თანხებს სახელმწიფო კრედიტად იღებს და, ბუნებრივია, მომავალში მისი გადახდა უნდა მოხდეს.

2008 წლის აპრილში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანუ ევროობლიგაციების გამოშვების შემდეგ, საგარეო ვალი კიდევ 500 მილიონი დოლარით გაიზარდა. ექსპერტთა მხრიდან ამას სერიოზული კრიტიკა მოჰყვა. მათი აზრით, როდესაც მთავრობა პროფიციტულ ბიუჯეტს გეგმავს, ისედაც დიდი ვალების მქონე ქვეყანას, ახალი ვალები აღარ უნდა წამოეკიდებინა. მით უმეტეს, რომ ობლიგაციები ლონდონის ბირჟაზე საკმაოდ მაღალი პროცენტით გავიდა. ობლიგაციების წლიური საპროცენტო განაკვეთი 7,5%-ით განისაზღვრა. მისი დაფარვის ვადა კი 2013 წლის 15 აპრილია. ექსპერტთა განცხადებით, ეს ფაქტორი პრობლემას შექმნის, ვინაიდან აღნიშნული ვადისათვის მოქმედი ხელისუფლება აღარ იქნება და ვალდებულება მომავალ ხელისუფლებას მძიმე ტვირთად დააწვება.

ფინანსთა სამინისტროს მესვეურთა განცხადებით კი ევროობლიგაციების გამოშვებამ ქვეყანა საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებსა და მრავალ მსხვილ ინსტიტუციონალურ ინვესტორებს გააცნო. თუმცა ფაქტია, რომ საგარეო ვალი მომავალში უნდა დაიფაროს და მას თავისი ვადები გააჩნია. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, საგარეო ვალი ძირითადად შეღავათიანია და სესხები ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სხვა პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენება.

სახელმწიფო ბიუჯეტს ვალებში ყველაზე მეტის გადახდა 2013 წელს მოუწევს. დოლარის დღევანდელი კურსით თუ ვიანგარიშებთ, ამ წელს საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისთვის, ქვეყანას 1 მილიარდ ლარზე მეტი ექნება გადასახდელი. აქედან უდიდესი ნაწილი, 500 მილიონი აშშ დოლარი (დაახლოებით 800 მილიონი ლარი) სწორედ ევროობლიგაციების გამოშვების შედეგად მოზიდული დავალიანებაა. ევროფონდების საპროცენტო განაკვეთი 7.5%-ია. 2009 წლიდან მოყოლებული, ქვეყანა მათში ყოველწლიურად 37.5 მილიონ დოლარს იხდის. თანაც, თუ 2009 წელს დოლარი თითქმის 1.4 ლარამდე დაეცა, დღეს ის საშუალოდ 1.75 ლარი ღირს.

საქართველოს მთავრობა 2013 წლიდან პენსიების 100 დოლარამდე მომატებას გეგმავს. ეკონომიკის წელიწადში 4%-ით ზრდის პირობებში, მთავრობის პოლიტიკური ვალდებულების პენსიების გაზრდის დაფინანსება ბიუჯეტს გაუჭირდება. ამიტომ ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, დამატებითი რესურსის მოზიდვა, სპეციალურად შექმნილი ფონდის საპენსიო ანგარიშზე, 10%-იანი სავალდებულო შენატანის დაწესებით მოხდება. სამინისტროს განმარტებით, „დაუშვებელია ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებული სახსრების, კრედიტების ან სხვა დეფიციტური წყაროებიდან მიღებული სახსრების მიმართვა მიმდინარე ხარჯების – მათ შორის, პენსიების ან ხელფასების გასაზრდელად". ფინანსთა სამინისტროს არგუმენტია: რადგან პენსიების ზრდა ერთჯერადი

ხარჯი არაა, ამიტომ მისი დეფიციტური წყაროდან დაფინანსება მიმდინარე დეფიციტს კიდევ უფრო მეტად გაზრდის, რაც ბიუჯეტს მძიმე ტვირთად დააწვება.

როგორც ვხედავთ, ვალის გადავადება გაცილებით უარეს შედეგს იწვევს. მართალია, მიმდინარე პერიოდისთვის ასეთი პოლიტიკა მომხიბვლელი ჩანს, მაგრამ ამასთანავე გასათვალისწინებელია ვალუტის კურსის ცვლილება, ახალი ვალების აღება და სხვა რიგი ფაქტორები, რომლებიც სულ უფრო ამძიმებს სახელმწიფო ვალდებულებების შესრულებას კრედიტორების წინაშე.

საგარეო ვალის არსებობა ქვეყნისთვის არც ისე საშიშია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. მთავარია, მან მიღებულ საერთაშორისო სტანდარტებს - მთლიანი შიდა პროდუქტის **60%-ს** არ გადააჭარბოს. სწორი პოლიტიკის შემთხვევაში, საგარეო ვალების დაფარვა სავსებით რეალური და შესაძლებელია. საქართველოს საგარეო ვალი მშპ-თან მიმართებაში **32%-ს** არ აჭარბებს. საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის შეფარდებას მშპ–თან ასევე ახასიათებს მკაფიოდ გამოკვეთილი კლების ტენდენცია, რაც განპირობებულია საქართველოში ნომინალური და რეალური მშპ–ს სწრაფი ზრდით და დოლართან მიმართებაში ლარის კურსის შედარებითი გამყარებით.

**ლიტერატურა:**


1. ეკონომიკური პოლიტიკა, თბ., 2009.
2. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ., საგადასახადო საქმე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2007.
3. www.mof.ge
4. www.pbo.parliament.ge
5. www. parliament.ge
6. www.presa.ge


## ღვინის ბიზნესი საქართველოში, ისტორია და თანამედროვეობა


**ნინო ბერუაშვილი, ფიქრია გოგიაშვილი, თეონა კაკაშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნანა ახალაია**, სრული პროფესორი


ღვინო ცხოვრების ნაწილია. მისი გონივრულად და ზომიერად მოხმარების პროპაგანდას ჯერ კიდევ **პლატონი** ეწეოდა და ადამიანებს მარტივ წესს სთავაზობდა: "ბავშვებს 18 წლამდე ღვინო არ დაალევინოთ, 30 წლამდე ადამიანებს ნება მიეცით, ზომიერად დალიონ, 40 წლის ზემოთ უფლება აქვთ, დიდი ნადიმების დროს სასურველი რაოდენობით შესვან." თანამედროვე ექიმები ამ მოსაზრებას იზიარებენ. ხარისხიან ღვინოს ნამდვილად შეუძლია ახალგაზრდობის ელექსირი გახდეს.

ცნობილია, რომ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველმა ხალხმა შექმნა მევენახეობა-მეღვინეობის ორიგინალური კულტურა. მევენახეობას იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული, რომ ქვეყნის მთად და ბარად დაყოფა მისი გავრცელების არეალზე იყო ორიენტირებული. ვაზი იყო საქართველოს ეკონომიკური სიძლიერის წყარო, ამიტომ შემოსეული მტერი პირველ რიგში ვაზს ჩეხავდა ქვეყნის დასაუძლურებლად. თემურ-ლენგმა საქართველოში თავისი მეხუთე ლაშქრობის დროს, ვაზის ამოძირკვა მთლიანად ერის განადგურებასთან გააიგივა, ამიტომ აწარმოა ,,ეკონომიკური ომი" საქართველოსთან და კახეთში ვაზი თავის ჯარს მთლიანად გააჩეხინა, თუმცა მიზანი განუხორციელებელი დარჩა. უდიდესი ზარალის მიუხედავად ქართველმა გლეხმა არათუ აღადგინა ვაზის კულტურა, არამედ ყველა ჯიშის გადარჩენაც შეძლო. შაჰი ხარკის სახით კახეთიდან იღებდა ღვინოს, რომელსაც უწოდებდა ,,სამოთხის სითხეს". ეს არის უნიკალური შემთხვევა.

ძველად ქართული ღვინის ექსპორტი საბერძნეთში, სპარსეთის იმპერიასა და იერუსალიმში ხდებოდა. ასევე ყოფილ საბჭოთა კავშირში ქართული ღვინო ძალიან მოთხოვნადი იყო და ამიტომაც მილიონობით ლიტრი გადიოდა.

როდესაც თვალი გადავავლეთ გასული წლის მოსავალს და მარკეტინგულ კვლევებს, მივხვდით, ისეთ არაპროგნოზირებად სამყაროში, როგორშიც ჩვენ ვცხოვრობთ, წინასწარ მიღებულ გადაწყვეტილებებს არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს. ვინ რამდენი, როგორი ხარისხის ღვინო დაამზადა, რა თქმა უნდა, საინტერესოა, მაგრამ როგორ გაიყიდება ის, ამაზე არა იმდენად მომხმარებლის გემოვნება თუ კომპანიების სტრატეგიული გეგმა მოქმედებს, რამდენადაც გარეშე ფაქტორები, მაგალითად, ეკონომიკური კეთილდღეობა, სხვადასხვა ვალუტის სტაბილურობა, ტემპერატურის ცვალებადობა და ა.შ. აქედან გამომდინარე, პროგნოზების გაკეთება უადგილოდ მიგვაჩნია. ამისთვის, ალბათ, მსოფლიოს ცნობილ ეკონომისტებთან თუ კლიმატოლოგებთან ხანგრძლივი კონსულტაციები გახდებოდა საჭირო, ზუსტ პასუხს კი მაინც ვერ მივიღებდით. ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში, ყველაზე სწორი გასული წლის ტენდენციების შეჯამება და მის ანალიზზე დაყრდნობით მოსალოდნელი შედეგების გამოვლენა მიგვაჩნია.

ქართული მეღვინეობა ძირითადად ექსპორტზეა ორიენტირებული. ჩვენი ღვინის გაყიდვები განუხრელად იზრდებოდა და ამ თვალსაზრისით პიკი 2006 წლის დასაწყისში იყო. რუსულ ემბარგომდე რამდენიმე თვით ადრე 100-მდე კომპანიამ გაიტანა ღვინო ქვეყნის ფარგლებს გარეთ. 2007-2010 წლებში ექსპორტიორთა რიცხვმა 60-70-მდე დაიკლო, ბოლო წლების მონაცემების მიხედვით კი ღვინის ექსპორტის ნახევარზე მეტი 7 მსხვილ კომპანიაზე გადანაწილდა. ესენია: თბილღვინო, თელავის ღვინის მარანი, თელიანი ველი, ბადაგონი, ვაინმენი, GWS და თიფლისკი ვინნი პოგრები.

2009 წლის მონაცემებით, ექსპორტზე გატანილი იქნა 34 205 ათასი აშშ. დოლარის ღირებულების ღვინო (16 238 ტ.), ხოლო იმპორტირებული ღვინის ღირებულებამ 387 ათასი აშშ. დოლარი, ხოლო მოცულობამ - 142 ტონა შეადგინა.

2010 წლის ექვსი თვის მონაცემებით, საქართველოდან 8 718 ტონა ღვინის ექსპორტი განხორციელდა, რომლის საერთო ღირებულებამ 17, 6 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში საქართველოდან ღვინის ექსპორტი 37 ქვეყანაში განხორციელდა. ქართული წარმოების ღვინის იმპორტიორი ქვეყნების პირველი ათეული ასე გამოიყურება:

- უკრაინა – 7 638 ათასი აშშ. დოლარი (4 254 ტ.);
- ყაზახეთი – 2 668 ათასი აშშ. დოლარი (1 217 ტ.);
- ბელორუსი – 1 871 ათასი აშშ. დოლარი (531 940 ტ.);
- მოლდოვა – 731 ათასი აშშ. დოლარი (197 ტ.);
- ლატვია – 679 ათასი აშშ. დოლარი (347 ტ.);
- ლიტვა – 513 ათასი აშშ. დოლარი (262 ტ.);
- აზერბაიჯანი – 493 ათასი აშშ. დოლარი (189 ტ.);
- აშშ – 361 ათასი აშშ. დოლარი (143 ტ.);
- გერმანია – 309 ათასი აშშ. დოლარი (139 ტ.);
- სომხეთი – 141 ათასი აშშ. დოლარი (46 ტ.).

„საქსტატის" მონაცემების თანახმად, ქართული ღვინის ექსპორტი 2011 წელს წინა წელთან შედარებით 37.7%–ით გაიზარდა. ღვინის ექსპორტის საერთო ღირებულებამ 54.1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

ქართული ღვინის ბიზნესს დიდი დარტყმა მიაყენა რუსეთის ღვინის ემბარგომ. საქართველოს მთავრობის პასუხი ამაზე ქართული ღვინის საზღვარგარეთის ბაზრებზე აქტიურად პრომოუტირება იყო. ომის წინა პერიოდში არსებობდა რამდენიმე ნიშანი იმისა, რომ ეს სტრატეგია მხოლოდ ეხმარებოდა მაღალფასიანი ღვინის ექსპორტს. ამან გამოიწვია ორი სახის ზიანი. პირველი ის, რომ ღვინის ბაზარს დიდი დარტყმა მიაყენა გლობალურმა რეცესიამ, ასე რომ ქართული ღვინის ექსპორტი 2009 წელს 2008 წელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა. მეორე ის, რომ ნიშის მარკეტინგი არ იძლევა საშუალებას დიდი ოდენობით გაიზარდოს ქართული ღვინის გაყიდვები, რაც დიდად დაეხმარებოდა ქართული ღვინის მცირე მეწარმეებს.

დღეს საქართველოში ბოთლის ღვინო, სამწუხაროდ, ძალიან მცირე რაოდენობით იყიდება და ქართული ბაზარი გაჯერებულია ე.წ. ჩამოსასხმელი, სხვაგვარად კი "ოჯახის ღვინით". ქართული ღვინის კომპანიების მცირე ნაწილმა (უმეტესად მცირე კომპანიებმა) ფეხი აუწყვეს ამ ტენდენციას და, ძირითადად, პლასტმასის 3-5 ლიტრიანი ჭურჭლით თვავდაც დაიწყეს ღვინის გაყიდვა. ზოგიერთი კომპანია (მათ შორის: "თელიანი ველი", "თელავის ღვინის მარანი" და სხვა კომპანიებიც) ჩამოსასხმელ ღვინოს ყოველგვარი ჭურჭლის გარეშეც ყიდის. ასეთი ტიპის ღვინოების ფასი პრაქტიკულად სტანდარტულია და საფერავის ჯიშის ყურძნისაგან დამზადებული 1 ლიტრი ღვინო 2,5-3 ლარი,

რქაწითელი კი 1,8-2,2 ლარი ღირს. სხვა, ნაკლებად წარმოებულ და იშვიათი ჯიშების ყურძნისგან დამზადებული ღვინის ფასი კი 2-დან 4 ლარამდეა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჩამოსასხმელი ღვინო ბოთლის ღვინოზე დაახლოებით 10-15-ჯერ მეტი იყიდება, ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანაში თანდათან ბრუნდება გასული საუკუნის 90-იან წლებში ესოდენ მივიწყებული ბოთლის ღვინის შეძენის კულტურაც. ჰიპერმარკეტ "გუდვილის" მენეჯერის თქმით: "რომ არა ეკონომიკური კრიზისი, ბოთლის ღვინის გაყიდვები 2008 წლის შემდეგ, შესაძლოა დაახლოებით 2-3-ჯერ გაზრდილიყო, თუმცა ზრდის ტენდენციას ხელი ვერც კრიზისმა შეუშალა და დღეს თბილისის ყველაზე დიდ ჰიპერმარკეტში შარშანდელისაგან განსხვავებით, დაახლოებით 1,3%-ით მეტი ღვინო იყიდება".

უცნაური, თუმცა უკვე საკმაოდ დიდი ხნის ტენდენციაა ის, რომ მომხმარებლების მიერ ქართული ღვინო ევროპასა და საქართველოში სხვადასხვა რამით ფასობს და ეს ღვინოების დასახელებებითაც ნათლად ჩანს. ჩვენს მიერ გამოკითხული 3 ქართული ღვინის კომპანიის თანამშრომლებიდან თითქმის ყველა იდენტურ მონაცემებს იძლევა. მონაცემები კი საშუალოდ ასეთია: საქართველოში გაყიდული ბოთლის ღვინიდან, 45% "საფერავზე" მოდის. დაახლოებით ამდენივე იყიდება "რქაწითელიც", დარჩენილი 10%-დან დაახლოებით 7-8% დასავლეთ საქართველოში მოწეული ყურძნისაგან დამზადებულ ღვინოზე მოდის. ხოლო ისეთი ბოთლის ღვინოები, როგორიცაა მაგალითად: ციცქა, ხიხვი, ჩინური და სხვა, საქართველოში, სამწუხაროდ, ძალიან მცირე რაოდენობით იწარმოება და ასევე ცოტაც იყიდება.

გაყიდვების მხრივ განსხვავებულ სურათს ვხედავთ მაშინ, როდესაც ქართული ღვინო ევროპაში გადის. ღვინის კომპანიების მიერ მოწოდებული მონაცემებით, მიახლოებითი მდგომარეობა ასეთია: "საფერავი" – 75%, "რქაწითელი" (კუპაჟითა და ვარიაციებითურთ) - 20%, "ხვანჭკარა", "უსახელოური" და სხვა - 5%.

ცალკე თემაა ევროპასა და უმეტესად უკრაინაში ქართული ღვინის გაყალბების არანორმალურად დიდი მასშტაბები. ცნობილი გახდა, რომ უკრაინაში გაყალბებული "ხვანჭკარა" უკვე 6-7 ლარის ეკვივალენტ თანხად იყიდება, ფსევდოსაფერავს კი, 2-3 ლარად იყიდით.

საქართველოში ღვინის მომხმარებელი ეკონომიკურმა კრიზისმა საკმაოდ გაანებივრა. იმისთვის, რომ გაყიდვები გაეზარდათ, მათ მოსაზიდად მწარმოებლებმა ათასგვარ ხერხს მიმართეს. როგორც არასდროს, პოპულარული გახდა სადეგუსტაციო ოთახები, ღვინის კლუბები, აქციები რესტორნებსა და სუპერმარკეტებში. აქტუალური გახდა ღვინის ბლოგერობა, ანუ ინტერნეტის გამოყენება პროდუქტის ცნობადობის გაზრდის მიზნით. რამდენადაც დაზარალდნენ მწარმოებლები, იმდენად დიდი სარგებელი ნახა მომხმარებელმა - როგორც იქნა, მასობრივად გახდა შესაძლებელი კარგი ღვინის ყიდვა გონივრულ, ხარისხის ადეკვატურ ფასებში. მიუხედავად იმისა, რომ კრიზისი ზოგიერთ ქვეყანაში საკმაოდ შესუსტდა, ღვინის კომპანიები მარკეტინგულ პოლიტიკას უცებ ვერ შეცვლიან, ამიტომ მოსალოდნელია, რომ დაბალფასიანი ხარისხიანი ღვინოების მოთხოვნის ტენდენცია შენარჩუნდება.

სულ უფრო იმატებს მომხმარებლის მხრიდან მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა, "მწვანე" ღვინოებზე. ორგანულ, ბიოპროდუქტზე მოთხოვნა ზოგადად გაიზარდა და ეს ღვინოებსაც შეეხო. ქიმიკატებზე უარის თქმა და ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტით ღვინის დამზადება რომ ამ უკანასკნელზე კარგად მოქმედებს, ეს რამდენიმე ქართული ღვინის მაგალითზეც შესანიშნავად ვიცით.

ბოლო წლების ეკონომიკურმა კრიზისმა ღვინის დიზაინსაც თავისი დაღი დაასვა. ღვინის მწარმოებლები შეეცადნენ, რაც შეიძლება მეტად გაეკეთებინათ ეკონომია ისეთ მხარეზე, როგორიც დიზაინია. 2013 წლიდან ელოდებიან, რომ სიტუაცია შეიცვლება და ბრენდინგზე მეტი ფული დაიხარჯება.

ვფიქრობთ, ქართველ მეღვინეებს წელს ლავირება არ უნდა გაუჭირდეთ. ტენდენციები საკმაოდ არაერთგვაროვანია და თუ ზოგადი სურათი უცვლელი დარჩა, ქართული ღვინო გასაღების ბაზარს ყველგან იპოვის. მთავარია ხარისხის შენარჩუნება და პროდუქტზე ადეკვატური ფასის დადება. თანაც, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური კრიზისი საბოლოოდ დაძლეული არ არის, დაბალი და საშუალო ფასის სეგმენტის ღვინოებზე არანაკლებ აქტუალური ხდება ძვირფასი ღვინოების წარმოებაც, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აზიის ბაზრის მოთხოვნამ განაპირობა. ასე რომ, არ ღირს მხოლოდ დაბალფასიან სეგმენტზე ორიენტირება - ხარისხის გაზრდა ახალი კონტაქტების დამყარებასთან ერთად კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ქართული ღვინის წარმატებისკენ.

2013 წელს კეთილშობილ, იგივე დახვეწილ ღვინოებზე (fine wine) ფასი 14%–ით მაღალი იქნება. ამ დასკვნას „ღვინის საინვესტიციო ფონდი" ავრცელებს, რომელმაც საინვესტიციო გარემოს კვლევა ჩაატარა. კვლევის ავტორები ღვინის კომპანიის წარმომადგენლებს რეკომენდაციებსაც აძლევენ და აღნიშნავენ, რომ კომპანიებისთვის 2013 წელი ღვინის ბაზარზე შესვლისთვის ყველაზე მოსახერხებელი და მომგებიანი პერიოდი იქნება. ფონდის ინვესტიციების მართვის მენეჯერი კრის სმიტი მიიჩნევს, რომ

გასული წლებისგან განსხვავებით, როდესაც გლობალური ეკონომიკური კრიზისისა და მზარდი ინტერნეტ–გაყიდვების გამო ღვინის ბაზარზე ფასი მკვეთრად დაეცა, ფასის ზრდის პერსპექტივა 2013 წელს უფრო ნათელია. „2009 წლიდან მოყოლებული ეს იქნება საუკეთესო წელი ბაზარზე შესასვლელად" – ამბობს კრის სმიტი და იმასაც აღნიშნავს, რომ ოქროს მსგავსად, ღვინო ნივთიერ აქტივებს განეკუთვნება, რომელიც ინარჩუნებს იმუნიტეტს ინფლაციისა და სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედებების წინააღმდეგაც.

იმისათვის, რომ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია უფრო სრული და რეალობასთან ახლოს ყოფილიყო და განგვემტკიცებინა მოსაზრება ღვინის ბიზნესის ხვალინდელ დღეზე, ჩვენ ვესტუმრეთ მუხრანში მდებარე ,,CHATEAU MUKHRANI" ღვინის ქარხანას, სადაც გავესაუბრეთ საწყობის მენეჯერს ვასიკო ფოლადიშვილს, ვისგანაც შევიტყვეთ, რომ ამ ქარხნის გენერალური დირექტორია პიტერ სვეტიჩი, ხელმძღვანელი მამუკა ხაზარაძე, მთავარი მეღვინე - ლადო უზუნაშვილი, რომელიც მსოფლიო ათეულში შედის.

1882 წლიდან მუხრან ბატონი აწარმოებდა ღვინოებს სარდაფებში, აძველებდა და შემდეგ გაჰქონდა გასაყიდად. როგორც დამოუკიდებელი ქარხანა 2007 წლიდან არსებობს და საკმაოდ დიდი ადგილი დაიკავა ღვინის ბიზნესში. ქარხანაში იწარმოება 15 სახის ღვინო, ყურძნის ჯიშებია: სოდინიონი, მუსკატი, სირა, შარდონა, რქაწითელი, ჩინური, გორული მწვანე, შავკაპიტო, თავკვერი და საფერავი. ნედლეული არის ადგილობრივი, რომელიც გაშენებულია 100 ჰექტარ მიწის ფართობზე. აქ დასაქმებულია ძირითადად სოფლის მოსახლეობა, რომელთა საშუალო ხელფასი შეადგენს დღეში 15 ლარს. ღვინის ფასი მერყეობს 14-დან 49 ლარამდე. მუსკატი სადესერტო ჯიშის ყურძენია და ღვინოც ყველაზე ძვირად ღირებულია.

ძირითადად ღვინო რეალიზდება და ექსპორტზე გააქვთ ბელორუსიაში, აშშ-ში, ავსტრიაში, ჰოლანდიაში, ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში, უკრაინაში, ყაზახეთში, აზია, ჰონკონგი და ჩინეთში სულ ახლახან გაგზავნეს 8000 ბოთლი. დისტრიბუციას ეწევიან საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, სადაც გახსნილი აქვთ საფირმო მაღაზიები. ეიფელის კოშკში განსაკუთრებული ადგილი ეკავა შატო მუხრანს.

ღვინის დეგუსტაცია პროფესიონალთა საქმეა! თუმცა, გარკვეულ წესებს თუ გავითვალისწინებთ, ნებისმიერი მოყვარული შეძლებს ღვინის შეფასებას. ჩვენც შევეცადეთ ეს პასუხისმგებლობა გვეკისრა და ბატონ ვასიკოს დახმარებით ერთ-ერთი საუკეთესო ღვინო ,,შავკაპიტო" დავაჭაშნიკეთ. შევეცადეთ ძირითად ოთხ საფეხურში გავრკვეულიყავით, ესენია:

1. ღვინის ფერის, ვიზუალის შეფასება;
2. ღვინის სუნის შეგრძნება;
3. ღვინის დაგემოვნება;
4. ღვინის შეფასება.

გავარკვიეთ, რომ ,,შავკაპიტო" არის წითელი ნახევრად ტკბილი ღვინო, არის ჰარმონიული, ხავერდოვანი და არ ძველდება.

იმისათვის, რომ გაგვერკვია თუ რამდენად მომგებიანია და, საერთოდ, ღირს თუ არა საქართველოში აწარმოო ამ სახის ბიზნესი, ასევე ვესტუმრეთ გორში არსებულ ,,ქართული ღვინის სახლს", რომელიც ასევე საკუთარი ნედლეულით აწარმოებს პროდუქციას და თვითონვე ახდენს რეალიზაციას ჩეხეთში, ჩინეთში, პოლონეთში, ისრაელში, ამერიკაში, საბერძნეთში, გერმანიაში და ა.შ. ამ კითხვაზე მივიღეთ დადებითი პასუხი, რადგანაც სწორად წარმართული ნებისმიერი საქმიანობა დამაკმაყოფილებელი შედეგის მომცემია. ჩვენ გავესაუბრეთ მიხეილ ღამბაშიძეს, რომელსაც ჩვენს მიერ შედგენილი კითხვარი შევთავაზეთ, რომელზეც შემდეგი პასუხები მივიღეთ:

1. მომხმარებელთა უმრავლესობა რომელ ღვინოს ანიჭებს უპირატესობას?
- უცხოელები წითელ ტკბილ ღვინოს, ქართველები თეთრ მშრალ ღვინოს.

2. როგორ მერყეობს ღვინის ფასები?
- ჩამოსასხმელი ღვინო 3 ლ. ხვანჩკარა 15 ლ, 2006 წ ღვინო საფერავი 25 ლ.

3. რა ფასის ღვინოები იყიდება ყველაზე მეტი?
- ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ტურისტები უფრო მაღალფასიან ღვინოს ყიდულობენ.

4. მომხმარებელი ფასს უფრო ანიჭებს ყურადღებას თუ ხარისხს?
- ხარისხს.

5. რა უნდა ღირდეს ღვინო, რომ უფრო გაყიდვადი და ხელმისაწვდომი იყოს?
- არსებული ფასები ტურისტებისთვის ხელმისაწვდომია, საქართველოს მოსახლეობისთვის კი - ცოტა ძვირი.

6. უნდა განსხვავდებოდეს თუ არა ღვინის ფასი მისი სახეობის მიხედვით?
-კი, რა თქმა უნდა.

7. პირადად თქვენ რომელ ღვინოს ანიჭებთ უპირატესობას?
- შიდა ქართლის გორულ მწვანეს.
8. ღირს თუ არა, რომ საქართველოში აწარმოოთ ღვინის ბიზნესი?
- კი, სწორად წარმართული ნებისმიერი საქმიანობა კარგი შედეგის მომტანია.

"ქვევრის ღვინის“, როგორც არამატერიალური კულტურის ძეგლად აღიარება უდაოდ შეუწყობს ხელს ქვევრის ღვინის წარმოების მზარდი აღორძინების პროცესს.

,,არსად მოიძებნება ისეთი ქვეყანა, სადაც ამდენ და ასეთ კარგ ღვინოს სვამენ“. გიყვარდეთ, პატივი ეცით ადამიანს, რომელსაც ხელში სასმისი უჭირავს, რადგან მისგან მხოლოდ სიკეთეს, სიმართლეს, გულღიაობას და სიცოცხლის სიყვარულს უნდა ელოდოთ.

დასკვნა: წარმატებისთვის უნივერსალური წამალი არ არსებობს. საჭიროა კომპლექსური ნაბიჯების გადადგმა ქართული Wine Field-ის ოთხ მთავარ ნაწილში: 1. დარგის შიდა რეგულაცია; 2. ქართული ღვინის ეფექტური მარკეტინგი; 3. ადგილობრივი მცირე მწარმოებლების გაერთიანებები: 4. განათლება.

**ლიტერატურა:**


1. მოდებაძე კ., მეღვინეობა, თბ., 1948.
2. გელაშვილი ნ., მეღვინეობა, თბ., 1961.
3. ჯავახიშვილი ივ., ,,ქართველი ერის ისტორია“, თბ., 1965.
4. ფრუიძე ლ., მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, თბ., 1974.
5. სირბილაძე ა., ყურძნის ალკოჰოლურ პროდუქტთა ხარისხის გაუმჯობესების ძირითადი საშუალებანი, თბ., 1977.
6. www.radiotavisupleba.ge/content/article
7. http://www.mukhrani.com.


## პერსონალის შერჩევა და მათი სტიმულირება


**მარიამ დემუროვი, ნონა მოსიაშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლია ბიბილაშვილი,** ასოცირებული პროფესორი


დღევანდელი ბიზნესის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს ადამიანური კაპიტალი. სტენლი ფიშერის მიხედვით, ადამიანური კაპიტალი არის ადამიანში განსხეულებული უნარი მიიღოს შემოსავალი, ანუ იგი მოიცავს დაბადებისთანავე მიღებულ უნარს და ტალანტს, ასევე განათლებას და შეძენილ კვალიფიკაციას. ადამიანური კაპიტალი არის განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის შესაძლო სტაბილური ზრდის მთავარი დომინანტი. ყოველი ქვეყანა, რომელიც მიზნად ისახავს ცივილიზებული, ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოება შექმნას, მიზნის მისაღწევად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მაქსიმალურად მეტი ინვესტიციები ჩადოს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, საიდანაც ფიზიკურ კაპიტალთან შედარებით უკუგება მნიშვნელოვნად მაღალია. დღეს მენეჯმენტის პრაქტიკულად ყველა სპეციალისტი აღიარებს, რომ XXI საუკუნის ფირმის წარმატებას ძირითადად განაპირობებს ადამიანური ფაქტორი: ორგანიზაციაში არსებული სამუშაო ატმოსფერო, ადამიანური ურთიერთობები, გუნდურობა, პერსონალის შერჩევის პროცედურები და ა.შ.

„აუცილებელია „კარგმა ადამიანებმა“ სარგებლობა მოიტანონ ბუნებაში, სხვანაირად რომ იყოს, არ შეიძლება, ხოლო ჩვენთვის ისინი სარგებლობას მოიტანენ იმ შემთხვევაში თუ ჩვენს საქმეებს სწორად განაგებენ.“ სოკრატე

ვინ არის ადამიანი? - ადამიანი არის საზოგადოებრივი გონიერი არსება, რომელსაც აქვს ცნობიერება, დანაწევრებული მეტყველება და უნარი თავისი შრომით დაუპირისპირდეს, ბუნებას და მატერიალური და სოციალური მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნას იგი.

რა არის ორგანიზაცია? - ეს არის ერთი მიზნისა და ამოცანების მისაღწევად გაერთიანებულ ადამიანთა ან მათი ჯგუფების ერთობლიობა, რომელიც შრომის დანაწილების, უფლებამოსილების გადანაწილებისა და მართვის იერარქიული სტრუქტურის მოწყობის პრინციპების საფუძველზე ხორციელდება. საბოლოოდ ყველაფერს ადამიანები წყვეტენ, აკეთებენ და მართავენ. ამიტომ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის ყველა ელემენტს შორის უნიკალური როლი აკისრია მის ცოცხალ კომპონენტს - ადამიანს. მომსახურე პერსონალის გარეშე არცერთ ორგანიზაციას არ შეუძლია არსებობა და დასახული მიზნის მიღწევა. ამისათვის საჭიროა კანდიდატების შესწავლა და მათი შერჩევა იმ სპეციალობის მიხედვით, რომელიც ფირმისთვისაა საჭირო.

პერსონალის შერჩევის პროცესი მნიშვნელოვანია 3 მიზეზით:

პირველი – თქვენი სამუშაოს ეფექტურობა დიდადაა დამოკიდებული თქვენი დაქვემდებარებულების მუშაობის ეფექტურობაზე. საჭირო უნარების არმქონე მუშაკები იმუშავებენ წარუმატებლად, რაც უარყოფითად აისახება თქვენს საქმიანობაზე.

მეორე მიზეზია პერსონალის შერჩევის სიძვირე. საშუალოდ, ეს დანახარჯი უდრის 47000 დოლარს წელიწადში (აქ შედის ძებნის, გასაუბრებების, რეკომენდაციის შემოწმების, მგზავრობის და სხვა ხარჯები).

მესამე მიზეზია არაკეთილსასურველი იურიდიული სიტუაცია. ერთი მხრივ, უნდა იქნეს დაცული კანონი სამუშაოს თანასწორუფლებიანობისა, ხოლო, მეორე მხრივ, სულ უფრო მეტად იზრდება დამსაქმებელთა წინააღმდეგ სარჩელის რაოდენობა „სამუშაოზე არაკეთილსინდისიერად მიღებასთან“ დაკავშირებით. განსაკუთრებით ხშირად სასამართლო აკისრებს პასუხისმგებლობას დამსაქმებლებს იმ შემთხვევებში, როცა კრიმინალური წარსულის მქონე მუშაკებს ეძლევათ კლიენტთა სახლებში შეღწევის შესაძლებლობა. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ არაკეთილსინდისიერი დაქირავების რიცხვი სულ უფრო მატულობს. დაქირავებულებმა უნდა იცოდნენ ზუსტად, თუ რა მოთხოვნებს უყენებენ მათ. მაგალითად, დახასიათება „არამოძალადე“ ნამდვილად არ იქნება იმ უნარების ჩამონათვალში, რაც მოეთხოვება რემონტის სპეციალისტს, თუმცა სწორედ ამ პირობის შეუსრულებლობამ გამოიწვია ძალიან ბევრი სარჩელი დამსაქმებელთა წინააღმდეგ. ამიტომ დამსაქმებლებს უწევთ ლავირება და შესარჩევი პროცედურების დახვეწა. ერთი მხრივ, მათ უნდა გამოავლინონ საჭირო თვისებები და, მეორე მხრივ, უნდა უზრუნველყონ უსაფრთხოება ამ სიტყვის ფართო გაგებით. წარსულში ხელმძღვანელები ხშირად არჩევდნენ ახალ თანამშრომლებს კადრების სამსახურების გარეშე. ამ დროს ისინი ეყრდნობოდნენ საკუთარ ინტუიციასა და გამოცდილებას, აგრეთვე რეკომენდაციას წინა სამუშაო ადგილიდან. ხშირი შეცდომები კი იწვევდა თანამშრომელთა ხშირ განთავისუფლებას და ახლის დანიშვნას. იმისათვის, რომ დაქირავებულ იქნას შესაბამისი მომუშავეები არსებული ვაკანსიების შესავსებად, საჭიროა მოვიპოვოთ ზუსტი ინფორმაცია თვით სამუშაოს ხასიათის შესახებ, იმ თვისებებისა და კვალიფიკაციის შესახებ, რაც აუცილებელია გააჩნდეს პრეტენდენტს მოცემული სამუშაოს შესასრულებლად. ესაა ე.წ. მოსამზადებელი ეტაპი პერსონალის შერჩევისათვის, რომელიც შემდეგი თანმიმდევრობით ტარდება:

>> სამუშაოს შინაარსის ანალიზი;

>> სამუშაოს ხასიათის აღწერა (თანამდებობრივი ინსტრუქცია);

>> მოთხოვნები პერსონალისადმი.

სამუშაოს შინაარსის ღრმა ანალიზი საშუალებას გვაძლევს მოვიპოვოთ დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ამოცანების გადაწყვეტა მოუხდებათ მომუშავეებს მოცემული სამუშაოს შესრულებისას და როგორია ამ სამუშაოს ინდივიდუალური მახასიათებლები. უკვე ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შევადგინოთ შესასრულებელი სამუშაოს თანამდებობრივი ინსტრუქცია. ამ დოკუმენტში მოკლედაა გადმოცემული მოცემული სამუშაოს შესრულების ძირითადი ამოცანები, საჭირო უნარ-ჩვევები, მომავალი მომუშავის პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების საკითხები. მოსამზადებელი სამუშაოს შემდეგ ეტაპს წარმოადგენს იმ მოთხოვნების ჩამოყალიბება, რომელთა შესრულებაც აუცილებელია პრეტენდენტებისათვის სამუშაოს განსახორციელებლად. ანუ მაქსიმალურად ზუსტად უნდა განისაზღვროს საჭირო უნარ-ჩვევები, ზოგადი და პროფესიული ცოდნის დონე, კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება და ა.შ. პერსონალის შერჩევის სისტემა განსხვავებულია აშშ-სა და იაპონიაში. გარკვეულწილად, იაპონურ ფირმებში ,,ორგანიზაციას არგებენ ადამიანს”. აქ უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სპეციალურ ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც საჭიროა თანამდებობრივი მოვალეობების დაუყოვნებელი შესრულებისათვის და კონცენტრირებულნი არიან ინდივიდუალურ პოტენციალზე და სწავლის ხარისხზე. ეს იმით აიხსნება, რომ იაპონურ ფირმებში ამა თუ იმ პიროვნების დაქირავება ხდება, როგორც წესი, ხანგრძლივი დროის

განმავლობაში. კონკრეტული სპეციალური უნარ-ჩვევების და გამოცდილების მიღება ხდება უშუალოდ ფირმაში. ანუ მათ ფირმაში ხდება მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. კადრებთან მუშაობის მთელი სისტემა აქ მორგებულია ,,მუდმივი დაქირავების" პრინციპს. აშშ-ში კი უპირატესობას ანიჭებენ ისეთი მომუშავეების დაქირავებას, რომლებსაც გააჩნიათ პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები. ასეთ შემთხვევაში ახალი მომუშავეების სწავლებაზე გაცილებით ნაკლები დანახარჯებია საჭირო და დაქირავებულს შეუძლია პირდაპირ შეუდგეს მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. დღეს წარმატებული ორგანიზაციები როგორც დასავლეთში, ასევე პოსტ-საბჭოურ სივრცესა და საქართველოში ზრუნავენ არა მხოლოდ პერსონალის შერჩევა-განვითარებასა და ეფექტიან მართვაზე, არამედ ახალი, ინოვაციური რესურსების მოძიებაზეც. ყველა შემთხვევაში კადრების შერჩევა მიმართულია პრეტენდენტის უნარისა და შესაძლებლობების გამოვლენისაკენ, რათა განსაზღვრულ იქნეს მისი შესაბამისობა ორგანიზაციის მუშაობის თავისებურებებთანა და პირობებთან. ორგანიზაციათა უმრავლესობა იყენებს ვაკანტურ თანამდებობებზე შერჩევის გავრცელებულ პროცედურას, რომელსაც კადრების განყოფილება ახორციელებს. პერსონალის შერჩევის ტიპიური პროცედურა მოიცავს 6 საფეხურს, ესენია: >> განცხადების ბლანკის და ბიოგრაფიული ანკეტის შევსება; >> ტესტირება; >> წინასწარი შესარჩევი გასაუბრება (გამოკითხვა); >> რეკომენდაციების და დაკავებული თანამდებობების სიის შემოწმება; >> სამედიცინო შემოწმება; >> გადაწყვეტილების მიღება. საფეხური I: განცხადების ბლანკის და ავტობიოგრაფიული ანკეტის შევსება - იმ პირებმა, რომლებმაც გაიარეს წინასწარი შესარჩევი გასაუბრება, უნდა შეავსონ განცხადება და ანკეტა. ანკეტის კითხვარების რაოდენობა უნდა იყოს მინიმალური და უნდა მოიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რომელიც ყველაზე უფრო სრულად ახასიათებს პრეტენდენტის ეფექტიანობას. კითხვები შეიძლება ეხებოდეს მის წარსულ სამუშაოს და გონებრივ შესაძლებლობას. ანკეტის პუნქტები ფორმულირებული უნდა იყოს ნეიტრალურ სტილში და გულისხმობდეს ნებისმიერ პასუხს მათ შორის უარსაც. ანკეტირების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს პირადი თვისებებისა და იმ გარემოებების დადგენა, რომელიც დაეხმარება დაქირავების შემთხვევაში პრეტენდენტებს მუშაობაში. საფეხური II: ტესტირება - შერჩევისას გადაწყვეტილებების მიღების გაადვილების მიზნით გამოიყენებენ ხოლმე ტესტებსაც. იგი სამი სახისაა: საკვალიფიკაციო, ნარკოლოგიური და ფსიქოლოგიური საფეხური III: წინასწარი შესარჩევი გასაუბრება (გამოკითხვა) - საუბრის პროცესში ხდება ინფორმაციის გაცვლა კითხვა-პასუხის ფორმით. ერთ-ერთი მეცნიერი ხ. ჯესნაპი გვთავაზობს: თუ თქვენ გსურთ რომ პრეტენდენტმა მოგაწოდოთ მაქსიმალური ინფორმაცია, გასაუბრების დროს თქვენ უნდა: მოსაუბრეს უყუროთ თვალებში; არ გააკეთოთ გრძელი პაუზები; უნდა დაიკავოთ აქტიური პოზიცია საუბრის დროს; ხშირად გამოთქვათ თქვენი მოსაზრებანი დასმულ შეკითხვაზე; ხშირად დაეთანხმოთ მას. საფეხური IV: რეკომენდაციების და თანამდებობრივი ჩამონათვალის გადამოწმება - შერჩევის ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენს წინა სამსახურიდან რეკომენდაციების ან სხვა ანალოგიური დოკუმენტების მოთხოვნა. თუ უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან დამქირავებლის რეკომენდაცია იძლევა ზოგად და მინიმალურ ინფორმაციას, მაშინ მისგან სარგებელი მეტად მცირეა. ყველაზე ხშირად ამოწმებენ უკანასკნელ სამუშაო ადგილს და სასწავლო დაწესებულებას. საფეხური V: სამედიცინო შემოწმება. საფეხური VI: გადაწყვეტილებების მიღება - შერჩევა სრულდება სამსახურში მიღებით და ორმხრივი შრომითი ხელშეკრულების დადებით.

დაქირავების ძირითად ამოცანას წარმოადგენს პერსონალზე მოთხოვნის დაკმაყოფილება როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ჭრილში. სამუშაოზე დაქირავება, ესაა ქმედებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად საჭირო პერსონალის მოზიდვისაკენ. მაგალითად, განვიხილოთ ერთ-ერთი წარმატებული და ძლიერი კომპანია "თეგეტა მოტორსი". ადამიანური რესურსები "თეგეტა მოტორსში" მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. სწორედ მათი სწორად მართვა და განაწილება განაპირობებს კომპანიის წარმატებას. ამ კომპანიაში პერსონალს არჩევენ განაცხადით, ტესტირებითა და გასაუბრებით. პერსონალი ვალდებულია დაიცვას შემდეგი წესები: იაროს უნიფორმით, მოწესრიგებულმა, გამოცხადდნენ დროულად, თან იქონიონ საშვი. 3 გაფრთხილების შემდეგ მომუშავე ტოვებს თანამდებობას. რაც შეეხება მათ მოტივაციას, ისინი ახორციელებენ: ფასდაკლებები, ბონუს ქულები + პრემია, შიდა ლატარია, საგზურები, დაწინაურება და როტაცია.

განიხილავენ პერსონალის დაქირავების ორ წყაროს: შიგა (ანუ ორგანიზაციაში არსებული მომუშავეები) და გარე (ადამიანები, რომელთაც კავშირი არა აქვთ ამ ორგანიზაციასთან). პერსონალის დაქირავების გარე წყაროებში შეიძლება გამოვყოთ: სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებები; კომერციული სასწავლო ცენტრები. პერსონალის დაქირავების შიდა წყარო შეიძლება იყოს: თანამშრომელთა ერთი ქვეგანაყოფიდან მეორეში გადაყვანა შესაბამისი გადამზადების საშუალებით ან მის გარეშე; თანამშრომელთა დაწინაურება და გადაყვანა უფრო მაღალ იერარქიულ საფეხურზე და ა.შ. შერჩევისას ხშირად გამოიყენება სარეკლამო განცხადებები ვაკანტური სამუშაო ადგილების შესახებ. ასეთი განცხადებების საშუალებით შესაძლებელია ეფექტური შედეგების მიღება მინიმალური

დანახარჯებით. თანამედროვე პირობებში დამქირავებლისა და დაქირავებულს შორის ურთიერთობას აწესრიგებს დაქირავების საკონტრაქტო სისტემა. იგი მომუშავეს კონტრაქტის მოქმედების ვადაში აძლევს დასაქმების გარანტიას, ხოლო ადმინისტრაციას ავალებს უზრუნველყოს ეს უკანასკნელი შრომის პირობებით და შესაბამისი ანაზღაურებით.

კონტრაქტი შეიძლება დაიდოს ინდივიდუალურად ცალკეულ პიროვნებებთან ან გარკვეულ ჯგუფებთან. აქედან გამომდინარე განასხვავებენ ინდივიდუალურ და კოლექტიურ კონტრაქტებს. კონტრაქტის ქმედითობის ამაღლების მიზნით მიზანშეწონილია მასში მაქსიმალურად ზუსტად და ნათლად განისაზღვროს სამუშაოს მოცულობა, შესრულების ვადები და ორივე მხარის ვალდებულებები.

"ბრეინ სორს ინტერნეშენალ" არის ერთ-ერთი ევროპული კომპანია, რომელიც მაღალ პროფესიულ დონეზე ახორციელებს პროფესიული კადრების მოძიება-შერჩევას საქართველოში, ევროპასა და დსთ ქვეყნებში.

მრავალი კომპანია იყენებს ახალი მუშაკების სწავლებას იმის გამო, რომ არ მოხდეს მათი დენადობა ერთი სამუშაოდან მეორეში, რაც ამცირებს წარმოებასა და შრომის ნაყოფიერებას. ასევე, თუკი ადამიანს საკუთარი საქმე არ უყვარს, იგი მას წარმატებით ვერ შეასრულებს. კონკრეტული მუშაკის წარუმატებელ საქმიანობას კი მთლიანი ორგანიზაციის წარუმატებლობაში შეაქვს წვლილი და, პირიქით, სათანადო მუშაკი ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელია ბიზნესში გამარჯვებისა ალბათ, სწორედ ამიტომ არის, რომ თანამედროვე ორგანიზაციები საკუთარ საქმეზე შეყვარებულ თანამშრომლებს ეძებენ და ვაკანსიების განთავსებისას აპლიკანტებს ერთ-ერთ აუცილებელ პირობად თვითმოტივირებულობას უყენებენ. თვითმოტივაცია ეს არის უნარი საკუთარი თავის მოტივირებისა და მიზანდასახულობა საქმის განხორციელებისას სხვა რომელიმე ადამიანის გავლენის გარეშე. იგი წარმოადგენს საკუთარი თავისა და სხვა თანამშრომლების სტიმულირების პროცესს იმ საქმიანობის განსახორციელებლად, რომელიც მიმართულია პირადი და ორგანიზაციის საერთო სტრატეგიების მიღწევისაკენ. თუმცა, გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ მუშაკი მაქსიმალურად მოტივირებულია სამსახურში აყვანიდან სამი თვის განმავლობაში. შემდეგ კი, თუკი არ არსებობს რიგი წამახალისებელი ფაქტორები, მას ეს მოტივაცია უქვეითდება. სწორედ აქ დგება მწვავე საკითხი კონკრეტული ადამიანის, ხშირად კი მთელი დეპარტამენტის საჭიროებისა, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს პერსონალის მოტივაციის თუ თვითმოტივაციის გაღვივებას და ამ მოტივაციას კომპანიის მიზნების განხორციელებისაკენ წარმართავს. სწორედ HR მენეჯერის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს პერსონალის მოტივაცია, რაც, სამწუხაროდ, ხშირად უგულებელყოფილია. მმართველობით პერსონალს ავიწყდება, რომ მათი მთავარი აქტივი სწორედ რომ ადამიანია, რომელიც ქმნის იმ ფასეულობას, რომლის მეშვეობითაც ის იზიდავს მომხმარებლებს და, საბოლოო ჯამში, იღებს მოგებას, რაც, თავის მხრივ, ბიზნესის განხორციელების მთავარ მიზანს წარმოადგენს. ამასთან, რაც უფრო მოტივირებულია მუშაკი, მით უფრო წარმატებულია კომპანია.

რა განაპირობებს მოტივაციას პერსონალში?

ხელფასი – თავისთავად ცხადია, რომ შრომის ანაზღაურება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხელქვეითის მოტივაციაში. ადამიანი უნდა გრძნობდეს, რომ მის შრომასა და მონდომებას სათანადოდ აფასებენ და ეს ყველაზე კარგად ხელფასის ოდენობაში გამოიხატება. სიტყვიერი წახალისება – შეიძლება არც კი დაიჯეროთ, მაგრამ სიტყვიერმა შექებამ შესაძლოა უფრო დიდი ეფექტი მოგიტანოთ, ვიდრე ანაზღაურების 50 %-იანმა ზრდამ. ხელქვეითმა აუცილებლად უნდა იცოდეს, თუ რას ფიქრობენ მასზე და მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. სამუშაო გარემო – ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა პირობებში უწევს ადამიანს მუშაობა. თუკი სუპერთანამედროვე საოფისე ავეჯის შეძენის საშუალება არ გაქვთ, თქვენი თანამშრომლები კომფორტული სავარძლებით მაინც უზრუნველყავით. დამერწმუნეთ, საოფისე სკამს ძალზე დიდი ძალა აქვს. მეგობრული ატმოსფერო – ატმოსფერო და განწყობა კოლექტივში ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც მოტივაციაზე და საბოლოო ჯამში, შრომის პროდუქტიულობასა და მის შედეგებზე ახდენს გავლენას. ამიტომ ხელმძღვანელმა ხელი უნდა შეუწყოს თანამშრომლებს შორის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებას. პროფესიული განვითარება – ნებისმიერი ადამიანისთვის, განსაკუთრებით ამბიციურისა და კარიერაზე ორიენტირებულისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია პროფესიული განვითარება და იმ ცოდნის მიღება, რომელიც მას მისი „გლობალური" გეგმების განხორციელებაში დაეხმარება. შესაბამისად, ტრეინინგებიც ძალზე მნიშვნელოვან მოტივატორს წარმოადგენენ ხელმძღვანელის ხელში. მაგალითად, კადრების მომზადებისა და გადამზადების მიზნით წამყვანი კომპანიები იყენებენ ცალკეულ უნივერსიტეტებთანა და კოლეჯებთან სახელშეკრულებო ურთიერთობათა ფორმას. ერთ-ერთი ასეთი კომპანიაა „მოტოროლა", რომელსაც აქვს ცენტრ-უნივერსიტეტი, სადაც ახდენს წელიწადში 100 ათასი მუშაკის მომზადებასა და გადამზადებას. სოციალური უზრუნველყოფა –აქ შეიძლება ვიგულისხმოთ სამედიცინო დაზღვევა, საჩუქრები დღესასწაულებზე, სპორტულ–გამაჯანსაღებელი დაწესებულებების აბონიმენტები და ა.შ. მინიმალური

სოციალური უზრუნველყოფაც კი იწვევს თანამშრომელში მოტივაციას, რადგან ადამიანს უჩნდება სტაბილურობის შეგრძნება, რაც კეთილსინდისიერი მუშაობისკენ უბიძგებს მას. მოვიყვანოთ მაგალითი 1998 წლიდან, ჟურნალი FORTUNE აქვეყნებს იმ 100 კომპანიის სიას, რომლებშიც მუშაობა ადამიანებს ყველაზე მეტად მოსწონთ. ალბათ გაინტერესებთ, თუ როგორ არჩევს აღნიშნული ჟურნალი კომპანიებს. მოგახსენებთ, რომ, უპირველეს ყოვლისა, ის იყენებს სპეციალურად შედგენილ კითხვარებს. 350 მუშაკი პასუხობს 57 კითხვას საკუთარი კომპანიის შესახებ. შემდეგ კი, FORTUNE აკვირდება ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა მაგალითად, ხელფასი, პრემიები და კომუნიკაცია მუშაკებსა და მენეჯმენტს შორის. გამოვლენილ ტოპ ასეულ კომპანიას ზოგიერთი რამ საერთო დანამდვილებით აქვთ: ყოველი მათგანი გასცემს კარგ ანაზღაურებას, აძლევს მუშაკებს გადაწყვეტილების მიღების საშუალებას და სთავაზობს კომფორტულ სამუშაო გარემოს. თუმცა, ამ კომპანიებს, როგორც წესი, განსაკუთრებული წამახალისებელი აქციებიც გააჩნიათ. მაგალითად, J.M. Smucker, ხილის ჯემებისა და ჟელეების მწარმოებელი კომპანია თავის თანამშრომლებს ყოველდღიურად ურიგებს ნამცხვრებს საუზმეზე. Griffin Hospital-ის თანამშრომლები ყოველდღიურად უფასო მასაჟით საჩუქრდებიან. ასეულის სათავეში მდგომი კომპანია Wegmans Food Markets კი უშვებს თავის თანამშრომლებს ათდღიანი მოგზაურობით ბრიტანეთში, საფრანგეთსა ან იტალიაში, მაგალითად, ყველის სახეობების შესასწავლად.

**ინტერნეტ-რესურსები:**


1. www. Netexpo.ge
2. www.gbc.ge
3. www.gaap.ru/biblio
4. www. factiva.com. ru
5. www. kursowiki.ru
6. www. Securities.com
7. www.e-info.ge


## ნაადრევი ქორწინების ტენდენციები საქართველოში


**თამთა კაპანაძე, ანიკო ჯანგიშერაშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნანა ახალაია**, სრული პროფესორი


ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში (სსკ–ის 1106–ე მუხლი). ქორწინების ასაკის ტენდენცია ისეთი მაჩვენებელია, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს საზოგადოების სოციალურ მდგომარეობას და, როგორც ჩვენ მიერ ჩატარებულმა მცირემასშტაბიანმა კვლევამ აჩვენა, ხშირ შემთხვევაში პირიქითაც ხდება, ანუ სოციალურ-ეკონომიკური ფონია ადრეული ქორწინებისა და მისი შედეგების ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტორი.

ჩვენ დავინტერესდით ადრეულ ასაკში დაქორწინებულ წყვილთა შეხედულებით ნაადრევ ქორწინებაზე და ჩვენთვის ერთობ მოულოდნელი და საოცარი პასუხებიც კი მივიღეთ. თუმცა, სანამ უშუალოდ ჩვენს „კვლევაზე" გადავიდოდეთ, ცოტა რამ საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ არსებულ ნაადრევ ქორწინებასა და განქორწინებასთან დაკავშირებულ ტენდენციებზეც ვისაუბროთ.

იურიდიული თვალსაზრისით, საქართველოში ქორწინების ქვედა ზღვრად ორივე სქესისთვის მიჩნეულია 18 წელი. აშშ-ში ქორწინება შესაძლებელია 16 წლის ასაკშიც მშობლების თანხმობით, ხოლო მათი თანხმობის გარეშე 18 წლის ასაკისთვის, თუმცა კანონის ნებართვის მიუხედავად, დასავლეთის

განვითარებულ ქვეყნებში ქორწინების საშუალო ასაკი 30 წელს მიუახლოვდა და ზოგან გადააჭარბა კიდეც.

საქართველოში ქორწინების საშუალო ასაკი 20-24 წელია, თუმცა ბოლო პერიოდში ძალიან გახშირდა ადრეული ქორწინების შემთხვევები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, აქ 2005 წელს შეიქმნა 18012 ოჯახი, აქედან 19 წლამდე ასაკის 3009 გოგონა და 724 ვაჟი დაქორწინდა, რაც ქორწინების საერთო რაოდენობის დაახლოებით 20%-ს შეადგენს.

მთელ ცივილიზებულ სამყაროში აღინიშნება ოჯახის შედარებით გვიან ასაკში შექმნის ტენდენცია, თუმცა ცალკეულ კულტურებში დღემდეა შემორჩენილი ადრეული ქორწინების ტრადიცია. ბევრ განვითარებად ქვეყანაში ქალთა სულ მცირე 20%, ზოგიერთ ქვეყანში კი დაახლოებით ქალთა ნახევარი პირველ ბავშვს 18 წლის ასაკამდე აჩენს. ყოველ წელს მოზარდები 15 მილიონამდე ბავშვს აჩენენ.

ბრიტანული გამოცემა „Guardian"–ის კვლევის შედეგებით, ევროპის მასშტაბით 18 წლამდე დაქორწინებულთა ყველაზე დიდი მაჩვენებელი – 17% საქართველოზე მოდის. მას მოსდევენ თურქეთი – 14%–ით და საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი 12–12%–ით, რაც ჩვენი ქვეყნისთვის უდაოდ დამაფიქრებელი მონაცემია.

სტატისტიკური მონაცემებით, განქორწინებათა რიცხვი დიდია იმ წყვილებს შორის, რომელთაც ოჯახი ადრეულ ასაკში შექმნეს. 2006 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 21 845 ქორწინებიდან 2 060 განქორწინებით დასრულდა, განქორწინებათა დაახლოებით 20% 16-დან 19 წლამდე ასაკის მოზარდებზე მოდის.

2010 წლის მონაცემებით, 16-19 წლის ასაკში დაოჯახდა 1129 მამაკაცი და 5379 ქალი, იგივე მონაცემები 2011 წლისთვის ასე გამოიყურება: მამაკაცი - 1013, ქალი - 4554. თუმცა, სტატისტიკა უჩვენებს, რომ განქორწინების რიცხვი, 5-ჯერ უფრო მეტია იმ წყვილებს შორის, რომლებმაც ოჯახი ადრეულ ასაკში შექმნეს.

რაც შეეხება ზოგად მონაცემებს, ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში განქორწინებების რიცხვი ბოლო ათი წლის განმავლობაში ორჯერ გაიზარდა. ამავდროულად იმატა ქორწინებებისა და შობადობის რიცხვმაც. სტატისტიკურ მონაცემებს არ იზიარებენ დემოგრაფები და მიაჩნიათ, რომ საქართველოში განქორწინებების რიცხვი კიდევ უფრო დიდია. სპეციალისტების განმარტებით, ერთმანეთისგან განირჩევა ორი ტერმინი: „განქორწინებულები" და „განშორებულები". განქორწინებულად შეიძლება ჩაითვალოს წყვილი, რომელმაც გაყრა იურიდიულად დააკანონა, ხოლო განშორებულია წყვილი, რომელიც ცალ-ცალკე ცხოვრობს, თუმცა მათი დაშორება იურიდიულად არაა დაფიქსირებული. მათი თქმით, განშორებულთა რიცხვი ყოველთვის გაცილებით მაღალია განქორწინებულთა რიცხვზე. იქიდან გამომდინარე, რომ არცერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ არის დაფიქსირებული განშორებულთა რიცხვი, მათი ზუსტი რაოდენობა არ არის ცნობილი.

2009 წლის სტატისტიკით, საქართველოში განქორწინების 4 030 ფაქტი დაფიქსირდა. აქედან, თანაცხოვრებიდან 4 წლის შემდეგ გაყრის გადაწყვეტილება 910 წყვილმა მიიღო, თანაცხოვრობის 20-წლიანი სტაჟის შემდეგ კი - 199-მა.

2008 წელს კი უიღბლო ქორწინებების რაოდენობა 3 189 იყო. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2000 წელს ეს რიცხვი მხოლოდ 1 854-ს შეადგენდა.

2001 წლის მოსახლეობის რაოდენობის (1987 ქორწინება) გათვალისწინებით, ყოველ 1000 კაცზე საქართველოში 0.5 განქორწინება ფიქსირდებოდა. 2011 წელს კი ეს რიცხვი 1,3-მდე ავიდა.

განქორწინების ინიციატორი ქალისა და მამაკაცის სტატისტიკა ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. 2009 წელს გაყრის ინიციატორი 3 767 შემთხვევაში ქალი იყო და მხოლოდ 263 შემთხვევაში - მამაკაცი. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში განქორწინების ინიციატორები შემთხვევათა 93%-ში ქალები არიან.

რაც შეეხება ქორწინების სტატისტიკას, 2009 წელს 31 752 წყვილი დაქორწინდა, 2008-ში კი - 31 414.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განქორწინების შემთხვევები ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ოფიციალურად არის ცნობილი, თუმცა განქორწინების შემთხვევების გაზრდის მიუხედავად, დემოგრაფები ამ ციფრს კატასტროფულს არ უწოდებენ და არც შემთხვევების გაზრდას ვარაუდობენ. პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში განქორწინების კოეფიციენტი საშუალოდ სამჯერ დაბალია, ხოლო დასავლეთ ევროპისა და აშშ-სთან შედარებით - კიდევ უფრო დაბალი.

ფსიქოლოგები განქორწინების შემთხვევების გაზრდას ტრადიციული ღირებულებების დამსხვრევას და მძიმე სოციალურ-პოლიტიკურ ფონს უკავშირებენ და ოჯახების დანგრევის აცილების მიზნით წყვილებს ქორწინებას 25 წლის ასაკის ზემოთ ურჩევენ.

ოჯახის დანგრევის ძირითადი მიზეზებია: ნარკოტიკი, ალკოჰოლიზმი და ოჯახური ძალადობა. ამ ყველაფერს კი მძიმე სოციალური და პოლიტიკური ფონი იწვევს. თუმცა, ოჯახების დანგრევის სხვა მიზეზებიც არსებობს.

ფილოსოფოსი, ქალთა უფლებების დამცველი ლელა გაფრინდაშვილი ამბობს, რომ საქართველოში კონკრეტულად განქორწინების თემაზე არც ერთი ორგანიზაცია არ მუშაობს და არც რაიმე სპეციფიკური კვლევები ჩატარებულა მისი მიზეზების გამოსავლენად.

ჩვენ დავინტერესდით, თუ რას მიიჩნევდა საზოგადოება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მისი ძალიან მცირე ნაწილი ადრეულ ასაკში შექმნილი ოჯახების ნგრევის უმთავრეს მიზეზად და, ზოგადად, რა შეხედულებები ჰქონდათ ნაადრევ ქორწინებაზე.

ჩვენ მიერ გამოკითხულთა ასაკი მერყეობდა 16–დან 75 წლამდე, არასრული საშუალო, საშუალო და უმაღლესი განათლებით. გამოკითხულთა 4% იყო 18 წლამდე ასაკის, 44% – 18-დან 30 წლამდე; 52 % – 30 წელს ზემოთ (ყველაზე ასაკოვანი 74 წლის). კითხვაზე, ეთანხმებით თუ არა ნაადრევ ასაკში ქორწინებას, 14%–მა გასცა დადებითი პასუხი, ხოლო 86% კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ამას. ჩვენ ასევე დავინტერესდით, რა დადებითი მხარეები აქვს, ან საერთოდ თუ აქვს რაიმე დადებითი მხარე ნაადრევ ქორწინებას საზოგადოების თვალსაზრისით და ასეთი შედეგები მივიღეთ: 54% თვლიდა, რომ დადებითი მხარეები არა აქვს, 34% – ერთადერთ დადებით მომენტად მიიჩნევდა, რომ ახალგაზრდა მშობელი იქნება. პარადოქსია, მაგრამ ზოგიერთმა დადებით მხარედ მიიჩნია ზამთარში თბილად ძილი (2%) და კითხვაზე არ გვიპასუხა 10%-მა. ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იყო ხალხის აზრი კითხვაზე, „რა არის ადრეულ ასაკში შექმნილი ოჯახების ნგრევის უმთავრესი მიზეზი?“ 48%–მა ამის უმთავრეს მიზეზად დაასახელა ეკონომიკური მდგომარეობა, 32%–მა – პიროვნული უთანხმოება წყვილებს შორის, 4% მშობლების ჩარევა წყვილის პირად ურთიერთობებში, ხოლო 16%–მა განმსაზღვრელ ფაქტორად სამივე მიზეზი მიიჩნია.

კითხვაზე, დართავდით თუ არა შვილს ნებას, საყვარელ ადამიანზე ექორწინა ადრეულ ასაკში, 22%-მა უპასუხა დადებითად, 54%–მა უარყოფითად, 6%–მა თქვა, რომ არ ჩაერეოდა და 8%-მა - "არ ვიცი, ფაქტის წინაშე როგორ მოვიქცევი".

მიუხედავად ადრეულ ასაკში ქორწინების მიმართ საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულებისა, ჩვენ მიერ გამოკითხულთა 12% 18 წლის ასაკამდე დაოჯახებული აღმოჩნდა. 86 % ქორწინების ოპტიმალურ ასაკად მიიჩნევდა 24-25 წლის ასაკს, 6% კი – 25 წლის ზემოთ. (8 %-მა ამ კითხვაზე არ გვიპასუხა)

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა 86 % ეწინააღმდეგებოდა ადრეულ ასაკში (18 წლამდე) ქორწინებას, რეალობა სხვას ცხადყოფს. მთელს ევროპაში საქართველო ნაადრევი ქორწინების მაჩვენებლით პირველ ადგილზეა. ამის გამომწვევი მიზეზები კი ცალკე, ძალიან ვრცელი თემაა და საფუძვლიან კვლევას საჭიროებს; თუმცა, ჩვენს ქვეყანაში არსებული სოციალური ფონიდან გამომდინარე, საზოგადოების დიდი ნაწილი მთავარ მიზეზად ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობას და ამის ნიადაგზე წარმოშობილ უთანხმოებას ასახელებს, რაც ღირებულებათა გადაფასებასთან ერთად ოჯახების ნგრევის უმთავრესი მიზეზი ხდება ხოლმე.

**ინტერნეტ-რესურსები:**


1. http://geostat.ge/?action=page&p_id=1063&lang=geo
2. http://www.gurianews.com/index.php?option=com_content&view=article&id=229:2010-12-05-16-07-50&catid=72:21-&Itemid=117
3. http://stateri.wordpress.com/2012/04/08/%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%90%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/
4. http://www.youtube.com/watch?v=LJj0qC1uQL0
5. http://www.presa.ge/new/?m=news&NID=1866
6. http://opa298.blogspot.com/
7. http://mkurnali.ambebi.ge/fsiqonevrologia/2940-naadrevi-qortsineba-da-ojakhuri-problemebi.html

# თხილი, როგორც მიმზიდველი საექსპორტო პროდუქტი

**მარი კაძილოვი**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნათია ჟოჟუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საექსპორტო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისათვის ხელშეწყობა.

საქართველოში, ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, შესაძლებელია, სხვა სუბტროპიკულ კულტურებთან ერთად, უფრო მეტი თხილის პლანტაციები გავაშენოთ და გავზარდოთ მოსავლიანობა. ამით გავზარდოთ ქართული თხილის რეალიზაციის ხვედრითი წილი მსოფლიო ბაზარზე.

თხილის მიმართ მსოფლიოში მოთხოვნა სულ უფრო მატულობს და ბოლო წლების განმავლობაში თხილი საქართველოშიც ერთ-ერთი წამყვანი კულტურა გახდა. მეტ-ნაკლებად მზარდია მისი წარმოებაც. თხილის მასობრივად მოყვანა დედამიწაზე სულ რამდენიმე ადგილასაა შესაძლებელი. საქართველო კი სწორედ ასეთი ბარაქიანი ტერიტორიების შუაგულშია. შესაბამისად, სოფლის მეურნეობასა და საგარეო ვაჭრობაში, მსოფლიო ბაზარზე გაჩენილი მოთხოვნის პარალელურად, თხილის ბიზნესს დიდი პოტენციალი აქვს.

თხილის სამშობლო კავკასია და მცირე აზიაა. საქართველოში თხილის კულტურას უხსოვარი დროიდან იცნობდნენ. ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ ძვ. წ. VI საუკუნეში ქართველური ტომები აშენებდნენ თხილის გარეულ ფორმებს, რომელთა ბუნებრივი ჰიბრიდიზაციისა და შერჩევის შედეგად წარმოიშვა გარემო პირობებს შეგუებული, მაღალმოსავლიანი ჯიშებისა და ფორმების სიმრავლე.

საქართველოსთვის თხილს სერიოზული ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა და მოსახლეობის შემოსავლის წყარო იყო. 1917 წლის რევოლუციამდე ჩვენი ქვეყნიდან დიდი რაოდენობით თხილი გადიოდა ევროპის ბაზრებზე, მაგრამ საბჭოთა პერიოდში თხილის ნათესები 8-10-ჯერ შემცირდა და, შესაბამისად, შემცირდა ექსპორტიც. სიტუაცია შეიცვალა მხოლოდ XX საუკუნის 90-იან წლებში, როცა დასავლეთ საქართველოში განახლდა თხილის პლანტაციების გაშენება და შეიქმნა გადამამუშავებელი საწარმოებიც.

ადგილობრივი წარმოების თხილი საქართველოს საექსპორტო პროდუქციის ათეულში მოწინავე ადგილზეა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ამ ჩამონათვალში პირველ ადგილზე მსუბუქი ავტომობილების ექსპორტია, შემდეგ მოდის ფეროშენადნობები, აზოტოვანი სასუქი, თხილი და კაკალი. ქართული თხილის წილი მთლიან ექსპორტში ერთი წლის მანძილზე გაორმაგდა და 4% შეადგინა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2012 წლის იანვარ-აგვისტოში ექსპორტზე 57,732 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ქართული თხილი გავიდა, 2011 წლის იანვარ-აგვისტოში კი 28,887 მლნ აშშ დოლარის ოდენობის პროდუქციაა ექსპორტირებული.

თხილის კულტურას ყველაზე დიდი ფართობი თურქეთში უკავია. ეს ქვეყანა მსოფლიო ბაზრის მოთხოვნის 75% აკმაყოფილებს და ევროპასა და აზიის ქვეყნებშიც მსოფლიო ბაზარზე მთავარი კონკურენტია. აქედან გამომდინარე, სრული უფლებით აკონტროლებს თხილის ფასსაც და თხილის ბაზარსაც. სურსათისა და აგროკულტურის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, თხილის კულტურის ფართობები ძირითად მწარმოებელ ქვეყნებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება: თურქეთი - 345 ათასი ჰა; იტალია - 69 ათასი ჰა; აზერბაიჯანი - 19.5 ათასი ჰა; ესპანეთი 12.1 ათასი ჰა; აშშ - 11.8 ათასი ჰა; ირანი - 11 ათასი ჰა; საქართველო და ჩინეთი - 8-8 ათასი ჰა. მიღებული მოსავლის მიხედვით ასევე თურქეთი ლიდერობს - 501.6 ათასი ტონა, შემდეგ მოდიან იტალია - 112.3 ათასი ტონა; ესპანეთი - 18.3 ათასი ტონა; აზერბაიჯანი - 18.6 ათასი ტონა; აშშ - 28.5 ათ. ტონა; ირანი, საქართველო და ჩინეთი - 12-12 ათასი ტონა.

თხილს საქართველოში სახნავ-სათესი ფართობის 42.1% აქვს დაკავებული. საქართველო, თხილის კულტურით დაკავებული ფართობის მიხედვით, ძირითად მწარმოებელ ქვეყნებს შორის მეოთხე ადგილზეა თურქეთის, იტალიის და აზერბაიჯანის შემდეგ. ქართულ თხილს ქვეყნის სასურსათო ექსპორტში 24%, მთლიან ექსპორტში - 4%, მსოფლიო ბაზარზე კი 5% უჭირავს. იგი უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ესპანეთი, ირანი, აშშ და ჩინეთი, რომლებიც ასევე წამყვან პოზიციაზე არიან თხილის ბაზარზე.

საქართველოში თხილი ქვეყნის მასშტაბით თითქმის ყველა რეგიონში ხარობს (იმერეთი, სამეგრელო, ზემო სვანეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, შიდა ქართლი და სამაჩაბლო, მცხეთა-თიანეთი, კახეთი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აფხაზეთი, აჭარა). თითქმის ყველა რეგიონში ფუნქციონირებს თხილის ჩამბარებელი პუნქტები, საიდანაც პროდუქტი გადამამუშავებელ ქარხანაში ხვდება. ხდება თხილის გამოშრობა, დაკალიბრება და დატეხვა. შემდეგ კი პროდუქტი სახმელეთო გადაზიდვების მეშვეობით ექსპორტზე გადის. აღმოსავლეთ საქართველოში თხილის ნარგავები ლაგოდეხში, ყვარელსა და ახმეტაში ხარობს. საქართველოში თხილის ყველაზე კარგი მოსავალი სამეგრელოსა (პლანტაციების 85%) და აფხაზეთში მოდის. ამ მხრივ მესამე პოზიციაზეა გურია, შემდეგ - იმერეთი და კახეთი. საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულია დაახლოებით 27 ჯიშის თხილი.

გურიაში გავრცელებულია: გულშიშველა, შველისყურა, ჩხიკვისთავა, საივანებო, ბადემი-დედოფლისთითა, ხაჭაპურა, ნემსა, ჩინჩა, ცხენის მუმუ, ტრაპეზუნდი, ბერძნული თხილი.

სამეგრელოში: ფუთქურამი, ხოჯითხილი, შველისყურა, ბადემი-დედოფლისთითა, ტრაპეზუნდი, კუდრიავჩიკი, ჩერქეზული, აფხაზური წვრილი.

იმერეთში: ბადემი-დედოფლისთითა, ხაჭაპურა, ნემსა, ვანის წითელი, ტრაპეზუნდი, ბერძნული თხილი.

ქართლსა და კახეთში: კერასუნდის გრძელი, ათა-ბაბა, ბელაქნის, ხაჭაპურა, კუდრიავჩიკი, ფურფულაკი.

მოსავლის ყველაზე დიდი რაოდენობა მეგრული ჯიშის თხილებზე მოდის, რომელსაც მრგვალ ანაკლიურ ჯიშს ეძახიან.

საქართველოში თხილის ბაზრის სტრუქტურა სამი მიმართულებით ვითარდება: წამყვანი პოზიციები უკავიათ სადისტრიბუციო კომპანიებს, შემდეგ თხილის გადამამუშავებელ ქარხნებს და ბოლოს კი – ფერმერებს, რომელთაც თხილის კულტურა მოჰყავთ. თხილს დისტრიბუტორებს ძირითადად წვრილი ფერმერები აბარებენ. როგორც ცნობილია, თხილის ექსპორტს 10 ფიზიკური და 51 იურიდიული პირი აწარმოებს.

ქართულ თხილს ადგილობრივი ბაზარი ძალიან მცირე რაოდენობით მოიხმარს - 3-5%-მდე. ნაწილს ყიდულობს კომპანია „ბარამბო“ და სხვა საკონდიტრო საწარმოები თხილის დიდი ნაწილი - 95 % გადის ექსპორტზე როგორც ევროპის, ისე აზიის ქვეყნებში. ქართული თხილის გასაღების ბაზარი ძირითადად ევროკავშირის ქვეყნებია. პროდუქტი გადის 20-ზე მეტ ქვეყანაში. კარგად იყიდება აზიისა და რუსეთის ბაზარზეც. ევროპაში გაყიდვების თვალსაზრისით პროდუქტს საუკეთესო პოზიცია გერმანიაში უჭირავს. აზიის ბაზარზე ქართული თხილი ყველაზე მოთხოვნადი ერაყსა და ავღანეთშია. ექსპორტზე რამდენიმე სახეობის თხილი გადის. ძირითადად, დამუშავებული ნატურალური თხილის გული, მოხალული თხილი, დაქუცმაცებული თხილი და თხილის ფქვილი. ნედლ და გადამუშავებულ თხილის გულს ფართოდ მოიხმარენ საკონდიტრო წარმოებაში. გახეხილი თხილის გული გამოიყენება მშრალი საუზმისათვის, აგრეთვე შოკოლადის კრემის წარმოებაში და სხვ. თხილისგან ხდიან ზეთს, რომელიც საკვებ, ტექნიკურ და პარფიუმერულ წარმოებაში გამოიყენება. მშრალი თხილის გულისაგან მზადდება ფქვილი, რომელიც ბავშვთა საკვები პროდუქტებისათვის გამოიყენება და ორი წლის განმავლობაში არ კარგავს კვებით ღირებულებას და ზეთოვან თვისებებს. უცხოეთის ბაზარზე ასევე იყიდება ქართული წარმოების გაურჩეველი თხილი. ნაჭუჭიანი თხილი, ძირითადად, აზიის ბაზარზე იყიდება. საერთაშორისო ბაზრებზე ქართული თხილის შესყიდვას ახორციელებენ როგორც ბროკერები, ასევე შოკოლადის მწარმოებელი ქარხნები. მიუხედავად რთული პოლიტიკური მდგომარეობისა, რუსულ ბაზარზე ექსპორტის კუთხით რამდენიმე ქართული კომპანია მუშაობს. წელს რუსეთის ბაზარზე თხილის ფასი საკმაოდ მაღალია. ერთი კილოგრამი ნატურალური თხილის გული 7 დოლარამდე ღირს. ფასში შედის ტრანსპორტირება და დღგ.

ბაზარზე რამდენიმე ქართული კომპანია ოპერირებს „ეკოპექსი“, „აგრო პლიუსი“, „გულაბი“, „სიო 2000“, „თხილის საექსპორტო კომპანია“.

ადგილობრივ ბაზარზე ფერმერები ერთ კილოგრამ გაურჩეველ თხილს 3-4 ლარად ყიდიან. გასულ წელს საქართველოში 50 ათასი ტონა თხილი დაიკრიფა. წელს კი, წინასწარი პროგნოზით, მისი მოცულობა 35 ათასამდე იქნება. მოსავლის შემცირების მიზეზად სპეციალისტები არახელსაყრელ კლიმატურ პირობებს ასახელებენ. ამის მიზეზად დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ე.წ. ამერიკულ "თეთრ პეპელას" მიიჩნევს, რომელიც თხილს ნაყოფის გამოტანისთანავე შეესია. თხილის მოსავლის შემცირება ადგილობრივ ბაზარზე ფასების გაზრდას გამოიწვევს და შესაძლოა 5 ლარს გადააჭარბოს. ამას გარდა, ფერმერები თხილის ბიზნესში ხელისშემშლელ ფაქტორად ასახელებენ მონოპოლიას თხილის ბაზარზე და იაფი კრედიტების პრობლემას, რაც ამ დროისათვის უკვე მოგვარებადია.

ამრიგად, რაც უფრო მეტად განავითარებენ და სრულყოფენ მენეჯმენტს თხილის ქართველი ექსპორტიორები, მით უფრო ეფექტური იქნება თხილის ბიზნესი ჩვენში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გასაუმჯობესებელია თხილის ჩაბარება-შესყიდვის პროცესის ორგანიზაცია, რადგან დღევანდელი სიტუაცია ამ სფეროში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. აუცილებელია, თხილის ექსპორტიორებმა გაითვალისწინონ თხილის წარმოების არეალის გაფართოების ტენდენციები და მეტი მიმღები პუნქტები გახსნან იმ რეგიონებში, სადაც ეს კულტურა მნიშვნელოვნად და ფართოდაა წარმოდგენილი. როგორც ექსპერტები აფასებენ, ქართული თხილის საექსპორტო პოტენციალი სრულად არ არის ათვისებული როგორც ხარისხობრივად, ასევე რაოდენობრივად. დღესდღეობით აუთვისებელია თხილისათვის ვარგისი მიწის რესურსის დიდი ნაწილი. ფერმერების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პლანტაციებში თხილის ჯიშების შერჩევისა და ნედლეულის ხარისხობრივად ერთგვაროვნების უზრუნველყოფის ორგანიზაციას. სპეციალისტებთან ერთად ბიზნესმენები უნდა დაინტერესდნენ თხილის პლანტაციების გაშენების გადიდებით, სწორად შეარჩიონ მაღალმოსავლიანობით გამორჩეული რეგიონები, ჩადონ გარკვეული ინვესტიციები, რაც დიდ რისკთან არ იქნება დაკავშირებული და ინვესტიციის უკუგების ეფექტი მალევე მიიღება.

შიდა რეზერვების, ნოვაციების, სწორი სტრატეგიული ხედვის ეფექტურად გამოყენების პირობებში თხილის ბიზნესი კიდევ უფრო წარმატებული გახდება და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების საქმეში.

**ინტერნეტ-რესურსები:**

1. http://www.for.ge
2. http://24saati.ge
3. http://geostat.ge/
4. http://netgazeti.ge/GE/104/business/9450/
5. http://mkurnali.ambebi.ge/component/encyclopedia/?task=term&id=4923

## ბიზნესინკუბაცია და ბიზნესინკუბაციის საერთაშორისო გამოცდილება

**გიორგი მანძულაშვილი, ეკატერინა ჯერანაშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი,** სრული პროფესორი

ბიზნეს ინკუბატორის ძირითადი მიზანია წარმატებული ფირმების გამოშვება, რომლებიც პროგრამის დასრულებისას იქნებიან ფინანსურად დამოუკიდებელნი და სიცოცხლისუნარიანნი. ინკუბატორიდან გამოსულ კომპანიებს გააჩნიათ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ბიზნეს გარემოს გამოცოცხლების, ახალი ტექნოლოგიების კომერციალიზაციის, ადგილობრივი და საერთო ეროვნული ეკონომიკის გაძლიერების მეტი პოტენციალი.

ბიზნეს-ინკუბატორის წარმატებისათვის კრიტიკულია მზარდი კომპანიების საჭიროებებზე მორგებული მენეჯმენტის, ტექნიკური დახმარებისა და საკონსულტაციო სერვისების არსებობა. ჩვეულებრივად, ინკუბატორები დამატებით ეხმარებიან კლიენტ ფირმებს ხელმისაწვდომი საოფისე ფართითა და მოქნილი საიჯარო პოლიტიკით, საერთო სარგებლობის ბიზნეს სერვისებითა და აღჭურვილობით. ზოგიერთ შემთხვევაში მათ შეუძლიათ ასევე ტექნოლოგიური მხარდაჭერა და ეხმარებიან კომპანიას ზრდისათვის აუცილებელი საფინანსო სახსრების მოპოვებაში. ინკუბატორები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კლიენტებისათვის სერვისების შეთავაზების მეთოდებით, ორგანიზაციული სტრუქტურითა და კლიენტთა კატეგორიებით. წარმოადგენენ რა უაღრესად ადაპტირებად სტრუქტურებს, ინკუბატორებს შეიძლება ჰქონდეთ ფრიად განსხვავებული მიზნები: სოფლის მეურნეობის დივერსიფიცირების; საფინანსო-სამრეწველო რეგიონებში დასაქმების ზრდის;

უნივერსიტეტებისა და მსხვილი კომპანიებიდან ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ჩათვლით. ინკუბატორის კლიენტები ახალი და ინოვაციური ტექნოლოგიების ჩამოყალიბების საქმეში პიონერები არიან - მათ მიერ შექმნილი პროდუქტები და სერვისები აუმჯობესებენ ყოველდღიურ ცხოვრებას როგორც ადგილობრივი, ისე მსოფლიოს მასშტაბით.

ადრეული საინკუბაციო პროგრამები, რომლებსაც დღეს შერეულ ბიზნეს-ინკუბატორებს უწოდებენ, ორიენტირებული იყო ტექნოლოგიურ კომპანიებზე, ან მსუბუქი მრეწველობის და მომსახურების ფირმათა კომბინაციაზე. შემდგომ ეტაპზე გაჩნდნენ უფრო მეტად ფოკუსირებული ინკუბატორები, რომლებიც კონცენტრირებას ახდენენ ბიზნესებზე ისეთ სფეროებშიც, როგორიც არის: საკვები პროდუქტების გადამუშავება, სამედიცინო, კოსმოსური და კერამიკული ტექნოლოგიები, ხელოვნება და პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტები. ინკუბატორთა სპონსორები ასევე მიზნობრივი პროგრამებით უჭერენ მხარს: მიკროსაწარმოთა შექმნას, ქალებისა და უმცირესობათა წარმომადგენლების საქმიანობას, გარემოს დაცვით აქტიურობასა და ტელესაკომუნიკაციო სექტორის განვითარებას.

დასავლეთ ევროპაში დღეისათვის არსებობს დაახლოებით 900 ინკუბატორი (ფართო გაგებით). ევროკომისიის საწარმოთა გენერალურმა დირექტორატმა ჩაატარა ბიზნეს ინკუბატორთა აღრიცხვა და შედარებითი ანალიზი და შეადგინა ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებში არსებულ ბიზნეს ინკუბატორთა მონაცემთა ბაზა. საწარმოთა ანალიზისა და შეფასებათა შედეგები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი 1: ბიზნეს ინკუბატორები ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებში

| ქვეყანა | რაოდენობა | ქვეყანა | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ავსტრია | 63 | იტალია | 45 |
| ბელგია | 13 | ლუქსემბურგი | 2 |
| დანია | 7 | ნიდერლანდები | 6 |
| საფრანგეთი | 192 | პორტუგალია | 23 |
| ფინეთი | 26 | შვეცია | 39 |
| გერმანია | 300 | ესპანეთი | 38 |
| საბერძნეთი | 7 | დიდი ბრიტანეთი | 144 |
| ირლანდია | 6 | სულ | 911 |

წყარო: Enterprise DG (2001) and CSES research

ანალიზი გვიჩვენებს დიდ განსხვავებას ბიზნეს ინკუბატორთა განვითარების სიმჭიდროვეში: ავსტრიაში (ყველაზე მაღალი სიმჭიდროვე) ყოველ 3000 კომპანიაზე მოდის ერთი ბიზნეს ინკუბატორი, მაშინ როცა საბერძნეთში (ყველაზე დაბალი სიმჭიდროვე) შესაბამისი შეფარდება არის 1:106,000. საშუალოდ ევროპაში ეს მაჩვენებელი უდრის 1:19,000. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბელგიასა და ნიდერლანდებს, ბიზნეს ინკუბატორთა ყველაზე დაბალი სიმჭიდროვე შეინიშნება ევროგაერთიანების სამხრეთ ქვეყნებში. ამ ტიპის ანალიზის ფასეულობა, რა თქმა უნდა, შეზღუდულია, რამდენადაც ბიზნეს ინკუბატორებს გააჩნიათ ძალზე სპეციფიური საბაზრო ორიენტირები. ამის მიუხედავად, კვლევა გვიჩვენებს, თუ სად ხდება ინკუბატორების ყველაზე ფართომასშტაბიანი განვითარება.

გასაკვირი არაა, რომ ბიზნეს ინკუბატორთა ყველაზე დიდი რაოდენობა (და საუკეთესო შეფარდებები) გვხვდება ევროგაერთიანების ყველაზე დიდ ქვეყნებში.

**გერმანიას**, სადაც პირველი ტექნოლოგიური ცენტრები დაფუძნდა ქვეყნის დასავლეთ ნაწილში 80-იანი წლების დასაწყისში, აქვს ევროპის უდიდესი ბიზნეს ინკუბატორთა ასოციაცია. 80-იანი წლების მიწურულს გადაიდგა ნაბიჯები აღმოსავლეთ რეგიონში ინკუბატორთა შესაქმნელად. ეს ტენდენცია

განსაკუთრებით გაძლიერდა ქვეყნის გაერთიანების შემდეგ. გერმანული ინკუბატორების დამახასიათებელი ნიშანია მათი მჭიდრო ურთიერთობა უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებთან.

**საფრანგეთში** ბიზნეს ინკუბატორები ასევე დიდი რაოდენობითაა, თუმცა მხოლოდ 50-მდე მათგანი აკმაყოფილებს ინკუბატორთა ეროვნული ასოციაციის ELAN-ის მიერ დადგენილ "მინიმალურ სტანდარტებს".

**იტალიაში**, სადაც ინკუბატორთა ქსელის განვითარება შედარებით გვიან დაიწყო, ამჟამად მოქმედებს Sviluppo Italia (ეკონომიკური განვითარებისა და მეწარმეობის მხარდაჭერის იტალიის ეროვნული სააგენტო)-ს მიერ მართული 13 ინკუბატორი და კიდევ 17 დაგეგმვა-დაფუძნების სტადიაშია. იტალიის ბიზნეს ინკუბატორთა უმრავლესობა არის BIC ასოციაციის წევრი. მსგავსი სიტუაციაა ესპანეთში, სადაც ინკუბატორთა დიდი ნაწილი გაერთიანებულია ეროვნულ ასოციაციაში - ANCES.

**დიდ ბრიტანეთში**, სადაც, ზოგიერთების მოსაზრებით, ევროპაში პირველად გაჩნდა ინკუბატორთა კონცეფცია, არსებობს ამ ტიპის ორგანიზაციათა დიდი მრავალფეროვნება, დაწყებული სამეცნიერო პარკებიდან და დამთავრებული საინოვაციო ცენტრებით. მიუხედავად ინკუბატორთა არსებობის საკმაოდ დიდი ისტორიისა, მათი ასოციაციაში გაერთიანება მოხდა არც ისე დიდი ხნის წინ.

შედარებით მცირე ქვეყნებიდან აღსანიშნავია **ავსტრია**, სადაც, 1986 წელს გრაცსა და ლინცში, პირველი ცენტრების დაფუძნების შემდეგ, მოხდა ბიზნეს ინკუბატორთა სწრაფი განვითარება და ამჟამად ქვეყანაში მოქმედებს ან დაფუძნების სტადიაშია 60-ზე მეტი ინკუბატორი. **ბელგიაში** ბიზნეს და საინოვაციო ცენტრების (ძირითადად განლაგებულია ვალონიაში) და ტექნოლოგიური ცენტრების (ძირითადად ფლანდრიაში) რაოდენობა თითქმის თანაბარია. ანალოგიური სიტუაციაა **ირლანდიასა** და **ნიდერლანდებში**. ამის საპირისპიროდ, **დანიაში**, ისევე როგორც **შვეციაში**, ყველა ინკუბატორი დაკავშირებულია სამეცნიერო პარკებთან. ფინეთში ტექნოლოგიური ცენტრების, TE-KESKUS, გარდა არსებობს 15 ბიზნეს ინკუბაციის ცენტრი, რომელიც მრავალფეროვან მომსახურებას სთავაზობს ბიზნესებსა და მეწარმეებს. **პორტუგალიაში** არის 23 ბიზნეს ინკუბატორი (8 ევროგაერთიანების მიერ აღიარებული ბიზნეს ინოვაციის ცენტრი, დასაქმების სამინისტროს ეგიდით არსებული 5 ინკუბატორი, ახალგაზრდა მეწარმეთა ეროვნული ასოციაციის მიერ მართული 4 ინკუბატორი და სამეცნიერო პარკებთან არსებული 4 ინკუბატორი). ზოგი ინკუბატორი ძალიან მცირეა, მხოლოდ 5-6 ოთახი, ზოგი კი საკმაოდ დიდი - 25-30 ოფისით.

ზოგადად, დასავლეთ ევროპაში გავრცელებულია სხვადასხვა ტიპის ინკუბატორები, რომლებიც იმყოფებიან განვითარების სხვადასხვა სტადიაზე და არ გააჩნიათ მაკოორდინირებელი საერთო-ევროპული სტრუქტურა.

**აშშ.** ბიზნეს ინკუბატორთა რაოდენობა ამერიკაში სწრაფად გაიზარდა - 1980 წელს არსებული 100-ზე ნაკლები ინკუბატორიდან დაახლოებით 1,000-მდე 2000 წელს, რაც აღემატება ცალკე აღებული ნებისმიერი სხვა ქვეყნის მაჩვენებელს. აშშ წარმოადგენს ამ ინდუსტრიის პიონერს მრავალი მიმართულებით:

- ინკუბატორიდან გამოსულ ფირმათა 87 % აგრძელებს თავის საქმიანობას, ძირითადად ადგილობრივი მასშტაბით;
- საჯარო დაფინანსების მქონე ინკუბატორებში თითოეული სამუშაო ადგილის შექმნა ჯდება დაახლოებით $ 1100, მაშინ როცა სხვა მექანიზმების გამოყენება, როგორც წესი, უფრო ძვირი ჯდება;
- ინკუბატორის კლიენტი ფირმების მიერ შექმნილი ყოველი 50 სამუშაო ადგილი ქმნის დამატებით 25 სამუშაო ადგილს;
- ინკუბატორის კლიენტები სამუშაოს აძლევენ საშუალოდ 85 ადამიანს;
- ინკუბატორის კლიენტებმა და "კურსდამთავრებულებმა" 1980 წლიდან შექმნეს ნახევარი მილიონი სამუშაო ადგილი;
- ტრადიციულ ინკუბატორებს მუდმივ სამუშაო ადგილებზე დაქირავებული ჰყავთ საშუალოდ 2.8 ადამიანი;
- ინკუბატორთა 75 % არის არამომგებიანი და 25 % კომერციული ორგანიზაცია.

ამერიკული ინკუბაციის პროგრამები ჩვეულებრივ ინიცირებულია ეკონომიკური განვითარების სააგენტოების მიერ, როგორც ადგილობრივი წამოწყება. საწყის ეტაპზე ხდება დაკავშირება ისეთ ფედერალურ სტრუქტურებთან, როგორიცაა აშშ სავაჭრო-სამრეწველო დეპარტამენტი და ეკონომიკური განვითარების ადმინისტრაცია, ურბანული განვითარების სამმართველოები, სამედიცინო დახმარების სერვისები, სოფლის მეურნეობის დეპარტამენტები და ბიზნეს გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სააგენტოები. ფედერალური ასიგნება, ჩვეულებრივად, განკუთვნილია მოსამზადებელი და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების და კლიენტი კომპანიების კვლევითი გრანტებისათვის. ამგვარად, მენეჯმენტს

ესაჭიროება მნიშვნელოვანი ძალისხმევა ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ფინანსირების მოსაპოვებლად.

**ჩინეთი.** UNDP-ს მიერ 1987 წელს პირველი პროექტის განხორციელების შემდეგ ჩინეთის ინკუბაციის პროგრამა სწრაფად გადავიდა პირველ ადგილზე განვითარებულ ქვეყნებს შორის. ჩინეთის ყოველ პროვინციაში, ავტონომიურ რეგიონსა და დიდ ქალაქებში (გარდა ტიბეტისა და ქინგჰაისა) ამჟამად მოქმედებს 127 ინკუბატორი. ამასთან ერთად, არსებობს ანალოგიური ფუნქციის სხვა დაწესებულებები, როგორიცაა "პროგრამული უზრუნველყოფის პარკები", რომელთა რიცხვიც 2000 წელს შეადგენდა 200. პროგრამის განვითარებას ხელი შეუწყო მნიშვნელოვანმა სუბსიდიებმა - როგორც წესი შენობისა და მიწის, ადგილობრივი სააგენტოების მიერ გაცემული დაბალპროცენტიანი და უპროცენტო სესხების და მიმდინარე საოპერაციო სუბსიდიების სახით.

არსებობის პირველ ათწლეულში ინკუბატორების ინიცირება, დაფუძნება და მართვა ხდებოდა სამთავრობო დონეზე არსებული სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად. ამ პერიოდისათვის თითქმის ყველა ინკუბატორის მიზანი იყო ტექნოლოგიის კომერციალიზაცია. 1998 წლის ბოლოს 127 არსებული ინკუბატორიდან 111-ს (87%) ჰქონდა ზოგადი ტექნოლოგიური ორიენტაცია, ხოლო ზოგი მათგანი სპეციალიზირებული იყო ისეთ სექტორებზე, როგორიცაა ბიოტექნოლოგია, ფარმაცევტიკა, მასალები და ოკეანოგრაფია. ჩინეთის მთავრობის პროგრამის თანახმად, პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენენ: ახალი მასალები, გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები, ელექტრო-მექანიკური ტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგია, კოსმოსური და საინფორმაციო ტექნოლოგიები.

ჩინური ინკუბატორები ძალიან დიდია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით - 10,000 კვ.მ.-ზე მეტი და მომხმარებლებს სთავაზობენ ისეთ სერვისებს, როგორიცაა საკონფერენციო და საგამოფენო დარბაზებით მომსახურება.

„ბიზნეს ინკუბაციის ინიციატივა საქართველოში" გუნდმა 2002 წლიდან დაიწყო კვლევითი სამუშაოები ბიზნეს ინკუბატორის ქართული მოდელის შესაქმნელად. ახალი კონცეფციის ძირითადი განმსაზღვრელი უნდა ყოფილიყო შემდეგი პრინციპები – ადგილობრივი ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციისადმი მისადაგება, ბიზნეს მოდელის გათვლა 3–5 წელიწადში ფინანსური თვითანაზღაურების მიღწევაზე და მდგრადობა მისიის მიხედვით. „ბიზნეს ინკუბაციის ინიციატივა საქართველოს" წევრები კვლევას ატარებდნენ მსოფლიოს წამყვან ბიზნეს ინკუბატორებსა და ტექნოპარკებში: სილიკონის ველის საერთაშორისო ბიზნეს ინკუბატორში (სან–ხოსე, კალიფორნია, CISCO-სა და NASA–ს ინკუბატორებში (პალო ალტო, კალიფორნია), GIU - ზაარლანდის ინოვაციისა და წარმოების ხელშეწყობის საზოგადოებაში, UTZ-სენტ ვენდელის საინფორმაციო ტექნოლოგიების ბიზნეს ინკუბატორში (გერმანია). 2004 წლის სექტემბრიდან 2005 წლის მაისამდე infoDev-ის პროექტის ფარგლებში ჩატარებული იქნა ფართო კვლევითი სამუშაოები, რომლებიც მოიცავდა მცირე ბიზნესის საჭიროებების, მისი მხარდაჭერის მექანიზმების შესწავლას თბილისში. ასევე, მეწარმეების დამოკიდებულების შესწავლას ბიზნეს ინკუბატორის იდეისადმი. კვლევა ჩატარდა მარკეტინგული და სოციოლოგიური კვლევების ცენტრ BCG–სთან ერთად და მოიცვა 500–მდე მცირე მეწარმე, ბიზნეს კონსულტანტი და ინოვაციური იდეის მქონე პოტენციური ბიზნესმენი. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით „ბიზნეს ინკუბაციის ინიციატივა საქართველოში" გუნდმა, ბიზნეს ინკუბაციის სფეროში მსოფლიო ავტორიტეტის მქონე კონსულტანტთა ჯგუფთან ერთად (რუსტამ ლალკაკა, აშშ; შტეფან შანდერა, გერმანია; კშიშტოფ ზასიადლი, პოლონეთი), შეიმუშვა ბიზნეს ინკუბატორის რენტაბელობის შესწავლის დოკუმენტი და დეტალური ბიზნეს–გეგმა, რომელიც რეპლიცირებადი და ადვილად ადაპტირებადია სხვადასხვა ფოკუსის მქონე, სხვადასხვა რეგიონის ბიზნეს ინკუბატორებისათვის. შემუშავებული კონცეფციის საფუძველზე 2008 წელს დაარსდა „ბიზნეს ინკუბაციის ინიციატივა საქართველოს" ბიზნეს ინკუბატორი, რომელიც ამჟამად ავითარებს 3 შიდა და 2 გარე სწრაფად მზარდ კლიენტ კომპანიას.

**ლიტერატურა:**


1. თოლორდავა ჟ., ბიზნესინკუბატორების არსი, სახეები და საქმიანობის სპეციფიკა, თბ., 2009.
2. ვეშაპიძე შ., გრიშიკაშვილი ა., ლეკაშვილი ე., ასლამაზიშვილი ნ., მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2008.
3. ვეშაპიძე შ., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების პრობლემები მსოფლიო ბაზარზე გასვლის საკითხი, თბ., 2000.


**ინტერნეტრესურსები:**


1. www.gbs.ge
2. www. business.info.ge
3. www.conference.ge
4. www.gbdnews.wordpress.com

# საარსებო მინიმუმი და მინიმალური ხელფასი

**ლალი მიჩიტაშვილი, რუსუდან პოღოზაშვილი,**
**თამარ ნადირაძე, მაკა საათაშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლია ბიბილაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ყოველ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, საარსებო მინიმუმისა და მინიმალური ხელფასის საკითხი მეტად აქტუალურია. ეს იმითაც აიხსნება, რომ თითოეულ ქვეყანაში განსხვავებულია ინფლაციური პროცესები, რაც მეტნაკლებად ზრდის ფულში გამოსახული საარსებო მინიმუმის ღირებულებას.

უკვე ორი ათეული წელია საქართველოში ძალზე მწვავედ დგას მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პრობლემა. ჩატარებული კვლევების მიხედვით, იგი მუდამ შედიოდა საზოგადოებისთვის ყველაზე მტკივნეულ საკითხთა სამეულში. საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე საქართველომ ვერ მიაღწია არათუ საბჭოურ ნიშნულებზე მაღალ მაჩვენებლებს, არამედ სოციალური უზრუნველყოფის იმდროინდელ დონესაც კი. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ საზოგადოებაში ხელისუფლების მიმართ არსებულ პრეტენზიათა შორის სოციალური მოთხოვნები კვლავ პირველ ადგილზეა. უდაოა, რომ დღეს ამ მხრივ უკეთესი ვითარებაა, ვიდრე 90-იანი წლებში; მაშინ სახელმწიფო ვერ ახერხებდა ხელფასების, პენსიებისა და შემწეობების გაცემას. დავალიანება გროვდებოდა თვეების და ზოგჯერ წლების განმავლობაში, ხოლო თავად პენსიები და დახმარებები სიმბოლური იყო. დღეს ხელისუფლება ახერხებს თავისი ვალდებულებების დროულ შესრულებას, თუმცა თავად ვალდებულებები ისევე, როგორც მთლიანად სოციალური უზრუნველყოფის ფორმები და მოცულობა, კვლავ ინარჩუნებს სიმბოლურ და, ხშირ შემთხვევაში, დამამცირებელ ხასიათს. სოცუზრუნველყოფის ეფექტური სისტემის შექმნა შეუძლებელია ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესწავლისა და ღრმა გააზრების გარეშე. იქ, სადაც პოლიტიკური კონიუნქტურა მართავს სტატისტიკას, ვერ მოხერხდება ადამიანთა ყოფის ნამდვილი სურათის დახატვა და მოქმედების სწორი გეგმის შემუშავება.

რეალური საარსებო მინიმუმის განსაზღვრა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ამოსავალი და საფუძველია. აშკარაა, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ ოფიციალურად გაცხადებული ეს მონაცემი არ შეეფერება სინამდვილეს, მაგრამ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ჭეშმარიტების რანგში ავიყვანთ, აშკარა გახდება, რომ საარსებო მინიმუმი, როგორც სოცუზრუნველყოფის სისტემის ეფექტურობის ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი, დღეს სრულიად უგულებელყოფილია. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ მას მინიმალურ ხელფასსა და პენსიას შევუდარებთ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, საარსებო მინიმუმმა 2010 წლის დეკემბერში 149.6 ლარი შეადგინა. ანუ ერთმა შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცმა ერთი თვის განმავლობაში უნდა იმყოფინოს დაახლოებით 150 ლარი. საშუალო, სამსულიან ოჯახს, ასევე 2010 წლის დეკემბრის მონაცემებით, საარსებო მინიმუმად განსაზღვრული აქვს 238.5 ლარი, რაც იმავე პერიოდის შარშანდელ მაჩვენებელთან შედარებით თითქმის 40 ლარით არის გაზრდილი.

2011 წლის ივნისში ერთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი 140.5 ლარი იყო. საშუალო ოჯახის - 249.9. 2012 წელის ივნისში ერთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმმა შეადგინა 132 ლარი, საშუალო ოჯახისამ - 263.7 ლარი, ექვსსულიანი და მეტის 351 ლარი. საარსებო მინიმუმი 18 თვიანი ზრდის შემდეგ თებერვლიდან მცირდება. რაც შეეხება საარსებო მინიმუმის მაჩვენებელს, მას "საქსტატი" 2004 წლიდან იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით ანგარიშობს, რომელიც განსაზღვრული და დადგენილია "საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისთვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივე-ბის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის N 111/ნ ბრძანების შესაბამისად. 2004 წლამდე "საქსტატი" საარსებო მინიმუმის მაჩვე-ნებლების გაანგარიშებას სხვა მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე ახორციელებდა. სწორედ აღნიშნული მეთოდოლოგიური ცვლილებებით აიხსნება 2004 წლამდე და 2004 წლის შემდგომი პერიო-დისთვის გაანგარიშებულ მონაცემებს შორის სხვაობა. საარსებო მინიმუმის გასაანგარიშებლად მინიმა-ლური სასურსათო კალათის ღირებულება იყოფა 0.7-ზე (საარსებო მინიმუმის ღირებულებაში სასურსა-თო ხარჯების წილი განისაზღვრება 70 პროცენტით, შესაბამისად, არასასურსათო ხარჯების წილი განი-

საზღვრება 30 პროცენტით). მიღებული რიცხვი წარმოადგენს მოცემულ თვეში საარსებო მინიმუმის ღირებულებას შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის.

თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ეს შეფარდება მოძველდა და განახლებას საჭიროებს, რადგან დღესდღეობით ადამიანის არსებობისათვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი გაცილებით ფართოა და კალათში უნდა შეიტანოს ბევრი საქონელი და მომსახურება, რომელიც აუცილებელია ადამიანის არა მარტო ფიზიკური, არამედ მისი გონებრივი და ინტელექტუალური შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებისათვის.

"საქსტატში" აღნიშნავენ, სამომხმარებლო კალათა შედგენილია შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან მიღებული მოხმარების სტრუქტურის საფუძველზე. მოხმარების პროპორციულად თითოეულ საქონელს და მომსახურებას მინიჭებული აქვს შესაბამისი ხვედრითი წონა. სამომხმარებლო კალათა შეიცავს იმ საქონელსა და მომსახურებას, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეები ყველაზე ხშირად მოიხმარენ. კალათის განახლება 3 წელიწადში ერთხელ ხდება. უკანასკნელად ის 2010 წლის იანვარში განახლდა. ამჟამად კალათა 266 სამომხმარებლო საქონელს და მომსახურებას შეიცავს.

"საქსტატში" აცხადებენ, რომ 2011 წელთან შედარებით, კალათის ღირებულება 2,1 პროცენტით შემცირდა. დეფლაციამ სურსათის პროდუქტებზე 3,5 პროცენტი შეადგინა, თუმცა კომუნალური გადასახადების და ტრანსპორტის გაძვირებამ ეს მაჩვენებელი 2,1 პროცენტამდე დაწია. "საქსტატის" ცნობით, სასურსათო პროდუქტებს შორის ყველაზე მეტად გაიაფდა ბოსტნეული - 35 პროცენტით, სამაგიეროდ ხორცი 15 პროცენტით გაძვირდა. მაგრამ ეს ყოველივე არ არის საკმარისი, რადგან რეალური გათვლებით საარსებო მინიმუმი 220 ლარს უნდა შეადგენდეს, რაც რეალობისაგან ჯერ კიდევ შორს არის.

საყურადღებოა, რომ მეზობელ რუსეთში, სადაც გადასახადებიცა და პირველადი მოხმარების პროდუქტების ფასებიც საქართველოზე დაბალია, საარსებო მინიმუმი ბევრად დიდი თანხითაა განსაზღვრული. საქართველოს საარსებო მინიმუმი რუსეთის საარსებო მინიმუმის მხოლოდ 43.3%-ს შეადგენს, ხოლო ამერიკის საარსებო მინიმუმი 9 %-ია. მინიმალური ხელფასი წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკურ ნორმატივს, რომელიც განსაზღვრავს შრომის ანაზღაურების დასაშვებ მინიმალურ დონეს. მას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. მუშაკის თვიური ანაზღაურება არ შეიძლება იყოს მინიმალურ ხელფასზე ნაკლები. მინიმალური ხელფასის დაცვა სავალდებულოა ყველა დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად.

ოფიციალურად საქართველოში (2010 წლის მესამე კვარტალში) საშუალო ხელფასი 609,5 ლარი იყო. სამწუხაროდ, საქსტატი არ განმარტავს, თუ რა კრიტერიუმებით ითვლის საშუალო ხელფასს ქვეყანაში, სადაც დასაქმებულად ითვლება უმუშევრობის გამო „სატაქსაოდ" გასული ადამიანიც, ორი ქათმის მეპატრონე მარტოხელა გლეხის ქალიც და ასევე უმუშევრობის გამო ბანანებით მოვაჭრე ინჟინერიც. ფაქტია, რომ ხელისუფლება ცდილობს ხელოვნურად დასწიოს საარსებო მინიმუმიც და უმუშევართა რეალური ციფრიც, პარალელურად კი გაზარდოს დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასის ოდენობა. მაგალითად, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ქვეყანაში დასაქმებულთა 60%-ზე მეტი სოფლის მეურნეობაში შრომობს. მაგრამ, ყველასთვის ცნობილია, რომ დღეს ქართული სოფელი ცხოვრობს არა ფერმერობითა და პლანტატორობით, არამედ პენსიით, რადგანაც იქ რეალურად დარჩენილი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სწორედ საპენსიო ასაკშია. სოფლის მეურნეობა ამ გლეხებს შესაძლოა დაეხმაროს მხოლოდ იმაში, რომ პროდუქტის გაყიდვით საარსებო მინიმუმამდე შეივსონ თანხა, რომელსაც პენსიის სახით იღებენ. **„სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში საშუალო ხელფასი 700 ლარია.** აღნიშნული, 700 ლარიდან, დასაქმებული საშემოსავლო გადასახადის სახით სახელმწიფოს 140 ლარს უბრუნებს, ამას ემატება ყოველთვიურად მინიმუმ 80 ლარი გაზის გადასახადი, 30 ლარი დენის გადასახადი, 10 ლარი დასუფთავების გადასახადი, 13 ლარი წყლის გადასახადი, სამგზავრო ხარჯი 60 ლარის ოდენობით. აღნიშნული მინიმალური გათვლებით 700 ლარიდან 313 ლარი მიმდინარე აუცილებელი ხარჯებია. აქედან გამომდინარე ადამიანმა კვებისა და ჰიგიენისთვის თვეში 387 ლარი უნდა იმყოფინოს. "ეს თანხა საკმარისია მინიმალური გადასახადებისა და კვების ხარჯების დასაფარად. ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ ადამიანი ვერ ახერხებს სწავლას, კინოსა და თეატრში სიარულს".

ქვეყანაში მინიმალური ხელფასის ამღებთა რაოდენობა არ იზრდება. ამის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ 8 წლის განმავლობაში დასაქმების მაჩვენებელი არ იცვლება. უფრო მეტად ვითარდება მსხვილი ბიზნესი, ვიდრე საშუალო და მცირე. სამუშაო ადგილების შექნის შესაძლებლობა კი სწორედ საშუალო და მცირე ბიზნესს აქვს. „შეიძლება ჩვენ გავზარდოთ მშპ, ეკონომიკური ზრდაც გვქონდეს, მაგრამ სიღარიბის ფონზე, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა სახარბიელო არ იყოს. ამიტომ ჩვენ გვინდა ხელფასების, ასე ვთქვათ ორნაირი ზრდა – რაოდენობრივი და ხარისხობრივი. ხელფასის მიმღებ ადამიანთა რაოდენობის მატებაც" .

2004 წლიდან, როდესაც საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 156. 6 ლარი იყო, 2009 წლისათვის ეს მაჩვენებელი დაახლოებით 72%-ით გაიზარდა და 556.8 ლარი შეადგინა. ნომინალურად ეს, რა თქმა უნდა, დიდი პროგრესია, მაგრამ ფასების დინამიკას თუ გავითვალისწინებთ, სიტუაცია რეალურად არ შეცვლილა. ექსპერტების მტკიცებით, ფასების დონე 2003 წლიდან დაახლოებით 77-80%-ითაა გაზრდილი. გამოდის, რომ მაშინდელი 156.6 ლარი უფრო მსყიდველობითუნარიანი იყო, ვიდრე 2009 წლის 556.8 ლარი.

2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო პენსიებზე გამოყოფილია 932,3 მილიონი ლარი (ბიუჯეტის 13,1%). ერთი შეხედვით ეს თანხა საკმაოდ სოლიდურია, მაგრამ აშკარაა, რომ პენსია ახლოც ვერ მიდის საარსებო მინიმუმთან, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ეს საპენსიო სისტემა რეალურად ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას - ვერ უზრუნველყოფს ადამიანების ფიზიკურ გადარჩენასაც კი.

მიუხედავად იმისა, რომ 2003 წელთან შედარებით 2010 წლისთვის საშუალო პენსიის სიდიდე გაზრდილია 6.1-ჯერ, მისი მსყიდველობითუნარიანობა მხოლოდ 3.0–ჯერ გაიზარდა, რადგან ამავე პერიოდში მოიმატა ფასებმა პირველადი მოხმარების პროდუქტებზეც. ბოლო წლებში სურსათზე ფასების ზრდა მნიშვნელოვნად უსწრებდა ფასების საერთო ზრდას. 2003-დან 2010 წლამდე საქართველოში სურსათზე ფასებმა მოიმატა 220.4 პროცენტით. იმავე პერიოდში ბუნებრივი აირის ფასი გაიზარდა თითქმის 4-ჯერ, ხოლო ელექტროენერგიისა – 1.6-ჯერ. ამჟამინდელი საშუალო პენსია თავისი მსყიდველობითუნარიანობით ორი ათეული წლის წინანდელი მინიმალური პენსიის დაახლოებით 45 პროცენტის ექვივალენტურია და, ფაქტობრივად, მხოლოდ სოციალური დახმარების ფუნქციის მატარებელია.

სომხეთში საშუალო პენსია დაახლოებით 65 დოლარია, აზერბაიჯანში - 125 , ხოლო რუსეთის ფედერაციაში – 240. ამასთან, საშუალო ხელფასთან საშუალო პენსიის თანაფარდობითაც ჩვენ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით ზემოჩამოთვლილ ქვეყნებს: საქართველო – 14.0%, სომხეთი – 20.1%, აზერბაიჯანი – 33.2%, რუსეთის ფედერაცია – 36.6%. ამ სტატისტიკის უბრალო გადახედვაც კი საკმარისია იმისთვის, რომ საქართველოში მოქმედი საპენსიო სისტემა არაეფექტურად და უსუსურად ჩაითვალოს. სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესებისთვის საჭიროა ამ სფეროში პოლიტიკის ძირეული შეცვლა.

- უნდა შემუშავდეს ახალი, დაბალანსებული შრომის კოდექსი, შემოღებულ იქნას პროგრესული გადასახადი, გაიზარდოს სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკის მართვაში, დაინერგოს საკუთრების შერეული ფორმები და, ამასთან ერთად, დაიწყოს რეფორმები სოცუზრუნველყოფის სისტემაში;

- საქართველოში შექმნილი დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ორსულობის, მშობიარობის და მშობიარობის შემდგომი პერიოდის სოციალური უზრუნველყოფის სისტემას. სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს სამედიცინო მომსახურება მშობიარობამდე, თვით მშობიარობა და ექვსთვიანი სოციალური დახმარება. ნახევარწლიანი დეკრეტული შვებულების მიცემა კანონით სავალდებულო უნდა გახდეს დამქირავებლისათვის. სამედიცინო მომსახურება ბავშვებისთვის დაბადებიდან 6 წლამდე უნდა იყოს უფასო ყველა სამედიცინო დაწესებულებაში, 16 წლამდე კი უფასო სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებში;

- შრომის ახალმა კოდექსმა უნდა განსაზღვროს კერძო საპენსიო სისტემის მუშაობის საფუძვლები, დამქირავებლის ვალდებულებები დაქირავებულის მიმართ, მისი პენსიაზე გასვლის პირობების დადგენის ჩათვლით;

- სახელმწიფო საპენსიო სისტემის მოდელი უნდა დაეყრდნოს შრომის ახალ კოდექსს. მინიმალური პენსია უნდა განისაზღვროს რეალური საარსებო მინიმუმის საფუძველზე, კანონით უნდა აიკრძალოს საარსებო მინიმუმზე ნაკლები პენსიის დანიშვნა.

- საპენსიო სისტემა უნდა დაიყოს რამდენიმე საფეხურად:

პირველი საფეხური – გარანტირებული პენსია, რომელიც განისაზღვრება საარსებო მინიმუმით + ნამსახურეობა (ნამსახურეობის ერთი წელი - საარსებო მინიმუმის 5%)

მეორე საფეხური - დაგროვებითი პენსია. (ხელფასის 5% გადაირიცხება სახელმწიფო საპენსიო ფონდში, რომელიც კაპიტალის რეინვესტირებით დაიწყებს პენსიის გადახდას მოქალაქისთვის საპენსიო ასაკის მიღწევისთანავე).

მესამე საფეხური - ნებაყოფილებითი პენსია (მოქალაქე ირჩევს სახელმწიფო ან კერძო საპენსიო ფონდს და მისთვის ხელსაყრელი პირობებით აფორმებს ხელშეკრულებას);

- უნდა განისაზღვროს სოციალური შემწეობების პრიორიტეტები:

I პრიორიტეტი – მრავალშვილიანი ოჯახები;

II პრიორიტეტი – ინვალიდები;

III პრიორიტეტი – უმწეონი;

IV პრიორიტეტი – მოსწავლეები და სტუდენტები.

- მინიმალური ხელფასი უნდა განისაზღვროს ორმაგი საარსებო მინიმუმის ოდენობით მაინც და დაუბეგრავი უნდა იყოს. ხუთმაგი საარსებო მინიმუმის და მეტი ოდენობის ხელფასი უნდა დაიბეგროს პროგრესული სოციალური გადასახადით იმისათვის, რომ საზოგადოების შეძლებულმა ნაწილმა შედარებით ნაკლებშეძლებული თანამოქალაქეების გადარჩენისა და უკეთესი სოციალური ადაპტაციის პირობები უზრუნველყოს.

ლიტერატურა:

1. www.geostat.ge
2. www.kvirispalitra.ge
3. www.bpi.ge

## საშემოსავლო გადასახადი, როგორც ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი წყარო

**ლალი მიჩიტაშვილი, რუსუდან პოღოზაშვილი,**
**თამარ ნადირაძე, მაკა საათაშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლალი სადაღაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

ნებისმიერი სახელმწიფო არსებობისათვის მოიცავს სამ ძირითად ფაქტორს - ტერიტორიული ერთიანობა, საჯარო ხელისუფლება და საგადასახადო სისტემა. გადასახადები ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია, რომელიც სახელმწიფოს არსებობას განაპირობებს. სწორედ რომ საგადასახადო სისტემა წარმოადგენს სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელ და განმამტკიცებელ ატრიბუტს სახელმწიფო დროშასთან, გერბთან და ჰიმნთან ერთად.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს საგადასახადო სისტემამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. შემცირდა გადასახადების რაოდენობა, შემცირდა განაკვეთები, ერთი შეხედვით გამარტივდა საგადასახადო კანონმდებლობა, მაგრამ მიუხედავად არსებითი ძვრებისა, დღეისათვის საქართველოში მოქმედი გადასახადები მაინც მძიმე საგადასახადო ტვირთის მატარებელია.

დღეისათვის საქართველოში მოქმედებს 5 საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი:

- საშემოსავლო გადასახადი;
- მოგების გადასახადი;
- დღგ;
- აქციზი;
- იმპორტი.

და ერთი ადგილობრივი გადასახადი: ქონების გადასახადი.

საშემოსავლო გადასახადი. მისი დასაბეგრი ბაზა საკმაოდ ფართოა, რადგან საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფიზიკური პირები გარდა დაქირავებით შემოსავლებისა, სამეწარმეო საქმიანობასაც ეწევიან. გეგმიანი ეკონომიკის პირობებში რამდენადაც მოსახლეობა დასაქმებული იყო სახელმწიფო დაწესებულებებში ან სახელმწიფო საწარმოებში, საშემოსავლო გადასახადი მკვეთრად დიფერენცირებულ ხასიათს ატარებდა და აადვილებდა გადახდის ადმინისტრირებას.

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან:

- რეზიდენტი ფიზიკური პირი, ანუ პირი, რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში;
- არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული გადახდის წყაროდან.

*რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის წარმოადგენს -*

დასაბეგრი შემოსავლის სხვაობას კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლისა და ხარჯების თანხებს შორის.

*არარეზიდენტი ფიზიკური პირისათვის საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრ შემოსავალს წარმოადგენს -*

დასაბეგრი შემოსავლის სხვაობას კალენდარული წლის განმავლობაში მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებულ საქართველოში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ხარჯების თანხებს შორის. არარეზიდენტი ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის მის მუდმივ დაწესებულებასთან, იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითვების (ხარჯების გამოკლების) გარეშე. არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს ქონების რეალიზაციით, საშემოსავლო გადასახადს იხდის კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან, რომელსაც აკლდება ამ პერიოდისათვის ასეთი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების თანხები.

*საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები:*

რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ მიღებული დასაბეგრი შემოსავლები, რომლებიც არ ექვემდებარება საქართველოში არსებულ გადახდის წყაროსთან დაბეგვრას, იბეგრება 20 პროცენტით.

*გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლები, იბეგრება:*

- ხელფასი - 20 %
- დივიდენდები – 5%
- პროცენტები – 5 %
- როიალტი - 20%

*არარეზიდენტი ფიზიკური პირი, საქართველოს წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე შემდეგი განაკვეთით:*

- დივიდენდები – 5%;
- პროცენტები – 5%;
- საწარმოს, ორგანიზაციის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ საერთაშორისო კავშირგაბმულობის ტელესაკომუნიკაციო მომსახურებისათვის და საერთაშორისო გადაზიდვების სატრანსპორტო მომსახურებისათვის გადახდილი თანხები – 10 %;
- ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განხორციელებისას არარეზიდენტი ქვეკონტრაქტორების მიერ მიღებული შემოსავალი – 4 %;
- ფიზიკური პირისთვის გადახდილი საიჯარო მომსახურების თანხა – 20%;
- სხვა თანხები, რომლებიც ითვლება საქართველოში მიღებულ შემოსავლად – 10%.
- ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი – 20%.

*როცა წინა წელთან შედარებით გვიმცირდება დასაბეგრი შემოსავალი -*

გადასახადის გადამხდელის მიმდინარე საგადასახადო წლის მოსალოდნელი დასაბეგრი შემოსავალი (მოგება), მათ შორის, საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით, არანაკლებ 50 პროცენტით მცირდება გასული საგადასახადო წლის დასაბეგრ შემოსავალთან (მოგებასთან) შედარებით და აღნიშნულის შესახებ იგი მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვადის დადგომამდე აცნობებს შესაბამის საგადასახადო ორგანოს. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, შეამციროს ან არ გადაიხადოს მიმდინარე გადასახდელების თანხები.

*საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდება შემდეგი სახის შემოსავლები:*

- მიღებული გრანტი, სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია, მაგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის არასახელმწიფო საპენსიო სქემიდან მიღებული პენსია განხორციელებული შენატანების ოდენობით, სახელმწიფო სტიპენდია, დახმარებებისა და ერთჯერადი გასაცემლების მიზნით ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან ან/და ბიუჯეტის სარეზერვო ფონდებიდან მიღებული თანხები;
- ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო ან/და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები;
- ალიმენტი;
- განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება (შემოსავალი);

*ფიზიკური პირის მიერ:*

- 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის), მასზე დამაგრებული მიწით, რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

- საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან 6 თვეზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;
- 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული აქტივების მიწოდებით მიღებული ნამეტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გასხვისებამდე აქტივი იყო გამოყენებული ეკონომიკური საქმიანობისთვის; ამასთანავე, აქტივების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებად არ ითვლება მათი 2 წლის შემდეგ მიწოდება ან/და ფასიანი ქაღალდების/წილის მხოლოდ ფლობა დივიდენდებისა და პროცენტების მიღების მიზნით;
- საგადასახადო წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;
- საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარამდე ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულება, გარდა დაქირავებულის მიერ დამქირავებლისაგან ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულებისა;
- საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარამდე ღირებულების, ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;
- ფიზიკური პირისათვის (დონორისათვის) გაღებული სისხლის საკომპენსაციო კვებისათვის გაცემული თანხა;
- 2014 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ ფიზიკური პირის მიერ აღნიშნული მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;
- ფიზიკური პირის (I რიგის მემკვიდრის) მიერ ჯამურად მის და მამკვიდრებლის/მჩუქებლის საკუთრებაში 2 წელზე მეტი ვადით არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;
- არარეზიდენტის მიერ ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას;
- რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი (მათ შორის, სარგებელი), რომელიც არ განეკუთვნება საქართველოში მიღებულ შემოსავალს;
- სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დასახიჩრებული ან/და დაინვალიდებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურისათვის ან სამხედრო მოსამსახურისათვის, აგრეთვე დაღუპვის შემთხვევაში მათ ოჯახზე (მემკვიდრეზე) დამქირავებლის მიერ გაცემული დახმარება;
- ლატარიიდან მიღებული მოგება, რომლის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს;
- აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, აგრეთვე ტოტალიზატორის მომწყობი პირების მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული მოგება, გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მოწყობიდან მიღებული მოგებისა;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დადგენილი წესით რეგისტრირებული პირის (რომელიც იღებს საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დასახიჩრებული პირის, ასევე ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული პირის ოჯახის წევრის მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციისგან უსასყიდლოდ მიღებული ქონების ღირებულება;
- ადმინისტრაციული ორგანოს (დამქირავებლის) მიერ თანამშრომლისთვის (დაქირავებულისთვის) უძრავი ქონების სასყიდლით ან უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემით მიღებული სარგებელი.

***რა სახის შეღავათები არსებობს საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრისას?***

საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება შემდეგ ფიზიკურ პირთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე:

- ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების;
- მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეების;
- პირის, რომელსაც მინიჭებული აქვს „ქართვლის დედის“ საპატიო წოდება;
- მარტოხელა დედის;
- პირის, რომელმაც იშვილა ბავშვი (შვილად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში);
- პირის, რომელმაც მინდობით აღსაზრდელად აიყვანა ბავშვი. ამასთანავე, კალენდარული წლის განმავლობაში 3000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი უმცირდებათ 50%-ით:

- მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მრავალშვილიანი პირის (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) მიერ აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი;
- მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ ერთ– ან ორშვილიან პირს (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი.

საშემოსავლო გადასახადმა განიცადა გარკვეული ცვლილებები, რომელსაც დღესდღეობით ასეთი სახე აქვს:

| წლები | პროცენტები |
|---|---|
| 2007 | 12% |
| 2008 | 25% |
| 2009 | 20% |
| 2010 | 20% |
| 2011 | 18% |
| 2012 | 20% |
| 2013 | 20% (18% + 2%) |

პროცენტული ცვლილებების მიუხედავად საშემოსავლო გადასახადი წარმოადგენს ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ მთავარ წყაროს, რაც იმითაც დასტურდება, რომ საშემოსავლო გადასახადის სახით 2008 წელს მობილიზებულია 12963 მლნ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 12842 მლნ. ლარის 101%-ია, მშპ-ს მიმართ მისი წილი 6,8%-ია. გადასახადებში საშემოსავლო გადასახადის წილი 273%-ს შეადგენს. 2009 წლის საპროგნოზო მონაცემებით საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტში შევიდა 1.123 მლნ. ლარი. სხვაობა 2008 წლის ფაქტიურ და 2009 წლის გეგმიურ მონაცემებს შორის 173.3 მლნ. ლარია. ასეთი მნიშვნელოვანი სხვაობების მიზეზი არის გლობალური ფინანსური და საქართველოში არსებული ომის შემდგომი ეკონომიკური კრიზისები და სხვ. აღსანიშნავია, რომ 2009 წლის 1 იანვრიდან საქართველოში საშემოსავლო გადასახადის შემცირებით მივიღეთ მისი ოდენობა 20%, რაც შენარჩუნებული იყო 2012 წლამდე.

არსებობს მოსაზრება, რომ 2013 წლიდან ამოქმედდება ახალი სისტემა, რომლის მიხედვითაც გადამხდელს შეეძლება 20-პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადიდან 18 პროცენტი გადაიხადოს ბიუჯეტში, ხოლო 2 პროცენტი ნებაყოფლობით საფუძველზე მიმართოს ინდივიდუალურ დაგროვებით ანგარიშზე, ანუ, დაქირავებულს საშემოსავლო გადასახადის სახით კვლავ 20 პროცენტი დაექვითება. აქედან, 18 პროცენტი პირდაპირ ბიუჯეტში წავა, ხოლო 2 პროცენტი ახლადშექმნილი კომპანიების ფონდში შევა, რომელსაც დაზოგვის ანგარიში ერქმევა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სისტემა ჯერ არ ფუნქციონირებს, ალბათ, ყველა დაგვეთანხმებით, რომ ამ სისტემის ამოქმედების შემთხვევაშიც კი საშემოსავლო გადასახადის საპროცენტო განაკვეთი მნიშვნელოვნად არ შეიცვლება.

დღეისათვის საგადასახადო ტვირთი არათანაბარზომიერადაა განაწილებული ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, რომელიც ვერ უზრუნველყოფს შემოსავლების ეფექტიან ამაღლებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, სოციალურ სამართლიანობას. იქმნება პირობები, როდესაც გადამხდელთა ერთი კატეგორიის მთელი სიმძიმით იბეგრება, მეორე კი საერთოდ „საგადასახადო ჩრდილშია“ მოქცეული. ჩვენი აზრით, ფიზიკურ პირებს უნდა შეუმცირდეთ საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის შკალა, რადგან მცირეა დასაქმებულთა რაოდენობა და მათი ხელფასი. მეორე მხრივ კი, რადგან საშემოსავლო გადასახადით ხდება ბიუჯეტის შევსება, მისი შკალა იურიდიული პირებისათვის უნდა დარჩეს უცვლელი.

ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა სტიმული გახდება წარმოების გაფართოვებისათვის, უზრუნველყოფს სტაბილურ ბიზნეს გარემოს ინვესტორებისათვის, რაც ერთმნიშვნელოვნად შეუწყოფს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას. ამასთანავე ლიბერალური საგადასახადო სისტემა ხელს შეუწყობს გადასახადების ლეგალიზაციას, აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგებას, რომელიც ჩრდილოვანი ეკონომიკიდან ქვეყნის გამოყვანის ერთ-ერთ წინაპირობად მიგვაჩნია.

ლიტერატურა:

1. სადაღაშვილი ლ., საქართველოს საგადასახადო სისტემის აქტუალური საკითხები და მისი სრულყოფის გზები, გორი, 2011.
2. www.rs.ge
3. www.civil.ge
4. www.radiotavisufleba.ge

# თანამედროვე მსოფლიოს დემოგრაფიული პორტრეტი

**სოფიო მუზაშვილი, თეონა რუსიტაშვილი, ლალი გიგაური**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნანა ახალაია,** სრული პროფესორი

ჩვენს წელთაღრიცხვამდე დედამიწის მოსახლეობა მხოლოდ 100 მილიონს შეადგენდა, ხოლო ჩვენი წილთაღრიცხვის დასაწყისისთვის 200 მილიონს მიაღწია. ასეთივე ნელი ტემპით ვითარდებოდა მოსახლეობა მომდევნო პერიოდშიც. ჩვენი მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა წინა პერიოდთან შედარებით დაჩქარდა და მოსახლეობამ 1500 წელს 450, ხოლო 1900 წელს 1600 მილიონს მიაღწია.

უკანასკნელი საუკუნენახევრის მანძილზე პლანეტის მოსახლეობა უსწრაფესი ტემპით გაიზარდა. თუ 1850 წელს დედამიწაზე 1 მილიარდი ადამიანი ცხოვრობდა, 1930 წელს რაოდენობამ 2 მილიარდს მიაღწია, ანუ სულ რაღაც 80 წლის განმავლობაში პლანეტის მოსახლეობა გაორმაგდა მაშინ, როდესაც დედამიწის მოსახლეობის გაორმაგებას 500 მილიონიდან (1650 წელს) 1 მილიარდამდე (1850 წელს) მთელი 200 წელი დასჭირდა. პლანეტის მოსახლეობის ზრდა შემდგომ ათწლეულებში კიდევ უფრო დაჩქარდა. 1930 წლიდან 1975 წლამდე, ამჯერად სულ რაღაც 45 წლის მანძილზე, დედამიწის მოსახლეობა კიდევ გაორმაგდა და 4 მილიარდს მიაღწია.

მსოფლიო მოსახლეობის განსაკუთრებით სწრაფი ზრდა 1950-იანი წლებიდან დაიწყო. ეს პერიოდი ცნობილია ,,დემოგრაფიული აფეთქების" სახელით. ესაა მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის მკვეთრი დაჩქარება, ძირითადად განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ხარჯზე. 1950-1960-იანი წლების დემოგრაფიული აფეთქება განპირობებული იყო განვითარებად ქვეყნებში მოკვდავობის შემცირებით 23-24 პრომილედან 9-10 პრომილემდე შობადობის მაღალი დონის შენარჩუნების პირობებში.

მოსახლეობის ზრდის ტემპის დაჩქარებაში დიდი როლი ითამაშა, ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და მსოფლიოში მოსავლიანობის გაზრდა, ცხოვრების პირობებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, რისი წყალობითაც გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა. ამასთან, შობადობის დონე მსოფლიოს ბევრ ნაწილში კვლავინდებურად მაღალია. დემოგრაფთა შეფასებით, თუ მოსახლეობის ზრდა ამ ტემპით გაგრძელდა, 2200 წლისთვის, შესაძლოა, 20 მილიარდ კაცს მიაღწიოს. ამჟამად მოსახლეობის ზრდა იმ ქვეყნების ხარჯზე ხდება, რომელთა მრეწველობა და ტექნოლოგიები სათანადოდ არ არის განვითარებული.

დედამიწის მოსახლეობის დაჩქარებული ტემპით ზრდამ დასაბამი მისცა არაერთ მეცნიერულ ნაშრომს, დებატსა და სპეკულაციას იმის შესახებ, თუ რა შეიძლება გამოიწვიოს პლანეტის მოსახლეობის სწრაფმა მატებამ.

დღევანდელ მსოფლიოში შეიქმნა ორი, „ჩრდილოეთისა" და „სამხრეთის" დემოგრაფიული პოლუსი. ერთი მხრივ, განვითარებული ქვეყნების მოსახლეობამ პრაქტიკულად შეწყვიტა ზრდა, მეორე მხრივ, აზიისა და აფრიკის განვითარებადი ქვეყნები ხასიათდებიან მაღალი ბუნებრივი მატებით და მოსახლეობის სწრაფი ზრდით. განვითარებული ქვეყნების პრობლემაა მოსახლეობის რიცხოვნობის კლება. განვითარებად ქვეყნებს კი პირიქით - პრობლემებს უქმნის მოსახლეობის სწრაფი ზრდა. 1990 წელს ევროპული კულტურის ქვეყნებში, როგორიცაა თვითონ ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა, ავსტრალია და ახალი ზელანდია, თავმოყრილი იყო მსოფლიო მოსახლეობის 30,0%, 2000 წლისთვის მათი ხვედრითი წილი მსოფლიოს მოსახლეობაში შემცირდა და 18,0% შეადგინა. თუ გაეროს ექსპერტ დემოგრაფების პროგნოზს გავითვალისწინებთ, 2050 წლისათვის ეს მჩვენებელი 10,0%-ს მიაღწევს, მაშინ, როდესაც აღნიშნული ქვეყნები ფლობენ დედამიწის 38,0%-ს.

განვითარებად ქვეყნებშიც მოსახლეობის „აფეთქება" გამოწვეული იყო სიკვდილიანობის მკვეთრი შემცირებით შობადობის ტრადიციულად მაღალ ფონზე. პრობლემა ისაა, რომ განვითარებულ ქვეყნებში სიკვდილიანობის შემცირება მოჰყვა ცხოვრების დონისა და ცხოვრების პირობების თანდათანობით გაუმჯობესებას, რაც ერთდროულად შობადობაზეც მოქმედებდა, თუმცა შედარებით უფრო ჩამორჩენით (რამდენიმე ათეული წლით). განვითარებად ქვეყნებში (რომელთა უმეტესობაც ამ ეტაპის დასაწყისში ჯერ კიდევ კოლონიები იყვნენ) სიკვდილიანობის შემცირება მოხდა პრაქტიკულად თვალის დახამხამებაში - რამდენიმე წელიწადში. მიზეზი - გარედან შემოსული (ზოგჯერ მიზანდასახულად, ზოგჯერ შემთხვევით) მინიმალური ინოვაციები - ახალი წამლები (ასპირინი, პენიცილინი), მავნე მწერების საწინააღმდეგო ქიმიური საშუალებები (DDT და სხვა), ელემენტარული წარმოდგენები პირად ჰიგიენაზე. დაიწყო (მეტ-

ნაკლებად) ვაქცინაცია და ეპიდემიებთან ბრძოლა, გაუმჯობესდა მოსახლეობის საკვები პროდუქტებით მომარაგება.

განვითარებად ქვეყნებში სიკვდილიანობა იმდენად არ დაცემულა, რომ განვითარებული ქვეყნების დონეს მიახლოებოდა, მაგრამ 1950-1980 წლებში ის 2.3-ჯერ შემცირდა, 1960-80 წლებში კი - ორჯერ. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გამოეწვია დემოგრაფიული აფეთქება. 1950-55 წლებში განვითარებად ქვეყნებში ფერტილურ ასაკში მყოფ ერთ ქალზე საშუალოდ 6.2 ბავშვი მოდიოდა.

დემოგრაფიული აფეთქების ტენდენცია მსოფლიოში ფაქტიურად ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში შესუსტდა, ხოლო უკვე ამ საუკუნის დასაწყისში საბოლოოდ გატყდა. დღეს მთლიანობაში განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის აღწარმოება ხდება დაახლოებით იმავე პრინციპით, რაც მდიდარ ქვეყნებში — ე.ი. ადამიანები უფრო გვიან ქორწილდებიან და ნაკლები ბავშვი ჰყავთ. საშუალოდ განვითარებად ქვეყნებში ერთ ქალზე ფერტილურ ასაკში დღეს 2.9 ბავშვი მოდის, ხოლო ოც ქვეყანაში შობადობა ვეღარ ფარავს სიკვდილიანობას.

იმის გამო, რომ ამ პროცესის ინერცია ძალზე დიდია (ერთ ქალზე მოსული ბავშვების რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე წინა თაობაში, მაგრამ თვით დედების რაოდენობა ბევრად მეტია) - დედამიწის მოსახლეობის ყოველწლიური მატება ჯერ კიდევ ძალიან მაღალია და გაეროს გათვლებით 1950-იანი წლების დონეს ზუსტად 100 წლის თავზე, 2050-იანი წლებისათვის დაუბრუნდება. დედამიწის მოსახლეობის სტაბილიზაცია მოხდება დაახლოებით 10 მილიარდი ადამიანის დონეზე ამ საუკუნის მეორე ნახევარში.

2011 წლის 31 ოქტომბერს მსოფლიოს მოსახლეობა შვიდ მილიარდამდე შეივსო, რასაც გაეროს შესაბამისი სამსახური კარგა ხანია ელოდა. მიუხედავად გამრავლებით მოგვრილი სიხარულისა, შვიდმილიარდიანი მსოფლიო (სწრაფად გამრავლებისკენ მიდრეკილებით) საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშეც აყენებს დედამიწის მოსახლეობას.

,,ამერიკის აღწერათა ბიუროს“ მონაცემებით 2013 წლის 15 იანვარს მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა 7 059 698 287 ადამიანია, ხოლო 2007 წლის მონაცემებით ეს მაჩვენებელი იყო 6 625 000 000. ეს იმას ნიშნავს რომ ბოლო 6 წლის განმავლობაში მსოფლიო მოსახლეობამ 434 698 2897 ადამიანით ანუ 11.29 პროცენტით იმატა.

ჯერ კიდევ მე-18-19 საუკუნეების ბრიტანელი ეკონომისტი და სოციოლოგი ტომას რობერტ მალთუსი, თავის 1798 წლის ნაშრომში "თხზულება მოსახლეობის პრინციპებზე," ამტკიცებდა, რომ მოსახლეობის რაოდენობის ზრდა გადააჭარბებდა კაცობრიობის აგრარული პროდუქციის წარმოების შესაძლებლობებს, რაც გაართულებდა მოსახლეობის გამოკვებას, თანამდევი კატასტროფული შედეგებით.

არა ერთი თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერი თვლის, რომ დედამიწის მოსახლეობის მატება მოითხოვს ეკონომიკური ზრდის ასევე უაღრესად მაღალ ტემპს, რაც, თავის მხრივ, პლანეტას ეკოლოგიური გარემოს დეგრადაცია-განადგურებით და ბუნებრივი რესურსების თანდათანობითი ამოწურვით ემუქრება.

დემოგრაფიული საკითხი რომ სახელმწიფოსათვის ძალიან მნიშვნელოვანია, ისიც ადასტურებს, რომ მოსახლეობის სიმრავლეზე ან სიმცირეზე ამ ქვეყნის ბედია დამოკიდებული. მისგან გამომდინარეობს: ერის გენოფონდის მდგრადობა, ქვეყნის ეკონომიკა, მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობა, რეგულარული ჯარის ოდენობა, სამობილიზაციო რესურსი.

მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა დადებითი მოვლენაა ისეთი ქვეყნებისათვის, რომელთა ეკონომიკური მდგომარეობა და რესურსული ბაზა უზრუნველყოფს გაზრდილი მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

მოსახლეობის სწრაფი ზრდა განვითარებად ქვეყნებში წარმოშობს პრობლემებს: უმუშევრობას, უმუშევრობის პირობებში კვალიფიციური სამუშაო ძალის დეფიციტს და ცხოვრების დონის დაცემას. გამოთვლილია, რომ განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის 4 პროცენტიანი საშუალოწლიური მეტების შემთხვევაში, ყოველწლიურად საჭიროა ეროვნული შემოსავლის 25% მოხმარდეს დემოგრაფიულ ინვესტიციებს, თუნდაც ისეთი ცხოვრების პირობების შექმნას, როგორიც იყო ის მათი დაბადებისას.

განვითარებადი ქვეყნები ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად საჭიროდ თვლიან შობადობის შეზღუდვასა და მოსახლეობის ხარისხის გაუმჯობესებას.

დემოგრაფიაზე მოქმედ ფაქტორთაგან უმნიშვნელოვანესია შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები. შობადობის დონე დედამიწაზე 1950-1954 წლებში აღწევდა 37,3 პრომილს, რომელიც 1985-89 წლებში შემცირდა 26 პრომილით, ხოლო 2008 წელს - 21 პრომილამდე. მსოფლიო მასშტაბით შობადობის არსებული დონე დღეისათვის უზრუნველყოფს მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას, მაგრამ შობადობის დონეებში კონტინენტებს, კონტინენტურ რეგიონებს და ქვეყნებს შორის არსებობს მკვეთრი დიფერენციაცია, რომელიც უმჯობესია დავახასიათოთ ჯამობრივი კოეფიციენტებით. შეფასების კრიტერიუმად ავიღოთ კოეფიციენტი 2,1, რაც ახასიათებს მარტივ აღწარმოებას. ეს ნიშნავს, რომ

მშობლებისა და შვილების რიცხვი  თანაბარია და არ ხდება მოსახლეობის არც ზრდა, არც კლება. შესაბამისად 2,1-ზე ნაკლები მაჩვენებლის მქონე ქვეყნებში არის მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება, 2,1-ზე მაღალი მაჩვენებლის ქვეყნებში - გაფართოებული აღწარმოება.

იმ ქვეყანათა რიცხვში, რომელთა ხარჯზეც იზრდება პლანეტის მოსახლეობა, ნამდვილად არ არის **ევროპის ქვეყნები.** მოსახლეობის კვლავწარმოებისათვის შობადობის ჯამური კოეფიციენტი, სულ მცირე, 2,15 უნდა იყოს. ევროპის არც ერთ ქვეყანაში ის ამ დონეს არ აღწევს. აქ შობადობის ჯამური კოეფიციენტი 1.5-ის ტოლია. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ბოლო ათწლეულის განმავლობაში პირველად დაფიქსირდა ბუნებრივი მატება. მისმა ჯამობრივმა კოეფიციენტმა 1.3 შეადგინა.

გაზეთ ,,საქართველო და მსოფლიო“-ს ერთ-ერთ სტატიაში ვკითხულობთ, რომ **ევროპის ქვეყნებში შობადობა სიკვდილიანობას მხოლოდ ბრიტანეთში, ესპანეთსა და საფრანგეთში აღემატება; დანიაში, შვედეთსა და პოლონეთში ეს მაჩვენებლები თანაბარია; იტალიაში, ავსტრიასა და გერმანიაში კი მოსახლეობა გადაშენების გზაზეა. ბალტიის ქვეყნებში ეს ყველაფერი უფრო მძაფრადაა გამოხატული. საქართველოში შობადობა ოდნავ აჭარბებს სიკვდილიანობას, მაგრამ, ვინაიდან ქვეყნიდან ბევრი ადამიანი მიდის, საერთო ჯამში მოსახლეობის რაოდენობა მცირდება.**

**ამერიკაში** შობადობის ჯამური კოეფიციენტი 2.3-ის ტოლია. მათ შორის ჩრდილოეთ ამერიკაში 2.1, ცენტრალურ ამერიკაში 2.5, ლათინურ ამერიკასა და კარიბებში 2,5, სამხრეთ ამერიკაში 2.4. ამერიკის რიგ ქვეყნებში მოსახლეობის ჯამობრივი კოეფიციენტი მოსახლეობის მარტივი აღწარმოების პროცესს შეესაბამება. „population reference bureau“ და cia (the world factbook) 2012 წლის მონაცემებით, ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე 463 000 000 ადამიანი ცხოვრობდა, ხოლო 2007 წელს 335 000 000 ადამიანი. ანუ ბოლო 5 წლის მანძილზე მოსახლეობა  128 000 000 ადამიანით, ანუ  დაახლოებით 38%-ით  (1.38-ჯერ) გაიზარდა.

**აფრიკაში** 2008 წლის შობადობის დონის პირობებში ყოველ ქალს ეყოლება 4,9 შვილი, მაგრამ აფრიკის რიგ ქვეყნებში ის გაცილებით მაღალია, კერძოდ ბენინში 5,7, ბურკინა-ფასოში 6,2, გვინეაში 5,7, ლიბერიაში 6,8, მალიში 6,6, ნიგერიაში 5,9, სირეა-ლეონეში 6,1, ბურუნდიში 6,8, ანგოლაში 6,8 და ა.შ. ლიბერიის, ბურუნუდის და ანგოლას შობადობის მაჩვენებლები ყველაზე მაღალია მსოფლიოში. „population reference bureau“ და cia (the world factbook) 2012 წლის მონაცემებით აფრიკის მოსახლეობა 2007 წელს იყო 944 000 000 ადამიანი, ხოლი 2012 წელს 1 072 000 000 ადამიანი. ანუ 5წლის განმავლობაშ მოსახლეობა 128 მილონი კაცით, 13%-ით ე.ი. 1.13-ჯერ  გაიზარდა.

რაც შეხება **აზიას,** შობადობის ჯამური კოეფიციენტი 2,4-ის ტოლია, მაგრამ იმავდროულად მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების რეჟიმი აქვთ შემდეგ ქვეყნებს: სომხეთი, კვიპროსი, ლიბანი, არაბთა გაერთიანებული ემირატები, ბრუნეი, სინგაპური, ტაილანდი, ჩინეთი, იაპონია, ჩრდილოეთ, სამხრეთ კორეა და ა.შ.  „population reference bureau“ და cia (the world factbook) 2012 წლის მონაცემებით აზიის მოსახლეობა 2007 წელს 4 010 000 000 ადამიანი იყო, ხოლო 2012 წელს 4 260 000 000 ადამიანი. ანუ 5 წელში მოსახლეობა აზიაში 250 000 000-ადამიანით, 6%-ით ანუ  1.06-ჯერ გაიზარდა.

**ავსტრალიასა და ოკეანეთში** მოსახლეობის აღწარმოება გაფართოებული ტიპისაა. შობადობის ჯამური კოეფიციენტი 2,4-ს შეადგენს, მაგრამ რეგიონის მნიშვნელოვან სახელმწიფოში, ავსტრალიაში შეკვეცილი აღწარმოებაა, სადაც ერთ ქალზე მოდის 1,9  დაბადებული ბავშვი. „population reference bureau“ და cia (the world factbook) 2012 წლის მონაცემებით ავსტრალიის მოსახლეობა 2012 წელს 37 000 000 ადამიანი იყო, ხოლო 2007 წელს 45 000 000.

დემოგრაფიის მეორე მნიშვნელოვანი მახასიათებელია მოკვდავობა, რომელიც განსაზღვრავს სიცოცხლის ხანგრძლივობას. 2008 წლის მონაცემებით დედამიწაზე სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 68 წელს შეადგენს. აფრიკაში 54, ამერიკაში 75, აზიაში 69, ევროპაში 75, ავსტრალიასა და ოკეანეთში 76. სიცოცხლის ყველაზე დაბალი ხანგრძლივობა 2008 წლისათვის აღინიშნებოდა სვაზილენდში 33, ლესოტოში 36, ზამბიასი 38, მაშინ, როდესაც კანადაში, ისრაელში, ახალ ზელანდიაში, ესპანეთში, ლიხტენშტაინში, ლუქსემბურგში, ნიდერლანდებში, ნორვეგიაში, ავსტრიასა და ბელგიაში სიცოცხლის ხანგრძლივობამ 81 წელს მოაღწია. სინგაპურში, ისლანდიაში, შვედეთში, საფრანგეთსა და  იტალიაში 81, ხოლო ჰონგ-კონგში, იაპონიაში, შვეიცარიასა და სან-მარინოში ყველაზე მეტს - 82-ს მიაღწია.

დემოგრაფიული საკითხი ჩვენი რეალობის უმწვავეს პრობლემათაგანია. მათ გადასაჭრელად გონივრული და ეფექტური ნაბიჯების გადადგმაა საჭირო.

დემოგრაფია ისეთი სფეროა, სადაც შეუძლებელია შედეგის მიღება რამდენიმე თვეში ან წელიწადში. იგი სისტემურ მიდგომას მოითხოვს და თანაც ერთი კონკრეტული სამინისტროს ან უწყების კომპეტენციას არ ეხება, საქმე გვაქვს სახელმწიფო პოლიტიკასთან.

**ლიტერატურა:**
1. წულაძე გ., „საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა დღეს“, 2013.
2. ქართველთა გამრავლებისა და მრავალრიცხოვანი საქართველოსათვის (დემოგრაფიული განვითარების კონცეფცია), თბ., 2008.
3. http://www.ambebi.ge
4. http://www.tabula.ge

## საავტომობილო ბიზნესი და მისი როლი საქართველოს საგარეო ვაჭრობაში

**ბექა ნაოჭაშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი**, სრული პროფესორი

საქართველოს წინაშე არსებული მრავალი გამოწვევის გადასაწყვეტად აუცილებელ პირობას ეკონომიკის განვითარება წარმოადგენს. საყოველთაო კეთილდღეობის მისაღწევად ქვეყანამ ეკონომიკის ზრდის სტაბილურად მაღალი ტემპი უნდა უზრუნველყოს. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის შეფასებისას სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან ერთად ეკონომისტები განსაკუთრებულ ყურადღებას საგარეო ვაჭრობაზე, ექსპორტ-იმპორტის ბალანსსა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ტენდენციებზე ამახვილებენ. გადავწყვიტე ჩემი საკვლევი თემის - საავტომობილო ბიზნესის განვითარების რეალური მდგომარეობის შესწავლაც საქართველოს საგარეო ვაჭრობაში მისი როლის განსაზღვრით დავიწყო.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2012 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 10220 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 11 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 2377 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (9 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი – 7842 მლნ. აშშ დოლარს (11 პროცენტით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2012 წელს 5465 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 53 პროცენტი შეადგინა. [1]

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი კვლავ მსუბუქ ავტომობილებს უკავია და 587 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, რაც მთელი ექსპორტის 25 პროცენტია. მეორე ადგილზე ფეროშენადნობები აღმოჩნდა, რომლის ექსპორტი უდრიდა 260 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო მისი წილი მთლიან ექსპორტში – 11 პროცენტს. მესამე ადგილზე აზოტოვანი სასუქების ჯგუფი დაფიქსირდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 137 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 6 პროცენტი შეადგინა. დანარჩენი პოზიციები შემდეგნაირად გადანაწილდა: ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული 87 მლნ. აშშ დოლარი (3,7%); თხილი და სხვა კაკალი 83 მლნ. აშშ დოლარი (3,5%); სპირტიანი სასმელები 80 მლნ. აშშ დოლარი (3,4 %); ყურძნის ნატურალური ღვინოები 65 მლნ. აშშ დოლარი (2,7 %); მინერალური და მტკნარი წყლები 59 მლნ. აშშ დოლარი (2,5%); სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ხორბალი 52 მლნ. აშშ დოლარი (2,2%). დანარჩენი პროდუქციის ექსპორტი 910 მლნ. აშშ დოლარს უდრის, რაც მთელი ექსპორტის 38,3 %-ს შეადგენს.

**უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში 2012 წელს**




საქართველოს ექსპორტის ლიდერად მსუბუქი ავტომობილების ბიზნესი ბოლო წლებში გამოიკვეთა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა მისი ზრდა 2010 წლიდან. 2009 წლის 78 მლნ. აშშ დოლარიდან 2010 წელს მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი 227 მლნ. აშშ დოლარამდე გაიზარდა. ეს ტენდენცია შემდეგ წლებშიც გაგრძელდა და დღეს უკვე ლიდერი პოზიციები უკავია. მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი 2011 წელს, წინა წელთან შედარებით, 98 პროცენტით გაიზარდა. ექსპორტირებული ახალი ავტომობილების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 34 პროცენტით იყო გაზრდილი, ხოლო ექსპორტზე გატანილი ექსპლუატაციაში ნამყოფი ავტომობილების რაოდენობა 105 პროცენტით აღემატებოდა წინა 2010 წლის მაჩვენებელს. 2011 წლის იანვარ-მაისში საქართველოდან $197,034 მლნ-ის მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი განხორციელდა, ხოლო 2012 წლის ამავე პერიოდში - $211,924 მლნ-ის. ექსპორტის ზრდამ 7,6% შეადგინა. მსუბუქი ავტომობილები საქართველოს ნომერ პირველ საექსპორტო პროდუქტად გადაიქცა და მასზე აღნიშნულ პერიოდში მთლიანი ექსპორტის 22% მოდიოდა. [2]

**მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი**




საქართველოდან ავტომობილების ექსპორტის უმსხვილესი ბაზარი აზერბაიჯანია, სადაც 2011 წელს საქართველოდან $55,184 მლნ-ის ავტომობილების ექსპორტი მოხდა. 2012 წლის 5 თვეში კი აზერბაიჯანში $121,234 მლნ-ის ავტომობილები შევიდა. ეს ციფრი 2011 წლის 5 თვესთან შედარებით 128%-ით გაიზარდა. მცირე მოცულობით მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი ხდება თურქეთშიც, სადაც 2011 წელს საქართველოდან $2,384 მლნ-ის ავტომობილები შევიდა, ხოლო 2012 წელს - $3,646 მლნ-ის.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა გასული 2012 წლის იანვარ-ოქტომბერში $483,611 მლნ-ს მიაღწია, ხოლო 2011 წელს იგივე ათ თვეში ეს ციფრი $370,871 მლნ-ს შეადგენდა. მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი 1 წელში 30 პროცენტით გაიზრდა. მისი წილი იანვარ-ოქტომბრის მთლიანი ექსპორტის 24,4%-ს შეადგენდა. ექსპორტის ნახევარზე მეტი აზერბაიჯანში რეექსპორტზე მოდის. იანვარ-ოქტომბერში საქართველოდან აზერბაიჯანში გატანილი იქნა $283,282 მლნ-ის მსუბუქი ავტომობილები, ხოლო 2011 წლის 10 თვეში ეს ციფრი $134,832 მლნ იყო.

ბუნებრივია იბადება კითხვა: რამ გამოიწვია მსუბუქი ავტომობილების ასეთი მაღალი წილი საგარეო ვაჭრობაში, მაშინ, როცა საქართველოში მათი წარმოება არ ხდება? ერთადერთი პასუხი ამ კითხვაზე ისაა, რომ იზრდება მათი იმპორტი, რასაც ხელს უწყობს საქართველოს მომგებიანი გეოგრაფიული მდებარეობა და გამარტივებული საიმპორტო პროცედურები. [3]




ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც განაპირობა მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის ზრდა საქართველოდან, ექსპერტთა შეფასებით, იყო საკანონმდებლო ცვლილებები ყაზახეთის საბაჟო კანონმდებლობაში, რომელიც ითვალისწინებდა შეღავათებს იმპორტული ავტომობილების დაბეგვრისას. სამწუხაროდ, ეს შეღავათები მოქმედებდა მცირე დროით და გაუქმდა 2011 წლის პირველ ნახევარში.

მზარდი ტენდენცია ახასიათებს მსუბუქი ავტომობილების იმპორტსაც. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იგი ჯერ კიდევ ჩამორჩება 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო ექსპორტზე ყიდის გაცილებით მეტ ავტომობილს, ვიდრე ახორციელებს იმპორტს. ფაქტიურად, დიდმა მოთხოვნამ იმპორტულ ავტომობილებზე გამოიწვია ის, რომ საქართველოდან ხდებოდა წინა წლებში იმპორტირებული ავტომობილების ფართო ექსპორტი. ეს ქმნის პირობას, რომ მომავალ წლებშიც შენარჩუნდება იმპორტის მაღალი დონე, რომელიც მიღწეული იქნა წელს, რათა ქართულ საავტომობილო ბაზარზე მოხდეს დიდი მასშტაბით ექსპორტირებული ავტომობილების ჩანაცვლება.




2012 წლის მონაცემებით, მსუბუქი ავტომობილების იმპორტმა 663 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი იმპორტის 8,5% შეადგენს. წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით იმპორტი 152 მლნ. აშშ დოლარითაა გაზრდილი.

| | 2011 წელი | | 2012 წელი | |
|---|---|---|---|---|
| | ათასი აშშ დოლარი | პროცენტული წილი | ათასი აშშ დოლარი | პროცენტული წილი |
| ექსპორტი - სულ<br><br>მათ შორის: | 2 189 135,8 | 100,0 | 2 377 455,0 | 100,0 |
| მსუბუქი ავტომობილები | 450 296, 6 | 20, 6 | 587 296 ,3 | 24 ,7 |
| იმპორტი - სულ<br><br>მათ შორის: | 7 057 759, 7 | 100,0 | 7 842 108, 9 | 100, 0 |
| მსუბუქი ავტომობილები | 510 545, 3 | 7,2 | 662 759, 3 | 8,5 |

საქართველოს საავტომობილო ბიზნესში განსაკუთრებული ადგილი მეორად ავტომობილებს უკავია. მეორადი ავტომობილების ერთ-ერთ მსხვილ იმპორტიორ კომპანიად “კავკასიის ავტოიმპორტი” სახელდება. “კავკასიის ავტოიმპორტს” დღეს საქართველოს მასშტაბით 42 ფილიალი აქვს. ქვეყნის ფარგლებს გარეთ ფილიალები ფუნქციონირებს აზერბაიჯანში, ყირგიზეთსა და სომხეთში. კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით ბოლო პერიოდში ვითარება კიდევ უფრო გაუმჯობესდა - პირობები დაიხვეწა, დილერებისთვის დაფინანსება გაკეთდა ა.შ. “საქართველოში აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან დილერები ჩამოდიოდნენ და ვხედავდით, რომ ამ ქვეყნებში მოთხოვნა იზრდებოდა... დღეს ადგილობრივ ბაზარზე ასეთი სურათია, მაგალითად, აზერბაიჯანის შემთხვევაში თუ ადრე 100 პროცენტიდან 90 პროცენტი დილერები ყიდულობდნენ მანქანებს, ახლა 70 პროცენტი ფიზიკური პირი ჩამოდის. აზერბაიჯანიდან დამოუკიდებლად რომ შეუკვეთონ მანქანები, ორთვენახევარი მაინც უწევთ ლოდინი, ამიტომ ურჩევნიათ საქართველოში ჩამოვიდნენ, ქართველი დილერები მიზერულ მარჟაზე მუშაობენ და, აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანლები დაახლოებით 3 ათასი დოლარით იაფად ყიდულობენ მანქანებს. რაც შეეხება ყირგიზეთს, ჩვენ იქ კვლევა ჩავატარეთ. დიდი ბაზარია და შესაბამისად მოთხოვნაც იყო. ერთი თვეა, რაც ფილიალი გავხსენით და უკვე დაახლოებით ასი მანქანა გავუშვით ყირგიზეთში” - აღნიშნავს კომპანია “კავკასიის ავტოიმპორტის” დირექტორი გიორგი სუპატაშვილი. [4]

საქართველოში იმპორტირებული მეორადი ავტომობილების დიდი ნაწილი გერმანიიდან შემოდიოდა. გერმანიას მოგვიანებით სხვა ევროპული ქვეყნები - საფრანგეთი და იტალია მიემატა. შემდეგ იმპორტიორთა რუკაზე გამოჩნდა აშშ, დუბაი, იაპონია, კორეა და დღეისათვის ქვეყანაში ავტომობილები უკვე 45-მდე ქვეყნიდან შემოდის. გერმანულ ავტომარკებს დღესაც ბაზრის ყველაზე დიდი წილი უკავია - იმპორტის 43% გერმანული წარმოების მანქანებზე მოდის. საკმაოდ მაღალი მოთხოვნაა ამერიკულ მანქანებზე. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, აშშ-დან ავტომობილის იმპორტი ევროპულზე იაფი ჯდება. იმპორტიორები ამერიკული მანქანების შესყიდვას უმთავრესად მისი დაბალი ფასის გამო ამჯობინებენ. ამერიკიდან ტვირთი კონტეინერით პირდაპირ ზღვით მოდის. აშშ-დან იმპორტის საშუალო ფასი 1.000-1.200 დოლარია. ტვირთი აშშ-ის ნიუ-ჯერსის პორტიდან მოდის ესპანეთის პორტამდე, შემდეგ თურქეთის სანაპირომდე და ბოლოს ფოთის პორტში შემოდის. ტვირთი საქართველოში დაახლოებით 35 დღეში ჩამოდის. ბოლო დროს, სულ უფრო და უფრო ხშირად ყიდულობენ ავტომანქანებს ინტერნეტის საშუალებითაც. [5]

აზერბაიჯანელები უმთავრესად დუბაიდან ჩამოყვანილ მანქანებს ყიდულობენ. ახალი ავტომობილების რეექსპორტი მეზობელ ქვეყნებში ძირითადად იმ შემთხვევაში ხდება, თუკი კონკრეტული ბრენდების წარმომადგენლობები იქ არ არის გახსნილი. ავტომობილები საქართველოდან გაყავთ აფრიკის ქვეყნებში, უკრაინაში, რუსეთში და ა.შ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, 2010 წელს ავტო დილერების გაყიდვების ბრუნვამ, საცალო ვაჭრობის გარდა, 635,5 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2011 წლის პირველ სამ კვარტალში ეს თანხა 467,5 მილიონ ლარს შეადგენდა.

რეექსპორტზე არსებული მაღალი მოთხოვნის გამო საქართველოში ავტობაზარზე კონკურენცია საკმაოდ მძლავრია. ქვეყანაში ავტომობილების იმპორტ-რეექსპორტით 120-ზე მეტი კომპანიაა დაკავებული. დღეისათვის საქართველოს ბაზარზე არსებულ ყველაზე დიდ საავტომობილო ჰოლდინგს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“ (IBG) წარმოადგენს, რომელიც მოიცავს როგორც ახალი ავტომობილების გაყიდვას, ასევე ავტოსერვისს, ავტოსათადარიგო ნაწილებს, ზეთებს და საბურავებს. საქართველოში IBG შემდეგი საავტომობილო ბრენდების: Volkswagen, Audi, Skoda Auto, Kia Motors, Renault, Mitsubishi Motors, Peugeot ოფიციალური წარმომადგენელია. ,,იბერია ბიზნეს ჯგუფი” კლიენტების მაქსიმალური კმაყოფილების უზრუნველსაყოფად ახორციელებს პროგრამა ,,თრეიდ ინს“ (Trade In), რაც გულისხმობს ახალი ავტომობილის შეძენისას ნებისმიერი მარკის მეორადი ავტომობილის ჩაბარებას და მხოლოდ ფასთა შორის სხვაობის დაფარვას. ჰოლდინგის შემადგენლობაშია ასევე "ITA" (,,იბერია ტექ ავტომოტივი“) - კომპანია, რომელიც ერთ-ერთი ლიდერია ავტოსათადარიგო ნაწილების იმპორტისა და რეალიზაციის კუთხით. ITA არის ოფიციალური პარტნიორი საქართველოში ისეთი მსოფლიო წამყვანი ბრენდებისა, როგორებიცაა: Mobil, Continental, Bosch, Bilstein, Elf, Febi, Pirelli, Banner, Jurid By Honeywell, Lotos SA, Kavo Parts და სხვა მრავალი. მარტო 2011 წელს „იბერია ბიზნეს ჯგუფმა“ 4 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა. [6]

სპეციალისტების განცხადებით, ავტომობილების რეექსპორტში მეორადი ბაზარი ლიდერობს. როგორც საქართველოში, ისე რეექსპორტზე ყველაზე მოთხოვნადი "ე" კლასის მერსედესებია. მეორე ადგილზეა "ბეემვე"-ს ბრენდის ავტომობილები. რაც შეეხება ღირებულებას, თუ 2011 წელს საშუალო ფასი 7-8 ათას აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობდა, ახლა ეს მაჩვენებელი 10 ათასი დოლარია.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიძლიერებს ოპტიმისტურ განწყობას და ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს აქვს კარგი შანსი გახდეს ავტომობილებით ვაჭრობის რეგიონული ცენტრი, რაც გამოიწვევს ამ სფეროში ინვესტიციების ზრდას. გამორიცხული არაა საშუალო ზომის საავტომობილო ქარხნების მშენებლობა, სადაც მოხდება იმპორტირებული ავტომობილების რემონტი და განახლება, მათი მომზადება შემდგომი გაყიდვისთვის, მათ შორის ექსპორტისთვის. როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი როლი ავტომობილების ექსპორტის ზრდაში საქართველოში ავტომობილების იმპორტ-ექსპორტისა და რეგისტრაციის უაღრესად მოსახერხებელმა და კომფორტულმა სისტემამ ითამაშა. ამ კურსის გაგრძელებისა და მთავრობის მხრიდან დამატებითი სტიმულირების მექანიზმების ამოქმედების შემთხვევაში ვფიქრობ საავტომობილო ბიზნესი კიდევ უფრო წარმატებული გახდება.

**ინტერნეტ-რესურსები:**


1. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FTrade_212_GEO.pdf
2. http://24saati.ge/index.php/category/business/2012-05-06/28327.html
3. http://www.radiotavisupleba.ge/content/article/24207796.html
4. http://24saati.ge/index.php/category/business/2012-09-26/32193.html
5. http://presa.ge/new/?m=society&AID=807
6. http://www.ibg.ge/?cat=101&lang=geo

# ინფლაციურ პროცესებზე ცალკეული ფაქტორების ზემოქმედების თეორიული ასპექტები

**მარიამ რაზმაძე**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** სრული პროფესორი

ინფლაცია ეკონომიკაში ფასთა საერთო დონის ზრდაა, ინფლაცია ასევე მოიაზრება, როგორც მიმოქცევაში არსებული ფულის მასის ზრდა. ეკონომიკის ზოგიერთ მოდულში ის მოთხოვნის ვარდნის ან ფულის მიწოდების ზრდის ექვივალენტია. ინფლაცია დეფლაციის ანტონიმია. ზოგიერთ კონტექსტში „ინფლაცია" გამოიყენება ფულის მიწოდების ზრდის მნიშვნელობით, რასაც ზოგჯერ განიხილავენ როგორც ფასთა ზრდის მიზეზს.

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ თითოეული სახელმწიფოსათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ინსტიტუციურად მყარი საბანკო სისტემა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სწორად განსაზღვრა და ინფლაციური პროცესების რეგულირება, რათა ქვეყნების ეკონომიკურმა სისტემებმა არ განიცადონ სრული კრახი. ზოგადად, თვითონ მეცნიერებაში კრიზისებთან დაკავშირებით არ არსებობს ერთიანი მიდგომა. მაგალითად, მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ კრიზისი ეს არის ობიექტური რეალობა, რომელიც გარკვეული პერიოდების შემდგომ მეორდება, ეს შეიძლება იყოს 8-10 წელი, შეიძლება მეტიც. თუმცა არის სხვა შეხედულება, მაგალითად კეინსელების. სწორედ ეკონომიკური ციკლის კეინსური თეორია გახდა გასული საუკუნის 50-60-იან წლებში ანტიციკლური მოთხოვნის ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველი. მათვე გამოიკვლიეს ეკონომიკური ციკლის ფაზების - გამოცოცხლების, აღმავლობის, დაქვეითების და დეპრესიის თავისებურებანი. თუმცა, 70-იან წლებში აშკარა გახდა ამ თეორიის გადახედვის აუცილებლობა.

ბუნებაში არც ერთ ეკონომიკურ თეორიას არ უარსებია, რომელიც არ ყოფილიყოს გამოყენებული ამა თუ იმ ქვეყანაში, პირდაპირ თუ ირიბად. როგორ შეიძლება ადამიანი განაგებდე ქვეყანაში ეკონომიკურ პოლიტიკას, ქმნიდე ქვეყნის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიას და წარმოდგენა არ გქონდეს ისეთ ეკონომიკურ თეორიებზე, ინფლაციისა და ცოდნის გამდიდრებისათვის მაინც, როგორიც თუნდაც მარჟინალიზმი ან მონეტარიზმია. ნურავინ იფიქრებს, რომ ეს თეორიები მხოლოდ წმინდა მეცნიერებისთვის არსებობს და მოწყვეტილია ქვეყნების რეალური ეკონომიკისაგან. ბოლო პერიოდში ფასების ზრდამ შოკში ჩააგდო მსოფლიოს მოსახლეობა. რაც ყველაზე საგანგაშოა, ხშირად ფასები იზრდება ადგილობრივ პროდუქციაზე, რომელსაც არც ნედლეულის და არც დამხმარე მასალების თვალსაზრისით არავითარი კავშირი არა აქვს იმპორტულ პროდუქტთან. მაშ რა ხდება? თუ არც ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების, ელექტროენერგიის, კომუნიკაციების ფასები არ იზრდება და მით უმეტეს, არ იზრდება ხელფასი, მაშინ რატომ იზრდება პროდუქციის ღირებულება. საქმე გვაქვს წმინდად სამეურნეო სუბიექტების ინფლაციურ მოვლენებთან. რეალურად ჩვენს შემთხვევაში ეკონომიკური თვალსაზრისით შესაძლებელია მათ მიერ ფასების ზრდა არც უნდა ხდებოდეს, მაგრამ ვინაიდან მათ არ იციან, თუ როგორი ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარებას აპირებს სახელმწიფო, ამიტომ ისინი წინასწარ, სპონტანურად ზრდიან ფასებს. აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია, როგორი იქნება ქვეყანაში ადაპტაციური, ანტიინფლაციური პოლიტიკა. ეს დასაბუთებულია რაციონალური მოლოდინის თეორიით. რაციონალური მოლოდინის თეორიის დასკვნების საფუძველზე ბევრ ქვეყანაში შეიმუშავეს წარმატებული პროგრამები ინფლაციის შესამცირებლად. ინფლაციის ზრდა, სახელმწიფო დავალიანების ზრდა, მაღალი პროცენტი, ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი დონე, როგორც წესი, იწვევს ფულზე მოთხოვნის ზრდას და ფულის მიმოქცევის სიჩქარის შესაბამის ზრდას. ამ სიჩქარის შემცირება არის ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის მატების და ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი. რაც შეეხება დღევანდელ საგანგაშო მდგომარეობას, პირველ რიგში, მოსახლეობისათვის ყველაზე მძიმეა ის, რომ გაიზარდა ფასები სასურსათო პროდუქტზე, კერძოდ: პურზე, ზეთზე, კარტოფილსა და ხახვზე. ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტი გრეგორი მენქიუ თვლის, რომ სამომხმარებლო ფასების ინდექსი ცხოვრების ღირებულების არასრულყოფილი მაჩვენებელია, ვინაიდან ინდექსი არ ითვალისწინებს მომხმარებლის მიერ საქონლის ჩანაცვლებას იმ საქონლით, რომელიც შედარებით იაფი ხდება. ასევე ინდექსი საკმარისად სრულად არ ასახავს საქონლისა და მომსახურების ცვლილებას, რაც, საბოლოო ჯამში, იწვევს წლიური ინფლაციის 1%-ით ზრდას. მიუხედავად ამისა, დღეისათვის მსოფლიოს არ გააჩნია სხვა უკეთესი მაჩვენებელი

ადამიანის ცხოვრების ღირებულების ცვლილების გამოთვლისათვის. საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ინფლაცია ზოგადად ეს აუცილებელი პროცესია და საგანგაშო ამაში არაფერია, თუ ის ნორმის ფარგლებშია. ამიტომაა, რომ ყოველი წლის დასაწყისში ქვეყნის ფულად საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულია ინფლაციის დასაშვები ნორმა; მაგ.: 2012 წელს ინფლაციის დონემ საქართველოში 1,4% შეადგინა. საგანგაშო არა ინფლაციის დონეა, რომელიც აუცილებელიც კი არის ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის, არამედ საგანგაშოა ინფლაციის მაღალი დონე, როცა უკვე ინფლაციის ზრდის ტემპი ორნიშნა მაჩვენებელს აღწევს. რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ იმ შემთხვევაში, თუ მონეტარული პოლიტიკა უძლურია ან მან თავისი რესურსი ამოწურა, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა, მაშინ ყველაზე მნიშვნელოვანი იმპორტჩანაცვლებადი პროდუქციის წარმოების მხარდაჭერაა, რაც ბიუჯეტიდან პირდაპირ თუ ირიბად უნდა განხორციელდეს. [1: 29]

ერთი შეხედვით ინფლაცია ეკონომიკური პრობლემების მხოლოდ ნაწილია, მაგრამ ის უფრო რთული მიზეზ-შედეგობრივი მოვლენაა. ინფლაციის საერთო დონე განისაზღვრება ერთობლივი მოთხოვნის მაკროეკონომიკური ფაქტორებით. აღნიშნული მაჩვენებლები მიმდინარე ფასებში რაოდენობრივად დაკავშირებულია ფუნქციონალური დამოკიდებულებით მიწოდების მაჩვენებლებთან. პოტენციურ ერთობლივ მოთხოვნას წარმოადგენს ეროვნული შემოსავალი (ეშ), რომელიც წმინდა შიდა პროდუქტის (წშპ) ტოლია. ინფლაციური პროცესები წარმოიშობა აღნიშნული ტოლობის დარღვევის შედეგად. სისტემა შეიძლება წონასწორობიდან გამოიყვანოს აგრეთვე ინვესტიციებმა, პირადმა და სახელმწიფო ბიუჯეტის დანაზოგმა, ექსპორტმა, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის ჩამორჩენამ ხელფასის ზრდის ტემპისგან. განვიხილოთ თითოეული ფაქტორის გავლენა ინფლაციურ პროცესებზე.

1. ინვესტიციების გავლენა ინფლაციურ დონეზე.

ინფლაციაზე წმინდა ინვესტიციების ახსნა უკეთ შეიძლება, თუ დავუშვებთ, რომ გასულ წელს არ განხორციელებულა არცერთი ინვესტიცია და არ არსებობს ინფლაციაზე სხვა ფაქტორების გავლენა. ეს რეალურად შესაძლებელია, თუ პირადი განკარგვადი შემოსავლის და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მოხმარება ხდება მთლიანად, საგარეო-სავაჭრო ბალანსი ნულოვანია. ინვესტიციების განხორციელებისას მიმდინარე საანგარიშო წელს მათი ოდენობით იზრდება წარმოების ხარჯები და მოხმარების შემოსავლები რეალურ სამომხმარებლო სიკეთეების წარმოება კი თავდაპირველად შენარჩუნებულია უწინდელ დონეზე, ვინაიდან იგი ჩამორჩება საინვესტიციო ხარჯებს ინვესტიციების განხორციელების შესაბამისი პერიოდით, რომელიც დაახლოებით ერთი წლის ტოლია.

2. დანაზოგის გავლენა ინფლაციურ დონეზე.

არასწორია ვიფიქროთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ნაწილობრივი ან სრული გადაფარვის გზით, მოსახლეობისგან აღებული სესხებით, ფასიანი ქაღალდების ემისიით თუ უფრო მაღალი პროცენტების გადახდით, შეიძლება შევინარჩუნოთ ან შევამციროთ ინფლაციის ზრდა, შემდგომში პირადი შემოსავლების ზრდა საპროცენტო განაკვეთების აწევისა და სახელმწიფოს მიერ სესხების ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის ხარჯზე კვლავ აღწევს ინფლაციის დონეს, ამიტომ ასეთი ხერხით ინფლაციის დონის შემცირებაზე გავლენის მოხდენა არაეფექტურია. ნებისმიერი პანიკა მოკლევადიანია, თუ არ არსებობს სხვა უფრო სერიოზული გრძელვადიანი ფაქტორები, ინფლაცია პანიკის შედეგად ვერ გაიზრდება ჭენებით ან ჰიპერინფლაციაში. როგორც კი პანიკა იწყებს მინელებას, ინფლაციის დონეც იწყებს შემცირებას და რამდენიმე ხნით შეიძლება გახდეს იმ დონეზე უფრო დაბალიც კი, რაც იქნებოდა პანიკის გარეშე. საქმე ისაა, რომ მოხმარება, რომელიც პანიკის პერიოდში გაჯერდება არც თუ საჭირო სიკეთეებით, არა მარტო მკვეთრად ამცირებს რეალიზაციას, არამედ არც ჩქარობს დანარჩენი საქონლის შესყიდვების უწინდელი მანიპულირების აღდგენას. ამ დროს თავს იჩენს პანიკა, როგორც ჭკუის სასწავლებელი ფაქტორი და გარკვეულწილად ჩნდება ფსიქოლოგიური მოთხოვნილება უწინდელი დანაზოგების აღსადგენად.

3. წმინდა ექსპორტის გავლენა ინფლაციაზე.

წმინდა ექსპორტი განისაზღვრება როგორც სხვაობა საქონლისა და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტს შორის. თუმცა, ვინაიდან, დაუბალანსებულობა საწარმოო დანიშნულების საქონლით, საერთაშორისო ვაჭრობაში, ნებისმიერ ქვეყანაში ანაზღაურდება სამომხმარებლო საქონლით, წმინდა ექსპორტი შეიძლება აისახოს მხოლოდ სამომხმარებლო საქონლის მეშვეობით. ამიტომ წმინდა ექსპორტში უნდა გვესმოდეს სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის გადაჭარბება იმპორტზე. საანგარიშო

პერიოდში დადებითი წმინდა ექსპორტის წარმოქმნის შემთხვევაში პირველად შიდა ბაზრიდან ამ პერიოდში ამოღებული აღმოჩნდება სამომხმარებლო საქონლის ნაწილი, რომლის შექმნისთვის მოხმარებამ მიიღო შემოსავალი. უარყოფითი წმინდა ექსპორტის შემთხვევაში შიდა ბაზარზე მოცემულ პერიოდში შემოდის სამომხმარებლო საქონლის დამატებითი მოცულობა, რომელთა შეძენაზე მოხმარება ხარჯავს შემოსავლის ნაწილს. ესე იგი, მისი შემოსავლის მხოლოდ დარჩენილი ნაწილი იხარჯება ამ პერიოდში წარმოების სფეროში დამზადებული სამომხმარებლო საქონლის მთელ მოცულობაზე. მაშასადამე, ინფლაციის დონე ამ პერიოდში უნდა იყოს უარყოფითი და აბსოლუტური სიდიდით უდრიდეს უარყოფითი სუფთა ექსპორტის პროცენტს მიმდინარე წლის ეშ-სადმი. თუმცა, მუდმივად განმეორებადი წმინდა ექსპორტის ძირითადი ნაწილი, ჩვეულებრივ, არის სახელმწიფო საკუთრება და გამოიყენება ძირითად ოქრო-სავალუტო რეზერვების შესაქმნელად. უარყოფითი წმინდა ექსპორტი ნაწილობრივ შესაძლებელია დაბალანსდეს სახელმწოფო ოქრო-სავალუტო რეზერვების გამოყენების ხარჯზე. შედარებით ხანგრძლივ პერიოდში კი - უცხოური კრედიტების ხარჯზე.

4. **შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად ხელფასის მატების გავლენა ინფლაციაზე.**

ბიზნესში ინერგება მხოლოდ ის მოწინავე ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ეფექტს შრომითი, მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების დაზოგვის შედეგად, რაც შრომის ნაყოფიერების ზრდას განაპირობებს. თუ ხელფასი ამ დროს არ იზრდება, მაშინ წარმოების ხარჯები პროდუქციის ერთეულზე და, მაშასადამე, მათი ღირებულებაც შრომის ნაყოფიერების ზრდის უკუპროპორციულია. ერთ-ერთი მიზეზი ხელფასის ზრდის გადაჭარბებისა შრომის ნაყოფიერების მიმართ შეიძლება იყოს წინა წლის ეშ-სადმი წმინდა ინვესტიციების პროცენტის გადაჭარბება მოხმარების მატების შესამლო ტემპებზე. შედეგად იზრდება მოთხოვნა შრომით მომსახურებაზე. მოსახლეობის მაღალი დასაქმების შემთხვევაში შრომის ეფექტიანობა კლებულობს. აღნიშნული აიხსნება იმით, რომ, ჯერ ერთი, იზრდება კონკურენცია დამქირავებლებს შორის ჯერ საუკეთესო, შემდეგ კი სხვა თანამშრომლების გადასაბირებლად, მათთვის დამატებითი შეღავათების შეთავაზებით, პირველ რიგში კი შრომის ანაზღაურების. მეორე, გრძნობენ რა გაზრდილ მოთხოვნას, თანამშრომლები თავად უყენებენ დამქირავებლებს დამატებით პირობებს, ხშირად არღვევენ დისციპლინას, რაც, საბოლოო ჯამში, აისახება შრომის ნაყოფიერების შემცირებით. მაშასადამე, ხელფასების ზრდის ამოსავალს წარმოადგენს ინოვაციების განვითარება. იქ, სადაც იგი სახეზეა, იზრდება შრომის ნაყოფიერება. ბუნებრივია, იქვე ხდება ხელფასის მატებაც. რასაკვირველია, ხელფასის ზრდა ამ შემთხვევაში ვერ იქნება შრომის ნაყოფიერებაზე მეტი. ის იქნება რამდენადმე ნაკლები, რადგან ვერც ერთი დამქირავებელი ამას ასე მარტივად ვერ გაბედავს. მთლიანობაში კი მაკროეკონომიკურ დონეზე დროთა განმავლობაში შრომის ანაზღაურების დონეების ამოწევის შედეგად ეკონომიკის სხვა დარგში, რომლებსაც ჯერ არ შეხებია ინფლაციური პროცესები, შეიძლება დიდი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ ერთობლიობაში ხელფასის ზრდის ტემპი გაუსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდას. ე.ი. გარკვეულწილად წარმოიქმნება ხელფასის მკვეთრი ზრდის პროცესი, რაც ასტიმულირებს ინფლაციურ პროცესებს. [1: 39]

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ეკონომიკა არაერთხელ დამდგარა ინფლაციური პრობლემების წინაშე. განსაკუთრებით მტკივნეული იყო 2011 წლის ინფლაციური მოვლენები, როცა ქვეყანაში ინფლაციის დონემ 12-14% შეადგინა. ეკონომისტთა დიდი ნაწილის შეფასებით ინფლაცია ძირითადად გარე ფაქტორებით იყო გამოწვეული. მსოფლიო ბაზარზე პროდუქციის ფასების ზრდა, ბუნებრივია, იწვევს ჩვენთან ინფლაციას, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის მიზეზი. ინფლაცია შეიძლება ასევე შიდა ფაქტორებით იყოს გამოწვეული, კერძოდ ინფლაციას განაპირობებდა ოლიგოპოლიური ბაზრების არსებობა, ის, რომ არ ხდებოდა მონოპოლიური ბაზრების რეგულირება, არ იყო ჯანსაღი კონკურენცია, ქვეყნის მწარმოებლურობის რეალური შემცირება, სახელმწიფო ხარჯების ზრდა და სხვ. აღნიშნულ პერიოდში ეროვნული ბანკის მონაცემებით, საშუალო წლიური ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 6%, წლიური - 3%, ხოლო საშუალო წლიური - 1,7% იყო. ქვეყანა გამოირჩეოდა უკიდურესად ნეგატიური სავაჭრო ბალანსით, აღინიშნებოდა მაღალი ინფლაციური მოლოდინი.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფასების ზრდის პროცესის გასანეიტრალებლად და ინფლაციის ერთციფრა ნიშნულზე დასაბრუნებლად არაერთი ღონისძიება განახორციელა. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში აღნიშნულია, რომ 2011-2013 წლებისათვის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი შეადგენს 6 პროცენტს. საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2011-2013 წლების განმავლობაში ძირითადად გამოყენებული იქნება მონეტარული პოლიტიკის შემდეგი ინსტრუმენტები: რეფინანსირების სესხები, სადეპოზიტო სერთიფიკატები, ოპერაციები მთავრობის ფასიანი ქაღალდებით, სავალუტო ინტერვენციები, მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები, მინიმალური

სარეზერვო მოთხოვნები და სხვა ინსტრუმენტები. 2011-2013 წლების განმავლობაში სამომხმარებლო ფასების მოსალოდნელ დინამიკაზე მოქმედი რისკები ძირითადად არის ნავთობსა და საკვებზე მსოფლიო ფასების ცვლილება, გეოპოლიტიკური რისკების ცვლილება, რეგულირებადი ფასების ცვლილება, ინფლაციის იმპორტი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან და სხვა. ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა არ მოახდენს რეაგირებას გარეგანი ფაქტორების შედეგად ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან დროებით გადახრისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახრა იმდენად ძლიერია, რომ გავლენას ახდენს ინფლაციაზე მოქმედ ფუნდამენტურ ფაქტორებზე (ინფლაციის მოლოდინი, მშპ-ს პოტენციური დონიდან გადახრა). [2]

შემუშავებული პოლიტიკისა და გატარებული ღონისძიებების შედეგად ინფლაციური პროცესები კონტროლს დაექვემდებარა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით 2012 წლის დეკემბერში ნოემბერთან შედარებით, ინფლაციის დონემ 0.3 პროცენტი შეადგინა. ხოლო 2011 წლის დეკემბერთან შედარებით -1,4 პროცენტი. 12–თვიან პერიოდში აღნიშნული მაჩვენებლის ფორმირებაში ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

- სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: მოცემულ ჯგუფში ფასები შემცირდა 3,6 პროცენტით.
- დასვენება, გართობა და კულტურა: ამ ჯგუფზე ფასები შემცირდა 3,6 პროცენტით.
- ჯანმრთელობის დაცვა: მოცემულ ჯგუფში ფასები გაიზარდა 2,8 პროცენტით. ამასთან, ფასების კლება დაფიქსირდა ფარმაცევტულ ნაწარმზე (8,7 პროცენტი). [3]

საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ინფლაცია ურთულესი მრავალფაქტორიანი ეკონომიკური მოვლენაა, რომელიც გვიჩვენებს კვლავწარმოების პროცესში არსებულ დეფორმაციებს და თავის თავს ავლენს მოცემული ქვეყნის ფულადი სისტემის მოშლასა და მისი ვალუტის კურსის დაცემაში (გაუფასურებაში), თუმცა სწორად შერჩეული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის მეშვეობით იგი შეიძლება დაძლეული იქნას.

**ლიტერატურა:**


1. მარკოზაშვილი ნ., "ნდობა", ჟურნალი: "ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები", №2, 2007.
2. http://www.nbg.gov.ge/uploads/moneratypolicy/2011_2013/parlamentis_dadgenilebageo.pdf
3. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=127&lang=geo


## ქართული ცხვარი – წარმატებული საექსპორტო პროდუქტი


**ნინო ღარიბაშვილი, თამთა ფარეხელაშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნათია ჟოჟუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი


ქართული ცხვრის საექსპორტო არეალი დიდია - ირანი, აზერბაიჯანი, ომანი, იორდანია, ლიბანი, ეგვიპტე, ყატარი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები...

საქართველოდან ირანში ცხვრის ექსპორტი უკვე პირდაპირი ავიარეისით განხორციელდება.

2010 წლის 7 აგვისტოს საქართველოდან ირანში პირველად განხორციელდა ცხვრის ექსპორტი პირდაპირი ავიარეისის გამოყენებით.

პირველ ეტაპზე ჯამში 1000 ცხვარი გაიგზავნა, ხოლო 2010 წლის ბოლოსათვის ანალოგიური გზით მოხდა 350 000 ცხვრის ექსპორტირება.

ამ ინიციატივის განხორციელებამდე ცხვრის ექსპორტი ხდებოდა სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებით, რაც ართულებდა ურთიერთთანამშრომლობას ქართულ და ირანულ მხარეებს შორის.

ამასთანავე ირანელ ბიზნესმენებს ცხვრის შეძენა უხდებოდათ მესამე მხარის მომსახურების გამოყენებით.

პირდაპირი ავიარეისით ცხვრის ექსპორტის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს დელეგაციის თეირანში სამუშაო ვიზიტის დროს, რომლის ფარგლებშიც გაიმართა შეხვედრები როგორც ირანის მთავრობასთან, ისე ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან. სოფლის მეორნეობის მინისტრმა აღნიშნა, რომ ბოლო წლებში საზღვარგარეთიდან მოთხოვნა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე გაიზარდა, რაც ასევე დასტურდება სტატისტიკური მონაცემებით. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2009 წელს საქართველოდან ექსპორტირებულ იქნა 268000 ცხვარი, რაც უტოლდება 18 მილიონ აშშ დოლარს.

2010 წლის იანვარი-ივლისის პერიოდში სხვადასხვა ქვეყნებში გატანილი ცხვრის რაოდენობამ შეადგინა 10000.

საქართველოდან ცხვრის ექსპორტი ხორციელდება შემდეგ ქვეყნებში: სომხეთი, იორდანია, ლიბანი, საუდის არაბეთი და აზერბაიჯანი.

2011 წელს ირანი გახდა მეხუთე ქვეყანა, რომელიც მოახდენს საქართველოდან ცხვრის იმპორტს.

გასულ წელს საქართველოდან ექსპორტზე 300 ათასი ცხვარი გაიყვანეს. გაზრდილი მოთხოვნის გამო სოფლის მეურნეობის სამინისტრო გასულ წელთან შედარებით წელს ცხვრის ექსპორტის 10-პროცენტიან მატებას ვარაუდობს. არაბი ბიზნესმენების დაინტერესება ქართული ცხვრის ხორცის გამორჩეულმა გემომ, სიიაფემ და ტრანსპორტირების დაბალმა ღირებულებამ განაპირობა. გაზრდილი მოთხოვნის გამო ადგილობრივ ბაზარზე ცხვრის ფასი 60-დან 130 ლარამდე გაიზარდა.

ქართული ცხვრის სულადობის თაობაზე ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს. სხვადასხვა გათვლებით, ამჟამად ქვეყანაში 700 ათასიდან 1 მილიონამდე სული ცხვარი და თხა უნდა იყოს. საქართველოში არსებული ცხვრის 80-85 პროცენტი თუშურ ცხვარზე მოდის. თუშური ცხვარი უძველესი ქართული ჯიშია. ის ხალხური სელექციით მე-13, მე-14 საუკუნეებშია ჩამოყალიბებული. თუშური ცხვარი უხეშმატყლიანია და საუკეთესო გემოს ხორცით გამოირჩევა. მისი მატყლი ძვირფასი ნედლეულია ხალიჩებისა და სხვა სახეობათა მოთელილი ნაწარმის (ნაბადი, ქუდები და სხვა) დასამზადებლად. მოზრდილი ცხვრის წონა 70-75, პატარების კი 40-45 კგ-ია. მატყლის ნაპარსი, შესაბამისად, 3,5-4 და 2,5-3 კგ-ს შეადგენს. თუშური ცხვარი მაღალი ნაყოფიერებითა და მერძეულობით ხასიათდება.

როგორც ამბობენ, ეს ის შემთხვევაა, როცა ბაზარმა პროდუქტი თვითონ მოძებნა და ქართულმა ცხვარმაც არაბული ქვეყნების ბაზარზე ავსტრალიური, უკრაინული და ბრაზილიური ცხვრის ექსპორტი წარმატებით ჩაანაცვლა. ქართული ცხვრის მთავარი უპირატესობა (გემოსთან ერთად) სიიაფე და საქართველოდან არაბულ ქვეყნებში ტრანსპორტირების დაბალი ღირებულებაა. არაბი ბიზნესმენები აქ ცხვარს დაახლოებით 50 დოლარად ყიდულობენ, საკუთარ ქვეყნებში კი 300 დოლარად ყიდიან. ფოთის პორტიდან არაბულ ქვეყნებში ცხვრის საზღვაო ტრანსპორტით გადაყვანას 3-4 დღე და სულზე დაახლოებით 15-25 დოლარი სჭირდება.

როგორც ირკვევა, არაბი ბიზნესმენები მხოლოდ მსხვილი გარიგებებით ინტერესდებიან და ძირითადად მამალ ცხვრებსა და თოხლებს ყიდულობენ. ამ დარგში ექსპორტის განვითარებას ბევრი დადებითი მხარე აქვს: რაც მთავარია, იზრდება ინტერესი ცხვრის კვლავწარმოებისა და გამრავლებისადმი. ამ პროცესში აუცილებელია მეცნიერებისა და ზოოტექნიკოს-სელექციონერების ჩართვა. საქართველოდან ადგილობრივი ცხვრის ჯიშების გაყვანა მათი რეკომენდაციებით უნდა ხდებოდეს.

ექსპერტთა განცხადებით, ნედლეულის გადამამუშავებელი წარმოების განვითარების შემთხვევაში ცხვარი, შესაძლოა, უფრო ფასეულ პროდუქტადაც იქცეს და ფერმერმაც, სახელმწიფო ბიუჯეტმაც და ნედლეულის გადამამაუშავებელ საწარმოებში დასაქმებულმა ადამიანებმაც უფრო მეტი მოიგონ. გადამამუშავებელი წარმოების განვითარებას სერიოზული სარგებლობის მოტანა შეუძლია. თუშური ცხვრის მატყლზე, როგორც სახალიჩე დანიშნულების ნედლეულზე, ყოველთვის დიდი მოთხოვნა იყო. 1 ცხვარზე საშუალო წლიური ნაპარსი 2,3-2,5 კგ-ია. ე.ი., ამჟამად საქართველოში შეიძლება 1-1,2 ათასი ტონა მატყლი გადამუშავდეს. გარდა ამისა, ცხვარს წველიან და მისგან დამზადებული ყველი საუკეთესო გემოთი გამოირჩევა. რაც მთავარია, რაც უფრო ინტენსიურად მუშაობს გადამამუშავებელი წარმოება, მით უფრო ექცევა ყურადღება ცხვრის ჯიშობრივი და ხარისხობრივი თვისებების გაუმჯობესებას.

ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ტრანსპორტირებისას ცხოველთა სიკვდილიანობა ადრე თუ გვიან არაბ ბიზნესმენებს საქართველოში ცხვრის ხორცის გადამამუშავებელი საწარმოების გახსნაზე დააფიქრებს. თუმცა, როგორც ირკვევა, ცხვრის ბიზნესით დაკავებული არაბი ბიზნესმენები საქართველოში არც ცხვრის მოშენებას აპირებენ, არც საძოვრების ყიდვას და მით უმეტეს, არც ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოების გახსნას. მათთვის გაცილებით უფრო მომგებიანია, ცხვარი მეცხვარისგან იყიდონ და ფოთის პორტამდე ჩაყვანილი საქონელი ექსპორტზე შემდეგ არაბულ ქვეყნებში

გაიტანონ. მით უმეტეს, რომ ექსპორტი არ იბეგრება და კომპანიასაც მხოლოდ საშემოსავლო გადასახადის გადახდა უწევს.

არაბულ ქვეყნებში ცხვარი ძირითადად რელიგიურ დღესასწაულებზე იკვლება. რიტუალის თანახმად, ცხვარი ადგილზე უნდა დაიკლას. ამიტომ, არაბებს ურჩევიათ საქართველოდან ცოცხალი ცხვარი გაიყვანონ და იქ დაკლან. მით უფრო, რომ ფოთის პორტიდან ტრანსპორტირება არც ისე ძვირია.

ექსპერტთა შეფასებით, საქართველოში ცხვრის მოშენების მაქსიმალური პოტენციალი ზამთრის სეზონზე დაახლოებით 1,5-2 მლნ-მდე სულია (ზაფხულში ორჯერ მეტი ცხვრის ყოლაც შეიძლება). როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, მუშავდება წარმოების ახალი სტრატეგია, რაც სანაშენე წარმოების განვითარებას, მიუვალ საძოვრებზე გზებისა და ინფრასტრუქტურის მოწყობას და ახალი, ალპური საძოვრების ათვისების შესაძლებლობას გულისხმობს.

საქართველოში ცხვრის ბუმი მინელდა მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო გასულ წელთან შედარებით წელს ცხვრის ექსპორტის 10-პროცენტიან მატებას ვარაუდობდა. მათი ინფორმაციით, წლეულს მხოლოდ 27 ათასი ცხვრის ექსპორტი განხორციელდა. ცხვარი, ძირითადად, ირანელებმა იყიდეს. სამინისტროში იმედოვნებენ, რომ ექსპორტის მაჩვენებელი სექტემბერში გაიზრდება.

სპეციალისტებში ცხვრის ექსპორტის შემცირების ორი ძირითადი მიზეზი განიხილება: ერთია ის, რომ ცხვარი შუამავლების არსებობის გამო ძალიან გაძვირდა და იგი უცხოელი მყიდველისთვის არარენტაბელური გახდა; მეორე მიზეზი კი წმინდად პოპულაციური ხასიათისაა. აზიელები, ძირითადად, მამალ ცხვარს ყიდულობენ, შესაბამისად, საქართველოში მისი დეფიციტი შეიქმნა.

ცხვრის ექსპორტი, რაზეც მთავრობა და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სამინისტრო დიდ იმედებს ამყარებდა, ჩავარდნის პირასაა. უცხოელები ქართული ცხვრის შესყიდვისგან თავს ძირითადად სიძვირის გამო იკავებენ. ქვეყნიდან რაც გადის, მისი დიდი ნაწილი უცხოეთის ბაზრებზე სომხეთის გავლით ხვდება. ირანელი ვაჭრების შუამავლები სომხები არიან. ცხვარი აზერბაიჯანის გავლითაც გადის და აქაც ადგილობრივები არიან შუამავლები.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული ცხვრის ექსპორტი ირანში ხელში სომხებმა ჩაიგდეს. იმის გამო, რომ ცხვრის თვითმფრინავებით გადაყვანა ძვირი ჯდება, ირანელმა ვაჭრებმა მისი ხმელეთით ტრანსპორტირება ამჯობინეს და ამ საქმეში დასახმარებლად ისევ ძველ პარტნიორებს, სომხებს მიმართეს.

სომხები ამ სავაჭრო ოპერაციაში ადრეც მონაწილეობდნენ. ისინი წლებია საქართველოში ჩამოდიან, ადგილობრივი მეცხვარეებისგან საქონელს ყიდულობენ, დიდ ფარად აგროვებენ და ირანელებისთვის სომხეთში გადაჰყავთ. სტატისტიკის თანახმად, წლის დასაწყისიდან საქართველოდან სომხეთში ცხვრისა და თხის მთლიანი ექსპორტის 62% გავიდა. ცხვარი გაიყვანეს აგრეთვე აზერბაიჯანში, ირანსა და ლიბანში. სომხეთში კი წლეულს 919 ათასი ცხვარი აღირიცხა, მაშინ როცა შარშან მათი რაოდენობა მხოლოდ 511 ათასს შეადგენდა.

ირანელები პირდაპირ ქართველ მეცხვარეებზე ჯერ ვერ გამოვიდნენ. როგორც მეცხვარეები ამბობენ, სომხებს ირანელები შეცდომაში შეყავთ, ეუბნებიან, რომ საქართველოში გადაადგილება უსაფრთხო არ არის და გზაზე შეიძლება დააყაჩაღონ. ირანელზე თავდასხმა შარშან მართლაც მოხდა და კონკურენტებმაც ამით ისარგებლეს. გარდა ამისა, სომხეთი ქართველებს ცხვრის საკუთარ ტერიტორიაზე ტრანზიტისას გზად პრობლემებსაც უქმნის და დოკუმენტაციას სთხოვს. ქართველებს ძვირი უჯდებათ სომხეთში ხმელეთით ტრანსპორტირება, რადგან ერთი ცხვრის გატარებაში საშუალოდ 4 დოლარამდე ითხოვენ. თითქმის იგივე სიტუაციაა აზერბაიჯანშიც.

საქართველოდან ცხვრის ექსპორტზე ცხვრის ფასმაც იმოქმედა. სული ცხვარი შარშანდელთან შედარებით დაახლოებით 20%-ით, 140-დან 180 ლარამდე გაძვირდა. ქართველმა მეცხვარეებმა, რაც საქართველოში არაბი ვაჭრები მასობრივად ჩამოვიდნენ და ინტერესი სხვა უცხოელებისგან დაინახეს, საქონელი გააძვირეს. ცხვრის ფასი არარეალურ ნიშნულს მიუახლოვდა.

შესასყიდი ფასისა და მაღალი სატრანსპორტო დანახარჯების გამო ბევრმა აზიელმა ექსპორტიორმა ქართულ ცხვარზე უარი თქვა (თვითმფრინავით ერთი სული ცხვრის გადაყვანა $50 უჯდებოდათ). ირანში 1 კგ ცხვრის ხორცის ფასი $8-10-ს აღწევს, მისი გატანა გაცილებით იაფი დაჯდება, ვიდრე ცოცხალი პირუტყვის ტრანსპორტირება. ხორცის საექსპორტოდ დაფასოება რომ მოხდეს, ამისთვის ცხვრის სპეციალიზებული სასაკლაო უნდა იყოს, რაც ქვეყანაში ჯერ არ არსებობს.

მეცხვარეებს განსაკუთრებით ცხვრის გამოზამთრება უჭირთ, რადგან საკმარისი ზამთრის საძოვრები არ არის. ადრე ცხვარი ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე მიყავდათ, მაგრამ ახლა ქვეყანა უკვე საძოვრების სიმცირეს განიცდის".

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ცოცხალი ცხვრის ექსპორტი 2011 წელს 2010 წელთან შედარებით 90 პროცენტით გაიზარდა და 15 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

2012 წელს, წინა წელთან შედარებით, 65 ათასით მეტი ცოცხალი ცხვრის ექსპორტი განხორციელდა და მთლიანობაში 165 ათასი სული შეადგინა.

ისრაელში ქართული პროდუქციის, კერძოდ კი ქართული ცხვრის ექსპორტის გაზრდის საკითხი, საქართველოსა და ისრაელის სოფლის მეურნეობის მინისტრებს შორის გამართულ შეხვედრაზეც განიხილეს.

ისრაელის ბაზრის ათვისება ქართული ცხვრის საექსპორტო პოტენციალის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია. 2012 წლის თებერვლიდან სოფლის მეურნეობის სამინისტრო ისრაელის მხარესთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა, რის შედეგადაც კომპანია "ედენ ინტერნეიშენალ თრეიდინგს" ისრაელში ცოცხალი ცხვრის ექსპორტზე გაყვანის საშუალება მიეცა. გასული წლის შემოდგომაზე ისრაელში საცდელად 2200 სული ქართული ცხვარი გავიდა. მიმდინარე წლის მაისამდე კი 12 ათასი სულის გაგზავნა იგეგმება. ისრაელში ქართულ ცხვარზე მოთხოვნა გაიზარდა, რაც ბუნებრივ საკვებზე გაზრდილი ცხვრის ხორცის მაღალმა ხარისხმა და განსხვავებულმა გემომ განაპირობა.

2012 წელს 3707 სული ქართული ცხვრის - ექსპორტზე გაიგზავნა ისრაელში.

ჩვენი აზრით, დიდი ინტერესი შესაძლოა, იმ საგემოვნო თვისებებით იყოს განპირობებული, რომელიც ქართული ცხვრის ხორცს გააჩნია. გარდა ამისა, ქართულ ცხვარს ახასიათებს მაღალი შემგუებლობის უნარი და სტრესებისადმი მდგრადია. მთავარი მაინც ალბათ, დაბალი ფასია. ნაკლები ფაქტორი არც სატრანსპორტო გზის სიახლოვე უნდა იყოს.

**ინტერნეტ-რესურსები:**


1. www.gbs.ge;
2. www.finansebanck.ge
3. www.mof.ge;.
4. www.nbg.gov.ge;
5. www.parliament.ge;


## ელექტრონული კომერცია - XXI საუკუნის ბიზნესი


**მირანდა ყაჩლავაშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე,** ასოცირებული პროფესორი


ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, განსაკუთრებით კი ინტერნეტმა, როგორც საერთაშორისო ქსელმა მთელი მსოფლიო შეცვალა და ყველა სფეროზე მოახდინა გავლენა. მისი წყალობით ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკამ რადიკალური ცვლილებები განიცადა, ამიტომ ინტერნეტი ახალი ეკონომიკის ტექნოლოგიად არის აღიარებული.

თავდაპირველად, ინტერნეტის შექმნა სულაც არ იყო განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის, მისი ფუნქცია მხოლოდ სასწავლო და ინფორმაციის გაცვლით ამოიწურებოდა. ელექტრონული კომერციის ეპოქა 1960 წელს დაიწყო, როდესაც კომპანიებმა “American Airlines”-მა და “IBM”-მა გადაწყვიტეს შეექმნათ ავია-ბილეთების დაჯავშნის სისტემა. მათ შექმნეს პროგრამა “SABRE” (Semi–Automatic Business Research), რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევდა გაეგოთ ავია-სერვისის ტარიფები. ეს იყო ელექტრონული კომერციის პირველი სისტემის შექმნის მცდელობა.

მოგვიანებით ინტერნეტმა მსოფლიო ბიზნესში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა და, შეიძლება ითქვას, რომ ძირეულად შეცვალა კიდეც. ინტერნეტ-სერვისი, როგორც ფასიანი მომსახურების ერთ-ერთი ფორმა, თავად წარმოადგენდა კომერციულ საქმიანობას, მაგრამ ამავე დროს, იგი მომხმარებლს საშუალებას აძლევდა მისთვის საინტერესო ფართო თუ ვიწრო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა განეხორციელებინა. კომპანიებმა გააცნობიერეს, რომ მისი აქტიურად

გამოყენება საქმიანობას უფრო წარმატებულს გახდიდა, რადგან ინტერნეტის მეშვეობით უფრო მარტივია ახალი საბაზრო ვირტუალური სივრცეების დაპყრობა, მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან შეკვეთების მიღება და მომხმარებლის მოთხოვნების შესწავლის მიზნით მათთან მაქსიმალურად მჭიდრო კავშირის დამყარება. სწორედ ამიტომ, ბიზნეს საქმიანობა ინტერნეტში გაცილებით ეფექტურია ტრადიციულ საქმიანობასთან შედარებით. ბიზნესის წარმოება ინტერნეტში წარმოადგენს საქმიანი აქტივობის ნაწილის გადატანას. ამიტომ ისეთ კომპანიებს, რომლებიც ინტერნეტს აქტიურად მოიხმარენ, დიდი უპირატესობა აქვთ და უფრო ეფექტურად მუშაობენ.

და მაინც, როგორ შეიძლება განვმარტოთ ელექტრონული კომერცია? იგი არის ბიზნეს პროცესების ნებისმიერი სახეობა, სადაც ურთიერთქმედება სუბიექტებს შორის წარმოებს ელექტრონული სახით და მოიცავს თანამედროვე კომუნიკაციის თითქმის ყველა საშუალებას: ელექტრონულ ფოსტას (e-mail), ფაქსს (Fax), ინფორმაციის გადამტან საშუალებებს ( ე.წ. „EDI“- Electronic Data Interchange) და ა.შ. ახალი სპეციფიკური გარემოს გამოყენებით ინტერნეტი სთავაზობს ბიზნესს შემდეგ ძირითად უპირატესობას: იაფი კომუნიკაციები, საინტერესო ინფორმაცია, ფირმის დანახარჯების შემცირება და ფირმის იმიჯის შექმნა და მისი პოტენციალის შესახებ ინფორმაციის გავრცელება მსოფლიო მასშტაბით. სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობეს ელექტრონული კომერციის სწრაფი განვითარება მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში.

რა თქმა უნდა, ელექტრონულ კომერციასაც აქვს თავისი ნაკლოვანებები. მაგალითად, დამატებითი ხარჯები ინტერნეტ-სისტემის შესაქმნელად. ყველაზე დიდ საფრთხეს კი კომპიუტერული პროგრამების განსაკუთრებული ჯგუფი, ე.წ. „ჰაკერები“ წარმოადგენ, მათ შეუძლიათ გატეხონ საიტი, მათთვის სასარგებლოდ გამოიყენონ ინფორმაცია და კომპანიის იმიჯი ადვილად შელახონ.

ელექტრონული კომერცია თავისთავად ონლაინ გაყიდვებს გულისხმობს, რომელიც ძირითადად, სამი სახისაა:

- ინტერნეტ ვიტრინა წარმოადგენს ვებ-საიტის ლოგიკურ გაფართოებას. მასზე განთავსებულია საქონლის ან მომსახურების შესახებ ყველა ინფორმაცია, რომელსაც საჭიროების მიხედვით ანახლებენ. ის მხოლოდ სარეკლამო ფუნქციას ასრულებს. ყიდვის განხორციელებისათვის საჭიროა კომპანიაში ვიზიტი ან დარეკვა და თანხის გადახდა. ინტერნეტ-ვიტრინის მთავარი უპირატესობა არის ის, რომ მომხმარებელს შეუძლია მოკლე დროში სახლიდან გაუსვლელად შეარჩიოს სასურველი პროდუქტი, რაც მას დროის დაზოგვის საშუალებას აძლევს.
- ელექტრონული მაღაზია - ეს არის გამოყენებითი სისტემა, რომელიც აგებულია ელექტრონული კომერციის ტექნოლოგიების გამოყენებით. ჩვეულებრივი მაღაზიის მსგავსად ისიც ახორციელებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს: მყიდველისთვის საქონლის (მომსახურების) წარდგენა, დაკვეთების დამუშავება და საქონლის (მომსახურების) მიწოდება.
- სავაჭრო ინტერნეტ-სისტემა ხასიათდება კომერციული ციკლის ავტომატიზაციის უფრო მაღალი ხარისხით, ვიდრე ჩვეულებრივი ელექტრონული მაღაზია. სავაჭრო ინტერნეტ-სისტემა მაღალი ხარისხითაა ინტეგრირებული ორგანიზაციის კორპორაციულ საინფორმაციო სისტემასთან. ისინი მოითხოვენ დიდ დანახარჯებს მათ შემუშავებაზე, მაგრამ ამასთანავე შეუძლიათ არსებითად გაზარდონ გაყიდვების მოცულობა. სისტემის მეშვეობით შესაძლებელია შეძენილი საქონლის მიღება მოკლე პერიოდში. გარდა ამისა, მომხმარებელს შეუძლია შეუკვეთოს პროდუქცია, რომლის გამოშვება ჯერ არ დაწყებულა.

და მაინც, რას ეყრდნობა ელექტრონული ტრანზაქციები? ის კოდირების და დეკოდირების ხელოვნებაზე - კრიპტოგრაფიაზეა დამყარებული. თანამედროვე კრიპტოგრაფია იყენებს დაშიფვრას, რომელსაც შეუძლია მესიჯის კოდირება და დეკოდირება, დასაშიფრად კი ალგორითმები გამოიყენება.

რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ინტერნეტ-გაყიდვების დროს? რა თქმა უნდა, ეს საგადასახადო სისტემის კომფორტულობა და უსაფრთხოებაა. მომხმარებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საიმედოდ არის დაცული და ინფორმაცია მისი საკრედიტო ბარათის შესახებ მძარცველების ხელში არ აღმოჩნდება. ამისთვის არსებობს ინტერნეტ-პროგრამები, რომლებიც დაცვას უზრუნველყოფენ. მაგალითად, The Secure Sockets Layer (SSL). ეს არის საყოველთაოდ აღიარებული და გამოყენებადი პროგრამა, რომელიც ინფორმაციას გადაცემის პროცესში იცავს.

გარდა ამისა, არსებობს რამდენიმე წესი, რაც ვფიქრობთ, აუცილებელია იცოდნენ მათ, ვინც ინტერნეტ-მაღაზიის ხშირი მომხმარებლები არიან.

- პირველ რიგში უნდა შევხედოთ დაცვის ნიშანს, ესაა გაუტეხავი ბოქლომის ან გასაღების სიმბოლო, საიტი უნდა იწყებოდეს https:// ან სიტყვა "Secure Socket Layer" (SSL), რაც ნიშნავს, რომ ინფორმაცია გადახდის შესახებ მხოლოდ მყიდველსა და გამყიდველს შეუძლია ნახოს;
- მომხმარებელს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია კომპანიის შესახებ, უნდა იცოდეს ყიდვის პირობები, რაც მის უფლებებსა და მოვალეობებს გულისხმობს;

- მომხმარებელმა უნდა იცოდეს, თუ როგორ გამოიყენება მისი პერსონალური ინფორმაცია. როგორც წესი, სანდო გამყიდველი ამ ინფორმაციას კლიენტისათვის ხელმისაწვდომს ხდის;
- სასურველია აწარმოოთ აღრიცხვა და შეინახოთ ინფორმაცია დაჯავშნის შესახებ.

ყოველივე ეს დამატებით გარანტიას იძლევა, რომ ინფორმაცია მაქსიმალურად იქნება დაცული.

დღეს ალბათ არ არსებობს ინტერნეტ-მომხმარებელი, რომელსაც ელექტრონული კომერციის ხსენებისას კომპანია "Amazon.com" არ გაახსენდეს. როდესაც ვლაპარაკობთ ვებ-გვერდის საშუალებით შესყიდვებზე, თავისთავად ვგულისხმობთ "Amazon.com"-ს. კომპანიამ საქმიანობა 1995 წელს დაიწყო, როდესაც მისმა დამფუძნებელმა ჯეფ ბეზომ სიეტლის გარეუბანში საკუთარი ფარეხიდან წიგნების გაყიდვა დაიწყო. მას სურდა, რომ კომპანიის სახელწოდება დაწყებულიყო ასო "A"-ზე, ამიტომ არჩევანი მდინარე ამაზონზე შეაჩერა, როგორც ეგზოტიკურ და განსხვავებულ ადგილზე. 2000 წლიდან Amazon-ის ლოგოტიპი არის A დან Z-მდე ისარი, რომელიც მომხმარებლის კმაყოფილებაზე მიანიშნებს.

კომპანიის გეგმა უჩვეულო იყო. ბეზო პირველი 4-5 წელი მოგებას არ ვარაუდობდა. თუმცა, პირველივე კვირას ელექტრონული მაღაზიის გაყიდვებმა 5000 $ შეადგინა. მოგვიანებით კი ეს მაჩვენებელი სულ უფრო და უფრო გაიზარდა და სულ რაღაც 10 წელიწადში "Amazon.com" ყველაზე ცნობილ ინტერნეტ-მაღაზიად იქცა. თუ თავიდან კომპანია მხოლოდ წიგნებს ყიდდა, დღეს გაცილებით დიდი არჩევანია. წიგნები ახლაც იყიდება, თანაც მილიონობით ეგზემპლარი. "Amazon.com"-ი სხვა პროდუქციასაც სთავაზობს მომხმარებელს: აუდიო და ვიდეო ჩანაწერებს, ელექტროტექნიკას, კომპიუტერულ პროგრამებს, საკვებს, სამუშაო იარაღებს, სამზარეულოსა და საყოფაცხოვრებო ნივთებს, ტანსაცმელს, სათამაშოებს, პროდუქტებს ჩვილი ბავშვებისათვის და ა.შ „ჩვენ დედამიწაზე უდიდესი არჩევანი გაგვაჩნია" -აღნიშნულია კომპანიის ვებ-გვერდზე.

და მაინც, რა არის „Amazon.com"-ის წარმატების საიდუმლო? ვებ-გვერდის სტუმრები უნიკალურ სარგებელს იღებენ: მათ აქვს დიდი არჩევანი და მათთვის მისაღებ ფასებში შეუძლიათ სასურველი პროდუქტის მიღება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. კომპანიას აქვს დამოუკიდებელი ვებ-საიტები აშშ-ში, კანადაში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, იაპონიასა და ჩინეთში, ხოლო სასურველი პროდუქტის ადგილზე მიღება გაცილებით მრავალ ქვეყანაშია შესაძლებელი.

სანამ პროდუქციას შეიძენთ კომპანია მომხმარებელს ინდივიდუალურ რეკომენდაციებს სთავაზობს, ხოლო გვერდი „სიახლე თქვენთვის" აუწყებს მყიდველებს ახალი პროდუქტების შესახებ მათი პერსონიფიცირებული გვერდების მეშვეობით. მყიდველებს შეუძლიათ გამოიკვლიონ ალტერნატივები, გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი შეხედულებები და პირდაპირ გაესაუბრონ ავტორებსა და ექსპერტებს.

რაც შეეხება უშუალოდ პროდუქტის ყიდვას, ამისათვის აუცილებელია საიტზე დარეგისტრირება. კომპანიის სამუშაო ენას ინგლისური წარმოადგენს. ვებ-გვერდზე განთავსებულია პროდუქციის ჩამონათვალი, საიდანაც მომხმარებელს შეუძლია სასურველი პროდუქტის გამოწერა. გადახდა ხორციელდება Viza, MasterCard და American Express ბარათების საშუალებით, გადახდის ვალუტა კი მხოლოდ დოლარია. პროდუქტის მიღების სამი გზა არსებობს: სტანდარტული, ჩქარი და პრიორიტეტული. განსხვავება კი პროდუქტის მიტანის დროშია, რაც, შესაბამისად, სხვადასხვა ფასი ღირს. მომხმარებელი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას რომელი გზაა მისთვის უკეთესი.

ასე რომ, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ „Amazon.com" ყველაზე წარმატებული ინტერნეტ მაღაზიაა, რომლის მომხმარებელი მილიონობით ადამიანია მთელს მსოფლიოში.

საქართველოში ელექტრონული კომერცია ჯერ კიდევ განვითარების სტადიაშია და არ დგას მაღალ საფეხურზე. ქართულ ბაზარზე არიან ისეთი ონლაინ მაღაზიები, როგორიცაა HOTSPOT.GE, freeshop.ge VOVOVO.ge და სხვა. თუმცა მომხმარებელი უპირატესობას მაინც უცხოურ საიტებს ანიჭებს.

ჩვენი აზრით, აღნიშნულ საკითხს უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს, რადგან ელექტრონული კომერცია დიდ სტიმულს აძლევს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას, რაც საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, რათა გარკვეული პრობლემების შექმნის შემთხვევაში დარეგულირდეს, თუ რომელ ორგანიზაციას რა პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს. გარდა ამისა, აუცილებელია კიბერ-უსაფრთხოება, ლოჯისტიკა, შეკვეთილი ნაწარმის ადგილზე მიტანა, მომხმარებლის უფლებების დაცვა და ელექტრონული ვაჭრობის პოპულარიზაცია. 2010 წელს ეკონომიკის სამინისტრო ქვეყანაში ელექტრონული კომერციის განვითარების ინიციატივით გამოვიდა. მისივე თქმით, საქართველოში საერთაშორისო ინტერნეტ-მაღაზიებში დახარჯული თანხა ძალიან მცირეა, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ჩვენთან ინტერნეტ-კომერცია ჯერ კიდევ სუსტად არის განვითარებული. თუმცა, საზოგადოება ნელ-ნელა ონლაინ გაყიდვებზე ინაცვლებს და ეს კულტურა დღითიდღე ინერგება, ამიტომ საქართველოში ინტერნეტ-მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდაა მოსალოდნელი.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:
1. http://en.wikipedia.org/wiki/Electronic_trading
2. Amazon.com
3. http://ezinearticles.com/?How-to-Protect-Your-Credit-Card&id=1952351
4. http://info.ssl.com/article.aspx?id=10241
5. http://www.nplg.gov.ge
6. http://commersant.ge/index.php?id=788
7. ზაუტაშვილი დ., „ელექტრონული კომერცია “, ქუთაისი, 2008.
8. კოტლერი ფ., ამსტრონგი გ., „მარკეტინგის საფუძვლები“, გამომცემლობა - საქართველოს მარკეტინგის ასოციაცია, 2006.

## უძრავი ქონების ბაზრის პრობლემები საქართველოში

**მირანდა ყაჩლავაშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი,** სრული პროფესორი

ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა მოვლენებმა მრავალ სფეროზე მოახდინა გავლენა, მათ შორის ბიზნესზეც. ცვლილებები შეეხო უძრავი ქონების ბიზნესსაც, ამიტომ თემაში ამ სფეროში არსებულ პრობლემებსა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ ვისაუბრებთ.

გასაყიდი ქონების ფასს დრო განსაზღვრავს. ფორსმაჟორულ სიტუაციაში ქონება გაცილებით იაფად იყიდება. როგორც ცნობილია, ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს საბანკო ვალდებულებები აქვს, რაც კრიზისის გამო ვერ დაფარეს, ამან კი ბინების სასწრაფოდ გაყიდვა განაპირობა. ამ დროს კი უძრავი ქონების ყიდვა ხელსაყრელ ფასად არის შესაძლებელი. იპოთეკით დატვირთული ბინების გაყიდვა დღემდე გრძელდება, რამაც ადგილობრივ ბაზარზე უძრავი ქონების ფასის ვარდნა გამოიწვია. თუმცა ამ ბიზნესის წარმომადგენლები მასზე ფასის ზრდის ტენდენციას პროგნოზირებენ. საკონსულტაციო კომპანია IPM-სა და საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია „ჯონ ლანგ ლასალის“ კვლევის მიხედვით 2011-2012 წლებში საქართველოში უძრავი ქონების ყველა სეგმენტში ბიზნესის ზრდა ფიქსირდება.

უძრავი ქონების ბაზრის ანალიზის მიხედვით, 2008 წლის ფინანსური კრიზისის შედეგებიდან გამოსვლა ბიზნესმა 2010 წლიდან შეძლო და მდგომარეობის დასტაბილურება დაიწყო. ხოლო 2011-2012 წლებში უძრავი ქონების ყველა სეგმენტში ბიზნესის ზრდა დაფიქსირდა. საქართველოში კრიზისი დასრულდა. თუმცა აღარ არსებობს ერთი მთლიანი უძრავი ქონების ბაზარი, იგი სულ უფრო და უფრო სეგმენტირებული ხდება. საქართველოში თანამედროვე კომერციული არასაცხოვრებელი ფართის წილი სხვა სეგმენტებთან შედარებით საკმაოდ მცირეა და მისი ძირითადი ნაწილი თბილისშია თავმოყრილი. ბაზარი ხასიათდება კერძო საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონების საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით, რაც განვითარებისთვის ბარიერს წარმოადგენს.

საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე ბევრი მოთამაშეა. მათ შორისაა „არსი“, რომელიც საქართველოს უახლოეს ისტორიაში პირველი დეველოპერული კომპანიაა. იგი 1989 წელს დაარსდა, როგორც არქიტექტურული კომპანია და 1992 წლიდან დაიწყო ბინათმშენებლობა. კომპანია ორიენტირებულია არა ცალკეული სახლების, არამედ საცხოვრებელი უბნების მშენებლობაზე. თბილისის რამდენიმე უბანში „არსის“ მიერ აშენებულია სამი ახალი უბანი, რომელთა ჯამური მოცულობა 190.000 კვ.მ-ს აღემატება. „არსის“ მისიაა: “ქვეყნის ღირებულების ზრდა ღირსეული გარემოს შექმნით“.

საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე მეორე მნიშვნელოვანი მოთამაშეა ,,ცენტრ პოინტ ჯგუფი“, რომელმაც საქმიანობა წარმატებით დაიწყო, მაგრამ სკანდალში გაეხვა. 2012 წლის 10 დეკემბერს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ ახალი ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც ეხება ყველაზე დიდ სამშენებლო სკანდალს საქართველოში. “ცენტრ პოინტი

ჯგუფმა“ 6200-მდე ოჯახის მიერ ბინების მშენებლობისთვის გადახდილი 310 მილიონი აშშ დოლარი არამიზნობრივად გამოიყენა და ვალდებულებების შესრულება ვერ მოახერხა. მას შემდეგ, რაც ვერ შეძლო თავდაპირველი კლიენტებისთვის ბინების აშენება, კომპანიამ შემდგომი კლიენტების თანხის გამოყენება დაიწყო თავდაპირველი კლიენტების ბინების ასაშენებლად. შედეგად კი 30-მდე სამშენებლო პროექტი შეჩერდა და დაახლოებით 30 000 ადამიანი დაპირებული ბინის გარეშე დარჩა. „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ ვალდებულებები კი კომპანია „დექსუსმა“ გადაიბარა, რომელიც 2010 წელსაა დარეგისტრირებული. მან 30 შეჩერებული სამშენებლო პროექტიდან 8 პროექტი დაასრულა და დამატებით 7 ობიექტზე სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს.

კომპანია „სიგმა“ ბაზარზე 1990 წლიდან საქმიანობს. „სიგმას“ უძრავი ქონების ბაზარზე არსებული აქტივობა ბოლო სამი წლის წინანდელ მაჩვენებელთან შედარებით დაბალია, რასაც რამდენიმე მიზეზი აქვს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინების მოცულობაა. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია სოციალური ფონი და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ამ ეტაპზე სტაბილური მოთხოვნა მეორად, მცირე კვადრატულობის ბინებზეა შენარჩუნებული. კრიზისის შენდეგ ფასის 15-20%-იანი ვარდნა უძრავი ქონების ამ სეგმენტში კვლავ შენარჩუნებულია. მომხმარებელი ხედავს, რომ კომპანიებმა მშენებლობები ვერ დაასრულეს და ამის გამო მშენებარე ბინების შეძენას არ რისკავენ. 2009-2010 წლებთან შედარებით, მყიდველთა რაოდენობა (ძირითადად მეორადი ბინების მსურველები) დაახლოებით 40%-ით არის გაზრდილი, კომერციულ ფართებზე კი - ნაკლებად. უძრავი ქონების ერთ-ერთი სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელიც გამოკითხვას ეფუძნებოდა, კითხვაზე, რის შეძენას ფიქრობდნენ უახლოეს მომავალში? - გამოკითხულთა 53%-მა უპასუხა, რომ ბინის შეძენა სურდა, მშენებარე ბინის ყიდვას კი გამოკითხულთა 9% გეგმავს. ინდივიდუალური სახლის ყიდვა 7-8%-ს სურს, კომერციული ფართისა - 6%-ს, ხოლო მიწის ნაკვეთის - 23%-ს.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ ბაზარზე გამოკვეთილია კიდევ ერთი ახალი ტენდენცია - მზარდი მოთხოვნა მიწის ნაკვეთებზე. დღეს მიწის ნაკვეთის შეძენა და მასზე სახლის აშენება დაახლოებით იგივე ფასი დაჯდება, რაც „პენტჰაუსის“ ყიდვა კორპუსში. გაიზარდა ასევე მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო მიწებზე.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უძრავი ქონების ბაზარზე განხორციელებული სარეგისტრაციო ტრანზაქციების შესახებ მონაცემები გამოაქვეყნა. 2012 წლის ბოლოს უძრავი ქონების ბაზარზე სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2012 წლის ოქტომბერი 2007-2011 წლების იმავე თვესთან შედარებით ცალსახა ზრდით გამოირჩევა. 2007 წლის ოქტომბერთან (31 988 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით ზრდა 30.7%-ით, 2008 წლის ოქტომბერთან (28 047 ერთეული ტრანზაქცია) შედარებით ზრდა 49.0% ით, 2009 წლის ოქტომბერთან (31 690 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით ზრდა 31/9%-ით, 2010 წლის ოქტომბერთან (33 110 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით ზრდა 26.2%-ით და 2011 წლის ოქტომბერთან (39 956 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით ზრდა 4.6 %-ით დაფიქსირდა. რაც შეეხება უძრავი ქონების ბაზრებს, 2012 წელს შემცირდა უძრავი ქონების პირველადი (25.1%-ით), ხოლო გაიზარდა (10.3%-ით) მეორადი ბაზრები. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების მიმდინარე უსასყიდლო რეგისტრაციის მასშტაბები მნიშვნელოვნად ზრდის სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობას. გასული წლის ოქტომბერში ქვეყანაში 67 196 სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა უსასყიდლოდ. აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით უძრავი ქონების ბაზარი ოქტომბრის თვეში შემდეგნაირად ხასიათდება: 108 992 სარეგისტრაციო ტრანზაქცია, რაც წინა თვესთან შედარებით კლებაა 60.4%-ით, ხოლო წინა წლის იმავე თვესთან შედარებით ზრდაა 2.7-ჯერ.

უძრავი ქონების სააგენტოების წარმომადგენლებს ბაზრის განვითარების ტემპებზე განსხვავებული მოსაზრებები აქვთ, თუმცა ამბობენ, რომ სამშენებლო ბაზარი გამოცოცხლების სტადიაშია და აგვისტოს ომამდელ მაჩვენებლებს უბრუნდება.

ბოლო პერიოდებში ბიზნეს სექტორის აქტივობისა და ტურისტების რაოდენობის ზრდის პარალელურად, უძრავი ქონების ბაზარი საქართველოში სულ უფრო და უფრო მომგებიანი ხდებოდა. აღნიშნული სფეროს განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სამშენებლო სფეროს ფორმირება. უძრავი ქონების კანონის თანახმად, არაქართველი მოსახლეობისთვის შეზღუდვები არ მოქმედებდა. მეტიც, უძრავი ქონების შეძენის პროცედურა საქართველოს მოქალაქეებისგან შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში გაცილებით მეტი საბუთის წარდგენას მოითხოვდა, ვიდრე უცხოელებისაგან. მაგალითად, თუ საქართველოს მოქალაქე ვალდებულია დაასახელოს მისი შემოსავლის წყარო, უცხოელს მხოლოდ შესაბამისი თანხისა და საერთაშორისო პასპორტის ფლობა ევალება. ამან კი გამოიწვია ის, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი არაქართველების ხელში აღმოჩნდა, რაც მთელ რიგ უსიამოვნებებს იწვევს მოსახლეობაში. ვთვლით, რომ ეს საკითხი

საკანონმდებლო კუთხით უნდა გადაიხედოს და ქართველი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე დარეგულირდეს.

ინტერნეტ-რესურსები:
1 http://www.bpi.ge
2.http://transparency.ge/post/report/tsentr-pointi-jgupi-qvelaze-didi-samsheneblo-skandali-sakartveloshi
3.http://www.arci.ge/Index.php?site-lang=ka&site-path=company_profile/
4.www.found.ge
5.www.infoman.ge
6. www.www.tbilisi.gov.ge
7 http://www.ghn.ge/news-77988.html
8. http://geostat.ge/

# ვალდებულებათა აღრიცხვის თავისებურებანი

**ნანა შავშიშვილი, ნათია მინდიაშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ხალიანა ჩიტაძე**, აკადემიური დოქტორი

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს ვალდებულება. ყველა ვალდებულებას, რომელიც წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის საგანს, გააჩნიათ იურიდიული და ეკონომიკური შინაარსი. ვალდებულებათა მონაწილეებად გვევლინებიან ფიზიკური (მოქალაქეები) და იურიდიული (ორგანიზაციები) პირები. ნებისმიერ ვალდებულებასთან მიმართებაში ისინი გამოდიან კანონით ურთიერთდაკავშირებულ მხარეებად. შესაბამისად ბუღალტრულ აღრიცხვაში ორგანიზაციები ახდენენ იურიდიული და ფიზიკური პირების ვალდებულებათა ასახვას - მისი დებიტორების და ორგანიზაციის ვალდებულებას ფიზიკური და იურიდიული პირების - მისი კრედიტორების სახით. ვალდებულების უპირველესი დამახასიათებელი ნიშან-თვისება ის არის, რომ საწარმოს გააჩნია მიმდინარე მოვალეობა. ,,ვალდებულება საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიშვა წარსული სამეურნეო მოვალეობის შედეგად და რომლის შესრულება გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას საწარმოდან.“ ვალდებულებები შეიძლება სამართლებრივად შევიდეს ძალაში სავალდებულო წესით შესრულებული კონტრაქტის ან საკანონმდებლო მოთხოვნის ძალით. შეიძლება წარმოიშვას საქონლის ან მომსახურების მოწოდებისათვის. ვალდებულება წარმოიშობა ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის პირობებში, ასევე თუ საწარმოს სურს შეინარჩუნოს კარგი საქმიანი ურთიერთობა დამკვეთთან ან სხვა კლიენტებთან. საერთაშორისო პრაქტიკაში ვალდებულებებს ახასიათებს შემდეგი თვისებები: ვალდებულება, როგორც წესი, თავის თავში მოიცავს მომავალში აქტივების გასვლას საწარმოდან; ვალდებულება აუცილებელია შესრულდეს იმ შემთხვევაშიც კი, როცა საწარმო ვერ მიიღებს შემოსავალს (მოგებას); ვალდებულება განპირობებულია საწარმოს წარსული საქმიანობით და არა მომავალი მოქმედებით.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ვალდებულებები სხვადასხვანაირად ფორმულირდება და განისაზღვრება. საჭიროა შეიქმნას ვალდებულებათა აღრიცხვის ერთიანი საერთაშორისო სტანდარტი.

ტრადიციულად იურისპრუდენციაში გამოყოფენ ვალდებულებათა წარმოშობის სამ წყაროს: ხელშეკრულება, კანონი და დელიქტი, ანუ ზიანის მიყენება (უკანონო ქმედება, კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რომელმაც გამოიწვია ზარალი და რომელიც ითვალისწინებს მისი ანაზღაურების ვალდებულებას).

ყველა ვალდებულებას, რომელიც წარმოადგენ ბუღალტრული აღრიცხვის საგანს, გააჩნია იურიდიული და ეკონომიკური შინაარსი. საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წესების

თავისებურებას წარმოადგენს ვალდებულებათა იურიდიული გაგების დომინირება. გამომდინარე აქედან, ფულად ვალდებულებათა მოცულობა განისაზღვრება ნომინალიზმის პრინციპით, რომლის თანახმადაც ფულად ვალდებულებათა საგნად გვევლინება არა თვით ფასეულობა, არამედ მისი ფულადი ნიშნები - ლარები. ამავე დროს, ფულის მსყიდველობითი ძალის ცვლილება, გამოწვეული ვალდებულებათა წარმოქმნის დღიდან, არ ცვლიან მის მოცულობას, რადგანაც ლარი არის ლარი - ეს არის ამ პრინციპის არსი.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ვალდებულება ბუღალტრულ ანგარიშებში უნდა აისახოს იმ თანხებით, რომელიც განსაზღვრულია ან ხელშეკრულებით, ან კანონით, ან დელექტით ანუ მისაღებ თანხებში ან ყოველ კონკრეტულ დროში გასანაღდებელი თანხებით.

თუ იურიდიული თვალთახედვიდან ვალდებულებათა სიდიდე განსაზღვრულ ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეების მიერ, ან კანონის ნორმებით დროის პერიოდში რჩება უცვლელი, ეკონომიკური თვალთახედვიდან კი იგი მუდმივად იცვლება.

ასე მაგალითად: ერთი მხრივ, მიმწოდებლის ვალდებულება მყიდველის წინაშე შესაბამისი ხარისხის საქონლის მიწოდებაზე, შესაბამისი მოცულობასა და შესაბამის დროში, ხოლო მეორე მხრივ, მყვიდველის ვალდებულება მომწოდებლის წინაშე გაანაღდოს შეძენილი საქონლის ღირებულება გარკვეულ ფასად და განსაზღვრულ ვადაში, დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება განსახორციელებელი საქმიანობის კვალობაზე გადასახადების სახით გამოწვეულია არა ხელშეკრულების შესაბამისად, არამედ გადასახადების შესახებ არსებული საკანონმდებლო ნორმებით, რომელიც ადგენს გადასახადებისა და მოსაკრებლების სახეებს, განსაზღვრავს დაბეგვრის ობიექტს, დასაბეგრი ბაზის გამოთვლის წესს და ბიუჯეტში გადასარიცხი გადასახადის სიდიდეს და ვადებს. ამრიგად, საწარმოს ვალდებულებათა წარმოქმნის წყაროდ გადასახადების გადახდის საქმეში გვევლინება კანონი.

შრომითი ხელშეკრულება, დადებული საწარმოს მიერ მომუშავე მუშაკებთან, ითვალისწინებს მატერიალურ პასუხისმგებლობას მუშაკებზე მინდობილი ქონების შენახვის თაობაზე.

ორგანიზაციის მიერ მუშაკებზე მიყენებული მატერიალური ზარალის შემთხვევაში ითვალისწინებს მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულებას. ამ შემთხვევაშიც ქონებრივი ზიანი - დელიქტი, წარმოადგენს მუშაკის ვალდებულებათა წარმოქმნის წყაროს საწარმოს მიმართ.

ბუღალტრისათვის ვალდებულებათა წარმოქმნის წყაროს წარმოადგენს სამეურნეო ცხოვრების ფაქტი, რომლის შესახებაც ინფორმაცია წარმოადგენს ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველს და ასახავს საწარმოს ვალდებულებებს. სამეურნეო ცხოვრებაში ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახული ვალდებულებების შემადგენლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი თეორიული შეხედულებებია ჩადებული ბუღალტრული ნორმატიული დოკუმენტების საფუძვლად. ისინი ვალდებულებათა მთლიანი სპექტრიდან, რომელშიც საწარმო გამოდის აქტიური ან პასიური სუბიექტის როლში, გამოყოფს აღრიცხვაში ასახოს ის ვალდებულებები, რომლებიც შედიან აქტივებისა და პასივების კატეგორიაში, ანუ ბუღალტრული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, შეადგენენ დებიტორულ (აქტივი) და კრედიტორულ (პასივი) დავალიანებებს. ამავე დროს დებიტორული დავალიანების ქვეშ ფულადი სახსრების სიდიდე ან სხვა აქტივების ფულადი შეფასების თანხა, რომელიც საწარმოს აქვს მისაღები, ხოლო კრედიტორული დავალიანების ქვეშ კი - ფულადი თანხები, რომლებიც უნდა გადაიხადოს საწარმომ. ამრიგად, ვალდებულებათა მოცულობა იურიდიულ და ბუღალტრულ აზროვნებაში არ ემთხვევა ერთმანეთს და აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან. იურიდიულ ჭრილში ვალდებულებათა მოცულობა განისაზღვრება ხელშეკრულებაში მითითებული თანხით და ისინი თითქმის ყოველთვის მეტია ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახული ვალდებულებების თანხებზე. საქმე ის არის, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები იწყებენ ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვას მხოლოდ მათი შესრულების დაწყების მომენტიდან. ასე, მაგალითად: დავუშვათ, რომ ორგანიზაციის ადმინისტრაციამ დადო ხელშეკრულება B ორგანიზაციის ხელმძღვანელთან ერთი წლის ვადით გარკვეული ასორტიმენტისა და ღირებულების მასალების მოწოდების შესახებ. ასეთი სახის ვალდებულებას მთელი მოცულობით, რომელიც ნაჩვენებია ხელშეკრულებაში, არც ასორტიმენტით, არც ღირებულებით ფორმაში არავითარი კავშირი არ აქვს ბუღალტრულ ვალდებულებასთან. ეს დაკავშირებულია ორ მიზეზთან:

1. ხელშეკრულებაში, როგორც წესი, არ ფიგურირებს ვალდებულებათა საერთო მოცულობა, არამედ მითითებულია მხოლოდ მიწოდების პირობები;
2. ბუღალტერიაში მოქმედებს შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის მოთხოვნის პრიორიტეტი. ანუ სააღრიცხვო ჩანაწერებს საფუძვლად უდევს ეკონომიკური და არა იურიდიული ასპექტი. ეკონომიკურ ასპექტში კი ვალდებულება - ეს არის კრედიტი, იგი წარმოიქმნა ან მაშინ, როცა უკვე მოწოდებულია მასალები და როგორც შედეგი, წარმოიქმნება ვალდებულება, რათა გადავიხადოთ (პასიური

ვალდებულება), ან როცა ფული გადახდილია და მომწოდებელს წარმოექმნება ვალდებულება ეს მასალები გადასცეს მყიდველს. ამ უკანასკნელს წარმოექმნება უფლება მოითხოვოს მასალები (აქტიური ვალდებულება).

ამის მიუხედავად აღრიცხვის პრაქტიკამ იცის გამონაკლისებიც ამ განსაკუთრებით უნივერსალური წესიდან. საუბარია ვალდებულებებზე, რომლებიც გამომდინარეობენ სადამფუძნებლო ხელშეკრულებებიდან. მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად, როგორც კი მოხდება ორგანიზაციის რეგისტრაცია, მაშინვე ბუღალტერმა უნდა ასახოს დამფუძნებელთა ვალდებულება (აქტიური ვალდებულება) და ბალანსის აქტივში წარმოიქმნება დამფუძნებელთა ვალი კრედიტორები (საწარმოების) წინაშე, სინამდვილეში კი სანამ საწესდებო კაპიტალი არ შეივსება, დამფუძნებლების ვალი იქნება შემდგომი ,,ხვრელი" ბუღალტრული აღრიცხვის ბალანსში. სამეურნეო საქმიანობის ანალიზისას დაუფარავი ვალდებულებების თანხა უნდა გამოიქვითოს აქტივიდან (ანგარიში 1440 - ,,მოთხოვნები ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო ორგანიზაციების მიმართ" ან ანგარიში ,,მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე") და პასივში (ანგარიში 5115 ,,საწესდებო კაპიტალი" შპს-ში ან 5210 ,,პარტნიორთა კაპიტალი").

ვალდებულებათა მონაწილეებად გვევლინებიან ფიზიკური (მოქალაქეები) და იურიდიული (ორგანიზაციები) პირები. ნებისმიერ ვალდებულებასთან მიმართებაში ისინი გამოდიან კანონით ურთიერთდაკავშირებულ მხარეებად. ამავე დროს, ერთი მხარე გამოდის წინადადებით დაამყარონ ურთიერთობა ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო მეორეს შეუძლია დაეთანხმოს შემოთავაზებულ წინადადებას. ასეთ წინადადებას ეწოდება ოფერტა. ოფერტა (შეთავაზება) არის ერთი პიროვნების წერილობითი ან სიტყვიერი წინადადების მიცემა მეორე პირისათვის (აქცეპტანტისათვის), რომელიც მასთან ხელშეკრულების დადების სურვილის შესახებ შეტყობინებას მოიცავს. თუ ოფერტა მიღებულია (აქცეპტებულია), რის შესახებაც აქცეპტანტი მოვალეა წერილობით შეატყობინოს ოფერენტს, მაშინ მხარეთა შეთანხმება ოფიციალურ ძალას იძენს და მოქმედებას იწყებს. ოფერტს გარკვეული, მასში მითითებული მოქმედების ვადა გააჩნია. ამ ვადის განმავლობაში აქცეპტანტი (მიმღები) უფლებამოსილია მიიღოს ოფესტა და ამით ოფერანტი დაიკავშიროს სახელშეკრულებო, მაგრამ არა ოფესტას შინაარსის საწინააღმდეგო ვალდებულებით. უმარტივეს და ყველაზე პოპულარულ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მაღაზია (მარკეტი). მაღაზიის ვიტრინაში გამოფენილია საქონელი, რომელმაც თქვენ დაგაინტერესათ. ეს არის ოფერტა. როცა თქვენ შეხვედით მაღაზიაში და შეიძინეთ თქვენთვის სასურველი ნივთი, ეს არის აქცეპტი.

სამეურნეო ურთიერთდამოკიდებულების პრაქტიკაში ოფერტა და აქცეპტი საკმაოდ დიდ როლს ასრულებენ. აღნიშნული ურთიერთობის ნაწილობრივ გამარტივებისას შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მათ ორჯერ მოახდინეს გავლენა ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიაზე. პირველად - შორეულ წარსულში, როდესაც აღრიცხავდნენ დებიტორულ დავალიანებებს ანუ ყურადღებას არ აქცევდნენ კრედიტორულ დავალიანებებს. თვლიდნენ, რომ ეს არის კრედიტორის პროგრამა. მეორედ - როცა სამეურნეო პროცესების მონაწილეთა შორის ურთიერთდამოკიდებულების ბუღალტრული შინაარსი ფორმულირებული იყო ე. დეგრანჯის წესის სახით: ის, ვინც იღებს, დებეტდება, ხოლო ვინც გასცემს, კრედიტდება. აღნიშნული წესი დღემდე კარგად ასახავს საანგარიშსწორებო ანგარიშებზე ჩანაწერთა წესს. სრულყოფილად მან მიაღწია ანგლო-ამერიკული აღრიცხვის სააღრიცხვო სისტემაში, სადაც ანგარიშსწორებათა ანგარიშების ჯგუფი წარმოდგენილია ორი ანგარიშით:

1. მისაღები ანგარიშები (ანგარიშსწორება დებიტორებთან),
2. გასანაღდებელი ანგარიშსწორებები (ანგარისწორება კრედიტორთან).

მოვალე და კრედიტორი - ესენი არიან ვალდებულებათა მხარეები. ბუღალტრულ აღრიცხვაში მოვალე, როგორც წესი, იწოდება დებიტორად. საქართველოში ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვალდებულებათა მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები. შესაბამისად ბუღალტრულ აღრიცხვაში ორგანიზაციები ახდენენ იურიდიული და ფიზიკური პირების ვალდებულებათა ასახვას - მისი დებიტორების და ორგანიზაციის ვალდებულებას ფიზიკური და იურიდიული პირების - მისი კრედიტორების სახით.

მოთხოვნის უფლება - ეს არის ვალდებულებათა აქტიური მხარე. შესაბამისად, როგორც საერთო ვალდებულებათა ნაწილს, მოთხოვნის ნაწილს საფუძვლად უდევს ხელშეკრულება, კანონი ან დელიკტი (უკანონო ქმედება, რომელმაც ზარალი გამოიწვია და რომელიც ითვალისწინებს მისი ანაზღაურების ვალდებულებას). ასე მაგალითად: ჩვენ ვდებთ ხელშეკრულებას მოწოდებაზე და ამ ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენ, როგორც მყიდველს წარმოგექმნება უფლება მოვითხოვოთ ჩვენთვის განკუთვნილი სახელშეკრულებო საქონელი. მის საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულების პირობები. შემდეგ ჩვენ ვახორციელებთ გარკვეულ ქმედებებს, რომელთანაც კანონი აკავშირებს ვალდებულებათა წარმოქმნას გადასახადების გადახდის სახით, ამით კი სახელმწიფოს, უფრო ზუსტად კი მის აგენტებს კანონის

შესაბამისად ეძლევათ უფლება მოითხოვონ მისგან ზეგარის თანხა (საფუძველი იქნება კანონი). მაგრამ გადაზიდვისას მოხდა ჩვენი საქონლის დაზიანება და ამასთან დაკავშირებით ჩვენ წარმოგვექმნება უფლება მოითხოვოთ სატრანსფერტო ორგანიზაციისგან მიყენებული ზარალის ანაზღაურებათა (საფუძველი - დელიკტი). ბუღალტრულ აღრიცხვაში მოთხოვნის უფლება წარმოდგენილია დებიტორული დავალიანების სახით.

მოვალეობა - ეს არის მოთხოვნის უფლების საპირისპირო ქმედება, ანუ ,,ქმედება გარკვეული წრე ვინმეზე დაკისრებული და აუცილებლად შესასრულებელი" - აღნიშნავდა პროფესორი ს. ი. ოჟოგოვი. ბუღალტრულ აღრიცხვაში მოვალეობა - ეს არის უპირობო აუცილებლობა აუნაზღაუროთ კრედიტორებს მის წინაშე წარმოქმნილი ვალდებულება. ამრიგად, ვალდებულების უპირველესი დამახასიათებელი ნიშან-თვისება ის არის, რომ საწარმოს გააჩნია მიმდინარე მოვალეობა. ვალდებულება არის საწარმოს მოვალეობა ან პასუხისმგებლობა, რომლის შესრულება ექვემდებარება გარკვეულ ნორმებს. ვალდებულებები შეიძლება სამართლებრივად შევიდეს ძალაში სავალდებულო წესით შესრულებული კონტრაქტის ან საკანონმდებლო მოთხოვნის ძალით. შეიძლება წარმოიშვას საქონლის ან მომსახურების მოწოდებისათვის. ვალდებულება წარმოიშობა ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის პირობებში, ასევე თუ საწარმოს სურს შეინარჩუნოს კარგი საქმიანი ურთიერთობა დამკვეთთან ან სხვა კლიენტებთან.

ამრიგად, საერთაშორისო პრაქტიკაში ვალდებულებებს ახასიათებს შემდეგი თვისებები:

ა) ვალდებულება, როგორც წესი, თავის თავში მოიცავს მომავალში აქტივების გასვლას საწარმოდან.

ბ) ვალდებულება აუცილებელია შესრულდეს იმ შემთხვევაშიც კი, როცა საწარმო ვერ მიიღებს შემოსავალს (მოგებას).

გ) ვალდებულება განპირობებულია საწარმოს წარსული საქმიანობით და არა მომავალი მოქმედებით.

საქართველოს სინამდვილეში ცნება ,,ვალდებულება" ბუღალტრული აღრიცხვის ნორმატიული აქტებით არ არის განმარტებული. პრაქტიკოსი ბუღალტრები იდენდიფიკაციის მიზნით ეყრდნობიან სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტებსა და სამოქალაქო საკანონმდებლო აქტებს. რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში ნათქვამია, რომ:

1. ,,ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც".
2. ,,თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას". (მუხლი 316).

ამავე კოდექსის საფუძველზე, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, ე.ი. ვალდებულების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულება. გარდა ამისა, ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულების გარეშეც. კერძოდ, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების საფუძველზე.

ვალდებულების დაფარვა გულისხმობს საწარმოს ეკონომიკური რესურსების გადინებას მევალის ინტერესების სასარგებლოდ. ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ვალდებულების დაფარვა ხდება სხვადასხვა გზით. მათ შორის:

**ა)** ფულადი სახსრების გადახდით;

**ბ)** სხვა აქტივების გადაცემით;

**გ)** მომსახურების გაწევით;

**დ)** ერთი ვალდებულების მეორეთი შეცვლით ან ვალდებულების საკუთარ კაპიტალად გადაქცევის გზით;

**ე)** კრედიტორების უფლების კონფისკაციით (ჩამორთმევით).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვალდებულება ბალანსში მხოლოდ მაშინ აისახება, თუ მისი დაფარვა უნდა მოხდეს მომავალ საანგარიშგებო პერიოდში. ასევე, თუ შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება და განსაზღვრა.

ჩვენი აზრით მნიშვნელოვანია ბუღალტრულ აღრიცხვაში ვალდებულებათა აღიარების მომენტი, ვალდებულებათა ეკონომიკური შინაარსის ცვლილებათა ფაქტორების აღრიცხვა, ვალდებულებათა ცვლილებების აღრიცხვაში ტრადიციული ბუღალტერიის შესაძლებლობა.

**ლიტერატურა:**

1. ძაძამია რ., ფინანსური აღრიცხვა, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, თბ., 2000.

2. ხორავა ა., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ., ,,ბუღალტრული აღრიცხვა - თეორია, ფინანსური აღრიცხვა, ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით“, თბ., 2004.
3. ჩიტაძე ხ., თენაძე გ., ,,ბუღალტრული აღრიცხვის თეორიული საფუძვლები“, გორი, 2009.
4. WWW.NBG.GOV.GE
5. WWW.MOF.GE
6. WWW.STATISTIKS.GE
7. WWW.PARLIAMENT.GE
8. WWW.PBO.GE

# სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

## მეცნიერება და სულის კულტურა

**თამარ ბედოშვილი, ქეთევან ფაცინაშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნუგზარ აბრამიშვილი,** სრული პროფესორი

კაცობრიობის ცივილიზაციის სამი ძირითადი მამოძრავებელი ძალაა რელიგია, ფილოსოფია და მეცნიერება, რომლებიც ყოველთვის მიმართულია ერთი მიზნისაკენ ადამიანისათვის სრულყოფილი კეთილდღეობის მიებისაკენ. დღევანდელი სიტუაციის მიხედვით, მსოფლიო დგას გლობალური კრიზისის ზღვარზე, რასაც კაცობრიობა საშინელი აღსასრულისაკენ მიჰყავს. ქმნის იმის საშიშროებას, რომ მოისპოს არა მარტო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყველა მიღწევა, არამედ თავად სიცოცხლეც დედამიწაზე.

ვინ არის ამაში დამნაშავე? ცხადია, თავად ადამიანი, მისი ბობოქარი ცხოვრება, რომელსაც უპირველესად წარმართავს მეცნიერება, ტექნოლოგიური მიღწევები.

საით მიჰყავს თანამედროვე ცივილიზაციას ადამიანი, რომელსაც „ათავისუფლებს“ სულიერი კულტურისაგან? ხომ არ კლავს ცოცხლად და მას უსულო რობოტად აქცევს? ცხოვრების კომფორტმა (რომელიც დღემდე ხელმისაწვდომია საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილისათვის), იმდენად მოაჯადოვა მთელი კაცობრიობა, რომ ადამიანს დაავიწყა არა მარტო სულიერი, ზნეობრივი და რელიგიური ფასეულობანი, არამედ საკუთარი ცხოვრებაც, რომ არაფერი ვთქვათ შთამომავლობის ცხოვრებაზე. სიამოვნება, გამორჩენა, ძალაუფლება - აი, კომპონენტები და თანმხლებნი კომფორტისა. მათ ჭკუიდან შეშალეს და საბოლოოდ დაიმონეს თანამედროვე ადამიანი, აიძულებენ ადამიანს კრიზისში ჩააგდოს მსოფლიო. მეცნიერული ცოდნა არ წარმოადგენს მსოფლმხედველობას, რადგან ის შეისწავლის მხოლოდ ბუნებრივ მოვლენებსა და სამყაროსეულ კანონზომიერებებს და არა ყოფიერებას მთლიანობაში. მსოფლმხედველობრივი საკითხები უფრო რელიგიისა და ფილოსოფიის სფეროა.

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მეცნიერება და ფილოსოფია ის სფეროებია, რომლებიც აფართოებენ ადამიანის აზროვნებასა და თვალსაწიერს.

უსასრულო ცნობისმოყვარეობის სულისაგან დაბადებული და მატერიალური ინტერესებისაგან დამოუკიდებელი ფილოსოფია თავის უმთავრეს მიზნად ისახავს მთლიანი სამყაროს რაც შეიძლება სრულ ახსნას. მეცნიერული ცოდნა ვერ ამოწურავს ჩვენი გონების მოთხოვნილებას, საერთოდ ადამიანის ინტერესებს. ჩვენი ბუნებიდან აუცილებლობით გამომდინარეობს მოთხოვნილება, გავცდეთ კონკრეტულ საგნობრივ სფეროს და მოვიაზროთ საერთოდ არსებული, დავეუფლოთ აბსოლუტურ ცოდნას. ამ მისწრაფებიდან იბადება ფილოსოფია, “ჩვენი გონების საყვარელი ქმნილება, რომელიც ჩვენში უფრო

მეტადაა ბუნებით ჩადებული, ვიდრე ნებისმიერი მეცნიერება". ფილოსოფიის მეშვეობით გონება ცდილობს დაიკმაყოფილოს თავისი სურვილი, სწრაფვა სისრულისკენ, სისტემური ერთიანობისკენ. ამ ღირებულებებით ის მაღლა დგება ყოველგვარ მეცნიერულ ცოდნაზე. ვერც ერთი მეცნიერება ვერ დააკმაყოფილებს ადამიანის სწრაფვას უმაღლესი მიზნებისკენ. ფილოსოფია ცდილობს მოიცვას მთლიანი და გამოარკვიოს ამ მთლიანში ადამიანის ადგილი და დაასაბუთოს მისი ცხოვრების ჭეშმარიტი საზრისი. ადამიანი არსებითად ფილოსოფიური არსებაა. ვერც ერთი ფორმა ვერ გამოხატავს ისე სიღრმისეულად ადამიანის არსებას, როგორც ფილოსოფია. ფილოსოფია შეიმეცნებს სამყაროს, როგორც მთელს, მისი პირველსაწყისების და პირველმიზეზების საფუძველზე. იგი, ყოველგვარი სიმშვიდისა და უზრუნველობის საპირისპირო, ქარბორბალას ძაბრია, რომელიც თავის შუაგულში ითრევს ადამიანს. ეს ქარბორბალა ადამიანის გარეთ კი არ ტრიალებს, არამედ მის არსებაში, რომელშიც ადამიანი ჩათრეული ხდება ყოველდღიური არსებობის ზედაპირიდან. ფილოსოფია იპყრობს არა ყოველდღიური დროსტარების ან შემეცნებითი განცხრომის სუბიექტს, არამედ ყოველდღიურობიდან განდევნილ, მთლიან ადამიანს. როგორც პლატონი ამბობდა, ადამიანი, რომელიც არ ფილოსოფოსობს, მძინარე მდგომარეობაშია. მხოლოდ ფილოსოფოსობაა ფხიზელი მდგომარეობა, რაღაც სრულიად თავისთავადი. ადამიანი არ არსებობს ყოფიერების რაღაცგვარი გაგების გარეშე. ეს გაგება ედება საფუძვლად მის როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ საქმიანობას.

ზოგადად, ჩვენი ყოფიერების კრიზისი უსაზრისობაშია, სიყალბით ცხოვრებაში, ჭეშმარიტების დაკარგვაშია. ფილოსოფიის უმთავრესი ფუნქციაა ადამიანური ყოფის ჭეშმარიტი გაგება. ყოველი ადამიანი ინდივიდუალურ და განსაკუთრებულ მიზანს ისახავს, მაგრამ მიზნის დასახვისას ის ეპოქაში მოქმედი ყოფიერების საზრისის გაგების გავლენას განიცდის. თანამედროვე ფილოსოფიამ გააცნობიერა, რომ შეუძლებელია ყოფიერების სრული და საბოლოო, აბსოლუტურად ჭეშმარიტი გაგება, მაგრამ მისაწვდომია ყოფიერების თავისი დროისთვის ჭეშმარიტი გაგება. საერთოდ, არსებული მხოლოდ იმდენად გვეძლევა, რამდენადაც ყოფიერების გარკვეული გაგებით ვწვდებით მას.

ძველ საბერძნეთში ფილოსოფია მეცნიერულ ცოდნასთან ერთად დაიბადა და მასთან იყო გაიგივებული. მაგრამ ფილოსოფია მეცნიერება არ არის. საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკული მოთხოვნილებების საფუძველზე სამყაროს შემადგენელი სფეროები დანაწილდა კონკრეტულ მეცნიერებებად. ამას მოჰყვა მეცნიერებათა ფუნქციების დაყოფა. ყველა კონკრეტული მეცნიერება შეისწავლის რომელიმე კონკრეტული სფეროს კანონზომიერებას, ახორციელებს ამ სფეროს მოვლენებისა და პროცესების წინასწარხედვას, პროგნოზირებასა და ანალიზს. მეცნიერება წარმოადგენს გარკვეული საგნობრივი სფეროს მეთოდურ და ზუსტ კვლევას. იგი იმეცნებს ობიექტურად არსებულ მოვლენათა სამყაროს, მისთვის დამახასიათებელია ობიექტურობა და საყოველთაო მნიშვნელობა, მაგრამ ყველაფრის მეცნიერული ახსნა შეუძლებელია. მას არ შეუძლია შეიმეცნოს სამყაროს მთელი. მეცნიერებას ხელიდან უსხლტება მთლიანი არსებული. იგი ვერაფერს გვეტყვის ადამიანის ცხოვრების საზრისზე.

ყოველი საგანი, ყოველი ფაქტობრივი ვითარება მთლიან არსებულთან სისტემურ ერთიანობაში იმყოფება, ანუ ფილოსოფიური საზრისის მატარებელია და საჭიროებს ფილოსოფიურ განხილვას. ფილოსოფია ადამიანის გონითობის გამოვლენის უმაღლესი და დამოუკიდებელი ფორმაა. იგი თავის თავში ითავსებს რელიგიის, ხელოვნებისა და მეცნიერების ელემენტებს. ის გამოირჩევა ხედვისა და შემეცნების თავისებურებით. ანტიკურობიდან მოყოლებული, ფილოსოფიური აზროვნება დაკავშირებული იყო ადამიანის სულის უღრმეს ინტუიციასთან, ის ვითარდებოდა შემოქმედებითი წარმოსახვის წყალობით. ის არსებობის იდუმალების ინტუიციურ წვდომას წარმოადგენს. დიდი ფილოსოფოსები, რომელნიც განსაკუთრებული ძალის ინტუიციით იყვნენ დაჯილდოვებულნი, თავისი ფილოსოფიური იდეებით ახდენდნენ სამყაროს იდუმალების ახლებურ განათებას, ადამიანის ყოფიერებითი შესაძლებლობების გამომზეურებას და ქმნიდნენ ახალ ეპოქათა იდეურ და კულტურულ საფუძვლებს.

ამგვარად, ფილოსოფია არ არის მეცნიერება. მისი ჭეშმარიტება განსხვავდება მეცნიერული ჭეშმარიტებისგან, ის არ შეიძლება ფლობდეს უტყუარ, უეჭველ ცოდნას. ცნობილ ფილოსოფოსთა ნააზრევი არ შეიძლება შეფასდეს ჭეშმარიტება-მცდარობის მეცნიერული კრიტერიუმებით.

ფილოსოფიისა და მეცნიერების გამიჯვნა არ ნიშნავს მათ შორის კავშირის უარყოფას. ისინი ერთმანეთთან აუცილებელ კავშირში არიან და ზემოქმედებენ ერთმანეთზე. ფილოსოფიის ამოცანაა მთლიანი სამყაროს მოაზრება, ის განიხილავს სამყაროს არსებობის წესსა და ფორმას, მეცნიერება კი ამ სამყაროში არსებულ ნივთებს და ნივთთა მიმართებებს შეიმეცნებს. ყოველი ფაქტის მეცნიერულ შემეცნებას მივყავართ ფილოსოფიური ინტერპრეტაციის აუცილებლობამდე. მეცნიერული თეორიების უმეტესობის წყარო ფილოსოფიური იდეებია.

ფილოსოფია სულის კულტურაა. მისი სინათლე აუცილებელია მეცნიერების სიცოცხლისა და სიწმინდისთვის. ფილოსოფიის გარეშე მეცნიერებას არ ესმის საკუთარი თავის. მეცნიერი რომელიც

ფილოსოფიას სწყდება, სწყდება მეცნიერებასაც. ფილოსოფიის მიერ გაცემულმა პასუხებმა ადამიანის ცხოვრების აზრის შესახებ უნდა მოაწესრიგოს მეცნიერებების შედეგების ათვისება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მეცნიერებამ თავისი შედეგებით ხელი შეუშალოს ადამიანის ცხოვრების საზრისის რეალიზებას და დაკარგოს აზრი.

მეცნიერული კვლევა, რომელიც მუდმივი განვითარების პროცესში იმყოფება, აქტიურად ზემოქმედებს ფილოსოფიაზე და იწვევს მნიშვნელოვან მსოფლმხედველობრივ ცვლილებებს. თუ ფილოსოფოსი ვერ ერკვევა თანამედროვე მეცნიერებებში, მაშინ ის ბრმასავითაა, სამყაროს ნათელი ცოდნის გარეშეა. ფილოსოფია თავისი სიღრმისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებით თავს ინამდვილებს მეცნიერებებთან ერთად და მეცნიერებების დახმარებით. შესაბამისად, ყველა პრობლემას შორის მთავარი ადამიანის პრობლემაა და მის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული როგორც ადამიანის, ისე მეცნიერების ბედი. მეცნიერებისა და ფილოსოფიის იზოლაცია გარდაუვალად იწვევს სამყაროს (მათ შორის მისი განუყოფელი ნაწილის - ადამიანის) ერთიანი ჭვრეტის დარღვევას. ფილოსოფიური მსოფლმხედველობა უნივერსალური მსოფლმხედველობაა, მთელი სინამდვილის შესახებ შეხედულებათა სისტემაა. კერძო მეცნიერებები სწავლობენ თვალხილულ, დაკვირვებად, დროსა და სივრცეში არსებულ სინამდვილეს. ფილოსოფია არ არის ერთ-ერთი კერძო მეცნიერება სხვა მეცნიერებათა შორის. იგი სპეციფიკური მსოფლმხედველობაა, ეფუძნება სულიერ ღირებულებებს, ტვირთად იღებს კერძო მეცნიერებათა მიღწევების გათვალისწინებას, რათა შექმნას სინამდვილის, როგორც მთელის სრულყოფილი სურათი.

ყველა პრობლემა ადამიანის სულიერი მოთხოვნილებიდან გამომდინარეობს და ამდენად თავად ადამიანი არის სულიერი კულტურის ერთ-ერთი ფენომენი. ფილოსოფია იკვლევს კულტურასა და კულტურულ ღირებულებებს და ეს არის მისი უმთავრესი დანიშნულება. აქედან გამომდინარე, ფილოსოფია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკაცობრიო ღირებულებებისა და კულტურის განვითარებაში. ეს არის მისი საზოგადოებრივი ფუნქცია და პრაქტიკული დანიშნულება. ადამიანთა ცხოვრების წესს საფუძვლად უდევს კულტურული ღირებულებები და მას ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ეწოდება.

ყოველივე ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ცივილიზაცია ხელს უწყობს ადამიანთა მოთხოვნილებების ხელოვნურ გამრავლებას. მეცნიერულ-ტექნოლოგიური მიღწევებით კი შესაძლებელი ხდება ამ მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილება. თანამედროვე ადამიანთა უმეტესობა ბედნიერებასა თუ ცხოვრების საზრისს კარიერულ წინსვლასა და მატერიალურ კეთილდღეობაში ეძებს. კომფორტული ცხოვრებისკენ სწრაფვამ გართობისა და ფუფუნების მოყვარულ საზოგადოებას დააკარგვინა სულიერი ღირებულებები, ფილოსოფია, როგორც სულის კულტურა თანამედროვე სამყაროში ბურუსშია გახვეული. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ მეცნიერების განვითარების კვალდაკვალ აუცილებელია ფილოსოფიის განვითარება. წინააღმდეგ შემთხვევაში მეცნიერებას შეუძლია სამყარო სრულიად გადააგვაროს და აღსასრულის "შავ აღმართს" გაუყენოს. ცივილიზაციის განვითარება მეცნიერებისა და ფილოსოფიის გაერთიანებითა და მეგობრობით უნდა ხდებოდეს და არა სულიერი ფასეულობების დაკარგვის, ცხოვრების საზრისის დავიწყების და თანამედროვეობით ტკბობის ხარჯზე. ადამიანი მუდმივად უნდა ცდილობდეს განავითაროს თავისი თავი და ეს უნდა მოხდეს სამყაროს ამ ორი მამოძრავებელი ძალის შერწყმით.

**ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:**


1. ფილოსოფიის შესავალი, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2010.
2. კაკაბიძე ზ., ფილოსოფიური საუბრები, თბ., 1988, გვ.19.
3. Уайтхед. А., Избр. философские сочинения, М, 1990, ст. 546
4. http://www.orthodoxy.ge/metsniereba/osipovi_tskvdiadi.htm
5. http://www.oldorthodox.ge/gvt_dogmaturi_gvtismetyveleba_1_1_4.html
6. http://burusi.wordpress.com/2010/06/01/philosophy/

# სიყვარულის ფილოსოფია

**დავით ლომაია**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
**ნათია ილურიძე**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნუგზარ აბრამიშვილი**, სრული პროფესორი

,,ნელა თქვი, თუ რა თქმა უნდა სიტყვა სიყვარულს ამბობ“
უ. შექსპირი

დედამიწის მიზიდულობის გარდა სამი რამ იზიდავს ადამიანს: სული, გონება და სხეული. სულის მიზიდულობა შობს მეგობრობას, გონების მიზიდულობა შობს პატივისცემას, სხეულისა - სურვილს, ამ სამი ცნების კავშირი კი სიყვარულს. რა არის სიყვარული? გვსურს ომარ ხაიმის სიტყვები გავიხსენოთ: “ერთ ბრძენთან მივედი და ვკითხე: რა არის სიყვარული? მან მიპასუხა: არაფერი მაგრამ მე ვიცი, რომ ბევრი წიგნის მიხედვით, იგი მარადისობაა, რომ იგი მთელი სამყაროა და მაინც, რა არის სიყვარული? ყველაფერი ეს ადამიანშია! მაშინ მე შევხედე, პირდაპირ თვალებში და ვკითხე: როგორ გავიგო, ყველაფერი თუ არაფერი? მან ღიმილით მიპასუხა: შენ თვითონ გაეცი პასუხი, ყველაფერი ან არაფერი - აქ არ არსებობს შუალედი“. შეიძლება თუ არა ადამიანს ჰქონდეს სიყვარული? - ეს რომ შესაძლებელი იყოს, იგი უნდა არსებობდეს როგორც ნივთი, სუბსტანცია, რომელსაც ადამიანი იქონიებდა, როგორც საკუთარს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთი ნივთი - სიყვარული არ არსებობს. სიყვარული ეს აბსტრაქციაა, ეს არის რაღაც არამიწიერი არსება ან ღმერთი, თუმცა ჯერ ვერავინ შეძლო ამ ღმერთის დანახვა. მასზე ხომ ყველა საუბრობს, თუმცა ცოტას თუ უგრძვნია ის. საბოლოოდ კი ყველა ამ ღმერთის მონები ვხდებით ისე, როგორც კნუტ ჰამსუნის ნოველაში: „სიყვარულის მონები“. სიყვარული ადამიანის ნეტარების, ბედნიერების წყაროა. გიყვარდეს ნიშნავს სამყაროს ხედავდე გულით, გრძნობდე მთელი შენი ემოციით და ყოველი დღე იყო გაჯერებული ამ უხილავი ღმერთით. სიყვარული მუდმივი ნდომებაა. ეს არის სურვილი გულის. იგი რა სახეობაც არ უნდა იყოს, ყოველთვის გულისხმობს მასში ორი მხარის არსებობას. ეს ორი მხარის არსებობა კი მაშინ დაიწყო, როდესაც სამყარო იქმნებოდა. ბიბლიაში ვკითხულობთ, რომ ღმერთმა მთელი ხილული სამყარო კრეაციულად არარაობისგან შექმნა, თუმცა ასე არ მომხდარა ევას შექმნის შემთხვევაში. ღმერთმა იგი ადამის ნეკნისაგან შექმნა და აი, ჩნდება კითხვა: რატომ დასჭირდა ღმერთს ევას ამ გზით შექმნა?! ასე საქმე ღვთაებრივ სიბრძნესთან გვაქვს. ღმერთს სურდა ადამსა და ევას შორის ყოფილიყო სიყვარული და სწორედ ამისათვის საჭირო გახდა მათ შორის ერთობის მომენტი. ადამი ევაში შეიცნობს საკუთარ თავს - ანუ სიყვარულს. თუმცა ეს გრძნობა დაუშვებლად ხდის თავკერძა ეგოიზმს და უკიდურეს ალტრუიზმს. გიყვარდეს არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ საკუთარი თავი იპოვო სხვაში, არამედ ბედნიერება აღმოაჩინო, მას მიჰყვე, მისით არსებობდე.

მეტაფორული გაგებით სიყვარული უკვე სნეულებაა, როდესაც იგი შენში იბადება, შენ ავადდები ამით, ოღონდ სხვა სნეულებებისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი ყველაზე სასურველია, ანუ გამაკეთილშობილებელი. ვიცით, რომ იგი თანაგრძნობის ნიშნით ორი სახისაა: ცალმხრივი და ორმხრივი. საინტერესოა, რატომ ან როგორ გიყვარდება ისეთი ადამიანი, რომელიც ჩვენს გრძნობას უპასუხოდ ტოვებს? ამის არაჩვეულებრივი მაგალითია შტეფან ცვაიგის „უცნობი ქალის წერილი“, სადაც კარგადაა აღწერილი ქალის უიმედო, ავადმყოფური განცდები იმ პიროვნების მიმართ, რომელთანაც რამდენიმე ღამე გაატარა და რომელიც მას სრულებითად არ ცნობს, მაგრამ ხომ გაგიგიათ ზოგჯერ ჩუმ ტანჯვაშიც არის დიდი ნეტარება. ხშირად მსჯელობენ სიყვარულზე, რომელსაც პლატონურს უწოდებენ. სიყვარულის საზოგადოდ მიღებული განმარტება, ისევე როგორც მრავალი ფილოსოფიურ-ეთიკური კატეგორიისა, არ არსებობს. სიყვარული სიკეთისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვაში გამოვლენილი უზოგადოესი პრინციპია, - თვლიდა პლატონი. მან სიყვარულის სახეების იერარქია შემოგვთავაზა: უმდაბლესი დონე (ფიზიკური ლტოლვა), რომელიც პლატონის აზრით ადამიანში დათრგუნვას საჭიროებს, შემდეგი საფეხური წმინდა სილამაზისადმი სიყვარული და ბოლოს აღაპე, ანუ ძმური სიყვარული. პლატონურ სიყვარულად მიჩნეულია ისეთი სიყვარული, როდესაც ორ მხარეს შორის

არსებობს სულიერი მისწრაფება, სულიერი თანაგრძნობა. ეს აბსტრაქტულ-განყენებული სიყვარულია. ვფიქრობთ, რომ პლატონური სიყვარული სხვა არაფერია თუ არა ადამიანური მოწონება ქვეცნობიერად. შემდეგ შენ ამ ადამიანს აძლევ იმ თვისებებს, რომელიც შეიძლება მას არ გააჩნდეს, რომელსაც ეძებ ნებისმიერ ადამიანში და ვერ პოულობ. ამ შემთხვევაში შენ სულაც არ ცდილობ ის ადამიანი გახადო შენი, ამ დროს მხოლოდ შენი შექმნილი სიყვარული გიყვარდება. ნათელია, რომ პლატონი სულიერ სიყვარულს ანიჭებს უპირატესობას. არა მარტო პლატონი, საერთოდ ძველი დროის მოაზროვნეები თვლიდნენ, რომ სულიერი სიყვარული პირველადი და უმთავრესია. სიყვარულის არსი მისტერიებში ჰპოვებდა ხსნას. ეს ღმერთისკენ მიმავალი ერთადერთი გზა იყო. სიყვარულს ზეციური საწყისი აქვს. ანტიკური ეპოქის ბერძენი, ეძლეოდა რა თავდავიწყებას, თავადვე ადგენდა საკუთარი ასკეზის, თავშეკავების დაშვებულების საზღვრებს. სულ სხვა ვითარებაშია თანამედროვე ადამიანი. მან იცის, რა არის საზოგადოების მიერ დადგენილი ნორმა და რა - ნორმიდან გადახვევა. ამდენად, იგი უკვე სათანადოდ ვეღარ უწევს ანგარიშს საკუთარ გამოცდილებას და სპონტანურად აღძრულ გრძნობებს. მისთვის ბევრად მნიშვნელოვანია მეცნიერული აზრი და საზოგადოებაში ჩამოყალიბებული, მიღებული შეზღუდვათა სისტემა.

როდესაც ვსაუბრობთ სიყვარულზე, არ შეიძლება არ შევეხოთ კურტუაზულ სიყვარულს, ანუ ამორეს. ამორე დასავლეთ ევროპაში სიყვარულის პრინციპულად ახალი გაგებაა. მამაკაცი ქალისადმი უნაზეს გრძნობას განიცდიდა, აღმერთებდა თავის რჩეულს, მზად იყო მისი სახელით საგმირო საქმეები ჩაედინა, ამ დროს პირადად, შეიძლება, არც კი იცნობდა სატრფოს. მსოფლიო ისტორია არ ცნობს მსგავს ფენომენს, რამეთუ ამორე იმდენად კონკრეტული ქალის სიყვარული არ იყო, რამდენადაც გამოგონილი, სრულქმნილი ხატების, იდეალური არქეტიპის სიყვარული, რომლის გარეშე მიწიერი ბედნიერება მიუღწეველი იყო. მაგალითად: დონ კიხოტის სიყვარული დულცინეა ტობოსელის მიმართ. მსგავს რომანებში ქებას ასხამდნენ სასიყვარულო ტანჯვას, განცდებს. შეიქმნა სიყვარულის თავისებური კულტი. სიყვარულის ობიექტს გულდასმით ირჩევდნენ, სამარადჟამოდ. ამორეს წესები გულისხმობდა, რომ რაინდი თავისი შეყვარებულის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო - ქალის ნებისმიერი სურვილი, სახიფათო დავალებები ყოველგვარი განსჯისა და შეპასუხების გარეშე სრულდებოდა. თუმცა რა შორს მივდივართ, ამაღელვებელი სიყვარულის უკეთ გააზრებისათვის აუცილებელია ერთი პარალელის გავლება. თაობები იზრდებოდნენ რუსთაველის ჰუმანისტური იდეების საფუძველზე. „ვეფხისტყაოსანი" აპოლოგიაა ადამიანისა. ეს მშვენიერი ამქვეყნიური სამყარო ადამიანთა საკეთილდღეოდ არის შექმნილი. ადამიანებმა სწორედ ამ ქვეყანაზე უნდა დაამყარონ საამური, ბედნიერი ცხოვრება, აქ უნდა უყვარდეთ ერთმანეთი, აქ უნდა შექმნან ოჯახი, რომლის საფუძველიც სიყვარული და ერთგულებაა. „სიყვარული აგვამაღლებს" და მთელი პოემაც ამქვეყნიური ზნემაღალი სიყვარულის საგალობელია. „მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში". პოემის გმირების მრავალ განსაცდელგამოვლილი სიყვარული უსაზღვრო და ამაღელვებელი, უანგარო და წმინდაა. მაღალზნეობრივი რაინდები, ერთგული სატრფოები და თავდადებული მეგობრები ასეთია რუსთველური სიყვარულის იდეალი.

მიჩნეულია, რომ სიბრმავე სიყვარულის საყოველთაო ნიშანია. ეს ნიშნავს იმას, რომ იგი მთლიანად გრძნობითაა აგებული და მასში არაა ჩართული ცნობიერება. და მართლაც ასეა, ხშირად საყვარელი ადამიანის მიმართ, ისე ვიქცევით თითქოს დავკარგეთ მხედველობა, სმენა და უნარი, გავაანალიზოთ ის, თუ რა ხდება რეალურად. ეს ხშირად რომანტიკული და დედობრივი სიყვარულის დროს ვლინდება. რატომ რჩება ქალი იმ მამაკაცთან, რომელიც სვამს ან ნარკომანია? რატომ ითმენს მამაკაცი თავისთან ახლოს სულელსა და აუტანელ ქალს, რატომ ამართლებს ხშირ შემთხვევაში დედა თავის შვილს? ნიშნავს თუ არა ეს ფრაზას: გიყვარდეს მხოლოდ ისეთი, როგორიც არის და ნურასოდეს შეეცდები მის გარდაქმნას! დიახ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ შეყვარებულს დახშული აქვს ყურები. და ვფიქრობთ, როდესაც ადამიანი თვალების ფართო გახელას იწყებს, იგი თავის სიყვარულსაც ნელ-ნელა ემშვიდობება. საინტერესოა როგორ ვესალმებით ადამიანები სიყვარულს, როგორ ვიწყებთ მის გაცნობიერებას და შეგუებას ჩვენში. ამ დროს ცნობიერი და ქვეცნობიერი ერთმანეთს ერწყმის. შენ ვერაფერს აანალიზებ, ეს არ ხდება დროის რაღაც მონაკვეთში და მერე არ წყდება. ვფიქრობთ, რომ ეს პროცესი ყველაზე მეტად ამაღელვებელია და არა ამქვეყნიური. სწორედ ამ დროს იწყება ადამიანის ახალი, ასე ვთქვათ ზე ცხოვრება, ირგვლივ ყველაფერს ფერი და გემო ეძლევა, შენში იცვლება შენი მე და ჩნდება ახალი შეყვარებული და გაბრუებული მე, რომელიც შენს სხეულში იწყებს გაჯერებას, ოღონდ ნელ-ნელა, სიყვარულს არსად ეჩქარება. ჯერ შენ ამ ახალ მეს არ იცნობ, მისი გეშინია კიდეც, მასთან მიახლოების და გაცნობიერების, რომ შენ უკვე სხვა ხარ, სხვა თვალები გაქვს, უფრო მძიმე, წყლიანი და ხომ გაგიგიათ სილამაზე შეყვარებულის თვალებშიაო. ხვდები, რომ გიყვარს და ცხოვრებას სხვა ადამიანით აგრძელებ, რომელიც შესაძლოა ჩვენნაირ კიბეზე კი არ ადის, არამედ კიბიდან უკვე ჩამოდის. და ასე იწყება ყველაფერი. მოულოდნელად ყველაფერი ინგრევა და შენ სამუდამო უფსკრულში ვარდები

და მაშინ ჩნდება ის - სიყვარულის ფილოსოფია. ამ ქვეყნად არაფერი გინდა, მხოლოდ მისი თვალები, მისი გული, სიყვარული.

დედაშვილური სიყვარული - სიყვარულის ყველა ფორმისაგან გამორჩეული, შეუცნობელი, დამაფიქრებელია. ეს ფენომენი არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი. ბუნებრივია, არც ქართული სინამდვილე დარჩენილა გულგრილი ამ საკითხისადმი. აქ, უპირველეს ყოვლისა, ოთარაანთ ქვრივისა და თავსაფრიანი დედაკაცის გახსენება გვმართებს. საყურადღებოა, რომ ილია ჭავჭავაძე თავისი გმირის სახელს არ გვიმხელს. ასევე იქცევა ნიკო ლორთქიფანიძე. სავარაუდოა, რომ ისინი ძერწავენ არა კონკრეტულ პერსონაჟთა ტიპებს, არამედ ქმნიან დედის სახე-სიმბოლოებს, დედაშვილური სიყვარულის იდეალს. „ აი, უწინამც დღე დაუბნელდეს ოთარაანთ ქვრივსა, მინამ მამინაცვალს სახლში დაუსვამდეს თავის პატარა გიორგისა.“ ახლა კი ყური ნიკო ლორთქიფანიძეს დავუგდოთ: „ქართველი ქვრივი დედაკაცი თავსაფრიდან წუღებამდის. წინდაც კი შავი. ბევრი ეარშიყებოდა. შორიდან მაჭანკლებიც კი გაუგზავნეს. როგორ ვუმტყუნო ობლებს?!“. ორივე ნაწყვეტში ქართველი ქალის ზნეობრივი კოდექსია ჩამოყალიბებული. თავსაფრიანის კრედო ერთი ფრაზითაა გადმოცემული - ,,როგორ ვუმტყუნო ობლებს?!“ ოთარაანთ ქვრივის მრწამსს ილია მონოლოგით წარმოაჩენს, თუმცა ერთი და იგივეა ნათქვამი. ოთარაანთ ქვრივი თავის უსაზღვრო სიყვარულს შვილისადმი გარეგნულად არასოდეს ამჟღავნებს. „შენი ვარ შენთვის მოვკვდები, შენთვის დავიცემ დანასაო - იტყოდა ხოლმე თავის გულში დედა, როცა შვილს სამუშაოდან მომავალს დაინახავდა“. შვილისადმი უსაზღვრო თავდადება იგრძნობა ოთარაანთ ქვრივის მთელს ცხოვრებაში, მაგრამ განსაკუთრებული სიდიადით მაინც თხზულების უკანასკნელ ნაწილში, როდესაც ზამთრის თოვლიან ღამეში ავადმყოფი ქალი ლოგინიდან წამოდგება, მომვლელ დედაბერს გაეპარება, სოფელს ტანჯვითა და ვაი-ვაგლახით გაივლის, რათა განთიადისას თავისი სიცოცხლე შვილის საფლავზე დაამთავროს. თავსაფრიანი დედაკაცი უფრო სათუთი ბუნებისაა. უმადური შვილისაგან ნათქვამმა ერთმა სიტყვამ ერთი ხელის მოსმით მას მთელი სამყარო დაუნგრია. მიუხედავად ამისა, მაინც შვილების სახელზე იზრუნა და სიცოცხლეში პირველად იცრუა, როცა ვიღაცას წერილი მიაწერინა შვილებთან, თითქოს სალოცავში წავიდა და „ჩემზე არ იდარდოთ, არც მეძებოთო“.

სიყვარული ძლიერი ერთგულებისა და პიროვნული მიმაგრებულობის ემოციაა. ფილოსოფიურ კონტექსტში სიყვარული არის სათნოება, რომელიც წარმოადგენს ყველა ადამიანურ სიკეთეს, თანაგრძნობასა და ერთგულებას. რელიგიურ კონტექსტში, სიყვარული არა მხოლოდ სათნოება, არამედ ყოველი არსების საფუძველი და ყოველი ღვთიური კანონის არსია. საინტერესოა, ქრისტიანული მოძღვრება კონკრეტულად რას ქადაგებს სიყვარულზე? ვინ ვართ ჩვენ? ადამიანები. ადამიანი ყველამ შეიძლება უწოდოს თავს, ეს ლოგიკურიც იქნება, მაგრამ ჭეშმარიტად მაშინ ხარ ადამიანი, როდესაც იმ მისიას შეასრულებ, რაც ღმერთმა ამ ქვეყნად თითოეულ ჩვენთაგანს დაუწესა. და რა არის ეს მისია? ადამიანმა სიყვარული უნდა ისწავლოს, შეიმეცნოს ის მრწამსი, რასაც სიყვარული მოიცავს. სიკეთე უნდა მოაფრქვიოს კაცობრიობას, სიყვარულით ქვეყანა უნდა გაანთავისუფლოს და გაავრცელოს რწმენა, სანამ უსასრულობას შევუერთდებით და იქ უფალი გვიმასპინძლებს. მანამდე ამ ქვეყნად ჩვენი სული უნდა იყოს ჭეშმარიტებისა და რწმენის მასპინძელი, სიყვარულის მასპინძელი. როგორც სოფოკლე იტყოდა, ჩვენ ხომ იმისთვის გავჩნდით, რომ გვიყვარდეს და არა გვძულდეს. პიროვნება ქრისტიანობაში შემოქმედის მფარველობის ქვეშაა - მისი მადლისა და მოწყალების საფუძველზე. სხეული, რომელსაც ეთაყვანებოდნენ ძველი ელინელები, ქრისტიანობაში მიჩნეულია სულიერების ჭურჭლად. სიყვარული სიწმინდეა. ვნებებში ჩაფლულ ადამიანს მათი დათრგუნვა მოეთხოვება, რათა შეძლოს წარმოაჩინოს თავისი პიროვნული სიმდიდრე-სათნოებანი. სასიყვარულო განცდები უნიკალური და ყოვლისმომცველი ხასიათისაა, რადგან ამ გრძნობის ობიექტია ღმერთი, მოყვასი, უცხოტომელი. ქრისტიანობის საფუძველი სიყვარულია. სიყვარული ღმერთის არსია. ღმერთისადმი სიყვარული განპირობებულია საკუთარი თავისა და სხვათა სიყვარულით. „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ (გალ. 5.14). უმთავრესია შეიყვარო ის, ვინც არ მოგწონს. უფრო მნიშვნელოვანია „გიყვარდეთ თქვენი მტერნი; დალოცეთ თქვენი მოწყევარნი; კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენსავ მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის“ (მათ. 5.44), რამეთუ „სრულყოფილი ჭეშმარიტი სიყვარული მათდამი სიყვარულია, ვისაც ვნება მოაქვს“ (სორენ კირკეროონი).“ სიყვარული სულგრძელია, ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს, არ ჩადის უწესობას, არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს, ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს და ითმენს“ (1 კორ. 14, 4-7). ამდენად, საჭიროა სიყვარული შევათავსოთ ტანჯვასა და მიმტევებლობასთან. „აცხოვნე, უფალო, და შეიწყალნენ მოძულენი და მაჭირვებელნი ჩემნი. ეს მიუწვდომელი იდეა, რომელმაც განხორციელება ქრისტეს ვნებებში ჰპოვა, ღმერთის ადამიანებისადმი სიყვარულის სიმბოლოა - „ გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“ (იოან. 15.12).

სიყვარული სიცოცხლის საწყისია, უძრავი მოძრაობაა, რომელიც ადამიანს ბიძგს აძლევს, გახდეს მოყვასისთვის უკეთესი, სიყვარული არის კითხვა ყველა პასუხისთვის და პასუხი ყველა ფილოსოფიურ-ეთიკური კითხვისა.

**ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:**


1. http://blogger.ge/post/1310
2. http://burusi.wordpress.com/2010/02/13/love-phylosophy/
3. http://siyvarulisfilosofia.blogspot.com/2011/04/blog-post_04.html
4. პლატონი, ნადიმი, თბ., 1964.


## ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსის შესახებ


**ქეთევან მარკოზაშვილი, თამარ ტერმაკოზაშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მარიკა შერაზადიშვილი,** სრული პროფესორი


ჟურნალისტიკა თავისუფალი პროფესიაა, რომლის როლი თანამედროვე საზოგადოებაში თითქმის შეუფასებელია. იგი ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელების მძლავრი საშუალებაა. ჟურნალისტიკის მისიაა, ინფორმაცია გაავრცელოს მთელ პლანეტაზე, სივრცისა და დროისაგან დამოუკიდებლად, დააახლოვოს ადამიანები და ზემოქმედება მოახდინოს მილიონობით ადამიანის შეგნებაზე. მსოფლიოში ინფორმაცია ყველაზე ძვირადღირებული პროდუქტია, რომელზეც კოლოსალური მოთხოვნილებაა. ინფორმაცია და მისი გაცვლა ყველა ადამიანური ურთიერთობის საფუძველია. სწორედ ჟურნალისტიკა უზრუნველყოფს მსოფლიოში არსებული უზარმაზარი ინფორმაციული ნაკადის რეგულირებას, ადამიანებამდე მიაქვს სოციალურად მნიშვნელოვანი ცოდნა, ცნობები, იდეები გარემომცველი სამყაროს შესახებ.

ჟურნალისტიკა მასობრივი ინფრასტრუქტურის მთავარი სუბიექტია. მისთვის აუცილებელია მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. სწორედ ეს ძირითადი უფლება ფიგურირებს ჟურნალისტის სამართლებრივ სტატუსსა და პროფესიულ საქმიანობაში. თუმცა, მასმედიის შესახებ კანონმდებლობაში განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებშიც კი არ არის სპეციალური იურიდიული ნორმები, რომლებიც სათანადოდ განამტკიცებენ ჟურნალისტის განსაკუთრებულ უფლებებს და სოციალურ როლს. ანალოგიური სურათია ჩვენს ქვეყანაშიც. ძირითადი ნორმატიული აქტია საქართველოს 1991 წლის 10 აგვისტოს კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“. 2003 წლის 14-15 მაისს საქართველოში ევროსაბჭოს ეგიდით მოეწყო სემინარი, რომელზეც ქართული მასმედიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის სახელწოდებაა „მედიის პროფესიული სტანდარტი“, მედიის ეთიკური კოდექსი. აღნიშნული დოკუმენტი მოცულობით მცირეა და სრულად არ მოიცავს ჟურნალისტური საქმიანობის დახასიათებას; არ განსაზღვრავს, ვინ არის ჟურნალისტი, მითითებულია მხოლოდ ჟურნალისტის მოვალეობაზე, საზოგადოებას მიაწოდოს ამომწურავი, მიუკერძოებელი და უტყუარი ინფორმაცია. მიგვაჩნია, რომ უფრო სწორი იქნებოდა, აღნიშნული დოკუმენტის სახელწოდება ყოფილიყო „ჟურნალისტის პროფესიული სტანდარტი“, ვინაიდან პროფესიული სტანდარტი შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ჟურნალისტებს, რომლებიც მედიაში მუშაობენ.

ზოგიერთ ცივილიზებულ ქვეყანაში ჟურნალისტთა სტატუსი განსაზღვრულია სწორედ ასეთი სტანდარტებითა და ქცევის კოდექსებით. გასაგებია, რომ ცივილიზებულ ქვეყანაში, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები მყარია, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება თითქმის დამთავრებულია და კანონმდებლობა - დახვეწილი, საკმარისია ჟურნალისტის პროფესიული სტანდარტი და ქცევის კოდექსები მასმედიასა და საზოგადოებას შორის წარმოშობილი ურთიერთობის

რეგულირებისათვის. საქართველოში კი, რომელიც იმყოფება დემოკრატიული გარდაქმნების სტადიაზე, ნაჩქარევად მიგვაჩნია ჟურნალისტის სტატუსის ამოგდება სამართლებრივი სივრციდან. პროფესიული სტანდარტები და ეთიკური ნორმები საკმარისი არ არის ჟურნალისტთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრისათვის, აუცილებელია ჟურნალისტის სტატუსის სამართლებრივი რეგლამენტაცია.

ინფორმაციის წყაროს დიდი მნიშვნელობა აქვს ჟურნალისტური საქმიანობისათვის. ზოგჯერ ინფორმაცია გაცხადებულია და არავისთვის არ არის საიდუმლო, ზოგჯერ კი ფარულია. ინფორმაციის დაცვის ინსტიტუტი ავალდებულებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რედაქციებსა და მათ თანამშრომლებს, საიდუმლოდ შეინახონ მოქალაქეებისაგან მინდობილი ინფორმაცია, არ გამოაქვეყნონ პერსონალური მონაცემები, რომლებიც იძლევა ავტორის პიროვნების იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. ჟურნალისტი არ არის უფლებამოსილი, გააცხადოს ინფორმაციის წყაროს შესახებ არც პოლიციის, არც პროკურატურის და არც უშიშროების სამსახურის მოთხოვნით. გამონაკლისს წარმოადგენს, როდესაც სასამართლოსგან არის შესაბამისი მოთხოვნა. ჟურნალისტის უფლებაა არ გახსნას ინფორმაცია, რომელიც ახდენს წყაროს იდენტიფიცირებას. ინფორმაციის წყაროს გახსნა მართლზომიერად უნდა იქნეს მიჩნეული, თუ მისი გახსნის აუცილებლობა გამომდინარეობს საზოგადოებრივი მოთხოვნილებიდან. და, საერთოდ, ინფორმაციის წყაროს გახსნა უნდა მოხდეს კანონით რეგლამენტირებული პროცედურის შესაბამისად. კერძოდ, აუცილებელია კომპეტენტური ორგანოების შუამდგომლობა ინფორმაციის გახსნის წყაროს შესახებ. ასეთი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ თანამდებობის პირებმა ან ხელისუფლების ორგანოებმა, რომელთაც აქვთ ინფორმაციის გახსნის კანონიერი უფლება. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს უნდა აცნობონ მათი უფლების შესახებ - არ გახსნას ის ინფორმაცია, რომელიც ახდენს წყაროს იდენტიფიცირებას. ეს პრინციპი განმტკიცებულია ეროვნული კანონმდებლობის დონეზეც (საქართველოს კანონი ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ"). საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, არ შეიძლება მოწმედ დაიკითხოს ჟურნალისტი, თუ მას ნაკისრი აქვს ვალდებულება, არ გაამჟღავნოს მიღებული ინფორმაციის წყარო, პუბლიკაციის ავტორის სახელი ან გამოქვეყნებული მასალის ავტორი და შინაარსი. ამასთანავე, ჟურნალისტს უფლება აქვს, უარი განაცხადოს სასამართლო ორგანიზაციებისათვის ჩვენების მიცემაზე, თუ იგი მის პროფესიულ საქმიანობას შეეხება. ჟურნალისტის სამართლებრივ სტატუსში უპირველესია ინფორმაციის მოთხოვნის, მიღებისა და გავრცელების სისტემა. ჟურნალისტები საკუთარი უფლებების რეალიზაციის პროცესში ხშირად აწყდებიან პრობლემებს იმის გამო, რომ არ არსებობს ინფორმაციის მიღების სრულყოფილი სამართლებრივი მექანიზმი. ერთი მხრივ, ეს სავსებით გასაგებია, რადგან საქართველოში დღეისათვის არ არსებობს სპეციალური კანონი ,,ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ", მეორე მხრივ, ამ ხარვეზს ავსებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც შეიძლება დეტალურად არ არეგულირებს ინფორმაციის მიღების სრულ მექანიზმს, მაგრამ ითვალისწინებს მის ცალკეულ ელემენტებს.

ჟურნალისტი უფლებამოსილია, ინფორმაციის მფლობელს დაუსაბუთოს ინფორმაციის მიღების აუცილებლობა, თუმცა ეს მისი მოვალეობა არ არის. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, პირი არ არის ვალდებული, განცხადებაში მიუთითოს ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. ეს წესი, უპირველეს ყოვლისა, ეხება ჟურნალისტს, რომლისთვისაც ინფორმაციის მიღება და გავრცელება ყოველდღიური საქმიანობაა. ჟურნალისტს უფლება აქვს, ინფორმაცია მიიღოს ნებისმიერი ფორმით, როგორც ზეპირად, ისე წერილობით.

ჟურნალისტის უფლებაა მოიძიოს, მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია, აგრეთვე ჩაწერის უფლება, კინო და ფოტოგადაღებები, გარდა გამონაკლისი შემთხვევების, ავარიებისა და კატასტროფების, მასობრივი არეულობების. გარდა ამისა, ჟურნალისტს აქვს სპეციალურად დაცულ ზონებში შესვლის უფლება, აგრეთვე იმ ადგილებში შესვლის უფლება, სადაც გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა. ჟურნალისტს აქვს შემოსული მასალების საიმედოობის შემოწმებისა და ავტორობის საიდუმლოების შენახვის უფლება. მას აქვს ინფორმაციის გავრცელების უფლება ისე, რომ არ დაირღვეს ავტორისა და სხვა განსაკუთრებული უფლებები, მათ შორის, ინტელექტუალური საკუთრების უფლება; შეუძლია გამოთქვას თავისი პირადი მოსაზრება და შეფასება ცნობებსა და მასალებში, რაც გათვალისწინებულია მასმედიაში გავრცელებისათვის.

ფართო უფლებებთან ერთად ჟურნალისტს აკისრია გარკვეული მოვალეობანიც. მისი მოვალეობაა, დაიცვას იმ რედაქციის წესდება, რომელთანაც ის თანამშრომლობს; საქმის კურსში ჩააყენოს მთავარი რედაქტორი მომზადებული ცნობების ან მასალების გავრცელებასთან დაკავშირებით. ჟურნალისტი არის მოვლენის უშუალო მხილველი, იგი ვალდებულია, ზუსტად და კეთილსინდისიერად გადასცეს აუდიტორიას ის, რაც ნახა და მოისმინა.

ჟურნალისტს დიდი სოციალური პასუხისმგებლობა აკისრია სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე. ჟურნალისტიკის სოციალური პასუხისმგებლობის ინსტიტუტი მოიცავს არამარტო

სამართლებრივ, არამედ პროფესიული ეთიკის ნორმებსაც. ამდენად, გასავრცელებელი ინფორმაციის ყოველმხრივი შემოწმება არამარტო უფლებაა, არამედ მოვალეობაც, რაც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს ჟურნალისტის სოციალურ პასუხისმგებლობას.

ჟურნალისტის საქმიანობის ძირითადი ამოცანაა, ინფორმირებული გახადოს საზოგადოება, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. რა თქმა უნდა, ეს იოლი არ არის, მაგრამ თუ ინფორმაცია ობიექტური და უტყუარია, ხალხის ნდობა უმალვე ჩნდება. პირადმა სიმპატიებმა ამა თუ იმ მოვლენის გაშუქებისას სიტუაციის გამწვავება და საზოგადოების გაღიზიანება არ უნდა გამოიწვიოს. ჟურნალისტი მართალი უნდა იყოს არა მარტო საკუთარ თავთან, არამედ იმ პირთან, ვისზედაც აქვეყნებს ინფორმაციას და, უპირველეს ყოვლისა, ქვეყანასა და საზოგადოებასთან. საზოგადოების ერთი ნაწილის აგრესია პრესისადმი ზოგჯერ იმ ჟურნალისტების ბრალია, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, ზერელედ ეპყრობიან ადამიანებს და საკუთარ პროფესიასაც. ხარვეზები ჟურნალისტურ საქმიანობაში ხშირად გამოწვეულია დაბალი სამართლებრივი კულტურით, მართლშეგნების დაბალი დონით. მასმედიის წარმომადგენლებს - ჟურნალისტებს, ტელეწამყვანებს, მაუწყებლობის ორგანიზატორებს საერთო კულტურასთან ერთად უნდა ჰქონდეთ სამართლებრივი კულტურა და თანამედროვეობის შესატყვისი სამართლებრივი ცნობიერება, უნდა იყვნენ კანონმორჩილნი, თვითნებურად არ უნდა შეიჭრან სამართლებრივ სივრცეში და გადალახონ სამართლებრივი ზღვარი. როგორც აღვნიშნეთ, ამჟამად საქართველოში ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი არცერთი საკანონმდებლო აქტით არ არის რეგულირებული. აუცილებელია არსებობდეს როგორც პრესის თვითრეგულირების დეტალურად დამუშავებული სისტემა, აგრეთვე ნორმატიული აქტი ჟურნალისტური საქმიანობის შესახებ. დემოკრატიულ საზოგადოებაში განმტკიცებული უნდა იყოს ჟურნალისტის შემოქმედებითი თავისუფლების გარანტიები და სათანადო სამართლებრივი სივრცე მედიის ეფექტური, ხარისხიანი და საზოგადოების ინტერესების შესაბამისი საქმიანობისათვის.

**ლიტერატურა:**


1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, თბ., 2004. № 19, გვ. 15, მუხლი 3, პუნქტი 2; მუხლი 11, პუნქტი 1;
2. ალფაიძე თ., მედიასამართალი, თბ., 2008. გვ. 195.


## სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა


**თამარ ხარაიშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიორგი გიორგაძე,** სრული პროფესორი


### შესავალი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ერთმანეთისაგან მიჯნავს ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ, მაგრამ განსხვავებული შინაარსის მქონე ცნებებს: უწყებრივ ქვემდებარეობასა და განსჯადობას.

ნებისმიერი ორგანო, რომელიც არსებობს ან შეიქმნა ამა თუ იმ სახელმწიფოში, ვალდებულია იმოქმედოს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და როგორც კი რომელიმე ამ ორგანოთაგან გასცილდება თავისი უფლებამოსილების ფარგლებს, იგი იჭრება სხვა ორგანოს კომპეტენციაში, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი თავის თავზე იღებს ისეთი საკითხის გადაჭრის უფლებამოსილებას, რომელიც მას კი არა, სხვა ორგანოს მიეკუთვნება.

სასამართლოს, ისევე როგორც სხვა ორგანოს, ზუსტად აქვს განსაზღვრული უფლებამოსილებათა ფარგლები და იგი არ შეიძლება გასცდეს ამ ფარგლებს.

საქართველოს კონსტიტუციის 42–ე მუხლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

### *I. უწყებრივი ქვემდებარეობის ცნება*

სასამართლო უწყებრივი ქვემდებარეობა კანონით განსაზღვრულ იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობაა, რომლის ფარგლებში სასამართლოს შეუძლია მიიღოს და განიხილოს საქმეები. [1]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლში ჩამოთვლილია ის ურთიერთობები, რომლებიდან წარმოშობილ დავებსაც განიხილავს სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. საერთო სასამართლოები განიხილავენ სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენების, გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს შორის და აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის, უდავო წარმოების საქმეებს, დავებს საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის, შვილად აყვანის საქმეებს და ა.შ. [2]

მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს თუ სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას, ხოლო თუ სასამართლო შეცდა და მან მიიღო არასაქვეუწყებო საქმე, რაც ამ საქმის განხილვის პროცესში გამოიკვეთა, მან უნდა შეწყვიტოს საქმე.[3]

### *II. განსჯადობის ცნება*

განსჯადობა - ესაა სასამართლო ორგანოებისადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმეების კანონით ზუსტად განსაზღვრული წესით განაწილება ცალკეული სასამართლოების მიხედვით, რომლებიც პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების ქონების გაყოფის, განაწილებისა და ფლობასთან დაკავშირებით, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებს, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ამ სადავო ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით.

### *II.I გვარეობითი განსჯადობა*

კანონი განასხვავებს ერთმანეთისაგან გვარეობით ანუ საგნობრივ და ტერიტორიალურ განსჯადობას. გვარეობითი განსჯადობა - ესაა საქმეთა განაწილება ამ საქმეთა გვარეობის ანუ საგნის მიხედვით სხვადასხვა დონის სასამართლოებს შორის. ყველა სახის ქონებრივ და არაქონებრივ დავებს განიხილავენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოები, რომელთა შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს მაგისტრატი მოსამართლე. მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს, უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებს, გარდა შვილად აყვანისა, გამარტივებული წესით გადახდის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებს, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება აღემატება 2000 ლარს და ა.შ.

### II.II ტერიტორიული განსჯადობა

ტერიტორიული განსჯადობა ესაა საქმეთა განაწილება ერთი დონის (სახის) სასამართლოებს შორის იმ ტერიტორიის მიხედვით, რომელზეც ვრცელდება ამ სასამართლოს კომპეტენცია.

ტერიტორიული განსჯადობის ფარგლებში კანონი განასხვავებს: საერთო განსჯადობას, განსაკუთრებულ განსჯადობას, ხელშეკრულებით განსჯადობას, ურთიერთდაკავშირებული რამდენიმე საქმის განსჯადობას, ნივთობრივ განსჯადობას, ოჯახური დავების განსჯადობას.

#### 1. საერთო განსჯადობა

სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის

---

[1] თ. ლილუაშვილი, საქართველოს სამოქალაო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ. 149-150
[2] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მე-11 მუხლი.
[3] საქართველოს სამოქალაქო საპროცესი კოდექსის 186-ე მუხლი.

მიხედვით. არსასარჩელო წარმოების დროს განსჯადობა განისაზღვრება იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია განცხადება (საჩივარი).[1]

ფიზიკურ პირებს შეიძლება ჰქონდეთ რამდენიმე საცხოვრებელი ბინა თუ სახლი და რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. ასეთ შემთხვევაში კი ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. რაც შეეხება არასრულწლოვნის საცხოვრებელ ადგილს, ეს არის მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სამეურვეო პირისა - მეურვის საცხოვრებელი ადგილი [2]

არ არის გამორიცხული, რომ სასამართლოში განსჯადობის წესების დაცვით საქმის წარმოების გახსნის შემდეგ მოპასუხემ შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი, მაგრამ ეს ვერ გახდება განსჯადობის შეცვლისა და სხვა სასამართლოსათვის ამ საქმის გადაცემის საფუძველი. მხარე ვალდებულია აცნობოს სასამართლოს თავისი მისამართის შეცვლის შესახებ. თუ არ აცნობებს, სასამართლოს მიერ გაგზავნილი უწყება ძველ მისამართზე ჩაბარებულად ჩაითვლება.

### 2. განსაკუთრებული განსჯადობა

განსაკუთრებული განსჯადობა ისეთი განსჯადობაა, რომელიც უშვებს სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას მხოლოდ ერთ რომელიმე სასამართლოში და კრძალავს სხვა სასამართლოში მისი აღძვრის შესაძლებლობას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მაგალითად, მოსარჩელის ქონებას ან ჯანმრთელობას ერთად მიაყენა ზიანი რამდენიმე პირმა, რომლებიც სხვადასხვა რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე ცხოვრობენ. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს შეუძლია აირჩიოს სასამართლო ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სსკ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. რაც შეეხება სარჩელს, რომელიც გამომდინარეობს იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან, სასამართლოს წარედგინება მხოლოდ ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით.

აღსანიშნავია ასევე კანონისმიერ და ანდერძისმიერ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სარჩელები, რომლებიც სასამართლოს წარედგინება მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ მამკვიდრებელი საქართველოს მოქალაქე, მაგრამ გარდაცვალების მომენტისათვის იგი საზღვარგარეთ ცხოვრობდა, სასამართლოში სარჩელი შეიძლება აღიძრას საქართველოში მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის ან სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით. [3]

### 3. ნივთობრივი განსჯადობა

ნივთობრივი განსჯადობა - ესაა განსჯადობა ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით. მაგალითად, სარჩელები საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, ასევე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებით, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებს - შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით. [4]

### 4. ქონებრივი განსჯადობა

სარჩელი მოპასუხის ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით შეიძლება აღიძრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მოპასუხეს არ აქვს საცხოვრებელი ადგილი საქართველოში. იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნა უზრუნველყოფილია რაიმე ნივთით, მაშინ სარჩელი შეიძლება აღიძრას ამ ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით.

---

[1] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 15-ე მუხლი

[2] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები

[3] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მე-16 მუხლის მე-4 ნაწილი

[4] თ. ლილუაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ. 157.

5. ხელშეკრულებითი განსჯადობა

ხელშეკრულებითი განსჯადობა - ესაა განსჯადობა მხარეთა შეთანხმებით. თუ არ არის დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო, მაშინ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმების გზით დაადგინონ სასამართლოს განსჯადობა. შეთანხმება ფორმდება წერილობით.

6. ოჯახური დავების განსჯადობა

ასეთი ხასიათის დავების განსჯადობას ეძღვნება სსკ-ის მე-19 მუხლი, რომლის თანახმად, სარჩელი ქორწინების შეწყვეტის, ქორწინების ბათილად ცნობის, აგრეთვე ქორწინების არსებობისა და არარსებობის დადგენის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მეუღლეების ერთობლივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ სარჩელის შეტანის დროისათვის ასეთი ადგილი არ არსებობს, მაშინ სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ მას არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი საქართველოში, მაშინ საქმეს განიხილავს სასამართლო მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თუ მოსარჩელესთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რაც აძნელებს მის გამოცხადებას სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქმე შეიძლება მოსარჩელის თხოვნით გაირჩეს სასამართლოში მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. რაც შეეხება სარჩელს მამობის დადგენის შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

7. ალტერნატიული განსჯადობა

ალტერნატიული განსჯადობა - ესაა მოსარჩელის არჩევით სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა ორ ან მეტ სასამართლოდან ერთ-ერთში.

მოსარჩელის უფლება აირჩიოს სასამართლო განმტკიცებულია სსკ მე-20 მუხლით, რომლის თანახმად „სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს“. მაგალითად, სარჩელი მამობის დადგენის შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს როგორც მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ისე იმ ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის მამობის დადგენის შესახებ მიმართავენ სასამართლოს.

ალტერნატიული განსჯადობის დროს საჭირო არაა მოწინააღმდეგე მხარესთან (მოპასუხესთან) წინასწარი შეთანხმება. ამით განსხვავდება იგი მხარეთა შეთანხმებით განსჯადობისაგან, რომლის დროს მხარეები ერთმანეთთან შეთანხმებით ირჩევენ ისეთ სასამართლოს, რომლის განსჯადი ეს საქმე საერთოდ არაა.

## III. საქმის გადაცემა ერთი სასამართლოდან მეორეში

სასამართლო საქმეს განსახილველად სხვა სასამართლოს გადასცემს თუ: ა) მოპასუხე, რომლის საცხოვრებელი ადგილიც წინათ არ იყო ცნობილი, მოითხოვს, რომ საქმე გადაეცეს სასამართლოს თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; ბ) ერთი ან რამდენიმე მოსამართლის აცილების გამო ამავე სასამართლოში შეუძლებელია მათი შეცვლა.

თუ სასამართლო რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, იგი გადაეცემა სასამართლოს მოსარჩელის არჩევით. საქმის სხვა სასამართლოში გადაცემის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც არ გასაჩივრდება. [1]

იმისათვის, რომ სასამართლომ საქმე გადასცეს სხვა სასამართლოს მოპასუხის ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საჭიროა თვითონ ამ მოპასუხის თხოვნა ამის შესახებ.

სამოქალაქო საქმის განხილვა აცილებული მოსამართლის მონაწილეობით დაუშვებელია, ხოლო თუ მაინც მოხდება ეს იმის გამო, რომ ამ სასამართლოში არაა სხვა ისეთი მოსამართლე, რომელიც შეცვლიდა მას, ეს უნდა შეფასდეს, როგორც საქმის განხილვა სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ, რაც ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

[1] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლი

## IV. განსჯადობის წესების დარღვევის შედეგები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მოითხოვს, რომ სარჩელი (განცხადება) აღიძრას იმ სასამართლოში, რომლის განსჯადიც ეს საქმეა. ამის შესახებ მითითებულია სსკ 186-ე მუხლში. ამ მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად სასამართლო არ მიიღებს სარჩელს თუ „საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არაა.“

თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმა მოტივირებულია იმით, რომ ეს სარჩელი არაა ამ სასამართლოს განსჯადი, მოსამართლე ვალდებულია მიუთითოს თავის განჩინებაში, თუ რომელ სასამართლოს უნდა მიმართოს მოსარჩელემ. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე არაა წინააღმდეგი, რომ საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ და თანახმაა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. გარდა ამისა, მოპასუხე წარმოდგენილი უნდა იყოს ადვოკატით, მაგრამ თუ მას არ ჰყავს ადვოკატი, მაშინ სასამართლომ უნდა განუმარტოს მოპასუხეს, რომ არაგანსჯადობის მოტივით გადაწყვეტილების გასაჩივრება არ იქნება გაზიარებული ზემდგომი სასამართლოს მიერ, თუ ის არ გამოიყენებს თავის უფლებას განაცხადოს პროტესტი არაგანსჯადი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის წინააღმდეგ. [1]

თუ მოპასუხე წინააღმდეგია საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ, მაშინ სასამართლო სარჩელს განუხილველად დატოვებს და განჩინებაში ამის შესახებ მიუთითებს თუ რომელ სასამართლოს შეუძლია მიმართოს მოსარჩელემ.

ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არ ამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განსჯადობას. განსჯადობის შემოწმებას ზემდგომი სასამართლო მოახდენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ იქნება მოპასუხის მოთხოვნა. ამასთან ერთად, ასეთი მოთხოვნის საფუძველზე განსჯადობის შემოწმებას ზემდგომი სასამართლო მოახდენს თუ: ა) მოპასუხემ საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას წამოაყენა არაგანსჯადობის შესახებ მოთხოვნა და სასამართლომ იგი არ დააკმაყოფილა ან ბ) მოპასუხეს ასეთი მოთხოვნა პირველი ინსტანციის სასამართლოში არ წამოუყენებია საპატიო მიზეზის გამო.

თუ მოპასუხე არ აპროტესტებს არაგანსჯადობას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს შეუძლია ჩათვალოს ეს დუმილით გამოხატულ თანხმობად და ამ მოტივით არ გააუქმოს გადაწყვეტილება.

## დასკვნა

სახელმწიფოში არსებულ ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნას, განსჯადობას, ჩემი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს, პირველ რიგში, იმ თვალსაზრისით, რომ არ მოხდეს ერთი და იგივე საკითხის სხვადასხვა ორგანოს მიერ განხილვა-გადაწყვეტა და მეორეც, იმ თვალსაზრისით, რომ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რომელ კონკრეტულ ორგანოს რა კონკრეტული საკითხის გადაჭრისათვის ეკისრება პასუხისმგებლობა.

რაც შეეხება უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხს, ჩემი აზრით, იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლო არის ერთადერთი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, აუცილებელია ვიცოდეთ იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობა, რომლის ფარგლებშიც სასამართლოს შეუძლია მიიღოს და განიხილოს საქმეები. ამის ცოდნა ხელს შეუწყობს სასამართლოს მიერ კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას და ზევრად შემცირდება არასაქვეუწყობო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევები.

**ლიტერატურა:**


1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
4. ლილუაშვილი თ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბ., 2005.


[1] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი

## ზემო ქართლის ტოპონიმია ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“

**ეველინა თარაშვილი**
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ვახუშტის აღნიშნულ შრომაში აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და მთისწინეთის ტოპონიმია საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი. ცნობილია, რომ სწავლულ კაცთა კომისიას ვახუშტის მამამ, ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსემ დაავალა შეედგინათ „ქართლის ცხოვრება“. ეს ასეც მოხდა, მაგრამ იქ გეოგრაფიული აღწერა არ იყო შეტანილი და ამიტომ ვახუშტიმ გადაწყვიტა თვითონ დაეწერა „ქართლის ცხოვრება“. ის ფეხით, ცხენით ბევრს დადიოდა და კარტოგრაფიულ აგეგმარებასაც ახდენდა, რითაც შემდეგში გაოცებული დარჩნენ თურმე ევროპელი კარტოგრაფები. ვახუშტი ასევე გვამცნობს ადგილთა ლოკალიზაციას. აღნიშნული ნაშრომებით უკვე იწყება ტოპონიმიის შესწავლის ცდები და, ფაქტობრივად, საფუძველი ეყრება ონომატეოლოგიას, როგორც მეცნიერული დისციპლინის ჩამოყალიბებას. ვახუშტის გეოგრაფიული განმარტებები ძირითადად ხალხურ ეტიმოლოგიების ჩარჩოში თავსდება.

ამავე დროს დიდი გეოგრაფი „აღწერაში“ წარმოგვიდგენს ტოპონიმთა მართებულ ეტიმოლოგიებს.

სწავლული ქსნის ხეობის აღწერისას აღნიშნავს: „საშუალს ჟამურისა არს ციხე ბერციხედ წოდებული, ქსანსა ზედა და კლდესა ზედა მდგომარე“. (1)

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ტომი მეორე), რომლის მთავარი რედაქტორია აკადემიკოსი არნ. ჩიქობავა, აღნიშნული სიტყვა განმარტებული არ არის. აღნიშნული ციხე მდებარეობს ორ ნასოფლარს შორის, ორ ხევს შუა და ჩანს, რომ წარმოადგენდა დიდ ციხე ქალაქს, რომელსაც მისავალიც კი ძნელად ეხილვის.

ჩვენი აზრით ბერციხე, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ბერ-შუას, შუათანას უნდა ნიშნავდეს. ხალხური ეტიმოლოგიით, ვითომ ბებერ ციხეს ნიშნავს, მაგრამ ის შუა ციხეს ნიშნავს.

ვახუშტი კვლავ აღნიშნავს: „მუნ ამ ორთა წყალთა შუა, არს ციხე წინკიბე ფრიად მაგარი“. (1) აღნიშნული ციხე მდებარეობს ქსნის ხეობის მარჯვენა შენაკად ჭურთის წყალზე და დღესაც კარგადაა შენახული. აქ მთავარია საზღვრული სიტყვა კიბე, რომლის შესახებ სულხან საბა განმარტავს: „აღსავალი კიბე და ხარისხი და ყოველივე ზეით სავალი აღსავალი არს. კიბე არს წვლილის ხით დანდალოანი აღსავალი, ხარისხი არს ქვითა და კირით შეკიბულივით სხვადასხვა აღსავალი. სხუნი არს ფიცართა და ძელთაგან ხარისხული აღსავალი, გინა გვერდობა ბაქან-ბაქანად ქმნილი“... (2) მართლაც, ციხე აგებულია დაქანებულ ადგილზე, რომელსაც ბაქანი ეწოდება. ვახუშტის განსაზღვრით, ტერიტორია, რომელიც ჯარიაშენიდან ვანათამდეა გადჭიმული მთისწინა ადგილი არის გვერდისძირი. მთეზში ნაგულისხმევია მთების ის დაბოლოვებანი, რომელიც გვერდით აკრავს ზემო ქართლის სოფლებს.

იგი წერს: „ხოლო ორბოძალი არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი“ (1) ამ სიტყვას სულხან-საბა განმარტავს: „ბოძალი ისარი ორპირი“. (2) მართლაც, გვერდისძირის აღმოსავლეთით არის მთა, რომელიც ორი მთისაგან არის წარმომდგარი. ორ წვერს შორის კი გაშლილი მინდორია, რომელიც ათასობით პირუტყვის საზალახოდ იყო მთელი ზაფხული და შემოდგომა.

აქვე ვახუშტი არაერთხელ ასახელებს მერეს, რომელიც იყო სოფელიც და მდინარის სახელწოდებაც. „ერთვის მეჯუდას დასავლიდან მერის ხევი ...“ ამ სიტყვებიდან სხვებიც არის ნაწარმოები და ქართულ ტოპონიმიაში სხვადასხვა მთეზში გვხვდება. სიტყვა მერე წყლის ნაპირას

მდებარე ვაკეს ნიშნავს. სულხან-საბა მას ასე განმარტავს: „მერე, მეედანი სწორი ვაკე, არს მდინარის კიდე, ვაკე. მერე - მერმეს ნაკვეთი“. (2)

ვახუშტი წერს: „ფოტნისის ხევი, ღრმა და კლდიანი, ძნიად გასავალი, გამოდის მერესა და შუაცხვრის მთას“. (4) ამ ხეობის ეტიმოლოგია, ჩვენი აზრით, მხოლოდ ქართული ენით აიხსნება და უნდა უკავშირებოდეს „ფოტორი" სიტყვას, რომელიც გადასავარდნ ადგილს ეწოდება. სულხან-საბა ასე ხსნის: „ფლატე, მიწა ჩამონგრეული“ (3), რაც ამ სიტყვის ეტიმოლოგიდ უნდა იქნეს გააზრებული.

„...ხოლო ქნოღის ჩრდილოთ, კერძოდ არს მთა დიდი კავკასია ჩრდილოეთკენ არს მაღნარ-დვალეთი და იმზღვრევის ეს მაღნარ-დვალეთი“ მეცნიერს მოჰყავს ამ გეოგრაფიული არიალის საზღვრები ყველა მიმართულებით. მაღნარ-დვალეთი ჩრდილოეთის მხარეს, ხოლო დვალეთს სამხრეთით აღნიშნავს ვახუშტი.

კომპოზიტ მაღნარ-დვალეთის პირველი ნაწილი მაღნარი იგივე უნდა იყოს, რაც მაღნარი, მაღლობი, ზემოთ მდებარე ადგილი, რომელიც ქართლის სამეფოს ჩრდილოეთის საზღვარი იყო. ის განიმარტება ასევე, როგორც ტყიანი დვალეთი. ამგვარ ახსნას კი საფუძვლად უდევს სიტყვა მაღნარი. სულხან-საბა ასე განმარტავს: „მაღნარი არს მთათა შინა ტევრნალი შაბბიანი“. (2) ჩვეულებრივი მეტათაზისის გზით (ნ-რ) მაღნარისაგან - მაღნარ-ის მომდინარეობის შესაძლებლობა. ლიახვის სათავე სწორედ მაღალ მთებსა და ტყეს წარმოადგენს.

ვახუშტის აღწერაში და რუკაზეც აქვს დატანილი ორივე რეგიონის გეოგრაფიული პუნქტები. დღესაც შემორჩენილია ქართული წარმოშობის ტოპონიმები: ბაღიათი, ზამთარეთი, ელბაქეთი, როკა, ერმანი, ყელის მთიანეთი, შიფრანი, შიხათური, ჩელიათი შავნაბადა, წითი, წითელი მთა, საკირე, სამება, მასხლები, ხწვე (წვას ნიშნავს), კოშკა და სხვები. თითოეულ მათგანზე შეიძლება ცალკე მსჯელობა, რაც სამომავლოდ მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ვახუშტი ბაგრატიონმა შექმნა დიდმნიშვნელოვანი გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული ნაწარმოები, რომელთა მნიშვნელობა დღეს უდიდესია. ამ დროს კი უკვე სამას წელზე მეტი გავიდა. აღწერაში და რუკებზე მითითებული ტოპონიმები, გეოგრაფიული სახელები ნაწილი შეიცვალა, ბევრიც საერთოდ მოისპო, მაგრამ მეცნიერის შრომებსა და რუკებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ. ვახუშტი დეტალურად ასახავს გეოგრაფიულ სახელწოდებებს, მოგვცა მათი კლასიფიკაცია და ლოკალიზაცია. ის სამართლიანად ითვლება მეცნიერული ტოპონიმის შესწავლის ფუძემდებლად.

ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების შეცვლა გამოიწვია უცხო ხალხის ჩამოსახლებამ, აგრესიამ მეზობელი ქვეყნების მხრიდან, სწორედ ამან გამოიწვია ძველი ქართული ტოპონიმების შეცვლა, ახალი სახელების დამკვიდრება.

**ლიტერატურა:**

1. ვახუშტი ბატონიშვილი, გეოგრაფია, ქართული, გამოცემა მოსე ჯანაშვილისა, ტბილისი, 1895.
2. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, "მერანი", 1991.
3. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, "მერანი", 1993.
4. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, მეცნიერება, 1997.

# დიალექტური ლექსიკა სოფელ ურბნისის მეტყველების მიხედვით

**თეონა რაზმაძე**
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ელენე ხოჯევანიშვილი,** სრული პროფესორი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული ენა მდიდარია დიალექტებით. იშვიათია, რომ ასეთ პატარა ტერიტორიაზე მოქმედ ენას ამდენი დიალექტი გააჩნდეს. ქართული სალიტერატურო ენა ცოცხალი მეტყველების საფუძველზე ვითარდებოდა.

დიალექტური ლექსიკა, მისი ნაირფეროვანი სიტყვარი, მუდამ იყო სალიტერატურო ენის აქტიური რეზერვი, რადგან სწორედ იგია სალიტერატურო ენის მასაზრდოებელი, მისი გამდიდრების ძირითადი წყარო და ამდენად, ცოცხალი მეტყველების როლი განსაკუთრებულია საერთო ქართული ლექსიკური ფონდის გამრავალფეროვნებაში.

ილია ჭავჭავაძე ბრძანებს ,,ხალხია ენის კანონის დამდები". სწორედ ხალხში დამკვიდრებული გრამატიკული და ცალკეული სიტყვები პოულობენ სათანადო ასახვას სალიტერატურო ენაში და ამით ამდიდრებენ მას, ამიტომ სალიტერატურო ენისათვის ცოცხალი მეტყველება ისეთი საზრდოა, ურომლისოდაც მას სიცოცხლე არ შეუძლია.

აქედან გამომდინარე სწორედ ქართული დიალექტების შესწავლა გვაწვდის მდიდარ მასალას თვით ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიის რიგი საკითხების გასათვალისწინებლად.

ცნობილია, რომ ,,ქართლის მეტყველება იყო და არის ქართული სამწერლო ენის საყრდენი დიალექტი". ამიტომ, ბუნებრივია, რომ სხვა დიალექტებთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული დიალექტის შესწავლასა და მისი ლექსიკის შევსებას ჯერ კიდევ უცნობი ფორმებით. ქართული ენის დიალექტები განეკუთვნებიან ამ ენის განშტოებებს და ექვემდებარებიან ქართულ ენას, როგორც უმაღლეს ფორმას დაბალი ფორმები.

ჩვენი მოხსენების მიზანს წარმოადგენს ქართლის ერთ-ერთი ისტორიული სოფლის - ურბნისის მეტყველების მიხედვით გამოავლინოს მისი ზოგიერთი თავისებურება სალიტერატურო ქართულთან მიმართებით.

ჩვენ ამისათვის გამოვიყენეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ შედგენილი სპეციალური კითხვარი ქართული დიალექტოლოგიური ატლასის მასალისათვის. ჩვენი რესპოდენტები იყვნენ ამ სოფლის მკვიდრნი:

1. 71 წლის ცინუზი რაზმაძე
2. 64 წლის ვლიმერი კანდელაკი
3. 63 წლის ზოია არჩვაძე
4. 70 წლის ნანა ბუსკივაძე
5. 84 წლის ანო მამესწარაშვილი

ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალა გადავამოწმეთ ქართული ენის განმარტებით და ქართული დიალექტის ლექსიკონებში. როგორც მოსალოდნელი იყო მოპოვებული მასალა ადასტურებს, რომ სამწერლობო ენის ძირითადი ლექსიკა ფორმით და მნიშვნელობით არსებითად უცვლელად არის წარმოდგენილი. ეს, რა თქმა უნდა, ასაბუთებს ქართლური დიალექტის ძლიერ გავლენას სალიტერატურო ენის ფორმების ჩამოყალიბებაზე. თუმცა, მსგავსებასთან ერთად მოძიებულ მასალაში თავს იჩენს განსხვავებები სალიტერატურო ქართულთან მიმართებით, და ჩვენ სწორედ ასეთი ფორმებით დავინტერესდით.

კერძოდ, წარმოდგენილი მასალის მიხედვით ყურადღებას იპყრობს შემდეგი შემთხვევები:

1. ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ ერთეულთა ფონეტიკურად სახეშეცვლილი ფორმები, რომლებიც ენაში მიმდინარე სხვადასხვა ფონეტიკური პროცესების შედეგადაა მიღებული;

2. ლექსიკური ერთეულები, რომელთაც ფორმა ერთნაირი აქვთ, მაგრამ სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ ჩვენს საკვლევ რეგიონში;

3. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა ჩვენ მიერ მოძიებული ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც არ არის ფიქსირებული არც ქართლური დიალექტის და არც ქართული სალიტერატურო ენის განმარტებით ლექსიკონებში.

დავიწყოთ პირველი შემთხვევით:

ადამიანს, რომელსაც არ ემეტება დასახარჯავად ან ვინმესათვის მისაცემად ისეთი რამე, რაც ბევრი აქვს, ეძახიან ღუნწს. ,,ღუნწი იყო, ნამდვილი ღუნწი, ზამთარში თოვლი დაენანებოდა". ,,ისეთი ლამაზი ცოლიდა ყავდა, სადედამთილოები რიგ-რიგად მოდიოდნენ".

,,პურიცომის გაკეთება არ დაგავიწყდეს ქალო".

,,იმოდენა საქმეებით ისეთი გაძეძეებული იყო, რო ხანდახან პური ჭამა ავიწყდებოდა".

,,წანდა-უწუნ შეჩერდებოდა ხოლმე".

,,მაგასაც ენგრე არ უნდა? ჭაანს და სვაანს".

,,კულიერივით იცის სირბილი".

,,ზაფხულში მოსაღამოვდება თუ არა, ჰაერში იმოდენა ქუნქლა აირევა ხოლმე რომა".

ამდენად, ამ მასალის ანალიზი გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ლექსიკური ერთეულები ძირითადად მისდევს ლიტერატურული ენისათვის ცნობილ ფორმებს და იმეორებს არსებული სიტყვათწარმოების წესებს, ხოლო აღნიშნული ფონეტიკური ვარიანტები ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური გადახრებია, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურისათვის კარგადაა ცნობილი.

ყურადღებას იპყრობს ის ფორმები, რომლებიც გვხვდება სალიტერატურო ენაშიც და ქართულ დიალექტშიც, მაგრამ სოფელში მათ განსხვავებული სალიტერატურო ენისათვის უცხო მნიშვნელობა აქვთ. კერძოდ, სოფელ ურბნისის მეტყველებაში სალიტერატურო ქართულთან მიმართებით განსხვავებანი შეინიშნება ნათესაური ურთიერთობის, ადამიანის ორგანოებისა და თვისებების გამომხატველ სიტყვათა მნიშვნელობებში. მაგალითად მოკეთეს ეძახიან ცოლის ძმას. ,,როცა ჩემი პატარა მოკეთე ჩემს ცოლს მოვუყვანე სიხარულისაგან გადაირია თავის ძმის ნახვით". ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კი მოკეთე განმარტებულია, როგორც ვინმესათვის სიკეთის მსურველი.

აყაროსაგან (მწარე გოგრისაგან) გაკეთებულ გრძელ ტარიან ჭურჭელს, რომელსაც ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად ხმარობენ, ეწოდება ხაპირი. ,,ქვევრიდან ხაპირით ამოიღო ღვინო, თასში ჩაასხა და ისე მიართვა სტუმარს". ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კი ეს სიტყვა განმარტებულია ასე: ხაპირი - გახვრეტილი ფიცარი, რომელსაც დებენ ქვევრის პირზე, შიგ ატარებენ სარცხის ტარს, დგებიან ნაპირზე და ისე რეცხავენ ქვევრს.

სიმინდის შესანახ ნაგებობას, უპირატესად მოწნულს, ჯინს უწოდებენ. ,,იმოდენა სიმინდის მოსავალი მოუვიდა, რო ეზოს კუთხეში მდგარი ჯინი პირთამდე გაივსო". ჯინს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აქვს მეორე მნიშვნელობაც: ჯინი იგივეა რაც ჯინი, ანუ მისი ჯინი სჭირს. ქართლური დიალექტის ლექსიკონში კი განმარტებულია ასე: ჯინი არის მსხვილი წნელით მოწნული სათავსო სიმინდის საცეხვად.

ძველი ქსოვილის ნაგლეჯს, რომელსაც ხმარობენ რისამე გადმოსაწმენდად, ჩლა ჰქვია. ,,მაგიდას სუფთა ჩლა გადაუსვა, გადაწმინდა და სუფრის გაშლა დაიწყო". ქართულში კი ჩლა იგივეა რაც ძენძი.

ბეჭედს ან სხვა რაიმე სამკაულს, რომელსაც სასიძო მოართმევს პატარძალს, ეძახიან ალავს. ,,თითიკაანთ გოგო რო გათხოვდა იმდენი ალავი უყიდეს რო დედამისი სიხარულით გადარეული იყო. ეს სიტყვასაა განმარტებული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, თუმცა ქართლის დიალექტის ლექსიკონში ალავი იგივეა რაც ალი. მაგ.: იტყვიან ხოლმე ,,თუ არ გააქრე, ალავი დაარტყამს, ყველგან მეეკიდება".

ჩვენი ყურადღება მიიპყრო სიტყვამ მაწაწური, რომელიც ქართლური დიალექტის ლექსიკონში განმარტებულია როგორც ბინძური, ჭუჭყიანი. ამავე მნიშვნელობით დასტურდება იგი ჩვენს რეგიონში. მაგ.: ,,მაწაწური ქალიანქორწილში სუფთა ვათხოვე, ისეთი მომიტანა, როგორც მაწაწური". ხოლო ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტებული ასე: მაწაწური-ქვევრის რეცხვის დროს შიგ ჩარჩენილი წყლის ამოსამშრალებელი ჩვარი.

დაბალ, ეკლიან ბუჩქს, რომელსაც აქვს კურკიანი, მრგვალი მოლურჯო ნაყოფი ეძახიან კვრინჩხს. ,,დიდი ამბით ველოდებოდით რთვილის მოსავალს, რომ კვრინჩხი დაშაქრებულიყო". ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დასტურდება, როგორც ხორბლის სახეობა.

ჩვენ მიერ ჩაწერილ იქნა რამდენიმე ფორმა, რომლებიც რუსული ენის ლექსიკიდანაა შემოსული და დამკვიდრებულია აღნიშნული არეალის მეტყველებაში:

ნირიახას წუწიან ადამიანს ეძახიან. ,,მაგ ნირიახას გაკეთებულ საჭმელს რა შემაჭმევს?"

სუსლიკას უწოდებენ ადამიანს რომელიც პატარაა, ძალიან გამხდარი და მოლეულია. ,,ბავშვობიდანვე უჭმელი ბავშვი იყო, სწორედ ამიტომ იყო სუსლიკა და გამსლეული".

პარტნოვს ეძახიან ტანსაცმლის მკერავს. ,,ჩემი პარტნოვი კარგ პალტოებს კერამდა".

ტრიპაჩი იგივეა რაც მეტიჩარა. ,,დედისერთა იყო და მშობლებს გატრიპაჩებული ჰყვანდათ".

როგორც ზემოთ აღვნიშნე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც არ არის ფიქსირებული ლექსიკონებში და შემორჩენილია მხოლოდ ცოცხალ მეტყველებაში.

მაგალითად, როდესაც ბავშვს ტირილის დროს სუნთქვა შეეკვრება, სულს ვერ მოითქვამს იტყვიან სული შეეკმინდაო ,,წყალში ისე დიდხანს ჩაყურყუმელავდა, რო სული შეეკმინდა და ძლივს მოასულიერეს“.

პატარა და ზევით აწეულ ცხვირს უწოდებენ ნოღას ან ნოღჩოს. ,,ნოღა ცხვირი ჭორფლით ქონდა დაწინწკლული და თიტქო უხდებოდა კიდეც“.

გარსს, რომელშიც მოთავსებულია ნაყოფი დედის მუცელში და რომელიც ნაყოფის დაბადების შემდეგ იბადება, უწოდებენ ბუდელას (ამას ძირითადად საქონელზე ამბობენ ხოლმე). ,,ყურადღება მიაქციე კაცო ძროხას, მალე ბუდელასაც დააგდებს“.

იმას, ვისაც მარცხენა ხელს ხმარობს მარჯვენას ნაცვლად ჩაკვიას ეძახიან. ,,შეხე, შეხე ამ ჩაკვიას, ჩაქუჩი რო მარცხენა ხელში უჭირავს“.

ადამიანი, რომელიც სხვის საქმეში ერევა და საკუთარი თავის გამოჩენა უყვარს პრაოჭიკს უწოდებენ. ,,ეგ ქალი ნამდვილი პრაოჭიკია, ყველას საქმეში ერევა“.

ჯამივით ჩაღრმავებულ ნახვრეტებიან მოზრდილ ჭურჭელს, რომლითაც წურავენ ფლავს, ეწოდება ფალანგი. ,,მოხარშული მაკარონი ფალანგზე დაასხა და რო დაიწურა ცივი წყალიც გადაავლო“.

მოწყობილობას, რომელშიც ჩააყენებენ ფეხაუდგმელ ბავშვს, რომელსაც ის აწვება და მოაგორებს, უწოდებენ ჭოჭიალას. ,,ჭოჭიალაში ჩამდგარი ბავშვი მთელ ოთახს გარშემო უვლიდა“.

წყალში ან რძეში გაუხსნელად დარჩენილ ფქვილის პატარა გუნდას ეწოდება კმურძლი. ,,თათარას რო აკეთებდა, კაი ცეცხლი არა ჰქონდა და სუ დაეკმურძლა“.

წამწამთა ძირების ჩირქოვან ანთებას ჰქვია ზიბზიბა. ,,თვალზე ზიბზიბა გამოუვიდა და ძაან სტკიოდა“.

მოუსვენარ, ცელქ ადამიანს ფოცანგს უწოდებენ. ,,ჩემი უნცროსი და, ყველაზე ფოცანგი ბავშვი იყო ჩვენს შორის“.

ჩაუკორეშდა ეს იგივეა რაც დაუმეგობრდა. ,,თეკლე ისეთი მეგობრული გოგო იყო, რო ახალ სკოლაში გადმოსულს თანაკლასელები მალე ჩაუკორეშდნენ“.

ტარამანას მოლაპარაკე, მოქალაქე ადამიანს უწოდებენ. ,,რა ტარამანა ქალი არი, მაგის ატა-ბატა ლაპარაკი მუდამ თავს მატკიებს“.

დუშლუღი იგივეა რაც მოკლე პალტო. ,,პაპაჩემის დუშლუღი ალაგ-ალაგ დაკესებული, თუმცა კი ძიენ თბილი იყო“.

ითამბარებს ანუ თავის ნებაზე მოიქცევა. ,,მაგას ეგონა სახლიდან გამიგულებდა და მერე თავი ნებაზე ითამბარებდა“.

დაფახირდა იგივეა რაც მოფაფალდა. ,,ისე დაფახირდა ეს კაცი, რო მზეზე მისაფიცხებლად ეზოშიც ვერ გამოდის“.

მოჟმიერება - მოთავება (საქმის). ,,საქმეს რო მოიჟმიერებდა, იქვე მცხოვრებ მულთან გადაირბენდა ხოლმე“.

კუკუნწრახას ძუნწ ადამიანს უწოდებენ. ,,ეეჰ, საცოდავმა რა წაიღო ამ ქვეყნიდან, ისეთი კუკუნწრახა იყო, ნაგავი რო გეთხოვა, ისიც დაენანებოდა“.

გაიკვეთე მომზადებას ნიშნავს. ,,სხვა რამეებ რო კითხულობ შკოლის წიგნები გაიკვეთე?“

სამეცნიერო ლიტერატურაში არა ერთი მაგალითია იმისა, რომ ქართლურში დამკვიდრებული ბევრი სიტყვა დროთა განმავლობაში საერთო ქართულის კუთვნილებად იქცა. ზემოთ დასახელებულ სიტყვებს, ალბათ, დრო გამოსცდის, სალიტერატურო ენა მიიღებს ან უარს იტყვის მათზე, ქართლური დიალექტის ლექსიკონში კი, ალბათ, უთუოდ უნდა დაიმკვიდრონ ადგილი.

**ლიტერატურა:**


1. ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.
2. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., I- II ტტ., 1991-93.
3. ქეგლ. (არნოლდ ჩიქობავას საერთო რედაქციით), თ., I-VIII ტტ. 1950-1964.
4. ქართლური დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1981.

## ეპიგრაფიკული წარწერების ენობრივ–პალეოგრაფიული თავისებურებანი

**თამარ საური**
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ქართული დამწერლობის სამივე სახე შემორჩენილია შიდა ქართლის ეკლესიების კედლებზე. წარწერებში ასახულია როგორც ენის ნორმებისათვის დამახასიათებელი მოვლენები, ისე დიალექტური ფორმები.

წარწერები, კუთვნილებისა და დანიშნულების მიხედვით, შეიძლება ასე დაჯგუფდეს: ხუროთმოძღვართა და ხელოსანთა მოსახსენებლები უფალო გამგებელთა, მლოცველთა და ფეოდალთა საკუთრების დამადასტურებელი და სხვა.

წარწერები გამოირჩევიან ენობრივ–პალეოგრაფიული თავისებურებებით, რადგან ისინი სხვადასხვა ეპოქას განეკუთვნებიან.

წარწერები გამოყენებული გვაქვს ,,ლაპიდარული წარწერების“ პირველი ნაწილიდან, რომელიც შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ცნობილმა მეცნიერმა ნუკრი შოშიაშვილმა.

ზემო ნიქოზის ეკლესიის ჩრდილოეთის ფასადის კარის თავზე ამოღარულია ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. ,,მე მიქაელ ნიქოზელ ებისკოზოსმან აღვაშენე წმინდაჲ ეკლესიაჲ, რომელი არს სახლი ღმრთისაჲ და ბჭჱ ცათაჲ“. აღნიშნული წარწერა თარიღდება X საუკუნით. წარწერებში რამდენიმე ადგილას გვხვდება იოტა ბგერა.

ცნობილია, რომ ძველ ქართულში აღნიშნული ბგერა გვხვდება დამავალ დიფთონგში, რამდენიმე (ოთხ) ხმოვანთან: ძმაჲ, ხეჲ, კალოჲ, ი–ბგერასთან ჲ–არ გვხვდება და ჩვეულებრივ აღნიშნულ წარწერაში გვხვდება ა–ს წინ.

ერთ შემთხვევაში გვხვდება სიტყვის თავში – ებჲსკობოზმან ჲ–ეს ასო იყო უმარცვლო, რომელიც გამოითქმოდა ენის შუა წელის მაგარ სასასთან მიახლოებით. იგი ძველ ტექსტში ჩვეულებრივ ხმოვნის შემდეგ გვხვდება და მასთან შეერთებით ერთ მარცვალს შეადგენს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი გვხვდება ოთხი ხმოვნის შემდეგ: აჲ, ეჲ, უჲ, უნდა ვთქვათ ისიც, რომ ეჲ ჯგუფი იშვიათია, საზოგადოდ მის ნაცვლად ჱ არის ხოლმე.

ხშირია ჲ ნიშნის ხმარება სახელობითში, სადაც ბრუნვის ნიშანი ,,ი“ დადასტურებულია და ჲ–ედ არის ქცეული, მაგ.: მამაჲ, დედაჲ, მობადლა ღმერთმან ამის ყოვლისაჲ აღშჱნებაჲ“ ...

აღნიშნულ წარწერაში ჲ (იოტა), როგორც დამვალი დიფთონგი, გვხვდება ხმოვნების ე–სა ჱ და ა–ს მომდევნო პოზიციაში, ხო ჱ–ეი ნარნარა ნ–ბგერის წინ მშჱნებელი.

მდინარე ლეხურის სათავეში მარცხენა მხარეს აგებულია დარბაზული ტიპის ეკლესია, რომელიც არმაზის წმინდა გიორგის სახელზეა აგებული. იგი თარიღდება 864 წლით. წარწერა სამხრეთი კარის თავზეა ამოტვიფრული.

,,სასულითა ღმერთისაჲთა მე გიორგი არმაზელმა მამასახლისმან დავიწყე წმიდაჲ ქრონიკონსა პდ(864) ხელმწიფობასა გიორგისა“.

წარწერაში დასტურდება მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად როგორც მან, ისე მა ფორმატი, რაც იმის ნიშანია, რომ ამ დროისათვის ძველი ფორმები რყევას განიცდის.

მხარის წარწერებში, მსგავსად სხვა მხარეებში არსებული ასოთმთავრული წარწერებისა, როდესაც ნახსენებია ,,სახელითა ქრისტჱსმან აღვაშჱნე“ ეგრეთწოდებული ემერვე –ეჲ ფაქტიურად სახელებში და ზმნებშიც, ბოლოში გვხვდება.

ტბეთის წარწერები, რომლებიც ზემოხსენებულ ნაშრომშია წარმოდგენილი სათაურით – ტბეთი, ბორცვისჯვრის ეკლესია, შინაარსის მიხედვით აქ გამოიყოფა სამი ქრონოლოგიური ფენა: პირველი – მეათე საუკუნის შუა წლები, მეორე – მეათე საუკუნის მეორე ნახევარში და მესამე – მეათე საუკუნის ბოლო წლები.

მთელი საუკუნის განმავლობაში, წარწერებში ჩანს მოსახსენებელთა ხუთი ჯგუფი: ტბელები, თიხრეველები, აბაზა და მისი შვილები, ივანე ტბელი და მისი შვილები, რომლებიც ოთხი თაობით არიან წარმოდგენილი დოდოთისა და ტბეთის, ასევე ბორცვიჯვრის წარწერებში.

შესაძლებელია ეს გაწელილი საუკუნე იყო მიზეზი ორთოგრაფიული მოვლენებისათვის, როდესაც თვით სიტყვა ქრისტეს ხსენებისას რამდენჯერმე გვხვდება ეჲ–ს გამომხატველი ემერვე გრაფემა (ქრისტჱ)

და ასვე ამ სახელთან არ გვხვდება რამდენჯერმე, მაგალითად: მეათე სუკუნის შუა წლების მოსახსნებელი ტბელის ძის ოქროპირის: ,,ქრისტე ადიდე ოქროპირ ძე ტბელისაჲ“.

მეათე საუკუნის მეორე ნახევარში მოსახენებელი პატრიკ ტბელისა: ,,ქრისტე განუსვენე სულსა ტბელისა პატრიკის“. როგორც ჩანს, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში წარწერებში ზმნები მეორე სერიაშია და მოქმედება დასრულებულია, მაგრამ ეს გრაფემა მყარად ხან გვხვდება და ხან არა.

როგორც ჩანს, ჴ–ეი გრაფების ბგერითი მნიშვნელობის ზუსტად დადგენა ძნელდება ზემო ქართლის წარწერების მიხედვით. ამ ბგერის თავდაპირველი ფუნქციის დადგენას აძნელებს სიტყვათა დამწერლობებში მისი მომსახურების გარკვეულ წესთა დაუცველობა.

ჴ–ი გრაფემის დამწერლობა პირველად ჩანს 864 წლის სინუ მრავალთავში, ასევე გვხვდება 897 წლის ადიშის ოთხთავში, მაგალითად: ბჭეჴ, მოყურეჴ, და ა.შ. ასეთი დაწერილობა გაგრძელდა XIX საუკუნის ბოლომდე.

ფუნქცია შესუსტებული ჴ–ის ხმარებამ ორი პროცესი გამოიწვია, ერთი მხრივ, შემცირდა მისი გამოყენების საჭიროება ქრისტჴ და ქრისტე –ე–ს გამოყენებით. მეორე მხრივ, კი გაიზარდა ამ ბგერის ზედმეტად გამოყენების შემთხვევები, რაც უმართებულოდ შეიძლება ჩაითვალოს.

ძველ ქართულ ანბანში ჲ (იე ანუ იოტა) გრაფემას მეთხუთმეტე ადგილი უკავია ნ–სა და ო–ს შორის და მისი ფუნქცია იყო გამოეხატა ი ფონემის პოზიციური ვარიანტი, მისი დადასტურებული უმარცვლო სახეობა. ის მხარის წარწერებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეალიზდება ხმოვნის შემდგომ, ასევე ხმოვანსა და თანხმოვანს შორის.

სოფელ ერედვის წმინდა გიორგის ეკლესიის 906 წლის ასომთავრულ წარწერაში სულ 5–ჯერ გვხვდება სხვადასხვა პოზიციაში: ღმრთისაჲთა, წმინდისაჲთა, ღმრთიშობელსაჲთა, ებისკობისისაჲთა, თაფლაჲსძემან, მოყუასთაჲა.

914 წლის ტბეთის წარწერებში პალეოგრაფიული ნიშნებით ჲ (იოტა) აქვს მიდრეკილება განუსხურებისაკენ და კუთხოვნებისაკენ.

იოტა ბგერა გვხვდება შემდეგ შემთხვევებში:

1) ფუძებოლოხმოვნიან საზოგადო სახელებში: ოქროჲ.
2) ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმებში: უმაღლეჲს.
3) ნათესაობითი ბრუნვის ფორმებში: ძეჲ კაცისაჲ.
4) ზმნებში: ესერეჲთ, ეგრეჲთ და სხვა.

ზემოხსენებულ წარწერებში ხშირია ჴ (ხარი) ბგერა, რომელსაც მკვიდრად არის თავის პოზიციაში. ეს ასო იყო ხორხისმიერი ბგერის ნიშანი და გარკვეულ ძირებში იხმარებოდა, ეს ბგერა დღესაც შემონახულია ფშავში, ხევსურეთში.

ეს ჴ–ახალ სალიტერატურო ენაში გავარდა და მისი ადგილი ხ ნიშნის ბგერამ დაიჭირა.

ჴ (ხარი) მაინც გვხვდება ძირეულ სიტყვებში და ცოცხალ არსებით ორგანოების აღმნიშვნელ სიტყვებში გვხვდება. ერედვის წარწერაში ის სიტყვის თავშია: ჴელმწიფობასა, მჴევალმან აქაც სიტყვის თავშია.

როგორც ჩანს ჴ ბგერამ ისტორიულად გარკვეულ ძირებში იხმარებოდა და რაიმე განსაკუთრებული წერით არ იყო განსაზღვრული მისი განაწილება.

ვარლამ თოფურიას დაკვირვებით, ჴ და ხ ბგერათა განაწილებაში არსებობდა ერთი კერძო წესი ხ, ც, შ, ჩ, თ, ბგერების წინ ფ – რეალიზდებოდა, მომდევნო პოზიციაში კი ს – ბგერა.

აქ რაიმე ეჭვის შეტანა ძნელია, მაგრამ მომავალში და სხვა საკითხების ირგვლივ ძიება უნდა გავაგრძელოთ.

ლიტერატურა:

1. ლაპიდარული წარწერები I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.
2. სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
3. დანელია კ., სარჯველაძე ზ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997.
4. შანიძე აკ., ძველი ქართულ ენის გრამატიკა, თბ., 1975.
5. კაკაბაძე ს., მშენებლობა ძველ ქართულში, საისტორიო კრებული, თბ., 1929.
6. ძიძიშვილი მ., ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960.
7. ჯავახიშვილი ი., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
8. თოფურია ვ., ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში III ფ და ს მეზობლობაში. წიგნი II, 1927.

## ოთარ ჩხეიძის ენისა და სტილის საკითხები

**თეონა შავლოხაშვილი**
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ოთარ ჩხეიძე ქართულ მწერლობაში მეტად თავისებური მოვლენაა. ის ჩვენი დროის გამოჩენილი მოღვაწეა, სახელოვანი ოჯახის წევრია. მწერალი ისტორიული და თანამედროვე ვითარების აღწერას რეალისტური პოზიციიდან უდგება. ის კარგად ხედავს მიზნობრივ ობიექტურ კანონებს როგორც ბუნებაში, ისე საზოგადოებაში. მისი აზრით ადამიანს დიდი როლი ეკუთვნის როგორც ბუნების, ისე საზოგადოების გარდაქმნაში. ის აკრიტიკებს ეროვნულ გრძნობებს მოკლებულ თანამემამულეებს, სიყვარულით წარმოგვიდგენს ახალ ადამიანებს, რომელთათვის დამახასიათებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული უსაფრთხოებათა მხილება.

უნდა შევნიშნოთ, რომ რასაც კი ეხება მწერალი, ეს არის სოფელი, მწერალთა კავშირი, ეროვნული მოძრაობა, ოჯახი, მეგობრები, მისი ენა შეიძლება ითქვას, რომ უბრალოა და შესატყვისი ხდება იმ მასალისა, რაზედაც მწერალი მოგვითხრობს.

უნდა ითქვას, რომ დღეს ასე პოპულარული მწერალი, როგორც პიროვნება და როგორც შემოქმედი დრომ გამოაჩინა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა. ზოგიერთ შემთხვევაში მისი ნაწერები არქაული იერის მატარებელია, მაგრამ ხალხურია თავისი კორძიანი აღნაგობითა და გამოთქმებით.

მისი ენის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ენის მკვებავი წყარო ქართლური დიალექტია, რომელიც უშრეტი წყაროა ნებისმიერი შემოქმედებისათვის.

ოთარ ჩხეიძის ენა და სტილი თავისებური და ორიგინალურია. მისი ენის თავისებურებას ქმნის არქაულობა და ლექსიკის სიმდიდრე, მისი ენის თავისებურებას განსაზღვრავს თემატიკა და ნაწარმოების სიუჟეტი.

მხატვრული ნაწარმოების ენა დიდ როლს ასრულებს სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში. ამ მხრივ საპატიო ადგილი უკავია მწერლისა და მეცნიერის ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას, რომელმაც უკვე დაიმკვიდრა ადგილი დიდ ქართულ ლიტერატურაში.

რომანი ,,ჩემი სავანე“, როგორც მწერალი ანოტაციაში აღნიშნავს, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის მესვეურთა პორტრეტებია, პორტრეტები და ხასიათები. ამ ფონზე მთელი ინსტიტუტის ცხოვრების სურათია მოცემული.

ინსტიტუტში მწერალი დიდხანს მოღვაწეობდა და თავისი კვალი დაამჩნია იმ სფეროს, რასაც ხელმძღვანელობდა, ცხოვრებამაც თავისი ქნა და სწორედ ამის გარშემო გვესაუბრება ავტორი რომანში, რომელსაც ნებისმიერი მკითხველი აუღელვებლად ვერ წაიკითხავს.

მწერლის ენისა და სტილის შესახებ უთუოდ გასათვალისწინებელია მდიდარი შემოქმედების ენობრივი მხარე და თემატიკა. მწერლის ენასა და სტილზე დაკვირვებას დიდი მნიშვნელობა ექნება მისი შემოქმედების სრულყოფილად გაგებისათვის. ვგულისხმობთ მეტყველების სიღრმეში ჩაწვდომას, გრამატიკულ, ლექსიკურ თავისებურებათა გამოვლენასა და ახსნას. მწერლის ლექსიკის მიმართულება შეადგენს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონები ძველი და ახალ ქართულენოვან დიალექტურ მოვლენებთან.

მიგვაჩნია, რომ მწერლის სტილი გულისხმობს გამოთქმების ენის სამსახურში ჩაყენებას და რთულია მწერლის მხატვრული ცნობიერების სფერო, ამიტომ მოქნილია მისი სტილი, ცხადია ყველაფერი, ცნება თუ ემოცია, ნებისმიერი სიტყვა, რომელიც ქართლური დიალექტის მასალაა, შეიძლება არქაულიც იყოს, მაგრამ ის ახალი მნიშვნელობით არის გამოყენებული. მწერლის ამ რომანში აღწერილი ეპოქა, რომელიც ჩვენს დროში და რამდენიმე ათეული წლის წინათ ხდებოდა, შესაფერის ენობრივ გაფორმებას მოითხოვს, რასაც ავტორი წარმატებით წყვეტს.

მწერლისათვის სიტყვა განსაკუთრებული აზრით არის დატვირთული და სტილისტიკური ფუნქცია აკისრია. ყურადღებას იწვევს მწერლის ემფატიკური ,,ა“, რომელიც ხშირია ნებისმიერ თხზულებაში მაგალითად: ,,ჩემი სავანე“. ამ მხრივ გამორჩეულია მაგალითად: ისმენდა სადღეგრძელოებსა, ხოტბასა, დიდებასა, წრფელსა ან კიდევ – გამოსთქვამდნენ მოწიწებას, მორჩილებასა, თაყვანსა, იმნაირადა.

მიგვაჩნია, რომ –ა– დასვით გამოკლებული სიტყვები აზრის დამაკონკრეტებელ ფაქტორად წარმოჩინდება, ვიდრე ახირებულ მანერად. ხშირად ასეთი სტილით არის დაწერილი მწერლის წერილები და ესეები. ეს ენა ხალხური სტილით გამდიდრებული ენაა, რაც ქართველური დიალექტისთვის ნიშანდობლივია. სტილიდან უთუოდ გამოსაკვეთია იუმორი, რომელიც სიტყვების თამაშით და გამეორებებით იქმნება. გამოთქმები გამოყენებულია კომიკური ელფერის მისაცემად, რასაც მწერალი ოდნავ შერბილებული სახით, მაგრამ დამცინავი მიზნით იყენებს.

რამდენიმე ნიმუში: სასწრაფო თათბირია რექტორთან, სტუმრები მოდიან, მძღოლიანად ოთხნი არიან, ერთი ალბათ ქალი იქნება, მანქანაში ორი წინ, ორი კი უკან იქნება მოთავსებული. ყველაფერი ამას ვეება საანგარიშოში ჩადის რექტორი. სტუმრებს დახვედრა უნდათ, ჩვენც ხომ იქ ვიქნებით, ბრძანებს იგი. – ჯერ ღვინოა მთავარი, მე არ ვსვამ, ის ერთი ქალიც არ დალევს ღვინოსა, მძღოლიც არ დალევს, ის ორნი დალევენ და ორი ბოთლი გვეყოფა. – მე არ ვსვამ.

– არც – მე
– არც – მე
– არც – მე
– არც –მე,
– არც – მე,

სულ ხუთი არც მე გამოვიდა, რომლის ავტორები რექტორთან დამმობილებული პირები არიან. ეს ნაცვალსახელები ყველა სახელობით ბრუნვაშია მოცემული და ბუნებრივად ზის კონტექსტში.

ქათამი!? – მე არ ვჭამ, არც მე, არც მე, არც მე; მიაყრიან ისევ თავისი თანამებრძოლები.

ერთი ქათამი საკმარისია, ოთხად გაიჭრება, ოღონდ ქათამი პატარა არ უნდა იყოს, არც დიდი ივარგებს, ასე საშუალო უნდა ავირჩიოთ.

მწერლის ასეთი სტილი გამახალისებელ ფორმას იღებს. მაგალითად, როცა რექტორი ხასიათზე არ არის, პრორექტორიც კოპებშეკრულია, ელოდება მდუმარედ მყოფი უფროსი როდის ამოიღებს ხმას, რომ თვითონაც იცის, ქოთანს საიდან მოაბას ყური....

ან კიდევ მარანში უყვარდა ქვევრის თავზე ცეკვა. უყვარდა სასეიროც იყო, სასეიროც იყო და საკვირელიცა.

მწერალი ქართლური დიალექტიდან აღებულ მასალას იღებს იუმორის შესაქმნელად და წარმოადგენს ძლიერ ნაკადს. ეს კი მიიღწევა ბგერების მხრივ მსგავსი სიტყვების გამეორებით.

მწერლის ენობრივი სტილი ტიპიურია. უკანასკნელი მათგანი ცალკეც შეიძლება იყოს განხილული, რაც დამახასიათებელია ზეპირი მეტყველებისათვის და ზოგადად სამწერლო ენისათვის. ყოველ გამოთქმას ფრაზას თავისი შინაარსი აქვს, გაბმულ მეტყველებაში ხდება აზრობრივი მონაკვეთის გამოყოფა, ინფორმაციის ხაზგასმა.

რომანში გამეორებას ადგილი აქვს ერთი წინადადების ფარგლებში, მაგრამ შიგ ჩართულია სრულმნიშვნელოვანი და არასრულმნიშვნელოვანი სიტყვები. ყველაზე მეტი სიხშირით მეორდება ზმნა, რომელიც წინადადების სხვა წევრებთან შედარებით მეტი დატვირთვა აქვს ყველა სხვა წევრთან შედარებით: ზმნათა გამეორებით გადმოიცემა მოქმედების ხანგრძლივობა თითქმის სამივე დროში.

რომანში ზმნების გამოყენების კანონზომიერება არ არსებობს, ეს წესი თვითონ ზმნების სიუხვეა. სათქმელის სიზუსტისა და ემოციისთვის საჭიროა სწორედ ასეთი გამორკვევები, სინონიმები, მაგალითები: "ჰყვებოდა ასე, ჰყვებოდა და გადააბამდა, გადააბამდა და გადააბამდა" (1: 288).

რომანში სწორია მრავალგზისობით გამოსახული ფორმები: "საღამომდის ემტკიცებინა აუღელვებლადა, ემტკიცებინა დილამდისაცა აუღელვებლადა, ემტკიცებინა და ემტკიცებინა". (1: 297). გამეორებულია ფორმები და კავშირით არის შეერთებული. არც ამისთვის ფარავდა სიმონი მოვლენებს.

გამეორება შეიძლება იყოს წინადადების თავში: მაგალითად, რექტორი ხშირად იტყოდა: "მე რომე ვარო, მე" (1: 381). აქ გამეორებულია პირველი პირის ნაცვალსახელები სახელობითი ბრუნვის ფორმით წინ, თავში.

გამეორებულია ზედსართავი სახელები: "დიდი მეგობრები გახლდნენ, დიდი, დიდი, უგულითადესი" (1: 291).

ნაცვალსახელები: "ისაო თუ... ისაო, თუ... ისაო, თუ... ისაო." (1: 295). რომანში აქტიურია სიტყვაწარმოების პროცესები, რომელსაც ძირითადად სუფიქსები აწარმოებენ, რაც ძირითადად ფუძეების გააქტიურებაში გამოიხატება. მაგალითად: უმწეობა, უმწეობის ნიმუში, უსუსურობა, უწიგნურობა ...

და–ებ სუფიქსები, ძირითადად აბსტრაქტული სახელების საწარმოებლად გვხვდება ნარიანი ფორმები; ჯანმრთელნი, საღსალამათნი, მივლინებულნი, შემტკიცებულნი და მრავალი სხვა.

მწერლის ხაზი ენისა და სტილის მხრივ მაგისტრალურია, რასაც დიდი ნებისყოფითა და ნიჭით აღწევს.

მას ასეთი მიდგომა ჩამოუყალიბდა ეპოქაზე, თავისი, ჩვენ ვიტყვით სრულიად ობიექტური შეხედულების შესაბამისად. ეს ეხება იმდროინდელ ყოფას, რომელიც განათლების სფეროში ისე საერთოდ იდეოლოგიაში, ცხადია მწერლების ჩათვლითაც, რასაც მწერალი ვერ ასცდა, რადგან ყოველივე ეს მახინჯი მოვლენები თავის თავზე გამოსცადა, მაგრამ არ შეცვლილა, არ გაბოროტებულა. ამიტომ არის მისი შეხედულებები სამართლიანი.

**ლიტერატურა:**

1. ჩხეიძე ო., ჩემი სავანე, ხასიათები და პორტრეტები, ,,ლომისი“, თბ., 2000.
2. კოშორიძე ე., მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბ., 2005.

## თეთრ ფერთა პალიტრა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში

**თამარ ცერაძე**

ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის

სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ვიანორ ახალაია**, სრული პროფესორი

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში უამრავი ფერია წარმოდგენილი: თეთრი, შავი, ლურჯი, ყვითელი, წითელი, ლალისფერი, მწვანე, სუროსფერი, ნაცრისფერი, ცისფერი, ლაჟვარდისფერი, მტრედისფერი, ზურმუხტისფერი, ქარვისფერი და სხვა.

ამ შემოქმედის პოეტურ თხზულებებში თითოეული ფერის ხმარება-გამოყენებას მკაცრად განსაზღვრული ადგილი გააჩნია.

